

სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ქართველური ენათმეცნიერების სადოქტორო პროგრამა

ფერიდე სანაია

ფერის აღმნიშვნელი ლექსიკა-ფრაზეოლოგიის  
ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი  
(ქართული სიმბოლიზმის ფერები)

წარდგენილია ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელი:

თამარ გითოლენდია

ფილოლოგიის დოქტორი,

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2023

## შინაარსი

შესავალი.....	3
<b>I თავი. ფერი და მისი შესწავლის ისტორია .....</b>	<b>9</b>
1.1. ფერთა თეორია .....	9
1.2. ფერთა კატეგორიზაციის „უნივერსალური მოდელი“.....	14
1.3. ფერთა სიმბოლიკა .....	23
<b>II თავი. ფერთა ტიპები .....</b>	<b>29</b>
2.1. ქრომატულ და აქრომატულ ფერთა სიმბოლურ-სემანტიკური დახასიათება.....	29
2.2. ქრომატული და აქრომატული ფერები .....	32
2.3. აქრომატულ ფერთა ენობრივი აღნიშვნები ქართულში .....	33
2.4. ქრომატულ ფერთა ენობრივი აღნიშვნები ქართულში .....	34
2.5. აქრომატულ ფერთა სიმბოლურ-სემანტიკური დახასიათება .....	36
2.5.1. თეთრი ფერის სემიოტიკა .....	36
2.5.2. შავი ფერის სემიოტიკა.....	41
2.5.3. რუხი ფერის სემიოტიკა .....	45
2.6. ქრომატულ ფერთა სიმბოლურ-სემიოტიკური დახასიათება.....	47
2.6.1. წითელი ფერის სემიოტიკა .....	48
2.6.2. ყვითელი ფერის სემიოტიკა .....	51
2.6.3. მწვანე ფერის სემიოტიკა .....	54
2.6.4. ლურჯი ფერის სემიოტიკა.....	56
2.7. განსხვავებული ფერების სემანტიკური ველი .....	61
<b>III თავი. ლექსემა „ფერი“ და ფერთა სხვა აღმნიშვნელები .....</b>	<b>64</b>
3.1. ლექსემა „ფერი“ .....	65
3.2. ფერის მახასიათებლების აღმნიშვნელი ლექსიკა და სემიოტიკა .....	77
3.3. ძვირფასი ქვებისა და ლითონების ფერის აღმნიშვნელი ერთეულები .....	79
<b>IV თავი. „ცისფერყანწელთა“ ფერთამეტყველება .....</b>	<b>82</b>
4.1. ბაზისურ ფერთა ლექსიკურ-სიმბოლური გააზრება „ცისფერყანწელთა“ პოეზიის მიხედვით.....	82
4.2. ფერთა ტერმინების სტრუქტურული და ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფები ქართველ სიმბოლისტებთან .....	124
4.3. „ცისფერყანწელთა“ პოეტური ლექსკა (სიტყვის სემანტიკური მიმართებები: სინონიმები, ანტონიმები, ნეოლოგიზმები და მისი სტილისტიკური ფუნქცია) .....	152
<b>დასკვნა.....</b>	<b>158</b>
<b>გამოყენებული ლიტერატურა .....</b>	<b>168</b>

## შესავალი

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება ფერის აღმნიშვნელ ლექსიკა-ფრაზეოლოგიის ლინგვოკულტუროლოგიურ ანალიზს „ცისფერყანწელთა“ შემოქმედების მიხედვით. კერძოდ, განვიხილავთ ფერის ფენომენს და სიმბოლურ დატვირთვას ქართულ სიმბოლისტურ შემოქმედებაში. შევისწავლით, ასოციაციის მეშვეობით, რა მნიშვნელობას იძენს ფერი პოეზიის ენაში.

როგორც ცნობილია, ენა წარმოადგენს სისტემას. აქედან გამომდინარე, მას აქვს თავისი სტრუქტურა. ლექსიკაში სისტემურობის ნიშნების აღმოჩენას ამარტივებს ლექსიკური ფონდის სემანტიკური კლასიფიკაცია და, შესაბამისად, ამ ცალკეული ჯგუფების შესწავლა. ერთ-ერთ ასეთ ლექსიკურ-სემანტიკურ კომპონენტს წარმოადგენს ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკა.

ფერთა სიტყვებს განსხვავებული სიმბოლური დატვირთვა აქვს პოეზიაში. მეთოდოლოგიური თვალსაზრისით მხატვრულ ტექსტში ფერის გამოყენების პოეტური ასპექტების განხილვა ლექსიკო-სემანტიკური ანალიზითაა შესაძლებელი. ენის სემანტიკური სტრუქტურის შესწავლას, თავის მხრივ, დიდი მნიშვნელობა აქვს კონკრეტული ენის სტილისტიკური თავისებურების დადგენისათვის. ენის მთელი სისტემიდან ჩვენ შემოვიფარგლეთ კონკრეტული დონით – ლექსიკით და აქედან გამომდინარე, შევისწავლეთ „ფერის“ ამსახველი ერთეული (ენობრივი აღქმის თვალსაზრისით).

ფერის ფენომენის შესწავლა ენის ლექსიკური მონაცემების გათვალისწინებას მოითხოვს. ენის ლექსიკური შემადგენლობა კი მუდმივად ვითარდება და იცვლება ახალი სიტყვების შევსების გზით, რაც მის შესწავლას ართულებს.

გარდა ამისა, ფერის, როგორც მხატვრული აზროვნების ელემენტის შესწავლა, სხვადასხვა ასპექტის გათვალისწინებასაც მოითხოვს. ესენია:

- ფერის ასოციაციური და სიმბოლური დატვირთვა;
- ფერი, როგორც სპეციფიკური ლირიკული ელემენტი;
- ადამიანზე ფერის ფსიქიკური ზემოქმედების თავისებურებები;

- ხელოვნების ცალკეულ დარგში ფერის ფუნქციონირების განსაზღვრა და ა. შ.

მიუხედავად იმისა, რომ გარდამავალი ფერების შეტანა რომელიმე ჯგუფში სირთულეს წარმოადგენს, ჩვენი კვლევის მაგალითზე აღვნიშნავთ, ზედსართავი სახელი იტევს ამ ფუნქციას. ფერის მახასიათებლების აღმნიშვნელი სიტყვებია: **ბაცი, ბნელი, გაცრეცილი, გახუნებული, ელვარე, თალხი, კამკამა, კაშკაშა, ლაპლაპა, მზინავი, მიმქრალი, მკვეთრი, მკრთალი, მოღრუბლული, მოჭერილი, მუქი, მქრქალი, მცხრალი, მზიარული, ნათელი, ნაჯერი, პრიალა, სპეტაკი, „ფეერიული“, ქათქათა, ღია, ციმციმა, ჭრელი, ჭრელ-ჭრელი, ჭროლა, ხასხასა...**

ფერები აღქმისა და ინტერპრეტაციის შედეგად რეალიზდებიან და გარკვეული ნიშნები ახასიათებთ. მხატვრულ ტექსტში ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკის ანალიზისას მნიშვნელოვანია მისი სხვადასხვა ელემენტთა დეკოდირება. პოეზიაში ფერის აღმნიშვნელი ლექსიკა პოეტურ მნიშვნელობას იძენს. აღნიშნული თემის შესწავლა კი, ცხადია, ბაზისურ ფერთა გამოყოფით უნდა დავიწყოთ.

სადისერტაციო ნაშრომში ფერთან დაკავშირებული მასალა დაჯგუფებულია სიმბოლურ ბლოკებად და ნაჩვენებია, თუ როგორი სემანტიკური ველით იფარება იგი და რა ასოციაციურ მნიშვნელობათა სპექტრს იკრებს პოეზიის ენაში.

ფერის აღმნიშვნელი ლექსიკა-ფრაზეოლოგიის ლინგვოკულტუროლოგიური დახასიათება და ანალიზი ლინგვისტიკისა და ფსიქოლოგიის ცნებათა გათვალისწინებასაც მოითხოვდა.

ჩვენი კვლევის ობიექტს ფერთა ვერბალიზაცია წარმოადგენს ქართველი სიმბოლისტების შემოქმედებაში. იქიდან გამომდინარე, რომ ფერთა სიმბოლიკის კვლევა მხატვრული ქვეტექსტის კვლევას უკავშირდება, წინამდებარე ნაშრომი ინტერდისციპლინარული ხასიათისაგაა და გარკვეული ლიტერატურათმცოდნეობითი მნიშვნელობაც აქვს. ამასთანვე, გულისხმობს კოგნიტური ფსიქოლოგიური მეთოდების გათვალისწინებას, მათ შორის: დაკვირვებასა და თვითაღწერით მეთოდებს.

**კვლევის აქტუალობა და მეცნიერული სიახლე** – რამდენადაც ფერადოვნება სამყაროს ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია („რომელმან შექმნა სამყარო, გვაქვს უთვალავი ფერთა“), იმდენად ფერთა ლექსიკურ-სემანტიკური აღქმა-დახასიათება მრავალი

სფეროსათვის მნიშვნელოვანია. ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკის შესწავლა მუდამ იზიდავდა მკვლევართა ყურადღებას. თავის მხრივ, ენათა ლექსიკური შემადგენლობის კვლევა ენათმეცნიერების მნიშვნელოვანი პრობლემაა. სირთულეს სიტყვათა სიმრავლე, ლექსიკის მუდმივი ცვალებადობა და მრავალფეროვნება განაპირობებს. ლექსიკური მნიშვნელობა არ არის უცვლელი, სიტყვას ახასიათებს მნიშვნელობის ცვლა, განვითარება, დესემანტიზაცია, მნიშვნელობის დავიწროება ან გაფართოება; ფერთა აღმნიშვნელი სიტყვები, სემანტიკური ინფორმაციულობის გარდა, ძლიერი ექსპრესიულობის გამოხატველია. სემასიოლოგიის პრინციპების მიხედვით, თუ ლექსემის მნიშვნელობა კონკრეტული და ვიწროა, საქმე მონოსემიასთან გვაქვს, ხოლო სიტყვის მრავალ მნიშვნელობასთან შეხვედრისას პოლისემია იჩენს თავს. ენობრივი ერთეულების სისტემურ შესწავლას სემანტიკური კლასიფიკაცია და კონკრეტული კომპონენტების მიხედვით კვლევა ამარტივებს.

თემა აქტუალურია იმდენად, რამდენადაც დღეისათვის ფერთა აღმნიშვნელ ლექსიკაზე ინტერესი იზრდება. სიმბოლისტური პოეზიის ამსახველი ფერთა სიტყვები კი მეტ-ნაკლებად შესწავლილ სფეროს წარმოადგენს. მართალია, თანამედროვე სალიტერატურო კრიტიკის მხრიდან შეიმჩნევა დაინტერესება ფერთა საკითხის კვლევისადმი, მაგრამ მკვლევრები უფრო ხშირად ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებაში ფერის მხატვრული გააზრების თავისებურებებს ეხებიან. მხოლოდ ცალკეული ნაშრომები არსებობს, სადაც ძირითადი აქცენტი გადატანილია ფერის ლექსიკაზე, ამ ლექსიკის სიტყვაწარმოების უნარზე.

ენათმეცნიერება კარგა ხანია დაინტერესდა ფერის პრობლემით მხატვრულ ლიტერატურულ ნაწარმოებებში. განსხვავებული მასშტაბებით შესწავლილია შოთა რუსთაველის, გალაკტიონ ტაბიძის, კონსტანტინე გამსახურდიასა და სხვათა ნაწარმოებები ფერთა ამსახველი ლექსიკის თვალსაზრისით, თუმცა ფერის პრობლემა, ძირითადად, კონკრეტულ ნაწარმოებთა მხატვრული ანალიზის დონეზეა წარმოდგენილი, პოეტიკის კატეგორიის, მხატვრული აზროვნების ელემენტების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, ფერის ლექსიკის ლინგვისტური შესწავლის თვალსაზრისით დაინტერესებულ ნებისმიერ მკვლევარს გარკვეული სირთულის წინაშე აყენებს.

**კვლევის მიზანი და ამოცანები** – კვლევის მიზანია ფერის აღმნიშვნელი ლექსიკა-ფრაზეოლოგიის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი და ფუნქციონირების შესწავლა ქართველ სიმბოლისტთა შემოქმედების მიხედვით; ლექსიკური და სიმბოლური მნიშვნელობების წარმოჩენა/დადგენა.

კვლევის ამოცანები განისაზღვრა კვლევის მიზნებიდან გამომდინარე. კერძოდ, ჩვენი ამოცანებია ფერთა კვლევის პროცესში მიღწეული შედეგების კრიტიკული განხილვა და გააზრება; უკვე არსებული თვალსაზრისების შეჯერებით შესაბამისი მიდგომების ჩამოყალიბება; საანალიზო ლექსიკის სტრუქტურისა და სემანტიკური ასპექტების, დადებითი და უარყოფითი სემანტიკური მოდელების შექმნა. მაგალითად, თეთრი ასოცირდება სისუფთავესთან, სიწმინდესთან, კეთილშობილებასთან, ერთგულებასთან, უცოდველობასთან, თუმცა ამავე დროს პოეზიაში მას აქვს სუსხის, ზამთრის, სიცივის, თოვლის, ყინვის, მარტოობის სემანტიკაც.

**კვლევის მეთოდები** – დასახული მიზნის განსახორციელებლად ნაშრომში გამოყენებულია ლინგვისტური დაკვირვების, აღწერის, ტიპოლოგიური და ლოგიკური განზოგადების, განმარტებისა და სემანტიკურ-პრაგმატიკული ანალიზის მეთოდები; გარკვეული ადგილი ეთმობა სიმბოლოს სემიოტიკურ ანალიზს.

ნაშრომი შესრულებულია მონაცემთა შედარების პრინციპით. მხატვრული პარადიგმის ფონზე ფერთა ამსახველი სიტყვების კვლევას ვაწარმოებთ ლინგვოკულტუროლოგიურ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით. ლინგვოკულტუროლოგია გულისხმობს კვლევათა ურთიერთდაკავშირებას ანუ ინტერდისციპლინარულობას, რაც აუცილებელს ხდის, ლინგვისტიკა-ლიტერატურათმცოდნეობის, ფსიქოლონგვისტიკისა და სიმბოლოლოგიის მეთოდების გათვალისწინებასაც.

**სადისერტაციო ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა** – ნაშრომის თეორიულ ღირებულებად მიგვაჩნია საკითხის მონოგრაფიული კვლევა, დაინტერესებულ მკითხველს შესაძლებლობა აქვს ერთ ნაშრომში იხილოს საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებული თეორიული ნარატივი. ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება განისაზღვრება იმით, რომ წარმოდგენილი საანალიზო მასალა შეიძლება გამოდგეს

სალექსიკონო ერთეულებად ან უკვე აღრიცხული ლექსიკის სემანტიკური ნიუანსების დასაზუსტებლად.

**კვლევის საგანი** – ჩვენი კვლევის ობიექტს ფერთა ვერბალიზაცია წარმოადგენს ქართველი სიმბოლისტების შემოქმედებაში. აღსანიშნავია, რომ ყანწელები წერდნენ მინიატურებსაც. მინიატურული ჟანრის საუკეთესო წარმომადგენელია სანდრო ცირეკიძე. მინიატურებს წერდნენ აგრეთვე სერგო კლდიაშვილი, გრიგოლ რობაქიძე, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი. სადისერტაციო ნაშრომში ფერთა ამსახველი ლექსიკის საანალიზო მასალად მხოლოდ „ცისფერყანწელთა“ ლექსებია გამოყენებული.

ამასთან ერთად, მხედველობაში ვიღებთ იმ ფაქტს, რომ ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკის მკვლევრების თანახმად, ყველაზე დიდი შეფასებითი დატვირთვა აქვს სპექტრის ძირითად ფერებს. შესაბამისად, ჩვენი კვლევის მთავარ ობიექტს ბაზისური ფერები წარმოადგენს, მაგრამ კვლევა არ შემოიფარგლება მხოლოდ ძირითადი ფერებით.

**სადოქტორო ნაშრომის ძირითადი წყაროები** – პირველწყაროებად გამოყენებულია პ. იაშვილის, ვალ. გაფრინდაშვილის, შ. აფხაიძისა და სხვა „ცისფერყანწელთა“ ლექსების კრებულები, საარქივო და პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული მასალები, ხოლო მეორეულ წყაროებად – ქართული და უცხოური მონოგრაფიები, სამეცნიერო, კრიტიკული და სხვა სახის პუბლიკაციები.

ფერთა პრობლემატიკის შესახებ კვლევას განსაკუთრებული ყურადღება XIX–XX საუკუნეებში მიექცა. ცნობილია, მ. ლუშერის, ი. იაკობსონის, ვ. გრენვილის, ს. ფორსის, ჯ. ლაკოფის, ბ. ბერლინისა და პ. ქეის, ე. კოხისა და ჰ. ვაგნერის, ა. ჰულბერტის, დ. კერნელის, ნ. ს. სეროვის და სხვათა ნაშრომები აღნიშნულ საკითხთან მიმართებით.

ქართულ ლიტერატურაში ფერთა ლექსიკა და მისი მხატვრული ფუნქცია საგანგებო კვლევის საგანს წარმოადგენს: მ. გოგიბერიძის, ვ. ნოზაძის, ე. სოსელიას, ლ. სტურუას, რ. ბარბაქაძის, თ. კიკაჩიშვილის, ნ. რამიშვილის, ნ. მირიანაშვილის, ნ. ჩიქოვანის და სხვათა ნაშრომებში.

**ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა** – სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილია კომპიუტერზე შესრულებული 179 გვერდიანი ნაბეჭდი ტექსტის სახით. მოიცავს: სარჩევს,

ანოტაციას, შესავალს, 4 თავს და მათში გაერთიანებულ პარაგრაფებსა და დასკვნებს. ნაშრომს ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია.

**ნაშრომის აპრობაცია** – სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი ძირითადი დებულებები მისი დამუშავების სხვადასხვა ეტაპებზე მოხსენებათა სახით განხილულ იქნა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებზე და ზოგიერთი ნაწილი გამოქვეყნებულია სტატიებისა და თეზისების სახით:

1. თეთრი ფერის ლექსიკური გააზრება ვალერიან გაფრინდაშვილის შემოქმედებაში. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული #1 (33), გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2020, გვ. 66-72.

2. ლურჯი ფერის სიმბოლური გააზრება „ცისფერყანწელთა“ პოეზიაში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „1921 წლის ისტორიულ-კულტურული მოვლენები: ხედვა საუკუნის შემდეგ“, თეზისები, თბილისი, 2021. გვ.117-119.

3. თეთრი ფერის ლექსიკური გააზრება ვალერიან გაფრინდაშვილის შემოქმედებაში. აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“, „შრომები“, VI, ქუთაისი, 2021, გვ. 257-266.

4. პაოლო იაშვილის შემოქმედების ფერთა ლექსიკური თავისებურებები. აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“, უნივერსიტეტის „შრომები“, VII, ქუთაისი, 2022, გვ. 265-271.

5. ძირითადი ფერების ლექსიკური გააზრება ქართველ სიმბოლისტთა ლექსების მიხედვით / Lexical understanding of basic colors according to the poems of Georgian symbolists. Eurasian Journal of Humanities and Social Sciences, V.4, January, 2022. Page: 16-19.

6. Color denoting vocabulary of Georgian poetry of the 20s of the 20th Century. Proceedings of the 2nd International Scientific Conference „Modern Scientific Method“, University of Vienna, Austria. Publisher.agency, №2, February, 2023, Page: 179-184.



# I თავი. ფერი და მისი შესწავლის ისტორია

## 1.1. ფერთა თეორია

ფერი ფიზიკური, ქიმიური, ფიზიოლოგიური, ლინგვისტური და, აგრეთვე, ზოგადად კულტუროლოგიური ფენომენია. აქედან გამომდინარე, ამ საკითხის კვლევა კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს, რაც გულისხმობს ეთნოგრაფიული, ფერწერული, ფსიქოლოგიური, ლიტერატურული, სიმბოლური თუ რელიგიურ-მითოლოგიური ასპექტების გათვალისწინებას.

ფერების სახელწოდებების შესასწავლად ლინგვისტიკისათვის დიდი სარგებლობა მოაქვთ ფერთა სისტემის შესახებ არსებულ ნაშრომებს ხელოვნებაში, კოგნიტურ ფსიქოლოგიაში, ფიზიოლოგიაში და ანთროპოლოგიაში. ფერის ნომინაციის ანალიზი საშუალებას იძლევა უფრო საფუძვლიანად შევისწავლოთ ფერების სახელდების სპეციფიკა.

ფერთა თეორიის მეცნიერულ კვლევას დიდი ხნის ისტორია აქვს. რთულია, იმის გარკვევა, თუ როგორ აღიქვამდნენ ფერებს ძველად. ამასთან დაკავშირებით ძველი ლიტერატურული წყაროები მწირ ინფორმაციას გვაწვდიან.

ძველი ბერძენი ფილოსოფოსები ცდილობდნენ ჩასწვდომოდნენ ფერთა საიდუმლოებას. ემპიდოკლემ (ძვ.წ. V ს.) გამოყო შემდეგი ძირითადი ფერები: ყვითელი, წითელი, თეთრი და შავი, რომლებიც უნივერსალურ ელემენტებს – მიწას, ცეცხლს, ჰაერს და წყალს შეესაბამება, სხვა ფერები კი აღნიშნული ფერების შერევით წარმოიშობა. ამავე აზრს იზიარებდა დემოკრიტეს (ძვ.წ. V ს.), რომელმაც სცადა ატომური თეორიის საფუძველზე აეხსნა ფერთა ბუნება. დემოკრიტეს აზრით, ატომების ფორმა განაპირობებდა მათ ფერს. აქედან გამომდინარე, თეთრი ფერი იმ საგნებს აქვთ, რომლებიც სწორი ატომებისაგან შედგება, ამის საპირისპიროდ კი შავი ფერის საგნები არასწორი, უსწორმასწორო ზედაპირის მქონე ატომებს შეიცავს. წითელი ფერის საგნები დიდი ზომის ატომებისაგან შედგება, ხოლო ყვითელი მკვრივისა და ცარიელის ნარევით იქმნება. დემოკრიტეს აზრით, აღნიშნული ოთხი ძირითადი ფერი განაპირობებდა ბრწყინვალეობას და ინტენსიურობას, რომელსაც ფილოსოფოსი ფერის ნიუანსებზე მაღლა აყენებდა.

ფერის საკითხით დაინტერესებული იყვნენ პლატონი და არისტოტელე (ძვ.წ. IVს.). პლატონი თავის „ტიმეოსში“ გვთავაზობს თეორიას ფერთა შესახებ. დემოკრიტეს მსგავსად, იგი სხვა ფერების საფუძვლად ოთხ ძირითად ფერს ასახელებს, მაგრამ მისგან განსხვავებით, თეთრის, შავისა და წითლის გარდა, პირველად ფერად მიიჩნევს „კაშკაშას, ბრწყინვალეს“ და არა „მოყვითალო-მომწვანოს“. დემოკრიტე ფერის ბრწყინვალეების განმსაზღვრელად თეთრს მიიჩნევს, პლატონი კი „ბრწყინვალეს“, რაც, რეალურად, ფერის აღმნიშვნელი ტერმინი არ არის.

ფერის შესახებ შეხედულებები არისტოტელეს გადმოცემული აქვს ნაშრომებში „De anima“ და „De sensu“. მისი აზრით, ფერების მრავალფეროვნება აიხსნება სინათლისა და სიბნელის სხვადასხვა რაოდენობის შერწყმით. არისტოტელეს თანახმად, წითელი, ყვითელი, მეწამული, მწვანე და ლურჯი განმსაზღვრელი ფერებია, ხოლო ძირითად ფერებად იგი თეთრსა (სინათლე) და შავს (სიბნელე) მიიჩნევს, ფერის სხვა ნიუანსები კი მათი კომბინაციით არის განპირობებული.

რა შეიძლება ითქვას ფერთა ძველი ბერძნული თეორიების მიმართებაზე თანამედროვე მეცნიერულ მონაცემებთან? ამასთან დაკავშირებით ი. დარჩია წერს: „როგორც ძველი, ისე თანამედროვე ადამიანისათვის თეთრი და შავი ორი უკიდურესობაა, ორი ერთმანეთის საპირისპირო წერტილია, მაგრამ ძველი ბერძნები ფერებს ათავსებდნენ ნათელიდან ბნელის მიმართულებით (ანუ თეორიულად ადამიანს თეთრის საშუალებით შეეძლო სხვადასხვა ფერის მიღება მანამ, სანამ მას მხოლოდ შავი არ დარჩებოდა), ხოლო დღეს კი ადამიანი ფერებს განალაგებს ისე, როგორც ამას სპექტრში ხედავს (წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, მწვანე, ცისფერი, ლურჯი, იისფერი) და ერთმანეთისაგან განარჩევს ძირითად და დამატებით ფერებს“ [დარჩია, 2005:12].

მკვლევართა დასკვნით, ძვ. წ. ა. IV საუკუნის თეორეტიკოსებს ფერის ბუნება უფრო ადრინდელ ბერძენთაგან განსხვავებულად ესმით. თანამედროვე მკვლევრებს მიაჩნიათ, რომ ანტიკური ეპოქის თეორეტიკოსები ფერის დამოუკიდებელ არსებობას არ ცნობდნენ და მას „ატომთა მოძრაობის შედეგად“ თვლიდნენ. როგორც ი. დარჩია აღნიშნავს, ფერის ხარისხობრივი ბუნების აღიარებამ მის აღმნიშვნელ ტერმინებზეც მოახდინა გავლენა [დარჩია, 2005:12].

არსებობს ფერთა შემეცნების ორი დიდი თეორია, ესენია: ნიუტონის სპექტრალური თეორია და გოეთეს შემოქმედებითი ხასიათის „ფერთა თეორია“.

ისააკ ნიუტონი იყო პირველი, რომელმაც ფერები წრეზე დაალაგა (1666), რამაც ნიადაგი მოუმზადა ფერთა თეორიის განვითარებას. იგი ცდილობდა მათემატიკური გზით აეხსნა სინათლისა და ფერის არსებობის ფორმები. ნიუტონი ფერების წარმოშობის მიზეზად სინათლის დისპერსიას<sup>1</sup> მიიჩნევდა. მან მზის თეთრი შუქის სპექტრალური ფერების სერიად დაშალა: წითელი, ყვითელი, ნარინჯისფერი, მწვანე, ცისფერი, ლურჯი და იისფერი, რითაც დაამტკიცა, რომ ამ სერიის ფერები და მათი თანმიმდევრობა მუდმივია.

კიდევ ერთი თეორია ფერების შესახებ („ფერის დოქტრინა“) უდიდეს გერმანელ მოაზროვნეს იოჰან ვოლფგანგ გოეთეს (XVIII საუკუნის დასასრულს და XIX საუკუნის დასაწყისში) ეკუთვნის. ადამიანზე ზემოქმედების შესაბამისად, მან სპექტრალური ფერები „ცივ“ („უარყოფით“) და თბილ“ („დადებით“) ფერებად დაყო.

გოეთეს აზრით, ფერები კონტრასტულად კი არ უპირისპირდებიან ერთმანეთს, არამედ ერთმანეთს ბადებენ. იგი არ ეთანხმებოდა ნიუტონის სინათლისა და ფერის თეორიას. ფერი მიიღება სინათლის გარემოზე გარკვეული ურთიერთქმედებით; შესაბამისად, ფერის სიმუქე ან ღიაობა სიბნელესთან სიახლოვით ან სიშორით იზომება. აქედან გამომდინარე, მისთვის ორი ძირითადი ფერი არსებობდა, რომლებსაც, სხვებისგან განსხვავებით, სინათლეს და სიბნელეს უწოდებდა და არა თეთრსა და შავს. სხვა დანარჩენი ფერი კი, გოეთეს აზრით, ამ ორ მოცემულობას შორის თავსდება [ბულაძე, 1994].

ნიუტონის თეორია ვიზუალურ ცდაზე დამყარებულ შედეგებს ეფუძნება. იგი აბსოლუტურად უგულებელყოფს ადამიანის გრძნობად თვალს, მის განცდებს. ხოლო გოეთეს თეორიის თანახმად, ადამიანის თვალის მიერ შექმნილ ფერს ენიჭება პრინციპული მნიშვნელობა, რითაც იგი უპირისპირდება ნიუტონის შეხედულებას ამ საკითხთან დაკავშირებით. თვალი აირეკლავს გარე სამყაროს და მისი აღქმის საშუალებას აძლევს მხედველობას [დარჩია, 2005:14]. გოეთეს თეორიის თანახმად, თვალი იმ ფერს ხედავს,

---

<sup>1</sup>დისპერსია – დაშლა, დაყოფა, დაქუცმაცება, განზნევა. სინათლის დისპერსია – ფიზ. თეთრი სინათლის სხივის დაშლა სპექტრის ცალკეულ ფერად სხივებად (პრიზმაში გავლისას) [გოგიჩაძე გ., კანდელააკი გ., გოგიჩაძე თ. ლექსიკონი ბიოლოგიური და სამედიცინო ტერმინები და ცნებები, თბ., 2011].

რომელსაც ადამიანი ქმნის. აღქმის ეს სუბიექტურობა არის ობიექტური კანონი, რადგანაც ყოველი ადამიანის თვალი თავის არსში ერთ კანონს ემორჩილება.

გოეთე ადამიანის ემოციებსა და განწყობაზე ცალკეული ფერების ფსიქოლოგიურ გავლენასაც იკვლევდა. სწორედ, მას უკავშირდება ფერის ფსიქოლოგიის გაჩენა, რომლის დასკვნებს ფერისა და ფსიქიკის ურთიერთმიმართების შესახებ არაერთი ცნობილი მეცნიერი ახსენებს. სწორედ ზემოთ აღნიშნული ნაშრომი („ფერთა თეორია“) იქცა ერთგვარ იმპულსად, რომ ბოლო ორი საუკუნის მანძილზე, სინათლისა და ფერის თეორიამ საბუნებრივმეტყველო მიმართულების გარდა, ჰუმანიტართა და ხელოვანთა თეორიული ინტერესები გამოიწვია.

ფერთა პრობლემატიკის შესახებ კვლევას განსაკუთრებული ყურადღება XIX–XX საუკუნეებში მიექცა. 2014 წელს საფრანგეთში გამოსცეს ფრანგი დიზაინერის ჟან-გაბრიელ გოსის წიგნი „ფერების საოცარი ძალა“ // *“L’étonnant pouvoir des couleurs“*, სადაც ავტორი მიმოიხილავს, თუ როგორ მოქმედებენ ფერები ადამიანის აღქმასა და ქცევაზე.

ფერთი ნიმუშების სისტემის შესახებ მოცემულია წიგნში „ფერადი ჰარმონიის სახელმძღვანელო“ [იაკობსონი ი., გრენვილი ვ., ფორსი ს., 1948]. აღნიშნული წიგნის საფუძველზე შედგენილი იქნა ბუნებრივ ფერთა სინათლის ატლასი (*“Natural Color Sistem“*), რომელიც საშუალებას იძლევა ფერი შეფასდეს ნორმალური მხედველობის პირობებში და თითოეული დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით დადგინდეს მისი დასახელებანი ხელოვნებასა და მეცნიერებაში.

ფერთა აღქმის ფუნქციონალური ფსიქოლოგია შეიმუშავა შვეიცარიელმა ფსიქოლოგმა მაქს ლუშერმა („ფერის ფსიქოლოგია“, 1985). მანვე შექმნა ფერთა ფსიქოლოგიური ტესტი, რომლის საშუალებით შესაძლებელია ადამიანის ფსიქოფიზიოლოგიური მდგომარეობის დადგენა. მ. ლუშერის აზრით, ადამიანის დამოკიდებულება ფერთან ასახავს მის გემოვნებასა და განწყობას.

ბაზისურ ფერთა ტერმინების შესწავლას სპეციალური ნაშრომი მიუძღვნეს ბ. ბერლინმა და პ. კეიმ (1969). სწორედ მათ ჩამოაყალიბეს ბაზისური ფერის კატეგორიის ცნება. ავტორები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ არსებობს ბაზისურ ფერთა

კატეგორიზაციის უნივერსალური მოდელი, საიდანაც ნებისმიერ ენაში წარმოდგენილ ბაზისურ ფერთა კონკრეტული სისტემა გამოიყვანება.

არაბაზისური ტერმინების შესწავლას მიუძღვნა გამოკვლევა ამერიკელმა ლინგვისტმა ჯ. ლაკოფმა (1973), რომელიც მესამე – ნარევი ტიპის არაბაზისური ტერმინების არსებობასაც ვარაუდობს. ამას გარდა, უნდა აღვნიშნოთ, ელიზაბეტ კოხისა და ჰერარდ ვაგნერის გამოკვლევა – „ფერის ინდივიდუალობა“ (1998). ცნობილია, აგრეთვე, რუსეთში „ფერის ინსტიტუტის“ ერთ-ერთი დამაარსებლის ნ. ს. სეროვის ნაშრომები („მითის ქრომატიზმი“ (1990); „ანტიკური ქრომატიზმი“ (1995), რომლებიც მეცნიერული კვლევისა და მისტიკური მსოფლადქმის სინთეზს წარმოადგენს.

უნდა აღვნიშნოს, რომ ფერთა ფენომენისადმი ინტერესი ხელოვნებასა და ლიტერატურაში ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გაიზარდა. ამ საკითხს ეხებიან მკვლევრები: ა. ჰულბერტი (2021), დ. კერნელი (2016), ე. ბურკი (2014), ჯ. რასკინი (2010), ჯ. მეტერი (2012), ჯ. უილიამ სტრუტი (2009), ჯ. კლერკ მაქსველი (2011), ჯ. ა. ლუსი (2012) და სხვები.

მაიკლ ფერბერის ლიტერატურული სიმბოლოების ლექსიკონში (2014) ჩამოთვლილია 3000-ზე მეტი ფერის აღმნიშვნელი სიტყვა ინგლისურად. ნ. ვ. სეროვის „ფერის სიმბოლიკაში“ (2015) წარმოდგენილია ფერთა სემანტიკის საკითხები ინტელექტის არქექტიპული მოდელის პოზიციიდან, რომელიც შემონახულია მსოფლიო კულტურაში. წიგნში განმარტებულია ფერის მნიშვნელობები რელიგიის, ხელოვნებისა და მეცნიერების სხვადასხვა სფეროში. ცნობილია, აგრეთვე, ნაშრომები ფერთა სემანტიკის (C. P. Biggam, 2012), „ფერთა მეცნიერების“ (St. Shevell, 2003), ფერთა სიმბოლიკის, ფერთა ფსიქოლოგიის თუ ფერთა ჰარმონიის შესახებ (Li-Chen Ou, 2015).

ფერის ფენომენს ქართველი ენათმეცნიერები, ლიტერატურათმცოდნეები, ფილოსოფოსები და ხელოვნების ისტორიის შემსწავლელნიც იკვლევენ. აღნიშნული თემის შესწავლისას ბაზისურ ფერთა გამოყოფასა და გამოკვლევას ექცევა ყურადღება.

ზემო აღნიშნული საკითხები, მათ შორის, ბაზისურ ფერთა ტერმინების შესახებ, რომელიც ეკუთვნის ბ. ბერლინსა და პ. კეის, მონოგრაფიულად შეისწავლა ე. სოსელიამ. მისი აზრით, უნივერსალურია ბაზისური ფერის კატეგორიათა ბირთვები, რომლებიც

ბაზისური ფერის შესაბამისი ტერმინის საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენენ [სოსელია, 1999:8].

ფერის ტერმინთა შესახებ გამოკვლევა ვ. ნოზაძეს (1954) ეკუთვნის, რომელმაც „ვეფხისტყაოსანში“ გამოყენებული ფერის აღმნიშვნელი სიტყვები შეისწავლა. ასევე, აღსანიშნავია ნ. მირიანაშვილის წიგნი „ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკა ქართულსა და რუსულ ენებში“ (1986), ნ. ჩიქოვანის მონოგრაფია „ფერთა ლექსიკისათვის ძველ ქართულში“ (1992) და სხვ.

„ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკის სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი მეგრულში“ ეკუთვნის ც. ძაძამიას (2006), „ფერის აღმნიშვნელი სიტყვების კოგნიტური ანალიზი“ – გ. მანასიანს (2012). აგრეთვე, ფერთა აღმნიშვნელ სიტყვებს სადისერტაციო ნაშრომები მიუძღვნეს ლ. სტურუამ (1974), ი. ჭრელაშვილმა (1999), ც. გოგებაშვილმა (1999) და სხვ.

## 1.2. ფერთა კატეგორიზაციის „უნივერსალური მოდელი“

ტერმინი, რომელიც ამ პარაგრაფის სათაურად არის წარმოდგენილი ბ. ბერლინსა და პ. კეის ეკუთვნის. ნაშრომის ამ ნაწილში მოკლედ დავახასიათებთ ფერის ტერმინთა სემანტიკას სხვადასხვა თეორიის მიხედვით. ჩვენი მიზანია, წარმოვაჩინოთ ამგვარი ანალიზის მიმართება ფერთა კატეგორიზაციის უნივერსალურ მოდელთან.

კონკრეტულ ენაში ფერთი სპექტრის, იგივე ფერთი სივრცის დანაწევრება ფერთა ტერმინებით ხდება. ფერთა ტერმინების სემანტიკის შესწავლა გულისხმობს სწორედ ფერთი სამყაროს კონკრეტული, მოცემული ენისათვის დამახასიათებელი ორგანიზაციის გამოვლენას. ეს არ ნიშნავს უბრალო დანაწევრების შესწავლას, რაც იქამდე დაიყვანება, რომ ენის ყოველი ტერმინისთვის დადგინდეს ფერთი სივრცის იმ მონაკვეთის განზომილებანი, რომელიც მოცემულ კონკრეტულ ტერმინს შეესაბამება. სწორედ ამ სტრუქტურის ძირითად

მარგანიზებელ ელემენტს წარმოადგენს ბაზისური ფერის ტერმინის სემანტიკა [სოსელია, 1990:37].

ფერთა აღნიშვნელი ლექსიკის სემანტიკის კვლევა მრავალ საინტერესო და საკამათო საკითხთანაა დაკავშირებული. ერთ-ერთი პირველი ლინგვისტური ნაშრომი, რომელიც ფერის ტერმინებს შეისწავლის ა. უერნერს ეკუთვნის, რომელც 1814 წელს ლონდონში გამოქვეყნდა („Nomenclature of Colours“). მას შემდეგ არაერთი ენათმეცნიერის ყურადღება მიიპყრო ამ საკითხმა.

ფერთა უნივერსალურ კატეგორიებზე მსჯელობა ბაზისურ ფერთა ტერმინების განსაზღვრის საკითხს ეფუძნება. ამ საკითხის შესახებ პირველად წარმოდგენილი იქნა ბ. ბერლინისა და პ. კეის ერთობლივ ნაშრომში (1969), რომელიც ფერთა კატეგორიზაციის უნივერსალური მოდელის სახელწოდებითაა ცნობილი. მათ 98 ენის ფერის ტერმინთა შესწავლის მაგალითზე 11 ბაზისური ფერის (White, Black, Red, Green, Yellow, Blue, Brown, Purple, Pink, Orange, Grey) უნივერსალური კატეგორია გამოყვეს, მაგრამ ყველა ენა შესაძლებელია არ ფლობდეს ამ თერთმეტივე ფერს. ზოგიერთ ენაში (ინგლისური, გერმანული) თერთმეტივე ფერის დასახელებაა მოცემული, ზოგიერთში კი მხოლოდ ორი (მაგალითად, დანის ენა ახალ გვინეაში). რუსულ ენაში 12 საბაზო ფერის დასახელება გვხვდება (ლურჯისთვის ორი – საკუთრივ ლურჯი და ცისფერი). ავტორებმა დაადგინეს, რომ ფერის ტერმინთა სისტემის ტიპს განსაზღვრავს ბაზისური ფერის ტერმინები, რომლებიც ყველასათვის ერთნაირად გასაგებია.

ეთერ სოსელიას აზრით, როდესაც ამა თუ იმ ფერის ტერმინებს ვეცნობით, ინტუიციურადაც ვგრძნობთ, რომ ამ ტერმინთაგან ზოგიერთი ძირითადია. ასე მაგალითად, ამგვარია ქართულში **თეთრი, შავი, წითელი, ყვითელი...**, მაგრამ ძირითად ტერმინებად არაფრით არ ჩაითვლება **ჟოლოსფერი, ალისფერი, იასამნისფერი, მუქი მწვანე, მოწითალო** და სხვა. ბ. ბერლინისა და პ. კეის თეორია სწორედ ამგვარ ძირითად ტერმინებზეა დამყარებული და მათ ავტორები ბაზისურ ფერთა ტერმინებს უწოდებენ [სოსელია, 2009:10].

უნდა აღინიშნოს, რომ ბერლინისა და ქეის სემანტიკური უნივერსალიების თეორიის დამკვიდრებამდე, ენათმეცნიერებაში ბატონობდა სეპირ-უორფის ჰიპოთეზა, რომლის

თანახმად, ფერის ლექსიკური კატეგორიზაცია მხოლოდ მოცემული ენისათვის დამახასიათებელი სემანტიკური სტრუქტურის ზეგავლენით აიხსნებოდა [სოსელია, 2009: 78]. ამის საწინააღმდეგოდ, ბერლინისა და ქეის თეორიის თანახმად, ფერთა კატეგორიზაციის უნივერსალური მოდელები არსებობს, საიდანაც კონკრეტულ ენაში წარმოდგენილი ბაზისურ ფერთა სისტემა გამოიყვანება.

ბ. ბერლინმა და პ. კეიმ ჩამოაყალიბეს ის სემანტიკური უნივერსალები, რომლებიც ნებისმიერი ენის ფერთა კატეგორიზაციის კანონზომიერებებს ასახავენ. მათ ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებას, რომ ფერთა სახელწოდებებს გარკვეული უნივერსალური პრინციპები უდევს საფუძვლად. როგორც ი. მინდაძე წერს, ეს პრინციპები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

1. ყველა ენა შეიცავს სიტყვებს შავი და თეთრი ფერისათვის;
2. თუკი ენაში არის სამი სხვადასხვა ფერის აღმნიშვნელი სიტყვა, მაშინ ეს ენა შეიცავს ასევე სიტყვას წითელი ფერის აღსანიშნავად;
3. თუკი ენაში არის ოთხი სხვადასხვა ფერის აღმნიშვნელი სიტყვა, მაშინ ეს ენა შეიცავს სიტყვას ან მწვანე, ან ყვითელი ფერის აღსანიშნად, მაგრამ არა ორივეს;
4. თუკი ენაში არის ხუთი სხვადასხვა ფერის აღმნიშვნელი სიტყვა, მაშინ ეს ენა შეიცავს სიტყვებს როგორც მწვანე, ისევე ყვითელი ფერის აღსანიშნად;
5. თუკი ენაში არის ექვსი სხვადასხვა ფერის აღმნიშვნელი სიტყვა, მაშინ ეს ენა შეიცავს სიტყვას ლურჯი ფერის აღსანიშნად;
6. თუკი ენაში არის შვიდი სხვადასხვა ფერის აღმნიშვნელი სიტყვა, მაშინ ეს ენა შეიცავს სიტყვას ყავისფერის აღსანიშნად;
7. თუკი ენაში არის რვა ან მეტი სხვადასხვა ფერის აღმნიშვნელი სიტყვა, მაშინ ეს ენა შეიცავს სიტყვებს იისფერი, ვარდისფერი, ნარინჯისფერი, რუხი ფერის აღსანიშნად.<sup>2</sup>

ამდენად, ფერის ტერმინები ენაში ბაზისურ (მარტივი მორფოლოგიური სტრუქტურის) და არაბაზისურ (მეორადი, აღწერითი, მორფოლოგიურად არამარტივი) ტერმინებად იყოფა.

---

<sup>2</sup>მინდაძე ი., ფონეტიკური სიმბოლიზმი, Iwaminda.wordpress.com (გამოყენების თარიღი: 11.06.2022).



ფერთა კატეგორიზაციის უნივერსალური მოდელის პირველმა ავტორებმა ბერლინმა და კეიმ შეიმუშავეს ბაზისურ ფერთა ტერმინების დადგენის 4 ძირითადი და 4 დამატებითი პუნქტი. ძირითადი კრიტერიუმის თანახმად:

- ბაზისური ფერის ტერმინი უნდა იყოს მონოლექსემური (მაგ., **თეთრი, შავი, მწვანე, ლურჯი, წითელი, ყვითელი, რუხი**), რაც იმას ნიშნავს, რომ არ უნდა იყოს იმ ტიპის, როგორცაა ქართულში, მაგალითად, **მომწვანო-მოყვითალო, მუქი ყავისფერი...**

- მისი სიგნიფიკატი სხვა ტერმინის სიგნიფიკატში არ უნდა შედიოდეს, ანუ არ უნდა იყოს იმ ტიპის, როგორცაა ქართულში, მაგალითად, „მოყავისფრო მწვანე“, მეწამული – „წითლად შეფერილი“ წითელი და ლურჯი.

- მისი გამოყენება ობიექტთა მხოლოდ ვიწრო კლასით არ უნდა შემოიფარგლოს;

- უნდა იყოს შედარებით თვალსაჩინო, ხშირი და საზოგადო.

თუკი ტერმინი ბაზისურობის კრიტერიუმის ოთხივე ძირითად პუნქტს აკმაყოფილებს, მაშინ იგი ბაზისურ ტერმინად ჩაითვლება და დამატებითი პუნქტების მიხედვით შემოწმებას აღარ საჭიროებს [სოსელია, 1999]. ზოგჯერ ძირითადი პუნქტების შემოწმება რთულდება (განსაკუთრებით მეოთხე პუნქტის) და ტერმინის ბაზისურობა დამატებითი პუნქტების მიხედვით დგინდება. დამატებითი პუნქტები კი მოიცავს შემდეგ თვისებებს:

ა) მოცემულ ტერმინს უნდა ახასიათებდეს იგივე დისტრიბუციული სიმძლავრე, რაც ბაზისური ფერის უკვე დადგენილ ნებისმიერ ტერმინს;

ბ) მოცემული ტერმინის ბაზისურობა საეჭვოა, იმ შემთხვევაში, თუ იგი ამავე დროს იმ საგნის სახელს წარმოადგენს, რომლისთვისაც დამახასიათებელია აღნიშნული ფერი;

გ) ნასესხებ ტერმინთა ბაზისურობა საეჭვოა;

დ) მორფოლოგიურად არამარტივი ტერმინი საეჭვოა, რომ იყოს ბაზისური.

ეთერ სოსელია მიიჩნევს, რომ კვლევის საწყის ეტაპზე, ფერის აღმნიშვნელ ქართულ ტერმინთაგან ბაზისურობის კრიტერიუმის ოთხივე ძირითადი პუნქტის მოთხოვნებს შემდეგი ტერმინები აკმაყოფილებენ: **თეთრი, შავი, წითელი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი, რუხი**. აღნიშნულ ტერმინთაგან პირველი ექვსის ბაზისურობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს და,

შესაბამისად, დამატებითი კრიტერიუმით შემოწმებას ადარ საჭიროებენ, მაგრამ ეჭვს ბადებს მხოლოდ მეშვიდე ტერმინი – რუხი [სოსელია, 1999].

კატეგორიზაციის თეორიული საფუძვლები შემდეგში კეიმ და მაკდენიელმა დახვეწეს და განავითარეს. მათ დაადგინეს, რომ ფერის სემანტიკა მოდელირებულია არამკაფიო სიმრავლეთა ბაზაზე [კეიმ&მაკდენიელი, 1978:644]. მათ კატეგორიათა სამი ჯგუფი შემოიტანეს: პირველადი (White, Black, Red, Green, Yellow, Blue), შედგენილი და ნაწარმოები. შედგენილი კატეგორია პირველადი კატეგორიების არამკაფიო გაერთიანებით მიიღება (გრილი Cool = Green or Blue), ხოლო ნაწარმოები – პირველადი კატეგორიების არამკაფიო თანაკვეთით (Brown = Yellow and black).

ეთერ სოსელიას აზრით, სწორედ ბაზისური ფერის ტერმინებში აისახება, თუ როგორ არის დაყოფილი სამგანზომილებიანი ფერითი სივრცე (ფერითი კონტინუუმი), სტრუქტურირებული (ანუ ფერის რა კატეგორიები გამოიყოფა) მოცემულ ენაში [სოსელია, 2009].

ფერთა ამსახველი ლექსიკის სემანტიკის მკვლევართა ერთი ნაწილი ბაზისური ფერის კატეგორიას თეორიულად არ ცნობს და შესაბამისად, ამ მხრივ, არც ბ. ბერლინისა და პ. კეის შრომაში მოცემულ განსაზღვრებას იზიარებენ. თუმცა ამ კატეგორიის აუცილებლობა მნიშვნელოვანია და ისინი თავიანთ შრომებში სხვადასხვა სახელწოდებით მაინც მოიხსენიებენ.

სემანტიკის მკვლევარი ა. ვეჟბიცკა არ იზიარებს ბ. ბერლინისა და პ. კეის თვალსაზრისს. იგი უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავდა ფერთა კატეგორიზაციის უნივერსალური მოდელის მიმართ და ყველა ენისთვის უნივერსალურ მოვლენად მიიჩნევდა „ხედვას“.

ვეჟბიცკას მიერ ჩატარებული სემანტიკური ანალიზი ფერის ტერმინთა სემანტიკის კვლევის ორ განსხვავებულ გზას წარმოადგენს: ერთი ცდილობს, ფერის ტერმინთა სემანტიკა აღწეროს იმგვარად, რომ ფერის ტერმინის გამოყენებისას აისახოს ის, რასაც მოლაპარაკე ფიქრობს. ამავე დროს, ამგვარი ანალიზი უნდა ეყრდნობოდეს სემანტიკურ პრიმიტივებს („ხედვა“, „მსგავსება“, „ფიქრი“), რის შედეგადაც ფერის ტერმინთა დაკავშირება ხდება მის პროტოტიპებთან. მეორე იმ სემანტიკურ სტრუქტურას იკვლევს,

რომელიც ენაში ფერთი სივრცისთვისაა განსაზღვრული და ადგენს ამ სტრუქტურისთვის დამახასიათებელ კანონზომიერებებს – უნივერსალური ხასიათის ან სპეციფიკური – კონკრეტული ენისათვის დამახასიათებელს [სოსელია, 2007].

ფერის ტერმინთან დაკავშირებით, ა. ვეჟბიცკას მიაჩნია, რომ ყოველ კონკრეტული ტერმინის მნიშვნელობის განსაზღვრა თითქმის შეუძლებელია. მკვლევარი თავის ნაშრომში ცალკეული ტერმინის სემანტიკურ ანალიზს წარმოგვიდგენს, რითაც ცდილობს ახსნას ფერის ტერმინის მნიშვნელობა. იგი სიტყვის მნიშვნელობად მოიაზრებს იმას, რასაც ამ ენაზე მოლაპარაკე ფიქრობს სიტყვის წარმოთქმისას. ავტორი თავის ნაშრომში გვთავაზობს ამგვარ ახსნებს, მაგალითად: **ლურჯს** ავტორი განმარტავს ინგლისური და რუსული ტერმინების მაგალითზე (ინგ. blue; რუს. синий); პროტოტიპულად ღამის ცის ფერთან აკავშირებს. **ცისფერის** ახსნას პოლონური და რუსული ტერმინების მაგალითზე იძლევა (პოლ. niebeski; რუს. голуби́й); პროტოტიპულად უკავშირებს ცის ფერს დღისით. მკვლევარი ამგვარად ხსნის სხვა კატეგორიებსაც, მათ შორის, **გრილ, თბილ, მუქ-გრილ, ნათელ-თბილს** და ა. შ. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი პროტოტიპები დაძეგნილია ბაზისური ფერის კატეგორიებისათვის, რომლებიც ფერის ტერმინთა სისტემის სემანტიკურ სტრუქტურაში ძირითად ერთეულებს წარმოადგენენ. ამგვარი ანლიზი, ავტორის მიხედვით, ადამიანის მიკრო-გარემოს უკავშირდება, ეს არის ის ცნებები, რომლებიც გადმოიცემა სიტყვებით: sun (მზე), sky (ცა), fire (ცეცხლი), ground (მიწა), grass (ბალახი), sea (ზღვა) [Wierzbicka, 1992]. ა. ვეჟბიცკას თანახმად, თითოეული ეს ცნება არის არა სემანტიკური პრიმატივი, არამედ – კონსტრუქტი, რომელიც ადამიანის მიერ დედამიწაზე ცხოვრების გამოცდილებიდან არის აგებული.

ვეჟბიცკას არ მიაჩნია ფერთა ტერმინები უნივერსალურად. მისი აზრით, ის უნივერსალია, რომელიც მოიაზრებს, რომ ყოველ ენაში არსებობს ფერის მინიმუმ ორი ტერმინი, მისთვის არამართებულია. როგორც ე. სოსელია აღნიშნავს, ავტორის ამგვარი დამოკიდებულება ფერის კატეგორიისადმი გამოწვეულია იმით, რომ მკვლევარს ფერი გაგებული აქვს ინგლისურიდან ამოსვლით ან იმგვარი ენობრივი სისტემიდან ამოსვლით, რომელშიც ქრომატული და აქრომატული ფერები ერთმანეთისაგან ენობრივად გამიჯნულია [სოსელია, 2007].

ა. ვეუბიცკას აზრით, ყველა კულტურაში არის ინტერესი ხედვისადმი, იმისადმი, თუ რას ხედავენ და არაა აუცილებელი გამოიყოს ფერი, როგორც ვიზუალური გამოცდილების ცალკე ასპექტი [Wierzbicka, 1992: 287]. მიუხედავად იმისა, რომ ფერის აღქმა ადამიანებს საერთო აქვთ, კონცეპტუალიზაცია კულტურის შესაბამისად განსხვავებულია. ავტორის აზრით, ხედვის უნივერსალობას ადასტურებს ის, რომ მას ყველა ენაში შესაბამისი სიტყვა გააჩნია, ფერის ცნებას კი ასეთი სიტყვა ყველა ენაში არ აქვს. ამ მხრივ, ე. სოსელიას მიაჩნია, რომ ფერის ცნებისათვის შესაბამისი სიტყვის არარსებობა არ უნდა ნიშნავდეს, რომ ფერის კატეგორია არაა უნივერსალური. ნებისმიერ ენაში არსებობს ფერის კონკრეტული კატეგორია იმისაგან დამოუკიდებლად, არსებობს თუ არა ამ ენაში ზოგადად ფერის აღმნიშვნელი სიტყვა [სოსელია, 2009:84].

ფერის ტერმინებს შორის არსებული სემანტიკური მიმართების ერთ-ერთ სახეს სემანტიკური მსგავსება წარმოადგენს. ფერთა კატეგორიზაციის უნივერსალური მოდელის მიხედვით, ბაზისური ფერის ტერმინებისათვის დამახასიათებელია შემდეგი თვისება: ეს ტერმინები ყველაზე გავრცელებული, ყველასათვის ერთნაირად ნაცნობია და ფერის ტერმინთა ჩამონათვალში, როგორც წესი, პირველ ათეულშია განთავსებული. „ბაზისური ფერის ტერმინები არაბაზისურთაგან იმით გამოირჩევიან, რომ ისინი უნივერსალურნი არიან და მათი უნივერსალობა კი უპირველესად იმით გამოიხატება, რომ ამ ტერმინთა შესაბამისი ბაზისური ფერის კატეგორიების ფოკუსები ერთნაირია არა მხოლოდ ერთ ენაზე მოლაპარაკეთათვის, არამედ სხვადასხვა ენის ინფორმანტებს შორისაც“ [სოსელია, 2009: 77].

ფერის ტერმინების ბაზისურ და არაბაზისურ ტერმინებად დაყოფის იდეას ფრუმკინა არ იზიარებს, მიუხედავად იმისა, რომ ბაზისურ და არაბაზისურ ტერმინებსა და თვით ბაზისურ ტერმინებს შორის არსებობს მიმართებები, სწორედ ამ მიმართებების საფუძველზე განისაზღვრება ფერის ტერმინთა სიმრავლის სისტემურობა.

ცნობილია ე. რ. ჰაიდერის ფსიქოლინგვისტური ექსპერიმენტული გამოკვლევა, რომელიც ფერთა კატეგორიზაციის უნივერსალური მოდელს უჭერს მხარს [E. R. Heider, 1972]. ავტორი ფერის სახელდებასა და მენსიერებას შორის ამყარებს კავშირს.

ფერის ტერმინების სემანტიკის აღწერის ერთგვარი იდეა ეკუთვნის ი. აპრესიანს, რომლის თანახმად, ფერის ტერმინების სემანტიკა უნდა აღიწეროს სურათებით. ეს იდეა

მიუღებელი აღმოჩნდა რ. ფრუმკინასათვის, რადგანაც, როცა ფერის ტერმინს სურათთან ვაკავშირებთ, ფაქტობრივად, ვცდილობთ გავარკვიოთ მოცემული ტერმინის არა სიგნიფიკატორული მნიშვნელობა, არამედ – დენოტატური. ავტორს მიაჩნია, რომ საბოლოოდ ვერც ამის გარკვევა ხერხდება, რამდენადაც ფერის ერთ კონკრეტულ ტერმინს არ შეესაბამება ერთი გარკვეული ნიმუში ფერთა ატლასიდან და პირიქით, – ერთ კონკრეტულ ნიმუშს ფერთა ატლასიდან არ შეესაბამება ერთი გარკვეული ტერმინი.

იმის დასაზუსტებლად, რომ ფერთა დასახელებებსა და ამ ფერთა დამახსოვრებას შორის არსებობს დადებითი კორელაცია, ბრაუნმა და ლენებერგმა [Brown, Lenneberg, 1954] ჯერ ინგლისურენოვანი და შემდეგ ზუნენოვანი (ზუნი – ჩრდილოამერიკელ ინდიელთა ერთ-ერთი ტომი) ექსპერიმენტი ჩაატარეს. ცდისპირებს უჩვენებდნენ 24 განსხვავებულ ფერის ფილას და სთხოვდნენ ამ ფერთა დასახელებას ისე, თითქოს მეგობარს უხსნიდნენ, თუ რომელ ფერზეა ლაპარაკი. ფერის აღწერაში იზომებოდა რეაქციის ხანგრძლივობა ფერის ჩვენებიდან მის დასახელებამდე, ასევე იზომებოდა არსებული მარცვლების ან სიტყვების რაოდენობა, ინტერპერსონალური (ფერის სახელდებისას) და ასევე, ინტრაპერსონალური თანხვედრა (ერთი და იმავე ფერის კატეგორიზაციისას). ამ პარამეტრების გათვალისწინებით, ფერის საერთო მახასიათებელი – ე.წ. ფერის „კოდი“ იქმნებოდა. ექსპერიმენტის შემდეგი ნაწილი არავერბალური ხასიათის იყო, ანუ ცდისპირებს მოცემული სტიმულის საფუძველზე ფერის შესატყვისი ნიმუში უნდა ამოერჩიათ. მათ უჩვენებდნენ ოთხი სხვადასხვა ფერის ფილას, ხოლო 30-წამიანი ინტერვალის შემდეგ სთხოვდნენ, 120 სხვადასხვა ფერის ნიმუშებიდან ნახევარი წუთის წინ ნაჩვენები ფერები ამოეცნოთ. საბოლოო ჯამში, გამოვლინდა დადებითი კორელაცია ექსპერიმენტის ვერბალურ და არავერბალურ ნაწილებს შორის. ბრაუნი და ლენებერგი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ფერის ამოცნობა (დამახსოვრება) მით უფრო იოლია, რაც უფრო იოლია მისი კატეგორიზაცია, ანუ ფერის კოდის სიიოლე/სირთულე ფერის მომდევნო ამოცნობის ალბათობას განსაზღვრავს. ამ ექსპერიმენტის შედეგების ინტერპრეტაცია შესაძლებელია სეპირ-უორფის ჰიპოთეზის გასამყარებლად: ვერბალური ფაქტორები განსაზღვრავს სამყაროს (ფერის) აღქმა/გახსენებას.

ბრაუნის და ლენებერგის მიერ ჩატარებულმა ექსპერიმენტმა ხანგრძლივი დისკუსია გამოიწვია. საკამათო აღმოჩნდა როგორც ზუნი ენაზე გამოყენებული ფორმულირებები, ასევე, მიიჩნევდნენ, რომ ცდაში გამოყენებული ფერის საერთო მახასიათებელი (კოდი), ურთიერთგანსხვავებული ცვლადებისგან შედგებოდა და მათი ერთად თავმოყრა მეთოდურად მთლად გამართლებული არ იყო. განსხვავებას წარმოადგენს ისიც, რომ ინდოევროპულ ენებში ფერის აღმნიშვნელი სიტყვები ზედსართავების კლასს მიეკუთვნება, ზუნი ენაში კი ისინი არსებითი სახელებია, რასაც შესაძლოა გავლენა ჰქონოდა ექსპერიმენტში გამოყენებულ ფორმულირებებზე.

ცვალებადია ფერის დასახელების კატეგორიის საზღვრები და ცვალებადია მათი აღქმაც. გარდა ამისა, გარკვეული კულტურის შესაბამისად ადამიანები ფერებს განსხვავებულად აღიქვამენ. შესაბამისად, მათ მიერ ფერების კატეგორიებად დაყოფაც განსხვავებული იქნება. ფერთა აღქმისა და მათი კატეგორიებად დაყოფის უნარი კი ფერის ხედვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა. აღქმის პროცესში ფერების კატეგორიებად დაყოფა აიოლებს მათ ნომინაციას. ფერის აღმნიშვნელი სახელების რაოდენობა შეზღუდულია იმ ფერებთან შედარებით, რომლებსაც აღვიქვამთ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ფერთა უკვე არსებული დასახელებების შესაბამისად მათი აღქმა კატეგორიების მიხედვით ხდება [მანასიანი, 2012: 32].

როგორც ცნობილია, ბერლინმა და ქეიმ წარმოგვიდგინეს 11 საბაზისო ფერი (თეთრი, შავი, წითელი, მწვანე, ყვითელი, ცისფერი, ყავისფერი, მეწამული, ვარდისფერი, ნარინჯისფერი და ნაცრისფერი). აღნიშნული მკვლევრები ძირითად ფერებად იმ ფერებს არ მიიჩნევენ, რომლებიც არსებული ფერების მსგავსია. ასე, მაგალითად, ოქროსფერი ასოცირდება ყვითელთან, ვერცხლისფერი – ნაცრისფერთან და სხვ.

ბერლინისა და ქეის სწავლებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ისტორიულ წარსულში ფერების აღმნიშვნელი სიტყვები გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე თანამედროვე ეტაპზე. როგორც ცნობილია, ადამიანის თვალი 2-3 მილიონამდე ფერსა თუ შეფერილობას განარჩევს, მაშინ როცა ენაში ფერის აღმნიშვნელ სიტყვათა და გამონათქვამთა რაოდენობა 150-ს არ აღემატება. „ე.ი. ადამიანი ფერებსა და შეფერილობას განარჩევს ენისაგან დამოუკიდებლად, მაგრამ, როცა რაიმე ფერსა და ელფერს ამა თუ იმ ტერმინით აღნიშნავს,

მაშინ იგი გამოყოფს ამ ფერისა და ელფერის მთავარ ნიშანს და მიაკუთვნებს იმ კატეგორიას, რომელიც მის ფსიქიკაშია ფიქსირებული და რომელიც კონკრეტული ენით ორგანიზებულ ფერთა სამყაროს ერთ-ერთ კატეგორიას წარმოადგენს“ [ზარამიძე, 1989: 146].

ფერის აღმნიშვნელ სიტყვათა და გამონათქვამთა რაოდენობა ზუსტად არ არის განსაზღვრული, რადგან იგი ცვალებადია. მე-20 საუკუნის მიწურულს, დასავლეთის ქვეყნების ფერის დარგთაშორისმა საბჭომ შეიმუშავა ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკა („ფერთა ატლასი“) ინგლისურ ენაზე, სადაც 7 000 ფერია აღნიშნული, აქედან 4000-ს აქვს სახელი, დანარჩენი კი აღნიშნულია ნომრებით. ფერთა ამსახველი სიტყვების რაოდენობა შეზღუდულია/ნაკლებია იმ ფერებთან შედარებით, რომლებსაც ადამიანი აღიქვამს.

### 1.3. ფერთა სიმბოლიკა

სიმბოლოს, როგორც ტერმინს იყენებენ სემანტიკაში, სემიოტიკაში, ეპისტემოლოგიაში, ლოგიკასა და მათემატიკაში. სიმბოლოს ხანგრძლივი ისტორია აქვს ისეთ სფეროებში, როგორცაა: თეოლოგია, სახვითი ხელოვნება, პოეზია და ლიტურგია. რელიგიური სიმბოლოები რაღაც შინაგან კავშირს, „ნიშანსა და „აღსანიშნს“ ეფუძნებიან (ჯვარი, კრავი და მწყემსი კეთილი); ალგებრასა და ლოგიკაში კი „სიმბოლო“ შეთანხმების შედეგად შერჩეული ნიშანია.

სიტყვა საგნის ნიშანია, მაგრამ, როცა ეძლევა ინსტიტუტური თუ ინტელექტუალური დატვირთვა, მაშინ იგი ხდება სიმბოლო. თავის მხრივ, სიმბოლოთა ინდივიდუალური გაშლა და განვითარება წარმოქმნის მხატვრულ სახეთა სისტემას – ფანტაზიის, წარმოდგენების, ასოციაციების ცვალებისა და განლაგების საფუძველზე [სიგუა, 2012: 218]. თუკი ენა არ იცი, თუ არ გესმის სიტყვის მნიშვნელობა – ნიშანი აზრს კარგავს. როგორც ს. სიგუა წერს: „ნიშანი და სიგნალი დიდ როლს ასრულებს ცივილიზაციაში, სიმბოლო – კულტურაში. ისინი აგრძელებენ არქაულ ტრადიციებს, ოღონდ დაკარგეს საკრალური მნიშვნელობა. დაკარგული აზრი თავს იმალავს სიმბოლოებში, როგორც მთვარე ღრუბლებში“ [სიგუა, 2012: 218].

ფერთა სიმბოლიზმის განვითარების ახალი ეტაპი რენესანსის ეპოქას უკავშირდება. ფერთა სიმბოლიკა სინათლის მეტაფიზიკას ემყარება. ფერის მეტაფიზიკური ცნებებიც რენესანსის პერიოდში შეიქმნა. მათში სიბნელე განიმარტა როგორც ინერტული მატერიის სიმბოლო, ხოლო სინათლე როგორც – სულიერი ნივთიერება.

ფერების სიმბოლიკა წარმოიშვა მაშინ, როდესაც ადამიანებმა ბუნებრივი ფერის მოპოვება და გამოყენება ისწავლეს. ძვ. აღმოსავლეთში შექმნილმა ფერთა სიმბოლიკამ ევროპისა და აზიის ფერთა კულტურაზე მოახდინა გავლენა. ფერი, როგორც წმინდა ესთეტიკური ფენომენი, სიტყვასთან ერთად სულიერი არსის გამოხატველი იყო.

როგორც რ. სირაძე წერს, სიმბოლოები მოიცავდა მთელ სამყაროს. „სიმბოლოურად გაიაზრებოდა უსულო საგნები, მცენარეები, ცხოველები, ადამიანი, კოსმოსი, ანგელოზები და თვით ღვთაებაც. ადამიანი ღვთაებისა და მთელი სამყაროს სიმბოლოცაა. თავი და სახე – ზეცის, ხელი – სულის, ცალკე მტევანი კი წყალობის სიმბოლოა. ადამიანის მაღალ ოცნებებს მიანიშნებდა ზეცის სიმაღლე. სულიერებას გამოხატავდა ზეცა – მარადიული სიცოცხლის სურვილი, ხოლო სიკვდილი მიწას უკავშირდებოდა“ [სირაძე, 1982:77].

ფერს ნებისმიერ საფეხურზე აღიქვამდა ადამიანი. თუმცა, ადრეულ ეტაპზე ფერისთვის მნიშვნელობის მინიჭება მხოლოდ ზედაპირული ნიშნით ხდებოდა, მოგვიანებით კი ამ მნიშვნელობებმა და შესაბამისობებმა უფრო მეტი სიღრმე და ქვეტექსტი შეიძინა [ნემსაძე, 2011]. კვლევების თანახმად, ადამიანის ვიზუალური აღქმა ისეა მოწყობილი, რომ ფერი ყველაზე ნათლად ამახსოვრდება. ადამიანის თვალმა ბუნებაში შესაძლოა 300 ფერის ტონალობა გაარჩიოს, მხატვარი კი გაცილებით მეტ ფერს აღიქვამს.

სხვადასხვა კულტურაში ფერთა სიმბოლიკის ანალიზისას მეცნიერებმა დაადგინეს შემდეგი პრინციპები:

ა) პირდაპირი შესაბამისობა – მაგალითად, ცეცხლს წითელი შეესაბამება;

ბ) ასოციაცია – ფერთან დაკავშირებული ასოციაციები თანდათან მყარდება ადამიანის არაცნობიერში. ასე, მაგალითად, შავი იწვევს სიკვდილის, სასოწარკვეთის ასოციაციას; ლურჯისა და ცისფერის კავშირია ზღვასთან ან ცასთან, შესაბამისად, სიცივესთან და სიმშვიდესთან; ყვითელი და ნარინჯისფერი მზესთან, სითბოსთან და ენერჯიასთან ასოცირდება;



გ) ჩვეულებებზე, შეთანხმებაზე ან შემთხვევებზე დამოკიდებულება – მაგალითად, თეთრი გლოვის ფერია ჩინეთში. მიუხედავად იმისა, რომ თეთრი სილამაზისა და სიწმინდის სიმბოლოა, სხვადასხვა კულტურის კონტექსტში, მას აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მნიშვნელობა.

ფერთა სიმბოლური მნიშვნელობა სხვადასხვა კულტურაში განსხვავებულია. მაგალითად, დასავლურ საზოგადოებაში სიკვდილთან შავი ფერი ასოცირდება, ხოლო აღმოსავლეთის ქვეყნებში სიკვდილის სიმბოლოდ თეთრ ფერს მიიჩნევენ.

სხვადასხვა ენა სხვადასხვა მსოფლხედვას ნიშნავს. აღნიშნულიდან გამომდინარე, როდესაც გვსურს ფერთა ლექსიკის შესწავლა, თითოეულის ეროვნული ხასიათი და ეროვნული კულტურის თავისებურებები უნდა გავითვალისწინოთ, ვინაიდან მათი გათვალისწინების გარეშე შეუძლებელი იქნება ფერთა სრულყოფილი ანალიზი.

საზოგადოების მსგავსება-განსხვავება ყველაზე უკეთ კულტურაში გამოიხატება. როდესაც ორ ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ კულტურას ვადარებთ, განსხვავებული ბუნებრივი და სოციალური გარემოს შესაბამისად, იოლად წარმოჩინდება სხვაობა განსხვავებული წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციებისა, რაც ასახავს პოვნებს ენაში. სხვადასხვა ენა კი სხვადასხვაგვარად ასახავს ერთსა და იმავეს.

როგორც ლ. სტურუა აღნიშნავს, ყოფაში მომხდარი ცვლილებები ეკონომიკური, პოლიტიკური თუ ესთეტიკური ხასიათისა ყოველთვის გარკვეულ გავლენას ახდენდა ფერების მნიშვნელობაზეც. „ფერმა განასხვავა ერთმანეთისგან სოციალური ფენები. ყვითელი ფერი იქცა დაბალი კასტის სიმბოლურ გამოხატულებად. ამდენად, არისტოკრატიაში, რომლის კუთვნილებასაც ადრე წარმოადგენდა ეს ფერი, მასზე უარი განაცხადა. ეკონომიკურმა ფაქტორმა (აბრეშუმისა და საღებავის სიმძვირე), პოლიტიკურმა (ჯვაროსნული ომების შეწყვეტა) და სოციალურმა (დაბალი სოციალური ფენის ყოფაში ყვითელი ფერის ელემენტის აუცილებლობა) ფაქტორებმა გამოიწვიეს ყვითელი ფერის პირვანდელი პოზიტიური მნიშვნელობის გადასვლა ნეგატიურში“ [სტურუა, 1974: 4].

სიმბოლოს დანიშნულებაა წარმოადგინოს კულტურული პარადიგმა მის მთლიანობაში. ფერთა სიმბოლურ დატვირთვას მითოლოგიური, რელიგიური, ესთეტიკური და შეიძლება ითქვას, ლიტერატურული შეხედულებებიც ავსებს.

„მითოლოგიური მსოფლგანცდის ადამიანისათვის ფერი, როგორც სულიერი არსის სიმბოლო, გარკვეულწილად, ადამიანის დეტერმინაციას ახდენს. წმინდა ესთეტიკური მიმართება ფერთან არ გაიაზრება, და თუ გაიაზრება, მხოლოდ ბედისწერასთან მიმართების კონტექსტში. მითოლოგიურ მსოფლგანცდაში ადამიანი კი არ ფლობს ფერს, როგორც იმანენტურ კუთვნილებას, არამედ პირიქით, ადამიანის ბედი, როგორც ასეთი, სრულიად დეტერმინირებულია გარეშე სულიერი ძალებით და მათ რიცხვში ფერთაც, როგორც გარკვეული სულიერი ძალის წარმომადგენლით“ [იაკობიშვილი-ფირალიშვილი, 1996:28]. როგორც ლ. ფირალიშვილი აღნიშნავს, ფერი ემოციური მუხტით იმუხტება და იგი ესთეტიკურ ფენომენად გაიაზრება, თუმცა მხოლოდ ესთეტიკურზე არ დაიყვანება, როგორც ეს უახლესი დროის ფერთ აზროვნებაშია. ქართული ქრისტიანული მსოფლგანცდის ეს მომენტი ერთგვარად ქართულ ენაშიც აისახა. „სიტყვა „ფერია“ სინონიმურია კეთილი ანგელოსის და უკავშირდება ადამიანის გარეშე მყოფ მის ერთგვარ სულიერ დაცვას. ის სულიერი ძალა, რომელსაც ფერი ატარებს, ქრისტიანულ მსოფლგანცდაში ადამიანზე მაღლა მდგომი სულიერი იერარქიაა. აქედან გამომდინარე, ფერი იქცევა ადამიანისათვის არა მხოლოდ ესთეტიკურ, არამედ ეთიკურ ფენომენადაც. თითოეულ ფერს უჩნდება თავისი „ზნეობრივი სახე“, იძენს ერთგვარ მორალურ დატვირთვას და ამით განისაზღვრება მისი მნიშვნელობაც“ [იაკობიშვილი-ფირალიშვილი, 1996:131].

აქვე მოვიყვანო მ. ხიდაშელის მოსაზრებას, რომლის თანახმად: „ფერის გააზრებაში ყოველთვის იყო ჩადებული ადამიანის ცოდნა მის გარშემო არსებული რეალობის შესახებ. ამავე დროს, ფერი ყოველთვის გულისხმობდა გარკვეულ აზრს, მოძრაობდა კულტურისათვის დამახასიათებელ მენტალურ ველში და განიცდებოდა, როგორც სამყაროსთან ადამიანის სრული თანაზიარების საშუალება“ [ხიდაშელი, 2010:455].

ფერი განიცდებოდა როგორც ნიშანი, რომლის მნიშვნელობა წარმოადგენდა სხვა ობიექტის ანალოგს. „ფერი, როგორც სიმბოლო ამბივალენტურ ხასიათს ატარებდა. მისი მნიშვნელობა პოლისემანტიკური იყო და შეეძლო გადმოეცა მოვლენის სხვადასხვა მხარე. ფერები განსაზღვრავდნენ და ავსებდნენ ერთმანეთს, მაგრამ ყოველთვის ერთ სისტემაში იყვნენ გაერთიანებულნი. ამ სისტემის მთავრ დანიშნულებას წინააღმდეგობათა მოხსნა,

ყოველი მოვლენის გენეზისამდე დაყვანა და კოსმოგონიის არსის ჩვენება იყო. ფერის, ისევე როგორც ყოველი სიმბოლოს საშუალებით მატერიალური, ხელშესახები სახე ეძლეოდა იმას, რაც უხილავი, ილუზორული იყო, რის შედეგად ეს მეტაფიზიკური სამყარო რეალურდ არსებულის სახეს იღებდა“ [ხიდაშელი, 2010: 456].

ენის ლექსიკურ მარაგში აისახება კონკრეტული ენობრივი კოლექტივის ისტორია და კულტურა. ქართული ლიტერატურული ძეგლებისა და ისტორიული წყაროების მიხედვით, შეიძლება დავასკვნათ, რომ მცენარეთა, ცხოველთა თუ ავადმყოფობის აღმნიშვნელი სახელები დაკავშირებული იყო ფერებთან. შოთა რუსთაველი სწორედ ფერთა შეხამებით გამოხატავს ადამიანის სულიერ განცდებს. ქართულ აგიოგრაფიაში, ჰიმნოგრაფიასა და ადრეული პერიოდის საისტორიო მწერლობაში კი ფერთა სიტყვები იშვიათად გვხვდება. ძირითადად, **თეთრი, შავი, წითელი და მეწამულისფერი** დომინირებს.

ფერის მრავლისმეტყველ მნიშვნელობაზე მიგვითითებს სიტყვების – **არაფერი** და **ყველაფერი** – აზრობრივი დატვირთვა. ყოველი მოვლენა თუ საგანი თავის საკუთარ ფერს ატარებს. თავისი არსებობის მანძილზე თითოეული მოვლენა თუ საგანი განუყოფელია თავისსავე ფერთან და მისი მეტამორფოზირებაც ფერთაც განისაზღვრება [იაკობიშვილი-ფირალიშვილი, 1996: 138].

მართალია, ფერთა სიმბოლიკა ცვალებადია, მაგრამ, ზოგადად, ფერთა სიმბოლური მნიშვნელობები შემდეგია:

**თეთრი** – სიწმინდე, სიკეთე, მიუკერძოებლობა, მშვიდობა, სიხარული, უდანაშაულობა, სისუფთავე, სილამაზე, სათნოება; სიკვდილი, მოწყენილობა, შიში, სიცივე, სევდა, იმდგაცრეება, სიმხდალე, უძლურება, უმოქმედობა, სიცარიელე;

**შავი** – ელეგანტურობა, დახვეწილობა, მოკრძალება; სევდა, სიკვდილი, გლოვა, ღრმა მწუხარება, უბედურება, ქაოსი, განადგურება, ანარქია, შიში, სიბნელე, სინანული, ბოროტება;

**წითელი** – სიყვარული, ენერგია, თავგადასავლი, სიცოცხლე, სიმამაცე, ძალა, ძალაუფლება, გამბედაობა; ბრაზი, მტრობა, აგრესია, საფრთხე, მღელვარება, რისხვა, შურისძიება, ომი, სისხლი, რევოლუცია, ბრძოლა, ცეცხლი;

**ყვითელი** – სიხარული, ჟრიამული, იმედი, ოპტიმიზმი, ბედნიერება, გახსნილობა, ცნობისმოყვარეობა, ექსპრესიულობა, შემოქმედებითობა, სიდიადე, პატივისცემა, ბრწყინვალეობა, სიმდიდრე; ეჭვი, სიცრუე, ღალატი, ტყუილი, სიხარბე, ცბიერება, მოუთმენლობა, თანაგრძნობის ნაკლებობა, მომავლის გაურკვეველობა, არაკეთილსინდისიერება, სნეულება, დაავადება;

**მწვანე** – ენერჯია, იმედი, უკვდავება, მოლოდინი, რწმენა, გამარჯვება, თავისუფლება, სიხარული, ჯანმრთელობა, ძიება, გამოღვიძება, უსაფრთხოება, განახლება, ბუნება, ყვავილობა, გონიერება; სირცხვილი, შური, არასრულყოფილება;

**ლურჯი (ცისფერი)** – უსასრულობა, გულწრფელობა, ერთგულება, სიმშვიდე, სულიერება, ჰარმონია, იდეალიზმი, მისტიციზმი, უკვდავება, მუდმივობა, კეთილშობილება, დიდსულოვნება, სიბრძნე, გონიერება, სიწმინდე, წარმატება; სიცივე, დაღლა, გაუცხოება, მოწყენა, სევდა, დეპრესია, მელანქოლია, პესიმიზმი, პასიურობა, შემფოთება;

**რუხი** – უიმედობა, მორჩილება, გულგრილობა, დარდი, ჭმუნვა, მოწყენილობა, გაურკვეველობა, გაუბედაობა [Серов, 2015].

ამდენად, ფერებს აქვთ როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი დატვირთვა. თავისი მნიშვნელობით ერთი ფერი შეიძლება იყოს კარგიც და ცუდიც. რუხი, მიუხედავად იმისა, რომ ნეიტრალური ფერია, არ აქვს დადებითი კონოტაცია. ამ ფერის სიჭარბეს თითქმის ფერის არარსებობამდე მივყავართ.

## II თავი. ფერთა ტიპები

### 2.1. ქრომატულ და აქრომატულ ფერთა სიმბოლურ-სემანტიკური დახასიათება

სხვადასხვა ეპოქაში ადამიანები სხვადასხვგვარად აცნობიერებენ ერთსა და იმავე მოვლენას, თავიანთი მსოფლმხედველობის შესაბამისად „ანაწევრებენ“ რეალობას. „სახელმდები სუბიექტი, რომელიც საგნისა თუ მოვლენის აღსანიშნავად ეძებს სახელს, ცდილობს მოძებნოს, მისი აზრით, ყველაზე სარწმუნო მოტივი, რათა მოახდინოს სიგნიფიკატის ჩანაცვლება გადააზრებული ენობრივი ფორმით, გარე სამყაროსთან და საყრდენი მნიშვნელობის აზრობრივ შინაარსთან მიმართებით“ [Телия, 1996:185]. სახელდება ხშირად თვალშისაცემი, მაგრამ არაარსებითი ნიშნების საფუძველზე ხორციელდება. მისი მოტივები განსხვავებულია ენების მიხედვით. ასე, ქართული ყავისფერი ლექსემა ყავას უკავშირდება, მისი რუსული შესატყვისი коричневый – დარიჩინს (жорица)... [გამყრელიძე... 2008: 352].

ფერთა აღმნიშვნელ სიტყვებს პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით ვხვდებით, რომელშიც არსებითია მისი სემანტიკური დატვირთვა. ქართული ენა ნიუანსურად მეტი ფერის გამომხატველ ლექსემებს გვთავაზობს.

სემანტიკა სემიოტიკური პოზიციებიდან იკვლევს სიტყვების, მდგრად სიტყვათა შეწყობებისა და ენის სხვა ერთეულების აზრთან, მნიშვნელობასა და ინტერპრეტაციებთან დაკავშირებულ საკითხებს. ამასთან, მნიშვნელოვან ფაქტებს ადამიანები ფერთან აკავშირებენ, რომელთა მიმართებით გააზრებულად ყალიბდება ასოციაციები. მაგალითად, **ღია ფერის** ტონები სიცივეს, სისპეტაკეს, სისუფთავეს უკავშირდება; **მუქი ფერის** – შიშს, მწუხარებას, გლოვას; **წითელი** – აქტიურ განწყობას, სიყვარულს, აგრესიას, ძალაუფლებას საფრთხეს უკავშირდება; **რუხი** – თავშეკავებულობას, სინანულს; **ლურჯი** – სიმორეს, სიმშვიდეს, სიმართლავს, სევდას; **ყვითელი** – სიხარულს, სითბოს (მზის ფერი), ეჭვს; **მწვანე** ბუნებას, განახლებას, უსაფრთხოებას.

ფერი დადებით ან უარყოფით ემოციებს იწვევს, ხოლო მის მნიშვნელობას საფუძვლად უდევს პირდაპირ ასოციაციებზე დამყარებული სიმბოლიკა. შეიძლება ითქვას, რომ

თითოეულ სიმბოლოს ასოციაციური მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ, რაც ხაზავს მის სემანტიკურ ველს.

საზოგადოების მსგავსება-განსხვავება ყველაზე უკეთ კულტურაში გამოიხატება. როდესაც ორ ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ კულტურას ვადარებთ, იოლად წარმოჩინდება სხვაობა განსხვავებული წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციებისა, რაც ასახავს პოვნებს ენაში. სხვადასხვა ენა კი სხვადასხვაგვარად ასახავს ერთსა და იმავეს.

ეკონომიკური, სახელმწიფოებრივი, სოციალ-ეკონომიკური, სოციალ-პოლიტიკური თუ ესთეტიკური ხასიათის ცვლილებები ფერების მნიშვნელობაზეც ახდენდა გარკვეულ გავლენას. როგორც რ. ჩოლოყაშვილი წერს, გაბატონებული ფერები დაპყრობილ და დაჩაგრულ ერებს განსაკუთრებული ფერის სამოსელს სავალდებულოდ უხდიდნენ. ძველ გერმანულ ქვეყნებში არათავისუფალი ხალხი ბნელი ფერის სამოსს ატარებდა, თავისუფალნი კი წითელი ფერისას. კეთილშობილთ ეცვათ ნათელი, ღია ფერის სამოსელი. ტანსაცმლის ფერით საზოგადოებრივი კლასები და წოდებანი გამოიხატებოდა... თეთრი იყო უმაღლეს ხელისუფალთა, მეფეთა, დიდებულთა, თავადთა ფერი [ჩოლოყაშვილი, 1992: 48]. ფერის ასეთი მნიშვნელობა ძვეთაძველია და მის წარმოშობას რელიგიურ-სოციალური საფუძველი ჰქონდა. ამდენად, აღსანიშნავია, რომ დამოკიდებულება ფერთან მიმართებით იცვლება ეპოქის შესაბამისად. განსაკუთრებით ბოლო დროს, მეცნიერული და ტექნიკური და/ან კიდევ ასაკობრივმა განვითარებამ მოდელირება მოახდინა გარკვეულ ფერებთან მიმართებით.

კულტურათა განსხვავება ფერებთან დამოკიდებულებაშიც კარგად ჩანს. თეთრი სიმშვიდის, სინაზის ფერია, მაგრამ ზოგიერთ ქვეყანაში (იაპონია, ჩინეთი) სიკვდილს უკავშირდება. წითელი საშიშროების ნიშანია ჩრდილოეთ ამერიკაში, მაგრამ, ამავე დროს, წითელი სიყვარულის სიმბოლოცაა.

სინათლის ფერთა მახასიათებლებში სხვადასხვა ფერის სემანტიკური კავშირი ვლინდება სინათლესთან და სიბნელესთან. მნიშვნელობათა ყველაზე მეტი გამჭვირვალობით ხასიათდებიან შავი ფერის საფუძველზე წარმოქმნილი ფრაზეოლოგიური ერთეულები. ეფუძნება სამიზნე ცნების შედარებას რაიმე **შავთან** (ჭვარტლთან, კუპრთან, ნახშირთან...). შესაბამისად, ასოცირდება ჭუჭყთან და სიბინძურესთან. ხოლო **თეთრის**

სიმბოლური მნიშვნელობა დაკავშირებულია სისუფთავის, სისპეტაკისა და სიწმინდის ცნებებთან.

გარდამავალ ფერებს შორისაც არის გარკვეული თანხვედრა სხვადასხვა კულტურულ ველში. მაგალითად: **ლურჯი-იისფერი-იასამნისფრით** შეიძლება გამოხატოს სიცივე, ღამე, სიმწვიდე, სამართლიანობა; **იისფერი-მეწამული ტონებით** – სიჩუმე, თავმდაბლობა, სინანული და სიყვარული; **წითელი-იისფერი ტონებით** – მოძრაობა, სიმძიმე; **წითელი-იასამნისფერი** სიმბოლოა ძალის, ბრაზის, შურისძიების, სისხლის, ჯოჯოხეთის ცეცხლის.

როგორც აღვნიშნეთ, ფერის მნიშვნელობა განსხვავდებოდა და განსხვავდება ეპოქის შესაბამისად და იგი არასდროს ყოფილა ერთმნიშვნელოვანი. მაგალითად, **წითელი ფერის** სხვადასხვა **ჩრდილი** (ალისფერი, ჭიისფერი, ჟოლოსფერი...) წარმოადგენს სიცოცხლის სიმბოლოს. მაგრამ წითელი არის, აგრეთვე, სისხლის ფერი. ფერის აღქმით გამოწვეული ჩვენი ემოციური გამოცდილება ძალიან სუბიექტური და ორაზროვანია. თითოეული ემოცია გარკვეულ ფერთან ასოცირდება, ხოლო თითოეული ფერი გარკვეულ ემოციას იწვევს.

სხვადასხვა კულტურულ ველში თითოეული ფერის სიმბოლიკა ფუძემდებლურია მათი მნიშვნელობის ფორმირებისთვის. მაგალითად, წითლის ერთ-ერთი მნიშვნელობა დაკავშირებულია ფიზიოლოგიურ რეაქციასთან – განრისხების ან სირცხვილის გამო. შესაბამისად, გამოთქმას „სირცხვილისგან გაწითლება“ თავისი ანალოგი აქვს სხვადასხვა ქვეყანაში. ისევე როგორც: „შავი ბაზარი“, „შავი სია“, „შავი დღე“, „შავი ჭირი“, „შავი მაგია“, „შავი პარასკევი“, „შავი ყუთი“, „თეთრი რაინდი“, „თეთრი დროშა“ (დანებების ნიშანი), „რუხი კარდინალი“ (ანუ სიტუაციის არაოფიციალური გამკონტროლებელი), „ყვითელი ბარათი“, „ყვითელი პრესა“, „ყვითელი შუქი“, „ვარდისფერი სათვალთ ყურება“, „წითელი პარასკევი“, „წითელი შუქი“, „წითელი განგაში“ (საბრძოლო მზადყოფნა), „მწვანე ზონა“, „მწვანე საფარი“ (მიწას ამაგრებს /კრავს), „მწვანე შუქი“ და სხვ.

ფერთა აღნიშვნების შემცველი იდიომების მნიშვნელობის გასაგებად საჭიროა გარკვეული ისტორიულ-კულტუროლოგიური, გეოგრაფიული და სხვა ტიპის ექსტრალინგვისტური ფაქტების ცოდნა. იდიომატურ გამოთქმებს: „სევდისგან გაშავებული“, „შიშისგან გათეთრებული“, „სირცხვილისგან გაწითლებული“, „შურისგან გაყვითლებული“... მსგავსი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა კულტურულ წარმოდგენაში,

გვიჩვენებს ემოციური ურთიერთობის მნიშვნელობას გონებრივ და ფიზიოლოგიურ ფერთა შორის.

„ფრაზეოლოგიური შეხამებები აღწერენ არა აბსტრაქტულ მოვლენებს, არამედ ლოკალურ, განსაზღვრული პერიოდის ისტორიულ-კულტურულ სიტუაციებსა და მოვლენებს, რომლებიც საჯარო აღქმას ექვემდებარებიან და ენის მატარებელთა ცნობიერებაში დაფიქსირებულია მყარი გამონათქვამების სახით“ [Kovecses, 2002].

მართალია, ძირითადი ტერმინების განვითარების პარალელურად ენაში ჩნდება სიტყვები, რომლებიც გადმოსცემს ფერის სხვადასხვა ელფერსა და კომბინაციებს, მაგრამ, ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს ის ფრაზეოლოგიზმები, რომლებშიც რეალიზებულია ბაზისური ფერების (თეთრი, შავი, რუხი, წითელი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი) სიმბოლური მნიშვნელობები. ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკის მკვლევრები მიუთითებენ, რომ ყველაზე დიდი შეფასებითი დატვირთვა აქვს სწორედ სპექტრის ძირითად ფერებს, რადგან განსხვავებულია ამ სიტყვების მახასიათებლური პოტენციალი. ამასთანავე, ნაშრომში არ განვიხილავთ ძირითადი ფერების აღმნიშვნელი ტერმინების თეორიასა და მის ევოლუციას სხვადასხვა კულტურაში, აგრეთვე განსხვავებების გამომწვევ მიზეზებს.

## §2.2. ქრომატული და აქრომატული ფერები

ფერები (ბერძნ. Chromos – ფერი) ორ ჯგუფად იყოფა, ესენია: ქრომატული (ბერძნული chromaticos – ფერადი, შეღებილი; სპექტრალური) და აქრომატული ფერები (ბერძ. ნიშნავს „უფერული“, ნეიტრალური).

ქრომატულ და აქრომატულ ფერებს გარკვეული შინაარსობრივი დატვირთვა აქვთ:

**აქრომატულ ჯგუფს მიეკუთვნება: თეთრი, შავი და რუხი.** მათ არ გააჩნიათ ფერი, შეფერილობა.

**ქრომატული (ყველაზე კაშკაშა) ფერებია: წითელი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი...**



აქრომატული ფერები ერთმანეთისაგან მხოლოდ სიმსუბუქით განსხვავდებიან, ხოლო ქრომატული ფერები – სინათლის ხარისხით (ნათელობით).

ქრომატული (/სპექტრული) ფერების თვისებებია: ფერის ტონი (თვისებრიობა, რომელობა), სინათლის ხარისხი (ნათელობა) და ფერის ნაჯერობა (იმავე სინათლის ნეიტრალური ფერისაგან განმასხვავებელი), რაც იმას ნიშნავს, რომ ფერი შეიძლება ამ სამი მიმართულებით შეიცვალოს. აღნიშნული ტერმინები ლინგვისტურ ლიტერატურაში ფსიქოლოგიიდან დამკვიდრდა, ფსიქოლოგიაში კი ფერთამცოდნეობიდან. ფერები ერთმანეთს ტონითა და ღიაობით უპირისპირდებიან (მუქი და ღია). მაგ., ვარდისფერი უფრო ნათელია, ვიდრე წითელი.

### 2.3. აქრომატულ ფერთა ენობრივი აღნიშვნები ქართულში

**თეთრი** – „თოვლისა, რძის ფერი“ [ქეგლ]. განეკუთვნება აქრომატულ ფერთა ჯგუფს. თეთრი ფერის ქვეჯგუფში შეიძლება გაერთიანდეს: **ბამბისფერი, ვერცხლისფერი, თოვლისფერი, თრთვილისფერი, კირისფერი, მარგალისტისფერი, მთვარისფერი, მტრედისფერი, რძისფერი, სინათლისფერი, ფიფქისფერი, ცარცისფერი, ძვლისფერი, წყლისფერი.**

**თეთრის** განსაზღვრებებია: ელვარე, კამკამა, კაშკაშა, ქათქათა (ძალიან თეთრი), „ქათქათა თეთრი“, ციმციმა, ლაპლაპა, პრიალა, მზინავი, სპეტაკი, ბროლი, ნათელი, ფერმკრთალი, გამკრთალი, ფერმიხდილი, მნათი (მნათებლობს), მიმქრალი და სხვ.

**შავი** – ყველა ფერზე მუქი, ნახშირის გიშრის ფერი [ქეგლ]. შავი განეკუთვნება აქრომატულ ფერთა კატეგორიას. ამ ფერის სემანტიკურ ველში შედის: **ბინდი, ბნელი, ბუნდოვანი, მური, გამურული, დაისი, მუქი, ნისლი, სიბნელე, უკუნი, ჩამქრალი ფერი, ჩაშავებული, წყვდიადი.**

**შავი** ფერის ქვეჯგუფში შეიძლება გაერთიანდეს: „**ანწლისფერი**“ (მოშავო-მოლურჯო), „**მოცვისფერი**“ (მოშავო-მოლურჯო), **გიშრისფერი, დაისისფერი, კვამლისფერი,**

კუპრისფერი, მაცვლისფერი, მერცხლისფერი, მკვდრისფერი, მურისფერი, ნამწვისფერი, ნახშირისფერი, ქლიავისფერი, ღამისფერი, ყორნისფერი, შაშვისფერი.

აღ. ნეიმანის ქართულ სინონიმთა ლექსიკონში შავის სინონიმებად გვხვდება: შავტრუხა, შავთანა, შავგრემანი, სვილისფერი, ყარაჩი, ტილა, ტუხა [აღ. ნეიმანი, 1951: 355-356].

რუხი (თეთრნარევი შავი) წარმოადგენს ნაკლებ ინტენსიურ ქრომატულ ფერს. რუხის ქვეჯგუფში შეიძლება გაერთიანდეს: ასფალტისფერი, ვენახის ლერწმისფერი, თხილის ყვავილისფერი, თავისფერი, კვამლისფერი, კლდისფერი, მგლისფერი, მიწისფერი, მტკრისფერი, ნაცრისფერი, ნისლისფერი, ობისფერი (მონაცისფრო), რკინისფერი, ტყვიისფერი, ფერფლისფერი, ქვისფერი, ქვიშისფერი, ღრუბლისფერი, ჩხიკვისფერი (ჭრელი, მონაცისფრო), ძვლისფერი, წყლისფერი, ხვლიკისფერი; ავადმყოფის ფერი, მომაკვდავის ფერი, მღვრიე წყლისფერი, წისქვილის ქვისფერი; აგრეთვე, თალხი, ლეგა, ყომრალი (მუქი ნაცისფერი); ბინდი, მოღრუბლული, ღრუბლიანი, შავფერი; შეჭალარავებული. ი. გოგებაშვილი ყომრალს უწოდებს სეტყვის ღრუბლის ფერს. ლეგა („დანისლული ცა – ღრუბელი) და ყომრალი სინონიმებია (მუქი ნაცრისფერი). ყომრალი თურქულიდან შემოუტანია ძველად ქართულს [გორდელაძე, 2006]; სულხან-საბას ლექსიკონის თანახმად, რუხი „ყომრალ-ჭრელია“. თანამედროვე ლექსიკონში კი რუხი შემდეგნაირადაა განმარტებული: თეთრნარევი შავი ფერი, მუქი ნაცრისფერი (რუხია მიწის ფერი).

#### 2.4. ქრომატულ ფერთა ენობრივი აღნიშვნები ქართულში

წითელი – სისხლისფერი, ჭიასფერი, ძოწისფერი [ქეგლ]. წითელი განეკუთვნება ქრომატულ ფერთა ჯგუფს. წითლის ქვეჯგუფში შეიძლება გაერთიანდეს: აგურისფერი, ალისფერი//ალური (კაშკაშა წითელი), „არღავანი“, არღავნისფერი, ბორდო, ენდროსფერი, ვარდისფერი, ლალისფერი, მეწამულისფერი, ნაკვერცხლისფერი, სისხლისფერი, ცეცხლისფერი, ძოწეული, ძოწისფერი, აგურისფერი, ენდროსფერი, ვარდისფერი, [სულხან-

საბა, ტ. I; 1991: 67], ალუბლისფერი, ასკილისფერი, ატმის ყვავილისფერი, ბლისფერი, ბროწეულისფერი, კოწახურისფერი, მარწყვისფერი, მარჯნისფერი, მეწამული, პირისფერი, ჟანგისფერი, ჟლოსფერი, ჟღალი, უნაბისფერი, დაჟღაჟა, ღვინისფერი, ყირმიზი, შინდისფერი, ძახველისფერი, წითლა, წითური, ჭარხლისფერი, ჭიაფერი, ხახვისფერი, ხორცისფერი. ლალი წითელი ფერის აღმნიშვნელი ყველაზე ხშირად გამოყენებული სიტყვაა.

ყვითელი – „ოქროს ან ქარვის ფერი“ [ქეგლ]. განეკუთვნება ქრომატულ ფერთა ჯგუფს. ყვითლის ქვეჯგუფში შეიძლება გაერთიანდეს: აყალოსფერი, ბისფერი, გოგირდისფერი, ზაფრანისფერი, ზეთისხილისფერი, თამბაქოსფერი, თაფლისფერი, კვერცხისგულისფერი, კომშისფერი, კრემისფერი, ლიმონისფერი, მზისფერი, ნამჯისფერი, ნარგიზისფერი, ოქროსფერი, ჟანგისფერი, სანთლისფერი, სარაჯისფერი, სტაფილოსფერი, ქარვისფერი, შემოდგომის ფოთლისფერი, ჩალისფერი (გახუნებული ყვითელი ფერი), ცვილისფერი, წაბლისფერი, „ლომფერი“ (გალაკტიონის ნეოლოგიზმი), ამარტისფერი („ვეფხისტყაოსანშია“ წარმოდგენილი, – „ამარტის ფერად შეცვალა ბროლი ცრემლისა ბანამან“. დაკავშირებულია სნეულეზასთან).

ძველი ქართული ძეგლების მიხედვით, განირჩევა მუქი და ღია ყვითელი. მუქი ყვითელი გამოხატულია სიტყვებით: ნარინჯისფერი, ოქროსფერი, იაგუნდისფერი, მზისფერი. მკრთალი ყვითელი კი მოცემულია სიტყვებით: ზაფრანისფერი, ქარვისფერი, ამარტისფერი. გარდა ამისა, ყვითელი ფერისაა ნარგისი და სპეტი (გამოხატავენ სნეულეზას, ავადმყოფობას). სუფთა ყვითელი მეფური ფერია, ხოლო გაცრეცილი – სევდის.

მწვანე – „ნეღლი ბალახის, ფოთლის და მისთ. სპექტრის შვიდ მარტივ ფერთა შორის უკავია რიგით მეოთხე ადგილი“ [ქეგლ]. მწვანის ქვეჯგუფში შედის: ბალახისფერი, ევკალიპტის ფოთლის ფერი, ზურმუხტისფერი (მოცისფრო მწვანე), კომბოსტოსფერი, მდელოსფერი (ღია მწვანე), ნაძვისფერი, სალათისფერი, სოჭისფერი, ფიჭვისფერი, ფოთლისფერი, ჭაობისფერი, ჭინჭრისფერი (მუქი მწვანე), ხავსისფერი.

ლურჯი – ფერით ცას მოგვაგონებს – ღია ლურჯი [ქეგლ]. „სიტყვის კონაში“ ლურჯი განმარტებულია როგორც „ცისფერი“. ძველი ქართული ენის ძეგლებში ერთმანეთს შეიცავენ

ფერები: ლურჯი – ცისფერი, იისფერი, ლილისფერი, ლაჟვარდისფერი. ბუნებაში ის გავრცელებულია როგორც ლაჟვარდის ფერი, რასაც წყალი ირეკლავს. ლურჯის ქვეჯგუფში ერთიანდება: ლილისფერი, ზღვისფერი, მელნისფერი, შაბიამნისფერი, მტრედისფერი (ღია ცისფერი); ფირუზისფერი, ლაჟვარდი // ლაჟვარდოვანი, ზურმუხტისფერი (ეს უკანასკნელი მწვანესთანაც ჯგუფდება); ზურმუხტისფერი საბას ლექსიკონში „ქვა კაპოეტის“ სახელითაცაა შეტანილი. ირკვევა, რომ ზურმუხტი მწვანე ფერს ლურჯად იცვლის გაცხელებისას; კაპოეტი კი ქართული ენის დიალექტებში პოლისემიურია, მისი ერთ-ერთი მნიშვნელობა თევზს უკავშირდება, რომელიც ლურჯ ფერს გადაიკრავს [სალია, 2003:157]. ცნობილია, რომ ფირუზი ფერს იცვლის, იგი ცისფერ-მტრედისფერია, ზოგჯერ მომწვანო-ნაცრისფერი ან თეთრიც; ალ. ნეიმანის თანახმად: ცისფრის სინონიმებია მტრედისფერი, ღია (ბაცი) ლურჯი, ლაჟვარდოვანი (თვალები), ლაჟვარდი (ზღვა, ცა) [ნეიმანი, 1951: 392]; ნ. ჩუბინაშვილს ლურჯი / ცისფერი მკაფიოდ აქვს გამიჯნული: „ლურჯი მოჭერილი ცისფერი“, „ცისფერი მხიარული ანუ ლურჯი“ [ჩუბინაშვილი, 1961].

## 2.5. აქრომატულ ფერთა სიმბოლურ-სემანტიკური დახასიათება

ქვემოთ მოცემულია თითოეული ფერის სიმბოლურ-სემანტიკური დახასიათება დადებითი და უარყოფითი შინაარსის მიხედვით. თითოეულ ფერთან მიმართებით მოყვანილია მაგალითები „ცისფერყანწელთა“ ლექსებიდან.

### 2.5.1. თეთრი ფერის სემიოტიკა

ანტიკური დროიდან მოყოლებული, თეთრი ნიშნავს ეპიკური სტილის ამქვეყნიურ (ფერად) განცალკევებას და ამაღლებას. ბიზანტიელი მწერლები ხშირად აღნიშნავდნენ ჭეშმარიტების სითეთრეზე, ანუ ცნობიერების სითეთრეზე, როგორც ქრისტიანობის

არქექტიპულ სიმბოლოზე. ბიზანტიურ ესთეტიკურ ცნობიერებაში თეთრის სიმბოლიკა შესაბამეა სიკაშკაშეს, „ღვთაებრივ ნათელთან კავშირს“... [Серов, 2015: 25].

**თეთრი** არსებული სამყაროს ონტოლოგიურ საწყისს წარმოადგენს, სხვა სულიერ მდგომარეობაში გადასვლის სიმბოლოა. მიუხედავად იმისა, რომ თეთრი თავისი ბუნებით სხვა ფერებს ანეიტრალებს, სიცარიელისა და სიკვდილის სიმბოლოდაც იქცევა. ქართულ ქრისტიანულ კულტურაში თეთრი გლოვის ფერად არ მოიაზრება, მაგრამ არქაულ ქართულ კულტურაში სიკვდილთან მისი დაკავშირება უცხო არ არის. აღმოსავლურ კულტურაში თეთრი ფერი სიკვდილთანაა კავშირში, ხოლო დასავლურ ტრადიციაში – სიცოცხლესთან. გავიხსენოთ, თუნდაც თეთრი რაინდი, რომელიც ბოროტ ძალას უპირისპირდება. თეთრი სამგლოვიარო ფერია ჩინეთსა და იაპონიაში, ასეთივე დატვირთვა ჰქონდა ძველ რომში, შემდგომ, კარგა ხანს, მთელს ევროპაში. უნდა გავითვალისწინოთ, რომ „სამგლოვიარო თეთრი“ – ესაა უფერული, ბრწყინვალეობას მოკლებული, ჩამქრალი ფერი, რომელზედაც „სპეტაკს“ ვერ იტყვი. ამგვარი თეთრი „არაარსს“ გამოხატავდა და უნდა მიენიშნებინა განსხვავებულის მიღმიურ ცხოვრებაზე [აბზიანიძე... 2007: 85].

როგორც შოტლანდიელი აღმოსავლეთმცოდნე უილიამ რობერტსონ-სმიტი, რომელიც არაბთა ტრადიციულ საფუძვლებს აღწერს, აღნიშნავს, რომ თუ ადამიანი შეურაცხყოფს ტრადიციულ ჩვეულებას ან დაარღვევს ეტიკეტს, მაშინ მისი სახე შავდება; ხოლო როდესაც ის აღადგენს თავის ღირსებას, კვლავ თეთრი ხდება. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ თეთრის სემანტიკასა და წარსულის ტრადიციებს შორის კავშირი შესაბამისია [Серов, 2015: 25]. შდრ. ქართული პირშავი „ფიცის გამტეხი, მოღალატე“, „შერცხვენილი, დამნაშავე“ (ჯავახ. დ.).

თეთრის სემანტიკური ფუნქცია მომდინარეობს სინათლისგან. შავისგან განსხვავებით, თეთრს, ჩვეულებრივ, აქვს დადებითი კონოტაცია. ეს ფერი სიმბოლოა სიწმინდის, ღვთაებრიობის, სიბრძნის, ჭეშმარიტების, დაბადების, იმედის, სიკეთის, სიყვარულის, სიხარულის, აბსოლუტური თავისუფლების, სიმშვიდის, სიჩუმის, უშფოთველობის, კეთილგონიერების, ღმობიერების, უსაფრთხოების, სიმართლის, დასრულებულობის, სრულყოფილების, ტრადიციების, ბარიერის გადალახვის, ღია შესაძლებლობების, ძიების, აღმოჩენის, სიახლისა და განვითარების, წესრიგის, გულწრფელობის, უდანაშაულობის

(დადებითი). თეთრი ფერით გამოხატულია ბედნიერება, სილამაზე, წარმატება. მაგ., „ბედნიერებას თეთრი ტანსაცმელი უხდებო“.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, თეთრი უკავშირდება სიცივეს, მოწყენილობას, სევდას, იმედგაცრუებას, განცალკევებულობას, მძაფრი გრძნობებისათვის თავის არიდებას, სიცარიელეს, უმოქმედობას, მარტობას, სიკვდილს (უარყოფითი).

თეთრი წარმოადგენს სინათლის არსს, რომლის სიმბოლური გადააზრება სიკეთეს, სიცოცხლეს და ღვთაებრიობას განასახიერებს. თეთრი მტრედი სიმბოლოა მშვიდობისა და სულიწმინდისა; თეთრი შროშანი (უმანკოების სიმბოლო) ღვთისმშობლის ატრიბუტია.

ქართულ ეთნოგრაფიულ მასალებში დასახელებული სამი ფერიდან ერთ-ერთი თეთრია (არქექტიპული ფერი). თეთრი, როგორც ამაღლების ფერი, ღვთიური სინათლის (ანგელოზთა თეთრი სამოსი), სიწმინდის, სისპეტაკის, სათნოების, სიფაქიზის, უმანკოების, უბრალოების, სისუფთავის, სილამაზის, დასაწყისის, ახალგაზრდობის სიმბოლო გახდა. უკავშირდება ქრისტიანული კულტურული ტრადიციის მახასიათებლებს (ნათლობა, ჯვრისწერა, ზეთის ცხება...).

ფერებს ქრისტიანულ რელიგიაში (ქრისტიანულ მხატვრობაშიც) განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, რადგან უფრო მეტად გამოხატავს თავის შინაარსობრივ-ემოციურ არსს.

პოეზიაში თეთრი სიცივესთან, ზამთართან, სუსხთან, იანვართან ასოცირდება. უმრავლეს კულტურაში იანვარი სწორედ თეთრი ფერის ასოციაციას იწვევს.

**თეთრი ფერით გამოხატულია:**

**სილამაზე, მშვენიერება, სინათლე:** ბამბასავით თეთრი; „მზესავით ანათებს“; თოვლივით თეთრი; „მთვარესავით თეთრი“.

**დალოცვა:** „თეთრი მთავარანგელოზი შეგეწიოს!“ (წმინდანის ეპითეტი); „თეთრი თავსაფარი არ მოგეხადოს!“<sup>3</sup> „თეთრი გიორგი შეგეწიოს“.<sup>4</sup>

<sup>3</sup> მაგალითები მოყვანილია: გოგებაშვილი ც. ფერის აღმნიშვნელ ლექსემათა სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი სვანურ ენაში (დისერტაცია), თბ., 1999.

<sup>4</sup> აგვისტოს სოფ. აწყურთან იმართებოდა თეთრი წმინდა გიორგის ხატობის ჩვეულება. 14-15 აგვისტოს თეთრ გიორგობას აღნიშნავდნენ საქართველოს სხვა კუთხეებშიც. სვანეთში მისი გამოსახულებით მოხატულია ზოგიერთი ქრისტიანული ეკლესია. თეთრი გიორგი ქართულ პანთეონში მამრულ საწყისს წარმოადგენს, ის მთვარის კულტთან არის დაკავშირებული და ტრანსფორმირებული სახით ქრისტიანობაშიც გვევლინება.

**წყევლა:** „თეთრი არ ჩაგეცვასო“.

**შიში:** „შიშისგან გათეთრება“.

**გულისტკივილი, საფიქრალი:** „თეთრად გამითენდა!“ „დარდისაგან თმა გათეთრებია“.

**ავადმყოფობა:** „ერთობ თეთრი, ფერგამქრალი...“

**ადამიანის თმა:** ქერა თმა; ჭალარათმიანი; თეთრწყვერა, წვერთეთრი; გადათეთრებული თმა, მხცე.

**სახის კანის ფერის გამომხატველი:** თეთრი სახის; თეთრკანიანი; თეთრსახიანი; მზესავით ნათელი სახე; ქათქათა სახის მქონე; ფერწასული სახე; თეთრა.

**გულკეთილი ადამიანი:** „თეთრი“ გულის, სუფთა ადამიანი; ნათელი სულის ადამიანი.

**ცბიერი, ბოროტი ადამიანი (იშვიათად):** „თეთრი კბილი“ („მხოლოდ თეთრ კბილებს აჩვენებს“); „თეთრ მელასავით დაძვრება“; „თეთრ კბილს თეთრი გული სჯობიაო“.

**გაფითრებული ფერი:** გაფითრებული, ფერმიხდილი, ფერდაკარგული, ფერგადასული, ფერწასული... ფერმკრთალი ადამიანი („თეთრი ფერი დაედო“, გაფითრდა).

**შედარებით ღია ფერი:** თეთრი ღვინო.

**თეთრი გვხვდება აგრეთვე შემდეგ სიტყვებსა და შესიტყვებებში:** კომპოზიტებში: თეთრმოსახვევიანი, თეთრქვიანი, თეთრნარევი... მცენარეთა სახელწოდებებში: ძირთეთრა... ზმნებსა და სახელზმნებში: გაათეთრა, გათეთრდა, გათეთრება, გათეთრებული, წამოთეთრებული, უთეთრდება... სინტაგმებში: ცხოველთა სახელწოდებებში – მუცელთეთრი თევზი, თეთრი ცხენი, თეთრი ძაღლი, თეთრი მელა, თეთრი დათვი, თეთრი ღამე...

თეთრი ფერი ხასიათდება შემდეგი თვისებებით: ცივი, ბრწყინვალე, კაშკაშა... ასოცირდება ანგელოზებთან, მთვარესთან, თოვლთან და ყინულთან. თოვლის სითეთრე, ერთი მხრივ, სიწმინდის, მეორე მხრივ, სიცივის სიმბოლოა.

ქართულ სიმბოლისტურ პოეზიაში თეთრი ფერის გამოყენებით იქმნება ისეთი პოეტური სახეები, როგორცაა:

შალვა აფხაიძე – „ზამთარში თოვლის თეთრი სიჩუმე, / ხოლო მაისში წვიმა მაისის“ („რა ლამაზია“); „აქ ზამთარია და ისეც ცივა... / ცარცივით თეთრ ცას ჯერ თოვლი ცვივა“ („ბარათი“).

ტიციან ტაბიძე – „მორბიხართ თეთრი – მარტო იმედი / ცხენი ანგელოსით“ („ცხენი ანგელოსით“).

გრიგოლ რობაქიძე – „თეთრი რაში / მოვრთე კოხტად, თეთრი რაში, გიჟი, მარდი“ („თეთრი რაში“); „შუა ღამე იყო თეთრად გამთვარული“ („მისტერიიდან „ლონდა“); „უშნო აბურძგვა შეთეთრილ თმისა...“ („მელანქოლია“).

კოლაუ ნადირაძე – თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით / შემოდოდა სიკვდილი ცელით! („1921 წლის 25 თებერვალი“); „მთვარის ლანდები კრთიან ხეებზე – / თეთრად ნაქარგი!“ („მთვარის წყალობა“); „რამდენი ღამე გავათეთრე, ცრემლიც მიღვრია!“ („სამშობლოსადმი“); „სხვა არაფერი არ მსურდა, არა, / როცა თეთრ ღრუბლებს ვხედავდი ცაზე“ („ეძებ თეთრ ჩოხას ბედი მიკერავს“); „თეთრი ბავშვები ბრმა თვალებით მე დამეძებენ“ („მთვარის ქურდები“); „მთვარის ამოსვლას ვეგებები თეთრ ტანსაცმელში“ („მთვარის ქურდები“).

შალვა კარმელი – „ცივი ბალიში თეთრ ლოცვებმა დამინოტიეს“ („გასვენებები“); „თეთრ ყვავილებით დამარხეს ქალი. / გაშლილ ზამბახებს ელიან მკვდრები“ („უკანასკნელი ლექსებიდან“); „თეთრ ყვავილებით ფანჯარასთან ფშვინვენ ტყემლები / და ნაზი თოვლი იფანტება ქროლვის მორჩილი“ („საფირონის ტრიოლეტები“).

ნიკო მიწიშვილი – „...და როცა ქვეყნის აღსასრული ჩამოიგრგვინებს, / ჩვენ გავიცინებთ თეთრ ფერებში გადაცმულები“ („ჩვენ – „ცისფერი ყანწები“).

სანდრო შანშიაშვილი – „თეთრი ალი ჩუმად არის, / არ ებმება მათ ფერხულში“ („თეთრი ალი“); „შენ ამოზრდილხარ თეთრ ზამბახად, სულის საუნჯედ“ („სინათლის რძალი“); „წყლის კიდეს იდექ ხეს მიყრდნობილი / ხელში თეთრ ზამბახს ათამაშებდი“ („ობოლი ცრემლი სიყვარულისა“).

თეთრი ეპითეტად აქვს სიტყვებს: გიორგი, ანგელოზი, მტრედი, თოვლი, მყინვარი, ღრუბელი, ზამთრი, არაგვი, მთები, ალი..

„შორით კი მოჩანს თეთრი მყინვარი“ („შემოდგომის დღე ოქროყანაში“, ტ. ტაბიძე);

„თეთრი მტრედები / თეთრ ღრუბლებში, / თეთრი გიორგი, / ცხენი ანგელოსით, / ესხატოლოგია“ („ცხენი ანგელოსით“, ტ. ტაბიძე);

„...და შემოდგომა თეთრ ზამთრისას სვამს სადღეგრძელოს“ („ნოემბერი“, ტ. ტაბიძე);



„...და თეთრი თოვლით სავსეა ქუჩა“ („შეხვედრა კონსტ. ბალმონტთან მოსკოვის ახლოს ტყის ქალაქში“, ტ. ტაბიძე);

„თეთრი ღრუბელი, ქარით დევნილი, / ისევე ნაზად მიცურავს ნელა“ („ემებ თეთრ ჩოხას ბედი მიკერავს“, კ. ნადირაძე);

„თეთრი ანგელოზი მწუხარე თვალებით / ქალაქზე გაფრინდა ციურ ბრწყინვალეებით“ („თეთრი მირაჟი“, კ. ნადირაძე);

„შორს უკვე თეთრი მთებია, მთებში მოსულა ზამთარი“ („მთაში მოსულა ზამთარი“, კ. იაშვილი).

## 2.5.2. შავი ფერის სემიოტიკა

**შავი** არის იდუმალი ფერი, რომელიც ასოცირდება ღამესთან, სიჩუმესთან, უსასრულობასთან, გამბედაობასთან, სიკვდილთან, ძალასთან, დაღლილობასთან, შიშთან, სინანულთან, გლოვასთან, ბოროტებასთან, საიდუმლოებასთან, დასასრულთან. ეს არის „არაფერი“ შესაძლებლობების გარეშე, დასასრული, მარადიული სიჩუმე. **ღამისფერში** მოიაზრება მწუხარება, განადგურება და სიკვდილი; **სიშავე** ბოროტებას, ტანჯვას ნიშნავს.

შავი იზიდავს და შთანთქმავს ყველა ფერს. მხატვრებისთვის შავი, როგორც სიმკაცრის სიმბოლო, მისტიკური, შეუცნობელი და იდუმალების ფერია. შავს შეეძლო აბსოლუტური სისავსისა და სიცარიელის გამოხატვა. მითოლოგიურ წარმოდგენებში შავი, როგორც სიმბოლო, უფრო რაღაც ფაქტის კონსტატაციას იძლევა, ვიდრე მას ზნეობრივ ტვირთს აკისრებს.

**შავთან** დაკავშირებული გამოთქმები დამკვიდრებულია როგორც პირდაპირი, აგრეთვე გადატანითი მნიშვნელობით. **შავი** გამოხატავს ღამეს, ცოდვილიანს, დაცემას, მწუხარებას. შესაბამისად, გამოთქმებს: „შავ დღეში მყოფი“, „შავბნელი ფიქრები“, „ბედშავი“, „შავი გული“... – უარყოფითი დატვირთვა აქვს. უარყოფითი ემოციის ექსპრესიის

გამოვლენისათვის დასტურდება სიტყვები, რომელიც შეიცავს ფერის ნეიტრალურ წევრს.  
მაგალითად: გულშავი, შავბნელი, გულშავობა, სიშავე...

ჩვეულებრივ უარყოფითი მნიშვნელობა აქვს შემდეგ გამოთქმებს: შავი სია, შავი იუმორი, „შავი სიკვდილი“, „შავი ბაზარი“ (არალეგალური, უკანონო, დამნაშავეთა სამყაროსთვის დამახასიათებელი საუბარი) და სხვ. პირშავი მოღალატე ადამიანის მიმართ გამოიყენება, შავეთი კი ჯოჯოხეთის ნიშნად.

დაკვირვებამ აჩვენა, რომ ერთი მხრივ, შავი ატარებს არაცნობიერის სემანტიკას, ხოლო მეორე მხრივ, მომავალ დროს. შდრ. ღამე, აღმა გაღმა... ღმერთი, თვალის ამოღამება, ღამურა ... ღმ/ღამ ძირი უნდა უკავშირდებოდეს უხილავობას, თვალისთვის მიუწვდომლობას, ამ მხრივ, ის შეიძლება დაუკავშირდეს მომავლის ბუნდოვანებასაც. ფერის ფსიქოლოგიის მიხედვით, ინდივიდები, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ შავს, გამოხატავენ პროტესტის მკაფიო პოზიციას. თუმცა, ჩვენს დროში კრიტერიუმები მკვეთრად შეიცვალა, ევროპული მოდის კულტურის გავლენით შავი გახდა დახვეწილობისა და ელეგანტურობის სიმბოლო.

ქრისტიანობაში შავი სიკვდილის, ჩაკლული სიხარულის, სიბნელის, ბოროტების, ღრმა გლოვის, ჯოჯოხეთის ფერია. მსოფლიოს უმეტეს ნაწილში შავი, როგორც უარყოფითი ძალის უნივერსალური სიმბოლო, მწუხარების, უმეცრების, ბოროტებისა და სიმდაბლის ნიშანია.

შავი გვხვდება აგრეთვე სიტყვებსა და შესიტყვებებში, კერძოდ, კომპოზიტებში, მცენარეთა და ცხოველთა სახელებში, ზმნებსა და სახელზმნებში, შესიტყვებებში: ბოლოშავი, შავება, ხეშავი, თავშავა, თუალშავა, შავნაღლოსანი (ნაღვლიანი, სევდა), შავბალახა, მხალშავა, შავხა (ხორბალი), თვალშავი (საბას ლექსიკონის მიხედვით), შავადმიმხმარი; შავჩოხიანი, შავნაბდიანი, შავსვიანი (უიღბლო), შავსიელი (უფლებააყრილი), შავწითელა (წაბლისფერი); ჩაშავებული, გაშავებული, დაშავებული, გადაშავებული, აშავებული, გაშავება, დაშავება, მოშავება, სიშავე; მოშავფრო (გვხვდება „სტუმარ-მასპინძელში“, – „მთის ოდნად სჩანდა მის თავზე / მოშავფრო ქუდი ტყავისა“); შავი ზღვა, წყვდიადივით შავი, შავი მიწა, შავი ნიადაგი, შავი ღელე, შავი სია; შავი ადესა, შავი ბალი, კურუმბი, შავი ხარი, მოშავო ხარი, შავი ძალი; შავლეგო ( ქართული ხალხური

სიმღერა, გმირულ-პატრიოტული ხასიათისა); შავლეგა (ძალიან მუქი, ლეგა)... ფრაზა - არა მიშავს...

**შავი** ხასიათდება შემდეგი თვისებებით: ნახევრად შავი, მაგარი შავი, მთლად შავი, მუქი შავი, ნახშირივით შავი...

**ოპოზიცია თეთრი და შავი** აღიქმება როგორც სიცოცხლე-სიკვდილი. ეს არის ნათელი და ბნელი, რომელიც სამყაროს უმთავრეს ფილოსოფიურ ფერებს წარმოადგენენ. დანარჩენი კი გარდამავალი, შუალედური ფერებია.

**შავი ფერით გამოხატულია:**

**მწუხარება, გლოვა:** შავად გამოწყობილი; შავებჩაცმული; ძაძებშემოსილი; „სევდისგან გაშავებული“.

**სიკვდილი:** სიკვდილის სემანტიკის გამომხატველ ფრაზაეოლოგიზმებს უარყოფითი დატვირთვა აქვს: „...მაგრამ სიკვდილსაც, შავ სიკვდილსაც აქვს გაზაფხული“ („სასაფლაოზე“, ტ. ტაბიძე), „შავი მიწა“...

**მუქარა:** „შავ დღეს დაგაყრი!“ „გაგაშავებ!“ („დაგალურჯებ!“; „რეპუტაციას შეგილახავ“).

**უბედურება:** ბედშავი; შავდლიანი, შავბედლიანი (უიღბლო); „შავ ბედზე გაჩენილი“; შავი მომავალი; შავი დღე (უიღბლო სიტუაციაზე, უბედურებაზე ითქმის), „შავ დღეში ყოფნა“.

**დატუქსვა:** შავი დღის დაყენება.

**წყევლა:** შავ და უკუღმა დღე; „შავი მიწა დაგაყარე!“

**დამცირება, შეურაცხყოფა, სიმახინჯე:** „ნახშირივით შავი“; „კუპრივით შავი“; „ყვავივით შავი“; „ყვავისფერი სახე“; „ყორნისფერი სახე“.

**ცბიერება:** „შავი მელა“.

**კუდიანობა:** „შავი კატის მსგავსი“.

**სილამაზე:** შავთვალწარბა; „მაცვალივით შავი თვალები ჰქონდა“.

**ბოროტი ადამიანი:** „შავი გული“; შავბნელი ფიქრები (შავბნელი – მეტად შავი, ბნელი, წყვიდადი; გადატ. ცუდი, ბოროტი, ავისმზრახველი).

**გასაჭირი, ჭირი:** „შავი ჭირი“; შავი დღისთვის გადადება (მომარაგება).

**ჟამთა სიავე:** შავბნელი დრო.

**სამგლოვიარო ტანსაცმელი:** „შავები“.

**ადამიანის სახე:** შავგვრემანი, შავსახიანი; შავტუხა, „შავწარბა“, „შუბლშავი“.

**თმის ფერი:** მუქი შავი თმა; შავთმიანი, გრუზა.

**ადამიანის თვალის ფერი:** შავთვალეზა/შავთვალეზიანი; შავთვალწარბა; გიშრისთვალეზა; კუპრივით შავი თვალეზი.

ლიტერატურაში (არამარტო ქართულში) შავი ხშირად ასოცირდება სიცარიელესთან და მწუხარებასთან. შავი ფერის ლექსიკურ ერთეულში გაერთიანებული სიტყვებით იქმნება ისეთი პოეტური სახეები, როგორცაა:

ნიკოლო მიწიშვილი – „თვალეზზე მახვევს ვილაც შავი ცეცხლის არტახებს“ („დღე ღრუბლიანი“); „შემახის გზაზე ვილაც შავმა, შავნაბდიანმა, / შუალამით დასძრა შავიყარაბახული“ („ჰაჯი მურატის მოჭრილი თავი“); „...და შევიქენი შავი მუშა / მე ოქტომბერის“ („პოეტი აღმშენებლობაში“); „იმ შავ დილამ წინაპართა / შთანქა ცალფა ნავები“ („დილა“).

შალვა აფხაიძე – „გააღე კარი... შავ სიჩუმეში / ვილაცის ლანდმა გაიშრიალა“ („ჯოკონდა“); „აქ ღამურები შავ-შავ ხაზებს ავლებენ ცაში, / მაგრამ არ კარგავს სილამაზეს დიდება ძველი“ („ბაგრატის ტაძარი“); „ცა გაკაპასდა, გამალა თმები / რბილი, ფარფაშა და შავად-შავი“ („ზღვაზე“).

ტიციან ტაბიძე – „შავი ღამეა, ცა გლოვობს“ („შემოდგომის ღამე“); „დაბადებიდან წილად მშთენია, / აღარ მშორდება შავი ნალველი“ („მელოდია“); „თავს დაგსტრიალებს სიკვდილი შავი“ („ძრწოდე, ვალტასარ!“); „შავი ფიქრების შავი გრეხილი / შემოექარგა ჩემდა მაშვრალ სულს“ („სევდის ღამეში“); „ჩემ წინ განრთხმულა შავი სამარე“ (უსათაურო „ჩამოვჰკარ ჩანგურს... ათრთოლდა სიმი“); „მარტოდ მისტუმრებ შავბნელ სამარეს?“ (უსათაურო „ჩამოვჰკარ ჩანგურს... ათრთოლდა სიმი“); „შავ სარეცელზედ, სიკვდილისმლოდე, ვეგდე ბედშავი, სული მხდებოდა“ („ის კი მზაკვრულად ილიმებოდა“); „ღამეა თეთრი და შავია ქალდეას მესსა“ („მღვდელი და მალარია“); „შავი არაგვი თეთრ არაგვს ერთვის, / ჩვენი გათიშვა კი ყველას სურდა“ („ანანურთან“).

გრიგოლ რობაქიძე – „შფოთავს ღამე, / შფოთავს შავი...“ („ლანდი“); „...შავ განზრახვას ვერ აათავებს“ („სონეტები“); „ავარდა შავი საზარელი ქარი ხით-ქვითა...“ / „წინ გადიშალა შავი წყალი, ფართო შაველა („პანი“).

სანდრო შანშიაშვილი – „შავი ზღვის გაღმა, მთის ძირში, / სჩანს მონასტერი ღრუბელში“ („შოთას ბეჭედი“); „ახ სასურველო! ნუ იბურავ შავს მყუდროებას“ („მახილი შორეულთან“); „მოგვეც, მგოსანო, შენი მერანი! / აგვიგზნე ფიქრი შავად მღელვარი! / ვერას დაგვაკლებს შავი ყორანი!“ („ნიკოლოზ ბარათაშვილი“); „მახსოვს შავებში იჯექ ჩემთან და ჩვენს გაზაფხულს...“ („მახსოვს შავებში“); „ქალს სიკვდილი შავ თვალებზე / ლურჯის ფრთებით მიეპარა!“ („ლეილა“).

კოლაუ ნადირაძე – „მის ლანდს უმზერენ გაკვირვებით შავი გედები“ („მთვარის ქურდები“).

შავი ფერით არის აღნიშნული ადამიანის განცდებთან დაკავშირებული სიტყვები: ნაღველი, ფიქრი, სიკვდილი... „ადარ მმორდება შავი ნაღველი“ („მელოდია“, ტ. ტაბიძე); „ბნელი ღამეა, ვით ფიქრი შავი“ („მელიტონ ჩიგოვადის ხსოვნას“, ტ. ტაბიძე); „თავს დაგსტრიალებს სიკვდილი შავი“ („ძრწოდე, ვალტასარ!“ ტ. ტაბიძე); შავ ფიქრთაგან პერობილს მოსავს ძაძები“ („ელეგია“, ტ. ტაბიძე).

### 2.5.3. რუხი ფერის სემიოტიკა

რუხი კლასიკური ნეიტრალური ფერია, სხვა ფერებთან შედარებით ყველაზე შეუმჩნეველი და მოსაწყენი. შეესაბამება: ღრუბლები, ჩრდილი, სიბნელე, უძრაობა, შიში, მოწყენილობა, მელანქოლია, თავშეკავება, თავმდაბლობა, ბუნდოვანება, რეალიზმი.

ფერის ექსპერტების, მ. კუპერისა და ა. მეთიუსის აზრით, ღია ნაცრისფერი ზომიერად კონსერვატიული და ტრადიციულია, რაც მიუთითებს ეფექტურობასა და ინტელექტზე. მ. ლუშერის აზრით, ნეიტრალური ნაცრისფერი არ იწვევს რაიმე ფსიქოლოგიურ რეაქციას, არც ამშვიდებს, არც აღელვებს. კანდინსკის მიაჩნდა, რომ ნაცრისფერი არის „უხმო და უმოძრაო“ [Кандинский, 2008].

ფსიქოლოგების აზრით, ნაცრისფერი ტონების ერთფეროვნება და გაუფერულება იწვევს ასოციაციებს კვამლთან. აგრეთვე ამ ფერის მახასიათებლებს ქვეცნობიერი დომინანტით

ემთხვევა **ნისლის** ცნების სემანტიკას, რომელიც განიმარტება, როგორც რაღაც გაურკვეველი, ბუნდოვანი, გამოუთქმელი, გაუგებარი, მოსაწყენი. **ნისლი** ამბივალენტური<sup>5</sup> სემანტიკის მქონე ლექსემაა და იძლევა ბევრნაირი ინტერპრეტაციის საშუალებას. იგი ერთსა და იმავე დროს აღნიშნავს დადებითსა და უარყოფითს, სიკვდილსა და სიცოცხლეს, კეთილსა და ბოროტს. **ნისლი** ასოცირებულია იდუმალეზასთან, რაც, თავის მხრივ, ღვთაებრივის ნიშანია. **ნისლი** გვხვდება შემდეგ ქართულ ფრაზეოლოგიზმებში: თვალეზზე ნისლი გადამეკრა // ნისლი გადამეფარა, ნისლში წავედი... ამ გამოთქმით ცნობიერების დროებით დაკარგვას გამოხატავენ. **ნისლის გზა** რჩეულთა გზაა, ამიტომ პოეტები „ავად არიან“ ნისლით, „მსოფლიო სევდით“ [ცეცხლაძე... 2014: 196].

ეკლესიის დაბალი რანგის მსახურები და ბერები მარხვისა და სპეციალური ლოცვების დროს გლოვის ნიშნად რუხი ფერის ჯვალს უბრალო ჩამოსაცმელს ატარებენ [Wierzbicka, 1990].

რუხი გვხვდება აგრეთვე სიტყვებსა და შესიტყვებებში, ფრინველთა, ცხოველთა და სოფლის სახელწოდებაში, ზმნებსა და სახელზმნებში: ნაცრისფერთმიანი, ნაცრისფერბეწვიანი, მოშავო-მორუხო ფერის ჩიტი, მოლურჯო-რუხი ფერის ცხენი, რუხი მგელი, რუხწყალი, სოფელი რუხი, რუხი ციხე, რუხი კარდინალი, სირუხე, მორუხო, გარუხებული.

**რუხის** ჯგუფში შემავალი სიტყვები გარდამავალი თვისების გამო ზოგჯერ იხრება არაბაზისური შავისა და თეთრის აღმნიშვნელი სიტყვების ჯგუფებისკენ.

**რუხის ჯგუფში შემავალი სიტყვებით გამოხატულია:**

**სიმახინჯე:** „კატასავით იჭყიტება ნაცრისფერი თვალეზით“.

**შეურაცხყოფა:** „თხუნელასფერი კაცი“.

**შიში:** „მიწისთავისფერი ედო“; „მომაკვდავის ფერი დასდებოდა“.

**ნაღველი, დარდი:** „ნაღვლისფერი ფიქრები“.<sup>6</sup>

**გაფითრება:** „ნაცრისფერი დაედო“.

**გაბრაზება:** „რკინისფერი დაედო“; „მიწისფერი გადაედო“.

<sup>5</sup>ამბივალენტური – ურთიერთსაპირისპირო. მაგ., სიამოვნება-უსიამოვნება, სიყვარული-სიძულვილი...

<sup>6</sup> მაძამია ც., ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკის სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი მეგრულში, თბ. 2006. გვ. 46.

**ავადმყოფობა:** „მიწისფერი ადევს“; „მომაკვდავის ფერი ადევს“.

**ადამიანის თვალის ფერის აღსანიშნავად:** ნაცრისფერთვალეზა, მონაცისფროთვალეზიანი, რუხი ფერის თვალეზი.

**თმის ფერის აღსანიშნავად:** ნაცრისფერთმიანი, მონაცისფროთმიანი, „თხილის ყვავილედისფერი თმა“; „მგლისფერი თმა“ (იტყვიან აბურძგნილი თმის შემთხვევაში. განმარტეზა: გოგეზაშვილი, 1999:61).

**ცხოველის ბეწვი:** ნაცრისფერბეწვიანი ძაღლი.

**რუხი/ნაცრისფერი გვზდება აგრეთვე:** მოშავო-მორუხო ფერის ჩიტი (ფრინველთა სახელწოდებებში), ნაცრისფერი თხა, რუხი ცხენი, რუხი დათვი, რუხი ხარი (ცხოველთა სახელწოდებებში).

**„ცისფერყანწელებთან“ რუხი/ნაცრისფერი შემდეგნაირად გვზდება:**

ვალერიან გაფრინდაშვილი – „ნაცრისფერ ცეცხლში ბუმბერაზობს, იწვის ქალაქი“ („ქუთაისი ქარში“); „ნაცრისფერ წვიმას აჩრდილები დაუთალხია“ („წვიმის ასული“); ვინც ლექსებს ამზობს ტირილით და რუხ გაბრაზებით („დაისი მესამე“).

ტიციან ტაბიძე – „რუხ ფრთიანმა დრომ მოგვდვა ლაგამი“ („ლურჯი ედემი“).

პაოლო იაშვილი – „ბაღს მიადგა დაფნეზიანს, / რუხად ჩააზნელა“ („შემოდგომის დღე ფოთში“).

## 2.6. ქრომატულ ფერთა სიმბოლოურ-სემიოტიკური დახასიათეზა

ჩვენს ლექსიკოგრაფებს შესანიშნავად აღუნუსხავთ ფერთა სახელები: ქართული ხუროთმოძღვრეზა, ტაძრების მოხატულობა, ფრესკები, ძველი ქართული ტანსაცმლის აღწერილობა იმის დამადასტურებელია, რომ ქართველი ხალხი ოდითგანვე იცნობდა ცისფერს, წითელს, მწვანეს, ყვითელს, ლურჯს და ა.შ. რაც შეეხეზა აქრომატულ ფერებს – თეთრსა და შავს, მათი აღმნიშვნელი ლექსემები ძველ ქართულ ლექსიკაში ყველაზე ხშირად გამოიყენეზა [ჩიქოვანი, 1992: 6].

ქვემოთ ვისაუბრებთ თბილი ფერების თვისებებზე, როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობით.

### 2.6.1. წითელი ფერის სემიოტიკა

ქართული ფოლკლორული მასალების მიხედვით, წითელი პოლიფუნქციურობით ხასიათდება. იგი, ერთი მხრივ, გამოხატავს სიყვარულს, ენერგიას, სიცოცხლეს, სიმამაცეს, ძალას, თავდაჯერებულობას; მეორე მხრივ – საფრთხეს, რისხვას, მტრობას, აგრესიას, ომს, სისხლს, რევოლუციას, ბრძოლას, ძალაუფლებას, ცეცხლს, ცოდვას (უსამართლო სისხლს); წითელი გამოიყენება საფრთხის აღსანიშნავად (მაღალი ძაბვის ნიშნები, შუქნიშანი).

ფერთა სიმბოლიზაციის ქრისტიანულ სქემაში წითელ-ალისფერი, სისხლისფერი გამოხატავს სათნოებას, მარტვილობას; ძოწი – წითელი – ბროწეულისფერი – სიმბოლოა მეფობისა, სამართლიანობისა.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გაკვრით სიკვდილის გადმოცემის შესახებ მოცემულია წითელი ფერის სიმბოლიკით. ფოლკლორული ტრადიციების თანახმად, წითლად ჩამავალ მზეს მიცვალებულთა მზეს უწოდებდნენ, – „ხოგაის მინდი კვდებოდა, მზე წითლდებოდა, ცხრებოდა“ (ხალხური).

ქართული ზღაპრის (ზღ. „ვაშლა“) მთავარი გმირის ანდერძში ხშირად იყო ნათქვამი: სანამ წყალი ამ ჯამში ფერს არ იცვლის, ცოცხალი მიგულეთ, გაწითლდება და მკვდარი ვარო. მოვლენათა ასეთი ფერთი აღქმა, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის. აზროვნების განვითარების იტორიაში ყოველივე ამას თავისი ფორმირების დიდი მანძილი აქვს გავლილი. როგორც რ. ჩოლოყაშვილი აღნიშნავს, ისეთ ფოლკლორულ ძეგლებში, რომლებიც არქაულ საზოგადოებაში იღებენ სათავეს, ფერთა მნიშვნელობა მკვეთრად განსაზღვრული იყო [ჩოლოყაშვილი, 2004: 102].

**წითელი ფერით გამოხატულია:**

**სილამაზე:** „ბროწეულისფერლოყებიანი“; „თეთრია და წითელი ვაშლები აქვს ღაწვებზე“ (იხმარება ლოყებწითელა ქალის მიმართ) [გოგებაშვილი, 1999: 69].

**სიმახინჯე:** „წითელი თვალები“; „წითელი კაცი“.



**მუქარა:** „თეთრ ჩოხას წითლად შეგიღებავთ!“

**ავადმყოფობა:** „სიცხის გამო ღაწვები ალისფრად ქცეულიყო“; წითელი ქარი (ავადმყოფობა), ჩარანდელი.

**სიკვდილის მოახლოება:** „ეს წყალი სისხლისფერი გახდება, მაშინ მე მკვდარი ვიქნებიო“; „წყალი წითლად შეიღება“.

**გლოვა:** წითელ-შავად შეღებილი.

**მორცხვობა:** „სირცხვილით გაწითლდა“.

**სირცხვილის გრძნობა:** „ალისფრად გადაქცეული დაბრუნდა“.

**სიბრაზე:** პილპილივით წითელი, „პილპილივით გაწითლდა“.

**ნიადაგის ფერი:** „წითელი მიწა“.

**ადამიანის სახე:** მოწითალო სახის ადამიანი; **წითური;** **პილპილისფერი;** „ცეცხლივით წითელი კანი აქვს“; „ნაკვერცხლისფერი გაუხდა სახე“; წამოწითლებული სახე (სირცხვილისაგან); წითელლოყება, ლოყაწითელი, ღაჟღაჟა.

**თმის ფერის აღსანიშნავად:** წითელთმიანი; წითური.

**წით-ძირისაგან ნაწარმოები სიტყვები და შესიტყვებები:** წითელი, მოწითალო, (მ)წითური, სიწითლე, წითლობა, წითლობს, სოკოწითელი, ძირწითელა, (საბას ლექსიკონის მიხედვით); გააწითლა, წითლდება, გაწითლებული, ჩაწითლებული, წამოწითლება (ზმნებსა და სახელზმნებში); წითელწყარო (ახლანდელი დედოფლის წყარო); წითელარმიელი (მეომარი); წითელკაბა (სოკო), წითელძირა (მცენარეთა სახელდებისას)... ასკილივით წითელი, წითელი ტყემალი, წითელი დიკა (ხორბალი), მოწითალო ფეტვი, მოწითალო ძროხა, წითელი ხარი (ცხოველთა სახელწოდებებში).

**წითელი** ხასიათდება შემდეგნაირად: ნახევრად წითელი, მთლად წითელი, სულ წითელი, მუქი წითელი, ძალიან მუქი წითელი, ხასხასა წითელი.

ქართველ სიმბოლისტებთან **წითელი** ფერისა და ამ ფერის ლექსიკურ ერთეულში გაერთიანებული სიტყვებით იქმნება ისეთი პოეტური სახეები, როგორიცაა:

ნიკოლო მიწიშვილი: „**წითელი ფერი** თეთრ კბილებზე ბევრმა წაისვა“ („უსახელო“); „**წითელდროშოვან** არწივების მთავარსარდალი“ („მთავარი შტაბი“); „სოფლად მიდის ავი თვალი, კუდიანი ქალი. / **წითელ თვალებს** აკიაფებს აცქერდება მესრებს“ („ავი თვალი“).

„აიღებ კალამს, ხან წითელ, ხან შავი მელნით...“ („განწყობილება“); „...და ის წითელი, მოკლე ჯოხზე დაკრული დროშა, / იქ, მოედანზე რომ ასწია მარად მზიანი“ („კამოს ძეგლი“); „წითელფერა დროშით იცავს ღარიბ ქოხს და ბაღლებს / და მთარღვევს დაუნდობელ რეაქციის ტალღებს“ („ესპანეთის ხალხს“).

ტიციან ტაბიძე: „სულს ასხივოსნებს, სულს აცისკროვნებს / უკვდავებისა სახე წითელი“ („მადონას სიმღერა“); „რქა წითელია და რქანაყარი – / ამაღამ ზენა ამოვა ქარი“ („ორპირი“); „დამისხით, ძმებო, დამალევინეთ, / ამივსეთ ყანწი წითელ ღვინოთი“ („დასაბამიდან“).

კოლაუ ნადირაძე: „წითელი დროშით, მოღერილ ყელით, / თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით / შემოდიოდა სიკვდილი ცელით! („1921 წლის 25 თებერვალი“).

ვალერიან გაფრინდაშვილი: „...ანთებს ჩემ ლოყებს ლალისფრად, გველურად“ („წითელი ბატონები“).

სანდრო შანშიაშვილი – „მზით აღანძულს წითელ ტბაში / თეთრი ალი კოხტად ცურავს“ („თეთრი ალი“).

პაოლო იაშვილი – „წითელ დღეს, სხივმა წითელმა გააპო მღვიმეს კედელი“ („წითელი დღე“) „...ვით დაფლეთილი, სისხლისფერი, სოველი ჩვრები“ („ფარშავანგები ქალაქში“); „წითელი რაშებით მზის სხივი დღეს მოდის“ (კონსტანტინე ბალმონტს); „რა წითელი მდინარეა, / რომ მოსცურავს გაღმა“ („ყორათი“); „შენს სასახლეში ყვეს წითელი საშინელება“ („ვერჰარნ“); „ცეცხლიან ყვავილებში მოჩვენება წითელი / ცხელი ცახცახით ელის“ („წითელი ხარი“); „ჩვენ გვიგზავნის წითელ სიკვდილს. / და მზის ცხოველს, ყვითელ რქებით“ („წითელი ხარი“); „წითელი ფერი! წითელი ფერი! / შევხარი უხვად დაფანტულ დილებს?“ („ქუჩების ბედნიერება“).

წითელი ფერის ასოციაციებს ბადებს ისეთი ლექსიკური ერთეულები, როგორცაა: „ჟღალი, ჭორფლიანი, ჟანგისფერი, სისხლისნაირი: „თბილისი ჟღალი, ჭორფლიანი დღეს არი ავად“ / „მზე დაწყდა სისხლად, ჟანგისფერი მძიმობს ჰაერი“ / „გაწითლდა მტკვარი და შეიქმნა სისხლის ნაირი“ (პ. იაშვილი, „ასპინძის ომი“). აგრეთვე: ცეცხლი, ალი, ნაკვერცხალი... „მიწა რქებით მონათხარი ნაკვერცხლებად სცვივა ჰაერს... / ცეცხლიან ყვავილებში მოჩვენება წითელი / ცხელი ცახცახით ელის... / გაგიჟდება ალით მხარე“ („წითელი ხარი“, პ. იაშვილი).

გ. ლეონიძესთან გვხვდება **ფერწითელი**: „იმ სისხლზე ჰყვავის ყაყაჩო, / **ფერწითელობის** მსგავსებით“ (მინაწერი „ქართლის ცხოვრებაზე“).

## 2.6.2. ყვითელი ფერის სემიოტიკა

ყვითელი მზის, სიცოცხლის სიმბოლოა („სათნოების ფერი“). ნათელი ოქროსფერი და მზისფერი ზეიმის, სილამაზისა და კეთილშობილების მანიშნებელია. ქრისტიანულ სახისმეტყველებაში ოქროსფერი ღვთაებრიობის გამომხატველია. აქედან გამომდინარე უხატავენ წმინდანებს ოქროსფერ შარავანდედს, როგორც შეუცნობლის, ღვთიური სამყაროს სიმბოლოს. თუმცა, ამ ფერს უარყოფითი მნიშვნელობაც აქვს. ქრისტიანულ ფერწერაში იუდა ისკარიოტელი ყვითელი ფერის წვერ-ულვაშითაა გამოხატული და ხშირად, „ქრისტეს გამყიდველნი“ ყვითელ ტანისამოსში წარმოგვიდგებიან.

ყვითელი ფერი ძველ საბერძნეთში აპოლონის ფერად ითვლებოდა, ჩინეთში საიმპერატორო ფერად მიიჩნევდნენ, ხოლო ევროპაში უარყოფითი სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა – ეჭვიანობის, სიცრუისა და ღალატის გამომხატველ ფერად აღიქმებოდა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს **მზისფერი**. ძველ ქართულ სასულიერო ძეგლებში ღმერთი და მზე გაიგივებულია, ღმერთი წოდებულია სულიერ მზედ. მისი ეპითეტებია: „ბრწყინვალე“, „ნათელი“, „სპეტაკი“.

„ყვითელ-წითელი აუტანელ სიძლიერეს აღწევს, მისი აქტიური მხარე შეიცავს უმაღლეს ენერგიას. ენერგიულ, ჯანსაღ და მკაცრ ადამიანებს უხარიათ ეს ფერი“, – აღნიშნავს გოეთე [Goete, 1957: 311].

ფერის სემანტიკის თანამედროვე მკვლევრების მიხედვით, ყვითელი (წითელი+მწვანე) ასოცირდება სიხარულთან, იმედთან, აქტიურობასთან, ბედნიერებასთან, ინტელექტთან, ცნობისმოყვარეობასთან, ექსპრესიულობასთან. ის ააქტიურებს სხვა ფერებს, აცოცხლებს ცივ ფერებს, იქცევს ყურადღებას, ზრდის კონცენტრაციას, შემოქმედებითობას, ხელს უწყობს გადაწყვეტილების სამართლიან და სწრაფ მიღებას, დასვენებას, შთაგონებას,

კომუნიკაბელურობას, დაძაბულობის განმუხტვის სურვილს [Серов, 2015]. უნდა აღვნიშნოთ, რომ ყვითელ ფერსაც აქვს უარყოფითი მნიშვნელობა, ზოგჯერ უკავშირდება მომავლის გაურკვეველობას, შიშს, გაბრაზებას, სიმხდალეს, იმედგაცრუებას, არაკეთილსინდისიერებას, ცბიერებას, სიხარბეს, ტყუილს. მაგალითად, აზიაში ყვითელი მწუხარების, გლოვისა და სიკვდილის სიმბოლოა.

ოქროსფერი სიმბოლოა მარადიულობის, აღნიშნავს ღვთიურ ჰარმონიას. ფსიქოლოგიაში მიჩნეულია, რომ ოქრო გამოხატავს ბედნიერების განცდას. აქედან გამომდინარე, თუ ყვითელი არის ბედნიერებისა და სიხარულის გამოხატულება, მაშინ ამ მნიშვნელობას ოქროს გაპრიალებული, მზინავი ზედაპირი აძლიერებს. ქარვისფერს კი (თაფლისფერ-ყვითელი) საპირისპირო ეფექტი აქვს. იგი აერთიანებს ორ წინააღმდეგობას: ყვითელი ფერის სინათლე და სიმსუბუქე, ყავისფრი სიბნელე და სიმძიმე.

**ყვითლის სემანტიკური ველი შემდეგნაირად წარმოგვიდგება:**

**გაფითრების გამოხატველი:** „ყვითლად ეცვალა ფერი“.

**შურის გამოხატველი:** შურისგან გაყვითლებული.

**ავადმყოფური ფერი:** „ზიარსავით გაყვითლებული“; „ყვითელი ფერი ადევს“ (ამ შემთხვევაში „ყვითელს“ ავადმყოფობის მნიშვნელობა აქვს).

**სილამაზის გამოხატველი:** „ფერი გედვათ ოქროსი“.

**ადამიანის თვალის ფერის აღმნიშვნელი:** თაფლისფერთვალეზიანი, თაფლისფერი თვალეზი.

**თმის ფერის აღსანიშნავად:** ჩალისფერი თმა; ოქროსფერი თმა.

**სახის კანი:** ქარვისფერსახიანი; მოყვითალო ფერის (ავადმყოფური) სახე; ოქროსფერი (ნათელი) სახე.

**ყვითელი გვხვდება შემდეგ სიტყვებსა და შესიტყვებებში:** ჩაყვითლებული, დაყვითლებული, გაყვითლებული/შეყვითლებული, ყვითლობს, გააყვითლა, გაყვითლდა, სიყვითლე, ზიარსავით ყვითელი, „ყვითელი პრესა“ (უგემოვნო ასოციაციას იწვევს)...

„ცისფერყანწელებთან“ ყვითელს ძირითადად უარყოფითი დატვირთვა აქვს.

**ტიციან ტაბიძე:** „ყვითელ ფოთლებში მე ვიხრჩობი და ვიმარხები“ („ნოემბერი“); „ყვითელი თვალი მონგოლების / და სააკაძე“ („მღვდელი და მალარია“); „ყვითელი ურდო /

ვიწრო თვალებით“ („მეარღნეები და პოეტები“); „და ნიავს მიაქვს **ყვითელი ჩალა**, / იშლება შენი თმა თაფლისფერი“ („შეხვედრა კონსტ. ბალმონტთან მოსკოვის ახლოს ტყის ქალაქში“).

კოლაუ ნადირაძე: „...და მოვარდება ჩემ **ყვითელ ტვინს** მძიმე უღელი“ („ტრიპტიხი“).

გრიგოლ რობაქიძე: „ბაია. ხავსი. **დაყვითლული** სივრცეთა გუგა“ („მისტერია მზის“); „გველი რომ ესვრის **ყვითელ ალმურს** ჯავარი რქებით...“ / ლანდების ურდო გადაწვება **ყვითელ თავანზე**“ („ვალერიან გაფრინდაშვილს“); „...და შემოაგდებს უცხო თვალებს **ყვითელ მზერიანს**“ („გლოვა“).

ვალერიან გაფრინდაშვილი: „თქვენ, ოფაზებო, ჩემს კაემანს **ყვითელმთავრეთ**“ („მვირაფსი ქვების ვიზიონერი“); „**შენ ხარ ყვითელი**, ვით საგიჟეთი, / და მთვარეულებს ისევ ამრავლებ“ („შემოდგომა“); „გავდა ჩამომხმარ, **ყვითელ ხელებით** / ადამიანი თავის ორეულს...“ („ინათი და ყორათი“).

ნიკოლო მიწიშვილი: „**ყვითელი ტვინი** სიბრაზისგან გაფითრებული / გახუნებული ვით ქაოსის დანახველები“ („ჩვენი მწევრები“); „**ყვითელი ლოყები**, ტალახად მღვრეული“ („ავტობორტრეტი“).

შალვა კარმელი (გოგიაშვილი): „**ოქროსფერ** თევზებს ოფელია წყალში დაირევს“ („მარიონეტები“); „შიშიანობა და **გაყვითლება!**“ „თორემ ჩემ **ყვითელ** ცივ სხეულიდან / აღარ დარჩება ფერფლიც **ყვითელი!**“ („სანბენიტო“).

შალვა აფხაიძე: „**ქარვისფერ** ლოცვებს ვადნობ შენს წინ ამაყი გურჯი, / ჩემ ფერად წარსულს რომ ვკითხულობ სათუთ დალალში“ („სანტა მარია“); „ნოემბრის **ყვითელ ქარს** წაეშალა“ („წვიმა ქალაქში“).

პაოლო იაშვილი: „ფრთებზე სდუღდა სპილენძი და კიოდნენ **ყვითელ ციდან**“ („ფარშავანგები ქალაქში“); „ჩუმი ვკითხულობ შენს ძველ **წერილს / ყვითელს**, დახეულს...“ („მახილი“); „ერთი მათგანი **ყვითლად ელავს**, როგორც ქაფური“ („მალთაყვა“); „სტუდენტთა ოთახში ცხოვრობენ ტყუპებად, / **ზოგი ყვითელია**, ზოგი ილუპება...“ („სტუდენტთა ოთახში სანთლებად ვენტებით“).

### 2.6.3. მწვანე ფერის სემიოტიკა

მწვანე ძლიერი ფერია, რომელიც სინათლისაკენ, ყოვლისმომცველობისაკენ მიისწრაფვის. ცნობილია, რომ მწვანე (ყვითელი+ლურჯი) ტონები შუალედურ პოზიციას იკავებენ თბილ და ცივ ფერებს შორის. ტრანსცენდენტური ლურჯისაგან განსხვავებით მწვანე უფრო მიწიერია. ყვითელი და ლურჯი ფერებიდან გამომდინარე მწვანე იმედის, სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვების სიმბოლოს წარმოადგენს, რწმენასა და უკვდავებას გამოსახავს. მწვანე, როგორც მშვიდი ფერი, გაზაფხულს, ბუნებას, ყვავილობას, მოლოდინს, ძიებას, გამოღვიძებას, ახალგაზრდობას, ენერგიას, იმედს, დაბადებას, სიცოცხლეს, განახლებას უკავშირდება. მთელ მსოფლიოში მწვანე უსაფრთხოების სიმბოლოა. მარადმწვანე – იმედის, უკვდავების ფერიცაა.

სხივამდგარი მწვანე ანუ ზურმუხტისფერი – ხშირად უწყვეტობას, უკვდავებას აღნიშნავს. ზურმუხტისფერი მწვანითაა გამოსახული გოლგოთის ჯვარი და ზოგჯერ – ღვთისმშობლის სამოსი. იგი ქრისტიანული რწმენის, აღდგომისა და სამების სიმბოლური ფერია. ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში მწვანე დაკავშირებულია სიკეთესთან, მოლოდინთან, იმედთან. „ფსალმუნში“ მწვანე ფერის სახელი გვხვდება თივის სახელად: „მწვანილოვანი“ თივა, „მწუანე“.

ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მიხედვით, ბიზანტიაში მწვანე სიმბოლურად ახალგაზრდობასა და ყვავილობას ნიშნავდა. ეს არის ტიპიური მიწიერი ფერი, რომელიც ეწინააღმდეგება – იასამნისფერს, ოქროსფერსა და ლურჯს. ხატწერაში მწვანეს ხშირად იყენებდნენ წმინდანთა სამოსში. ქრისტიანული კანონების მიხედვით, იოანე ნათლისმცემელი ჩვეულებრივ გამოსახულია ღია მწვანე ფერის სამოსში, პავლე მოციქული – მწვანე ან/და წითელ ფერში, წმინდა სამება – წითელ, ლურჯ და მწვანეში. აღსანიშნავია, რომ ეს ტიპიური მიწიერი ფერი, თეთრთან ერთად დომინირებდა ედემის ბაღის გამოსახულებებში თავისი უცნაური ბალახებითა და ხეებით [Серов, 2015: 89].

**მწვანე ფერი გამოხატავს:**

**ლანძღვას:** „მწვანე ფერის სახე“.

**ბუნების სილამაზეს:** „მთელი ქვეყანა მწვანედ შეიმოსა“.

ავადმყოფობას: „ხავსისფერი დაედო...“.

აღნიშნავს ადამიანის თვალის ფერს: მწვანეთვალეობა.

მწვანე გვხვდება შემდეგ სიტყვებსა და შესიტყვებებში: გაამწვანა, მწვანობს/მწვანდება, გამწვანებული, ამწვანება (ზმნებსა და სახელზმნებში)... მწვანე თივა, მწვანე ხვლიკი, მწვანე ბალახი; გვაქვს სინტაგმები: ღია მწვანე, მუქი მწვანე, ხასხასა მწვანე.

მწვანე სიტყვის შესაძლებლობით იქმნება ისეთი პოეტური სახეები, როგორიცაა:

კოლაუ ნადირაძე: „მწვანე ვარსკვლავთა შენ გხიბლავდნენ ნაზი ფანდები“ („ივანე მაჩაბელს“); „იდგა ზაფხული ამწვანებული“ („ხის სიკვდილი“); „გაზაფხულდება, ამწვანდება სქლად მთა-გორები“ („წითელი გველი“).

ნიკოლო მიწიშვილი: „უკვე მთებში ვარ... ირგვლივ ტყეა ამწვანებული“ („მთებში“).

შალვა აფხაიძე: „ამ მარად მწვანე მთების ფილტვებში!“ („დავხურე წიგნი“); „გულგაღვლილი როცა მივრბოდი / მის ამწვანებულ ნაპირისაკენ“ („ჩემი რიონი“); „გაზაფხული – ჩემი მწვანე თანამგზავრი“ („გაზაფხული – ჩემი მწვანე თანამგზავრი“); „მწვანით შემოსილ აპრილის ბაღში...“ („მზე ყველას ყოფნის“); „ზაფხული მწვანე, ვარვარა ფერი / ნოემბრის ყვითელ ქარს წაეშალა“ („წვიმა ქალაქში“).

ვალერიან გაფრინდაშვილი: „მე ვესალმები კიდევ ერთხელ თქვენს ამწვანებას“ („ორ ხეს, ცირკის წინ რომ დგანან კირკის ქუჩაზე“); „მწვანე წუთები მაწამებენ ცხელებ-ციებით“ („სადამო ლორნეტში“); „დაისი მწვანე, როგორც ისრიმი / ჩამოწვა მთებში“ („სოველი კარტები“); „ცა არის მწვანე, როგორც ისრიმი, / მალე წყვიადი მზე დაიმონებს“ („სოველი კარტები“).

შალვა კარმელი: „მომესალმება ეგ თვალეობი მწვანედ, ველურად“ („სახრჩობელა მომდურავზე“); „ღამდება მწვანედ და ფიქრი გვათოვს“ („უკანასკნელი ლექსებიდან“); „მუდამ მაისში ამწვანდება თამარ ზენარი“ („თამარ“).

პაოლო იაშვილი: „მწვანე ტალღებში დავამშვიდებთ ჩვენ ვნებას ალურს“ („პირამიდებში“); „შენს მწვანე ფოთლებს დილით თუ ეცა / სიო, ჩურჩული, ჩიტების ფრთები“ („ქუთაისისთვის“).

## 2.6.7. ლურჯი ფერის სემიოტიკა

**ლურჯი** ასოცირდება მოწმენდილ ცასთან, წყლის გამჭვირვალობასთან, ყინულთან, კრისტალთან და სიცივესთან. ეს არის მშვიდი ფერი. შესაბამისდ, ხელს უწყობს ფიზიკურ და გონებრივ დასვენებას. ზღვის ტალღის ფერი იწვევს პატივისცემას, ქმნის უსაფრთხოებისა და ნდობის ატმოსფეროს.

**ლურჯი** მიუწვდომელი, ტრანსცენდენტური სამყაროს აღმნიშვნელი ფერია. ძველ საბერძნეთში ეს ფერი ზევსისა და ჰერას ფერადაა მიჩნეული. ამ ფერის სიმბოლიკას, როგორც ზეციურ ფერს, შეესაბამება: ცა, სიწმინდე, უსასრულობა, უკვდავება, მარადისობა, სიბრძნე, გონიერება, სიწყნარე, კეთილშობილება, სულიერება, მისტიციზმი, იდეალიზმი, სიცივე, აზროვნება, დიდსულოვნება. მუქი ლურჯის არჩევანი განისაზღვრება ისეთი მახასიათებლებით, როგორიცაა: პასიურობა, სიმშვიდე, შეშფოთება, დაღლა, გაუცხოება, მოწყენა, სევდა.

ცივი ფერებისადმი ინტერესი განსაკუთრებით მე-20 საუკუნის დასაწყისში გაიზარდა. კონცეპტუალურად ლურჯი ტონები უყვართ იდეალური სამყაროს მოყვარულებს – პოეტებს, მხატვრებს, მწერლებს, მუსიკოსებს. ლურჯი გამორჩეული ფერია ესენინის შემოქმედებაში. ნ. გუმბლიოვი სილურჯის მნიშვნელობებს უკავშირებდა „ლურჯი სიბნელის სევდას“. რომანტიკოსებისთვის ლურჯი სიზმრებისა და არამიწიერი იდეალებისკენ მისწრაფების ფერია. მეტერლინკის **ლურჯი ფრინველი** – შეუცნობელი ბედნიერების ძიებაა. გერმანელი მწერალი ნოვალისი **ლურჯს** მიიჩნევდა, როგორც იდეალური სამყაროს სიმბოლოს. გოეთემ წარმოადგინა **ლურჯი**, როგორც ცივი და სევდიანი ფერი, რომელიც ასოცირდება ცისა და მთის მწვერვალებთან. გოეთეს პოეტური კონცეფციით, **ლურჯი** ეს არის „მომხიბლავი არაარსი“. კანდინსკის თანახმად, რაც უფრო ღრმაა ლურჯი ფერი, მით უფრო მოუწოდებს ადამიანს უსასრულობისკენ. გერმანელი მწერალი და ფილოსოფოსი ე. იუნგერი ლურჯს კიდევ უფრო ღრმა მნიშვნელობით განმარტავს: „ლურჯი ერთდროულად გამოხატავს არარაობას და სილამაზეს“. ლურჯი



ტონების მიმდევრის პიკასოს შემოქმედებაში ცისფერი ხასიათდება ტრანსცენდენტული ბუნებით და სევდიანი პერსონაჟების უიმედო გარეგნობით [Серов, 2015].

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომლის დროშის ფერი ლურჯია. აქედან გამომდინარე, როგორც ნ. სეროვი აღნიშნავს, **ლურჯი** შეიძლება შევადაროთ დედამიწაზე მშვიდობის არქეტისს.

**ლურჯის** ჯგუფში შემავალი **ცისფერი** წარმოდგენილია, როგორც მტრედისფერი, ღია ლურჯი, ლები, ლაჟვარდისფერი (მუქი ლურჯი – ცა, ზღვა). ცისფერი, მარადიულობის ფერი, სიმბოლურად გამოხატავს ყველაფერს, რაც რაიმე კავშირშია ცასთან. ამ ფერის აღქმა ჩვეულებრივ იწვევს ასოციაციებს სამყაროსთან და აზროვნებასთან, ერთგულებასთან და ღვთაებრივ სიბრძნესთან. **ცისფერი** უკავშირდება დასვენებას, გულწრფელობას, სულიერებას, ნდობას, სიბრძნეს, სიმშვიდეს, სტაბილურობას, სისუსტეს, დაუკმაყოფილებელ ამბიციას, სიმართლევს, უსასრულო სივრცეს.

ცას შეეფერება **ფირუზიც** (სპარს. ფირუზ – მქრქალი ცისფერი ძვირფასი). ფირუზისფერი (მწვანე-ლურჯი) ყველაზე ცივია ყველა ფერს შორის. ფირუზისფერის ძირითადი მნიშვნელობები უკავშირდება წვიმას, ტალღას, ასევე, ცვლილებებს, სიმშვიდეს, თავშეკავებასა და უხერხულობას. განასხვავებენ **ღია ფირუზისფერს** და **მუქ ფირუზისფერს**. როდესაც მწვანე-ლურჯი მუქ ლურჯ ან წითელ-ლურჯ ფერებში იხრება, ნაწილობრივ საპირისპირო მნიშვნელობას იძენს. მიუხედავად ამისა, **ლურჯი** გამოხატავს სულიერების სფეროს.

**ლურჯით გამოხატულია:**

**მუქარა:** „თვალ-სახე დაგილურჯდება“.

**ავადმყოფობა:** „თვალები ჩალურჯებია“.

**გაფითრება:** გალურჯდა; ლილისფერი გახდა.

**ცის აღმნიშვნელ სიტყვებად გამოყენებული:** ცის ლურჯი გუმბათი, ცის ლურჯი სივრცე, ცის ლურჯი კამარა, „ლურჯად მოკამკამე ცა“, ლურჯი თაღი, ლურჯი ციაგი...

**გარკვეულ ფერად შეღებილის აღსანიშნავად:** ლურჯი პიჯაკი...

**წყლის აღსანიშნავად:** მტკვრის ლურჯი ტალღები.

**ადამიანის თვალის ფერის აღსანიშნავად:** ცისფერთვალება; ლურჯი თვალები.

**ლურჯი**-ი გვხვდება შემდეგ სიტყვებსა და შესიტყვებებში: დალურჯებული, ჩალურჯებული, გადალურჯებული, წამოლურჯებული, გაალურჯა/დაალურჯა, ლურჯდება, გალურჯებული, გალურჯება (ზმნებსა და სახელზმნებში), ლურჯა (ცხენის სახელწოდება)... ლურჯი ია (მცენარეთა სახელწოდებებში), ლურჯი ცა, ლურჯი ზღვა...

**ლურჯი** სიტყვის შესაძლებლობით იქმნება ისეთი პოეტური სახეები, როგორიცაა:

შალვა აფხაიძე: „მცხეთის ცა ძლიერ, ძლიერ **ლურჯია**, / **შაბიამანზეც** კი უფრო **ლურჯი**“ (უსათაურო „მცხეთის ცა ძლიერ, ძლიერ ლურჯია“); „**ცა არის ლურჯი** ისეთი წმინდა, / რომ მასში თითქოს / კიდევ სულ სხვა ცის ჩანს ანარეკლი“ („ცა არის ლურჯი ისეთი წმინდა“); „ასე მგონია, რომ **ლურჯი ფერი** / ასე უმანკო, ასე მაღალი / არა მილიარდ წლების წინ გაჩნდა, / არამედ გუშინ („ცა არის ლურჯი ისეთი წმინდა“); „ვხედავ **ლაჟვარდებს**, ვფიქრობ, **შენი სული ჩქევს ლურჯად!**“ („შენი მზე მათბობს“); „ყველგან იზიდავს მას **ცის ლაჟვარდი**“ („რა ლამაზია“); „აი, ეს არის ჩემი სურვილი: / ვუცქირო **ლურჯ ცას**, / მაღალ ვარსკვლავებს“ („სურვილი“); „ცა **ლილისფერი**, მაღალი, წყნარი, / ასე სპეტაკი ჯერ არ მინახავს...“ (უსათაურო „ცა ლილისფერი, მაღალი, წყნარი“); „როცა საღამო **ლურჯი ბინდით** თაღს ებურება...“ („ძველ ციხეში“); „მზე **ლურჯ უფსკრულში** გადაიჩეხა, / ცა მიატოვა ტანგამჭვირვალე“ (უსათაურო „მზე ტყეში ჩაწვა“); „როცა საღამო **ლურჯი ბინდით** თაღს ებურება“ („ძველ ციხეში“).

ან კიდევ:

„**ლურჯი** მთების ზოლი ლურჯ ცის სივრცეში  
შორს, უსაზღვროდ შორს მიიკლაკნება,  
ლურჯ ოკეანის ლურჯი ტალღები  
ლურჯ ტყიან ნაპირს აქცევს, აკვდება“.

/„გემზე“, გალაკტიონ ტაბიძე/

ამ შემთხვევაში სიტყვა **ლურჯს** თუ ერთი და იმავე ფერის აღმნიშვნელად ვივარაუდებთ, მაშინ რაიმე სურათის გარჩევა შეუძლებელი იქნება. „**ლურჯი მთების ზოლი ლურჯ ცის სივრცეში** შორს, უსაზღვროდ შორს მიიკლაკნება“, – აქ **ლურჯი** არის იისფერის აღმნიშვნელი, „**ლურჯ ოკეანის ლურჯი ტალღები**“, – ცისფერი იგულისხმება. ბოლო სტრიქონში „**ლურჯ ტყიან ნაპირს აქცევს, აკვდება**“ მწვანე ფერი უნდა ვივარაუდოთ,

რადგან **ლურჯი** ტყიანი ნაპირი“ მწვანე ტყე შეიძლება იყოს. როგორც ბ. ფოჩხუა განმარტავს, **ლურჯი** სიტყვა ენაში დამკვიდრებულ, ჩვეულებად ქცეულ შეხამების წესებს ექვემდებარება და ეს შეხამების წესები მხოლოდ სემანტიკური შესაძლებლობათა რეალიზაციით არ იფარგლება [ფოჩხუა, 1974, 276].

ქართველ სიმბოლისტებთან იშვიათად გვხვდება **ფირუზისფერი**: „ფირუზისფერი აბაჟურით ჩაქრა შანდალი,/ ცივი ბალიში თეთრ ლოცვებმა დამინოტიეს“ (შ. კარმელი).

ვალერიან გაფრინდაშვილი: „მაგრამ წყვილი მთელ ჩვენებას გაავრანებს. / **ლურჯათ იმსხვრევა** კარუსელი ქაიანური“(„სადამო ლორნეტში“); „**ლურჯი სადამო** აქანდაკდა ნაზ სახრჩობელად...“ („სადამოს მასკები“); „**ლურჯი თვალები** ძველ სამშობლოს სწრაფ მიაპყარი, / რომ არ დაიმსხვრეს ელვარებით სავსე ზღაპარი“ (ტიციან ტაბიძე); „ერთად დარაზმულ ტალღების სვლაში / რომ დავიმკვიდრო **ლურჯთვალა ქალი**“ („ძიება“); „სადამო აზნევს **ლურჯ ზამბახებს** – შორი, პირქუში / ამძიმებს ქალაქს სულთათანა შემავედრები“ („ზამთრის დღეების გასვენება“).

სანდრო შანშიაშვილი: „ქალს სიკვდილი შავ თვალებზე / **ლურჯის ფრთებით** მიეპარა!“ („ლეილა“).

ტიციან ტაბიძე: „მწვანე ედემი, **ლურჯი ედემი**, / ბავშვობა ლაღი, თავისუფალი, / პირველი გრძნობის უმხელი ალი... / ისევ წინ გვიძღვის იმედის გემი, / პირველი გრძნობის **ლურჯი ედემი!**“ („ლურჯი ედემი“).

კოლაუ ნადირაძე: „შენს **გალურჯებულ**, პატარა სხეულს / ფარავს ტომარა ჩამოხეული“ („უპატრონო ბავშვი“); „არ მინატრია აროდეს, არა, / სხვა რამ მაგ თვალთა **სილურჯის მეტი!**“ („ემებ თეთრ ჩოხას ბედი მიკერავს“); „მტკავლის ოდენა, / ცას მოწყვეტილი / **ნატეხი ლურჯი**“ („მწერალთა სასახლის ბაღში“).

ამდენად, დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, ბაზისური ფერების სიმბოლური მნიშვნელობები შემდეგია:

ფერის ტიპები	
აქრომატული	ქრომატული

**სიმბოლური მნიშვნელობა**

<p><b>თეთრი</b></p>	<p><b>დადებითი</b>                  ღვთიური სინათლის, სიკეთის, სიმშვიდის, სიწმინდის, სისპეტაკის, სათნოების, სიფაქიზის, სიხარულის, უმანკოების, უბრალოების, სისუფთავის, სილამაზის, დასაწყისის, ძიების, აღმოჩენის, ახალგაზრდობის, ღია შესაძლებლობების, უდანაშაულობის, მშვიდობის, სიფრთხილის, ზამთრის, სიცივის სიმბოლო;</p> <p><b>უარყოფითი</b>                  სიკვდილი, მოწყენილობა, შიში, სიცივე, სევდა, იმდგაცრეება, სიმხდალე, უძლურება, უმოქმედობა, სიცარიელე.</p>	<p><b>წითელი</b></p>	<p><b>დადებითი</b>                  სიყვარულის, ენერჯის, ვნების, თავგადასავლის, სილამაზის, სიცოცხლის, სიმამაცის, ძალაუფლების სიმბოლო;</p> <p><b>უარყოფითი</b>                  მტრობის, აგრესიის, საფრთხის, მღელვარების, ბოროტების, რისხვის, ომის, სისხლის, რევოლუციის, ბრძოლის, ცეცხლის, ცოდვის (უსამართლო სისხლი).</p>
<p><b>შავი</b></p>	<p><b>დადებითი</b>                  ელეგანტურობის, დახვეწილობის;</p> <p><b>უარყოფითი</b>                  ღრმა მწუხარების, სიკვდილის, ქაოსის, განადგურების, ანარქიის, უბედურების, შიშის, სიბნელის, სინანულის, გლოვის, ბოროტების, წესების დარღვევის სიმბოლო.</p>	<p><b>ყვითელი</b></p>	<p><b>დადებითი</b>                  სიხარულის, ჟრიაშის, იმედის, ოპტიმიზმის, ზაფხულის, ბედნიერების, გახსნილობის, შემოქმედებითობის;</p> <p><b>უარყოფითი</b>                  სნეულების, დაავადების, სევდის, სიცრუის, ეჭვიანობის, ღალატის სიმხდალის, არაკეთილსინდისიერების, სიხარბის, ცბიერების, ტყუილის სიმბოლო.</p>
<p><b>რუხი</b></p>	<p><b>უარყოფითი</b>                  უიმედობის, მორჩილების, გულგრილობის, დარდის, ჭმუნვის, მოწყენილობის, გაურკვევლობის, გაუბედაობის.</p>	<p><b>მწვანე</b></p>	<p><b>დადებითი</b>                  იმედის, უკვდავების („მარადმწვანე“), სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვების, მარადიულობის, რწმენის, გამოღვიძების, უსაფრთხოების, განახლების, ბუნების, სამყაროს კოსმიური მოძრაობის,</p>

			გონიერების, მიწიერების სიმბოლო;  <b>უარყოფითი</b> სირცხვილის, შურის, არასრულყოფილების აღმნიშვნელიცაა (უარყოფითი).
		<b>ლურჯი</b>	<b>დადებითი</b> სიმშვიდის, სულიერების, ღვთაებრივი ჰარმონიის, ერთგულობის, იდეალიზმის, მისტიციზმის, უკვდავების, უსასრულობის, იმედის, მუდმივობის, სიწყნარის, კეთილშობილების, დიდსულოვნების, სიბრძნის, გონიერების, სიწმინდის, წარმატების; <b>უარყოფითი</b> სიცივის, სევდის, დეპრესიის, მელანქოლია, პესიმიზმი.

## 2.7. განსხვავებული ფერების სემანტიკური ველი

გარდა ძირითადი ტერმინებისა, გვხვდება დამატებითი ფერები: ალისფერი, ალუბლისფერი, ატმისფერი, ბადრიჯნისფერი, ბორდოსფერი, გოგირდისფერი, ვარდისფერი, ვერცხლისფერი, ზღვისფერი, თაფლისფერი, თოვლისფერი, იასამნისფერი, იისფერი, კომშისფერი, კრემისფერი, კუპრისფერი, ლალისფერი, ლობიოსფერი, მარგალიტისფერი, მარწყვისფერი, მზისფერი, მთვარისფერი, მერცხლისფერი, მიხაკისფერი, მტრედისფერი, ნარინჯისფერი, ნაცრისფერი, ოქროსფერი, ჟანგისფერი, სანთლისფერი, სისხლისფერი, ფირუზისფერი, ქარვისფერი, ღამისფერი, ყავისფერი, შინდისფერი, ცეცხლისფერი, ცრემლისფერი, წაბლისფერი, წვიმისფერი, ხავერდისფერი, ხავსისფერი, ხორბლისფერი, ხოხბისფერი...

ისეთი მისტიკური, ტრანსცენდენტური ფერი, როგორცაა **იასამნისფერი** (წითელი+ლურჯი) აერთიანებს ლურჯის სტაბილურობას და წითლის ენერგიას. ეს ფერი ასოცირდება ინტუიციასთან, მხატვრულობასთან, მისტიციზმთან, ფარულ საიდუმლოებასთან, გაუცხოებასთან; განასახიერებს შთაგონებას, სიბრძნეს, იდუმალებას, თანაგრძნობას, კეთილშობილებას, შემოქმედებითობას. მუქი იასამნისფერი იწვევს სიბნელეს, იმედგაცრუებას. უნდა აღინიშნოს, რომ ბუნებაში ეს ფერი იშვიათია.

**ლურჯი-იისფერი** გამოხატავს სიცივეს, ღამეს, სიმშვიდეს, სამართლიანობას; **წითელი-იისფერი** ტონები – ვნებას, სიმძიმეს, ბრახს, შურისძიებას, სისხლს, ჯოჯოხეთის ცეცხლს; **იისფერი მეწამული ტონები** – სიჩუმეს, სინანულს, თავმდაბლობას, სიყვარულს.

**ვარდისფერს** (გათეთრებული იასამნისფერი) თავისი სემანტიკური ვარიაციებით ქართულში დადებითი მნიშვნელობა აქვს. **ვარდისფერი** (წითელი ფერის ენერგია + თეთრი ფერის სიმშვიდე) დამამშვიდებელია, სიცოცხლის ფერია, უკავშირდება რომანტიკას, სიკეთეს, არარეალურობას, თავისუფლებას, დაუცველობას, სინაზეს, სისუსტეს, გაუბედაობას. ამ ფერის სითეთრე ასუსტებს მოწითალო მეწამულის ენერგეტიკულ ძალას. ამ ფერს უპირატესობას ანიჭებენ ადამიანები, რომლებიც მთელ ცხოვრებას ზღაპრების, ოცნებებისა და სასწაულების სამყაროში ატარებენ. გამოთქმას – „ვარდისფერი სათვალთ ყურება“ – თავისი ანალოგი აქვს მრავალ ენაზე.

**ნარინჯისფერის სემანტიკა** – ეს ფერი აერთიანებს წითელი ფერის ენერგიას და ყვითელი ფერის ბედნიერებას. სემიოტიკურად ყველაზე კაშკაშა ფერი – ნარინჯისფერი (ფორთოხლისფერი) უკავშირდება შემოქმედებითობას, ამბიციას, სითბოს, ბედნიერებას, ახალგაზრდობას, ნათელ შთაბეჭდილებებს, ლიდერობას, წარმატებას, თავგადასავალს, გამბედაობას; მოასწავებს ახალ ეტაპს, ასხივებს ენერგიას, ემოციურობას, ენთუზიაზმს, სურვილს, საფრთხეს; ხელს უწყობს ცვლილებების სურვილს, აქტიურობას, პოზიტიურ თვითაღქმას, ამაღლებს თვითშეფასებას, ტოვებს მეგობრულობის, ან სიზარმაცის, უმოქმედობის, ავანტიურიზმის შთაბეჭდილებასაც.

**ნარინჯისფერის** დამატებითი ფერია **მეწამული**. ფსიქოლოგების აზრით, მეწამულში არის რყევები წითელსა და ლურჯს შორის, ანუ იმპულსურ სურვილსა და წინდახედულ მიმდებლობას შორის. მეწამული გამომხატველია მონანიების, სევდის, ზომიერების,

გლოვის, ნოსტალგიის, მწუხარების. ბიზანტიური ფერის სიმბოლიზმის თანახმად **მეწამული** აერთიანებდა ზეციურს, მარადიულს, ტრანსცენდენტურს.

უნდა აღინიშნოს, რომ „ცისფერყანწელების“ პოეტური მეტყველების მონაცემთა ბაზაში არასოდეს ყოფილა ნაპოვნი **ნარინჯისფერი**.

**ყავისფერი** (ნარინჯისფერი+შავი) თბილი, „მყუდრო“, ნეიტრალური ფერია. ყავისფერში წითელი ფერის იმპულსური სიცოცხლისუნარიანობა ჩამქრალია. ეს ფერი შეესაბამება დედამიწას, ხეებს, სახლს, შემოდგომას, ნიადაგს. ასოცირდება ერთგულებასთან, გამძლეობასთან, შრომისმოყვარეობასთან, მოწყენილობასთან. გერმანელი მკვლევრები განასხვავებენ ყავისფრის ისეთ თვისებებს, როგორცაა: მიწიერი, რთული, მოსაწყენი. ამ ფერის ინტერპრეტაცია შეიცვალა ცხოვრების სოციალურ პირობებთან მიმართებით.

**ყავისფერს** შეესაბამება: წაბლისფერი, მრეში, გრემა, შავწითელი, წიქარა, შოკოლადისფერი, მიხაკისფერი, მუქი თაფლისფერი.

**ჭრელი ფერების (ფერად-ფერადი) ამსახველი ლექსემები** – ჭრელი ფერის გადმოსაცემად ძირითადად გამოყენებულია ჭრელი შეფერილობის ცხოველთა და ფრინველთა სახელები: ოფოფისფერი, ხოხბისფერი, ფერადზოლებიანი, „ხეჭრელისფერი“ („ხეჭრელას“ კანი ჭრელი ფერის აქვს, მერქანი კი – მოწითალო) [ძაძამია, 2006: 63], ზებრასფერი, პეპლისფერი, ფარშავანგისფერი, ვეფხვისფერი; ფოთლებიანი, დაფოთლილი, ფოთლოვანი; დაწინწკლული; ჭრელწინკლებიანი, ზოლებიანი, მოჭრელო, მოფერადო, შავ-თეთრად შეფერილი, ფერად-ფერადი.

### თავი III

## ლექსემა „ფერი“ და ფერთა სხვა აღმნიშვნელობები

ლექსიკა ცვალებადია და მისი შესწავლა სინქრონიულად და დიაქრონიულად ხდება. ლექსემის მნიშვნელობა, შესაძლებელია, გამოკვლეულ იქნეს ენის ფარგლებში (სალექსიკონო მნიშვნელობა) და მეტყველების ფარგლებში. ლექსემა წარმოშობს ე.წ. სიტყვების სერიას, რომლებიც ერთი და იმავე ფუძიდან არის მიღებული. მაგალითად, ლექსემა „ლურჯი“ – წარმოშობს სიტყვებს: **სილურჯე, მოლურჯო, გალურჯებული...**

ლექსემა ე.წ. ძირითად მნიშვნელობას ეფუძნება, რომელსაც დროთა განმავლობაში ემატება, აკლდება ან ეცვლება ინფორმაციის ოდენობა და ხარისხი, რაც ნომინაციის ფუნქციას შეესაბამება [ჯორბენაძე, 1997: 134]. აფიქსაციის თვალსაზრისითაც ქართული ენა მრავალფეროვანია.

მართალია, სიტყვა ენის ლექსიკური დონის ძირითადი ერთეულია, მაგრამ იგი შეისწავლება არა მხოლოდ როგორც ლექსიკური, არამედ, როგორც ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური ერთეული. გამომდინარე იქიდან, თუ რაზე მიუთითებს სიტყვა, როგორც ნიშანი, იგი ამა თუ იმ მეტყველების ნაწილს ეკუთვნის.

ფერის ტერმინები ენაში **ბაზისურ** (მარტივი მორფოლოგიური სტრუქტურის) და **არაბაზისურ** (მეორადი, აღწერითი, მორფოლოგიურად არამარტივი) ტერმინებად იყოფა.

ფერების დაჯგუფება სირთულეს შეიცავს იმ მხრივ, რომ მათ შორის ყოველთვის არ არის მკვეთრი ზღვარი. უამრავი გარდამავალი ფერი არსებობს, აქედან გამომდინარე, ამა თუ იმ ფერის აღმნიშვნელი სიტყვის შეტანა რომელიმე ჯგუფში რთულდება [მირიანაშვილი, 1986: 7].



### 3.1. ლექსემა „ფერი“

ფერი სამყაროს აღქმის საშუალებაა. ის ძველ ქართულში ნიშნავდა „ფერსაც და ფორმასაც, გვარსაც, ხატსაც, სახესაც, ჰიპოსტასსაც“ [გამსახურდია, 1991].

ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონის მიხედვით, **ფერი** განიმარტება, როგორც – საღებავი; სახე, ხატი; გვარი, ნაირი (ენდრომს-ფერი, თითოფერი, თითოფერება, კაცის-ფერი, მეწამულისფერი, მრავალფერი, მრავალფერობა, ოქრო(მს)ფერი, სხუაფერი, უფერული, ღვძლისფერი, ცისფერი...); **ფერობა**– შდრ. მრავალფერობა; **ფეროვანი**-ი – ცისფეროვანი; კარგი ფერისა, ფერიანი [2008, 358].

ძველ ქართულში **ფერის** მნიშვნელობას ამ ძირისაგან მომდინარე დერივაციული სიტყვა **ფეროვნება**მ გადმოსცემს [ძამამია, 2006:13].

სულხან-საბას **ფერი** სიტყვის განმარტება არ აქვს მოცემული, მას ამ სიტყვისთვის სახეობითი ცნებების სახელწოდება აქვს მიწერილი. ასე, მაგალითად: „**ფერი** თეთრი, წითელი, შავი და მისთანა“. ამათგან, სიტყვას **თეთრი** მიწერილი აქვს მისი სინონიმი **სპეტაკი**; **წითელი** და **შავი** აღწერილია, როგორც რაღაცის ფერი: „ცეცხლისფერი“, „ყორნისფერი“. ამგვარი შედარების წესით არის განმარტებული სხვა მარტივი ფერებიც: „**მწვანე** – ბალახის ფერი“; „**ყვითელი** – ოქროს ფერი“; „**ლურჯი** – ცის ფერი“, ხოლო **ცისფერი** სიტყვის განმარტების ნაცვლად მოცემულია **ლურჯი**, როგორც სინონიმი [საბა, 1993:188].

შერეული (კომბინირებული) ფერები ჩამოთვლილია ბუდეში, რომელსაც სათაურად აქვს **რუხა** (წარმოადგენს გვარეობით ცნებას): „**რუხა** ყომრალ-ჭრელი; **მრეში** – წითელი სისვი; **ლიბრი** – ლურჯ-მოიისფრო; **ყვიჟილი** – შავ-მოიისფრო; **სისვი** – შავთეთრნარევი; **ვეჟანა** – ლომის ფერი“. ცალ-ცალკე განმარტებული ეს სიტყვები ყოველთვის არ იმეორებენ ბუდეში მოცემულ განმარტებას „ვეჟანა წითელშავი“ („წითელშავი“ – „ლომის ფერი“) [საბა, 1993:15]. ზოგი სიტყვა ბუდის გარეშეც არის დარჩენილი („**ჟალი** – შავ-მოწითალო“ [საბა, 1993:632].

საბას ლექსიკონში გვხვდება: **ფერად-ფერადობა** (ბიბინი, ღაჟღაჟა, ხაზალი), **ფერკეთილი** (საშუალო), **ფერმკრთალი** (ჩატეტკილი), **ფეროანი** (ყვითელფეროანი,

ყვითელფეროვანი), **ფერობა**, **პირფერობა**, **სისხლისფერობა**, **ფეროვანი** (ყვითელფეროვანი, ყვითელფეროვანი), **ფერწასული** (ფერმიკდილი)[საბა, 1998:174].

ლინგვისტიკაში სიტყვის მნიშვნელობა მისი სხვა ლექსემებთან შეწყობის პოტენციური შესაძლებლობით განისაზღვრება. ამ მხრივ, სიტყვა **ფერი** პროდუქტიულია, როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში.

ქვევით წარმოდგენილი საილუსტრაციო მასალა ამოკრებილია ქართული ენის ეროვნული კორპუსიდან:

### ძველი ქართული

„ფერი იცვალე **ფერი** პირისა შენისაჲ ყვითელ...“ (იოანე ოქროპირი);

„და არს **ფერი** თუალისაჲ მის ბრწყინავნ, ვითარცა ნაკუარცხალი“ (ეპიფანე კვიპრელი);

„და არს **ფერი** თუალისაჲ მის ესე თავადი, რომელ არს აკატი, ლომის ფერი“ (ეპიფანე კვიპრელი);

„ხეთ დაშავნა უფროდს **ნავშირისა ფერი**“ (კრებული: ოშკის ბიბლია);

„მის თვისისა გამოსცის **ფერი** ნალესავისა მის თვისისა“ (ეპიფანე კვიპრელი);

„და განაახლე **ფერი** დამჭნარისა ყუავილისაჲ“ (კრებული: ოშკის ბიბლია);

„ბივრილი იგი **გომილის ფერი**“ (ძველი აღთქმა);

„სიმჭლითა **მწუანის-ფერ-ყო** ფერი მისი მრავლითა“ (ეპიფანე კვიპრელი);

„...**ენდროს ფერი** და ბუვრილი იგი ტყავებისა მის სიავისათაჲ“ (კრებული: ოშკის ბიბლია);

„და ყოველი იგი ქუეყანაჲ ორი ფერი არს: **მოწითანე და ლურჯის ფერი**“ (კრებული: აგიოგრაფიული ტექსები(კეკელიძე);

„ვითარცა თუალისა მის **ამეთვსტონისაჲ ფერი** თვისი“ (ეპიფანე კვიპრელი);

„რადთა **მეწამული ფერი** ნიში მის ზედა ჟამსა აღსრულებულ გამოჩნდეს“ (იპოლიტე რომაელი);

„რომელ არს მწუანის ფერი, რომელსა იგი ბერძენთა ჰრქვან პრასინოს...“ (ეპიფანე კვიპრელი);

„ყოვლად-ვე აქუს სისპეტაკისა ფერი რადმე“ (ეპიფანე კვიპრელი);

„...ხოლო მძარხველისა ძოწეულის ფერი იპოვების მას შინა“ (ეპიფანე კვიპრელი).

### საშუალი ქართული

„აღმოსავლეთით ალის ფერი მარიხი ციმციმებდა“ (მიხეილ ჯავახიშვილი);

„აღმასის ფერი შუბი აიღო...“ (აბულ ყასიმ ფირდოუსი);

„ახლის შავისა სუმბულისა ფერი წვერი ეხვეოდა“ („თიმსარიანი“ (ხალხური), მთარგმნ. თეიმურაზ II);

„ნარგიზისა ფერი მამწონს, სხუა რა უქო სულთა დენით“ (ფეშანგი);

„ტირილისგან ტანისამოსი მისი სისხლითა დასურილი იყვის და კუნესისგან პირი მისი ოქროის ფერი“ (გორგანი);

„პილოს გვერდით დია ჯარი ოქროის ფერი სარმუზისა...“ (აბულ ყასიმ ფირდოუსი);

„ვახშამიც იქ ვჭამოთ, ღვინო და ძოწის ფერი ბაგეები ერთმანეთს შევჭიდოთ...“ („თიმსარიანი“ (ხალხური), მთარგმნ. თეიმურაზ II).

### ახალი ქართული

„სიკვდილის ფერი ედო“ (ილია ჭავჭავაძე);

„მკვდრის ფერი დაედვა!..“ (აკაკი წერეთელი);

„მენადირეთუხუცესმა სამი ქორი მიართვა, ფოლადის ფერი“ (კონსტანტინე გამსახურდია);

„ქედი გაწოლილიყო: ზოგჯერ ვარდის ფერი, ზოგჯერ მუქი, ლილისა და ზოგჯერ ათასნაირად შეღებილი“ (მიხეილ ჯავახიშვილი);

„აღმოსავლეთით **ალის ფერი** მარხი ციმციმებდა“ (მიხეილ ჯავახიშვილი);

„...და მომაკვდავსაც იმ **ლამფის ფერი** ადევს“ (მიხეილ ჯავახიშვილი);

„**ფითრის ფერი** ედო, მაგრამ უკვე განკურნებული იყო“ (მიხეილ ჯავახიშვილი);

„ქართული ქათიბი, – კვერნით შემოვლებული, **მუქშინდის ფერი** ხავერდი“ (მიხეილ ჯავახიშვილი);

„დედას **ადამიანის ფერი** აღარ ედო“ (ნოდარ დუმბაძე);

„შესაძლებელია ეს მხოლოდ **ფერი იყო, განყენებული, უსაგნო ფერი**“ (ჯემალ ქარჩხაძე);

„...ანტონს კი **მიწის ფერი** ადევს“ (ოთარ ჭილაძე);

„ღვინო მაინც იყოს! **ფერი ლალისა, გემო წყალისა**“ (ოთარ ჭილაძე);

„ყველას **სიძველის ფერი** გადაჰკრავს სახეზე“ (ოთარ ჭილაძე);

„ოთახის ერთ-ერთი კუთხიდან **ფორთოხლის ფერი** შემოეფეთა“ (გურამ ოდიშარია).

სხვადასხვა ფერის აღმნიშვნელი სიტყვები ზოგჯერ ერთმანეთს ჰგავს, ზოგჯერ – განსხვავებულია; ერთნი დიდი სინონიმური ნიჭით (სიკვდილის ფერი, მკვდრის ფერი...) ხასიათდება, მეორენი – ნაკლებით; ზოგიც ისეთ ნიუანსს შეიცავს, რომელიც დღეს თითქმის ისე არ ესადაგება, ან საერთოდ დაკარგული აქვს ფერის გაგება (გომილის ფერი, სისპეტაკისა ფერი, ლამფის ფერი...).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, სიტყვას **ფერი** შემდეგი მნიშვნელობა აქვს:

1. შთაბეჭდილება, რომელსაც ახდენს თვალზე საგნის მიერ არეკლილი სინათლე;
2. ადამიანის სახის ასეთი თუ ისეთი შეფერილობა;
3. მოვარდისფრო საღებავი სახისა (ხმარობდნენ უმარილთან ერთად);
4. ვისიმე შესაფერი (ქეგლ, ტ. VII, 1962).

სხვა ლექსიკონების მიხედვით, სიტყვას **ფერი** შემდეგი მნიშვნელობა აქვს:

1. შთაბეჭდილება, რომელსაც ახდენს თვალზე საგნის მიერ არეკლილი სინათლე. (მგლის ფერი, სამარის ფერი ადევს, სიკვდილის ფერი, მიწის ფერი ადევს).

2. **შეფერილობა** საგნის, ადამიანის კანის, თმის ფერის, ცხოველის ბეწვის, ქსოვილის, ძვირფასი ქვის, მცენარის, მეტალის და ასე შემდეგ. მაგალითად: ნაცრისფერი თვალები, „ვარდისფერლოყებიანი“, ფერდაკარგული ქალი, ფერშერეული ტანსაცმელი;

**ადამიანის სახის** ასეთი თუ ისეთი **შეფერილობა** – ფერმა გადაჰკრა (ფერი ეცვლება), ფერს იცვლის, ფერი ელევა (ფერს კარგავს, გაფერმკრთალდება, ბაცდება), ფერი ეკარგება (უფერული ხდება, ხუნდება), ფერზე მოდის (კარგ ფერზე დგება), ფერი წაუვა (ფერს დაკარგავს, გაფითრდება), ფერი მისდის, ფერი დაეტყობა (გამშვენიერდება);

**ადამიანის ჯანმრთელობა ან მისი ფსიქიკური მდგომარეობა:** ფერშეცვლილი, ფერგამქრალი, ფერწამხდარი, ფერდაკარგული, უფერული.

**გაფითრება:** ფერმკრთალი, ფერგადამკრთალეული, ფერდაკარგული, ფერგადასული, ფერწასული, ფერგამქრალი, ფერწამხდარი.

3. **მოვარდისფრო საღებავი** სახისა (ფერი მიეცემა (ამა თუ იმ ფერისა გახდება);

4. **სიჭრელე:** ფერშერეული, ფერადი (მრავალგვარი, ნაირგვარი, სხვადასხვა ფერისა), „ჭიაფერი“ (მოწითალო ღეროსა და თეთრი ყვავილების მქონე ბალახოვანი მცენარე), ფეროვანი, მოფერადო.

5. **ვისიმე შესაფერი** – ვისამე ან რისამე მსგავსი // შესაფერი, საკადრი, სადარი (გადატ.). „ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო!“ – იტყვიან, როდესაც ერთმანეთის შესაფერნი არიან.

ნ. ჩიქოვანის მიხედვით, სიტყვა **ფერის** თანამნიშვნელობიანია: მშვენიერება, სილამაზე, ნაირი, არსი (ფერი, რომელიც გამოხატავს არსს, – „გვაქვს უთვალავი ფერთა“ („ვეფხისტყაოსანი“), მსგავსი, სახე, სხვადასხვა ბუნება და ა.შ. [ჩიქოვანი, 1992: 14-18].

**ფერისგან** ნაწარმოები სიტყვებია: **უფერო, უფერული, ფერადი, ფერადოვნება, ელფერი** (ოდნავ შესამჩნევი სხვაობა; იერი, შესახედაობა)...

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მრავლადაა **ფერი** კომპონენტით ნაწარმოები ფერთა ტერმინი: **ალისფერი** (ღია წითელი), **აგურისფერი** (მოყვითალო წითელი), **დარიჩინისფერი** (მრემი), **გიშრისფერი** (ძალიან შავი), **ვარდისფერი** (მკრთალი წითელი), **ენდროსფერი** (წითელი), **ზაფრანისფერი** (ყვითელი), **ვერცხლისფერი** (მზინავი), **ზღვისფერი** (ლურჯი, ლაჟვარდი, ზურმუხტისფერი (მწვანე), **თაფლისფერი** (მოყვითალო

ჩალისფერი), **თამბაქოსფერი** (მოყვითალო-მოყავისფრო), **თაგვისფერი** (მუქი ნაცრისფერი), **იასამნისფერი** (იასამნის ყვავილის ფერი, მოწითალო იისფერი), **იისფერი** (რაც ფერით იას მოგვაგონებს, მოწითალო ლურჯი), **ისრიმისფერი** (მოლურჯო-მომწვანო), **ირისისფერი** (ზამბახისფერი), **კრემისფერი** (მოყვითალო თეთრი), **კვამლისფერი** (მონაცისფრო), **კურდღლისფერი** (ლეგა, რუხი), **ლალისფერი** (მუქი წითელი), **ლაინისფერი** (მუქი ლურჯი), **ლაჟვარდისფერი** (ღია ლურჯი), **მარჯნისფერი** (რაც ფერით მარჯანს მოგვაგონებს), **მარწყვისფერი** (ღია წითელი), **მაყვლისფერი** (მაყვალისფერ შავი), **მიწისფერი** (რუხი), **მგლისფერი** (რუხი), **მიხაკისფერი** (ყავისფერი), **მოლისფერი** (ღია მწვანე), **მკვდრისფერი** (ყვითელ-მწვანე), **მტრედისფერი** (ღია ლურჯი, მოცისფრო), **ნამჯისფერი** (იგივე ჩალისფერი), **მურისფერი** (შავი), **ნარინჯისფერი** (მოწითალო-ყვითელი), **ოქროსფერი** (ოქროს მსგავსი ფერი), **ნაცრისფერი** (რუხი, ლეგა), **პლატინისფერი** (მოვერცხლისფერო თეთრი), **პირისფერი** (მკრთალი წითელი, ვარდისფერი), **ჟანგაროსფერი** (მწვანე ფერი), **ჟოლოსფერი** (მოწითალო-ვარდისფერი), **ჟანგისფერი** (წითელმურა), **რკინისფერი** (რაც ფერით რკინას მოგვაგონებს), **სადაფისფერი** (რაც სადაფს ფერით მოგვაგონებს), **რძისფერი** (რაც ფერით რძეს მოგვაგონებს), **სანთლისფერი** (ყვითელი, გაფითრებული), **სვილისფერი** (მკრთალი შავგრემანი), **საფირონისფერი** (რაც ფერით საფირონს მოგვაგონებს), **სპილენძისფერი** (რაც ფერით სპილენძს მოგვაგონებს), **სისხლისფერი** (მუქი წითელი), **სუროსფერი** (მუქი მწვანე), **უნაბისფერი** (მოყვითალო-მოყავისფრო წითელი), **ტყვიისფერი** (მუქი ნაცრისფერი, რუხი), **ქარვისფერი** (რაც ფერით ქარვას მოგვაგონებს), **ფირუზისფერი** (ცისფერი), **ღვინისფერი** (წითელი ღვინის ფერის მქონე; მოშავო წითელი), **ღანძილისფერი** (მუქი მწვანე), **ყავისფერი** (მიხაკისფერი), **ლოღნოშოსფერი** (მუქი ლურჯი), **შაქრისფერი** (ღია ხორბლისფერი), **ყორნისფერი** (ძალიან შავი), **შინდისფერი** (მუქი წითელი), **ცეცხლისფერი** (ალისფერი), **ჩაისფერი** (მუქი ჩალისფერი), **ცილისფერი** (მოყვითალო თეთრი), **ცვილისფერი** (გაყვითლებული, სანთლისფერი), **ცისფერი** (ღია ლურჯი), **მოწისფერი** (მოწეული), **წენგოსფერი** (მუქი ყავისფერი), **წაბლისფერი** (წაბლა, ჟღალი, თაფლა), **ჭერმისფერი** (მოწითალო-ყვითელი), **წყლისფერი** (ოდნავ მონაცისფრო; უფერული), **ჭიაფერი** (წითელი ფერის საღებავი / წითელი), **ჭვარტლისფერი** (შავი), **ხაკისფერი** (მოყავისფრო მწვანე), **ხავისფერი** (მუქი მწვანე), **ხვლიკისფერი** (მომწვანო

ნაცრისფერი), **ხორბლისფერი** (შავგრემანისა და თეთრის საშუალო (კანი), **ხობბისფერი** (ცისფრად მოელვარე ჭრელი), **ხორცისფერი** (ხორცთან შეხამებული ფერი, – პირისფერი), **ჯორაფერი** (მოწითალო-მოშავო), **ჯიგრისფერი** (რაც ფერით ჯიგარს (ღვიძლს) მოგვაგონებს, – შავ-წითელი, მუქი წითელი).

**ფერი** გვხვდება აგრეთვე სხვა კომპოზიტების შემადგენელ ნაწილად: **ფერდაკარგული, ფერწასული, ფერმიხდილი, ფერგამქრალი, ფერმკრთალი, ფერისცვალება, მრავალფეროვანი, ფერად-ფერადი... არაფერი, ყველაფერი, მრავალფერი...**

სიტყვა **ფერი** გამოიყენება იდიომატურ გამოთქმებში: „ფერი ეცვლება“, „ფერი მისდის“ (სახის ფერს კარგავს, შიშისაგან, ავადმყოფობისაგან ფითრდება), „ფერი დაედება“ (ფერს მიიღებს)... (ქეგლ, I–VIII, თბ., 1950-1964, 64.)

**ფერ-** ძირი გვხვდება რელიგიური დღესასწაულის სახელწოდებაშიც: **ფერისცვალება**. მაცხოვრის **ფერისცვალება** ნიშნავდა, რომ მან ფორმა, ხატი, იერსახე შეიცვალა. ფერის ბუნებას ხსნის გრიგოლ ნოსელი ნაშრომში „პასუხი ექუსთა მათ დღეთათჳს“: „და ქუეყანად ესე იყო უხილავ და განუმზადებელ“... „და ამას სწამებს სიტყუად იგი და იტყვის ვითარმედ: უხილავ იყო იგი, რამეთუ უხილავსა ფერი არა არს, ხოლო ფერი, ვითარცა დინება რაიმე, იქმნების სახე პირისა მის გამოჩინებულისა და სახე უგუამოდ შეუძლებელ არს, ვინადთგან უხილავ იყო, უსახურიცა იყო უეჭველად და ამას თანაშეეტყუების გამოუსახველობადცა და მას კუალად უჯორცობად და „განუმზადებელ“ სახელდებად მოასწავებს, ვითარმე არღა განწმირებულ იყო იგი ჳორციელთა საკუთრებათა მიერ“. ხალხური წარმოდგენებით თუ ფერი სახიერება და ხორციელებაა, უფერულობა – უსახურობაა, ეშმაკის, სატანის თვისებაა: „ეშმაკი წყლის ფერიაო. ერთფერობა ერთგვარობისა და სწორფერობის მნიშვნელობით იხმარებოდა [მოსია, 2004: 131]. „ახესალომ და ეთერი ღმერთმა შეჰყარა ერთფერი“ .

წითელი, ლურჯი, მწვანე, ყვითელი... **აბსტრაქტული** სახელებია; ხოლო **კონკრეტულია**, მაგალითად, თაფლისფერი, ოქროსფერი, სანთლისფერი, ვარდისფერი, ჟანგისფერი, ქარვისფერი და სხვა.

გ. კვარაცხელია გამოყოფს სპეციალიზებულ-ცალკეულ სახელებს: **ლურჯა, ქურანი, ზერდაგი, წითლა, შილა, ქერა, შავგრემანი, სვილა, წითური, მურა**. პირველი ოთხი ცხენთა სახელია. **ლურჯა** – „მოლურჯო რუხი ფერის ცხენია“, **ქურანი** – „წაბლისფერი ცხენი“,

**ზერდაგი** – „ჩალისფერი, მოყვითალო ცხენი“, **წითლა** – „წითელი ფერის ცხენი“. ხალხურ პოეზიაში სიტყვა **თეთრონი** ცხენის მიმართ იხმარება, ვაჟასთან კი გარეული ტახის ეპითეტია (ზღ. „დათვი“) [კვარაცხელია, 1974: 35].

ნ. მირიანაშვილს თავის ნაშრომში „ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკა ქართულსა და რუსულ ენებში“ განხილული აქვს ადამიანის დამახასიათებელი (თმის ფერის, სახის (კანის) თვალების) ფერებისა და ცხოველების შეფერილობის ამსახველი ლექსიკა [მირიანაშვილი, 1986:72]. არსებითა არა მხოლოდ ის, თუ რა ფორმითაა წარმოდგენილი ფერი, არამედ უმთავრესია მისი სემანტიკური დატვირთვაც, რომელთა მეშვეობით ფერთა ნაირგვარობით იქმნება ე.წ. თემატური რკალები, რომლებიც ასახავენ:

**ა) ადამიანს (თვალის, სახის/კანის, თმის ფერის ამსახველი ლექსიკა):**

მაგალითებს მოვიყვანთ ცისფერყანწელთა პოეზიიდან:

**კ. ნადირაძე:**

„მწვანე თვალებში უპოვიათ სადგური ბინდებს“ („ტარანტული“);

„მოთაფლისფერო სახე მამების. / და საცეცხლურში ცოტა ნაცარი“ („ოცნება საქართველოზე“);

„მთვარის ამოსვლას ვეგებები თეთრ ტანსაცმელში / ვერცხლის აუზში ვაბანავებ მის ფერმკრთალ სახეს („მთვარის ქურდები“).

**ტ. ტაბიძე:**

„...და ნიავს მიაქვს ყვითელი ჩალა, / იშლება შენი თმა თაფლისფერი“ („შეხვედრა კონსტ. ბალმონტთან მოსკოვის ახლოს ტყის ქალაქში“);

„უაილდის პროფილი... ცისფერი თვალები, / სარკეში იმალება თმათეთრი ინფანტა“ („ავტოპორტრეტი“).

**ვ. გაფრინდაშვილი:**

„მარაო ჭრელი, მოქარგული წვიმისფერ ხელით, / ყვავილობს, როგორც გაზაფხულის ნორჩი დაისი“ („ცეცხლიან სარკეებში“);



„თქვენს ლურჯ თვალებში ჩაიხედა ბევრმა დაისმა“ („სომნამბულა“).

**პ. იაშვილი:**

„...და დაღალულან დედოფალის თეთრი ხელები. / დედოფლის სახე ფერმკრთალია, ვით ნისლში გედი“ („მეფის ქორწილი“);

„ნუ გეშინია ჩემო კარგო თმაში ჭაღარა, / ეს სინათლეა სიყვარულს რომ შემატებია“ (ლექსებიდან: „ღირიკული მისამართები“).

**გრ. რობაქიძე:**

„ლურჯთვალა და თეთრყელა“ („ტივით მივალთ, ტივით მივალთ“);

„ხავსისფერ კანზე მზის ხაოთი სქლად მოქვეთილი“ („ვასაკა“);

„ჟღალი თვალებით „შიში ძველი“ შენთან მოიარს“ („ტიციან ტაბიძეს“).

**ბ) ტანსაცმელს:**

**პ. იაშვილი:**

„ვხედავ ბალახის წვეტიან ფირუზს / და ქალებს, წითელ თავსაფრიანებს“ („მიმათვა კოლხიდას“);

„როცა მე ქალაქში მაწუხებს, მახელებს, / ყველა ყელსახვევი, შავი ხელთათმანი“ („წერილი დედას“);

„ცისფერი კაბა აცვია, ცისფერი ფეხსაცმელები“ („თინას ლექსი“).

**კ. ნადირაძე:**

„თეთრ კაბით მოგრთავ, დაგიკოცნით მცივანა ფეხებს“ („NOTRE-DAME“).

**ვ. გაფრინდაშვილი:**

„მომღერალ ქალმა ცისფერი ქოშით...“ („მორიალი და სოპრანო“).

**ტ. ტაბიძე:**

„შავ ანაფორას მეწამული გადაჰკრავს ფერი“ („მაგიწინაპარი“).

### **გ) ცხოველებსა და ფრინველებს:**

#### **პ. იაშვილი:**

„როდესაც მაღალ ქარხნის მილიდან, / იფეთქებს გუნდი შავი შაშვების“ (პოეზიის ინჟინერებს“);

„ხევსურებიც ჩამოვიდნენ, იმათ წითურ, შვერულ ცხენებს / მხიარული კოცონები მიაფენენ ოქროს ენებს“ („უკრაინელი ქალის სიმღერა“);

„ზის და დუმს რუხი კურდღელი, / როგორც უძღურის წესია“ („მთაში მოსულა ზამთარი“);

„კნავიან სახლებზე ფერადი კატები“ („ფარშავანგები ქალაქში“).

#### **კ. ნადირაძე:**

თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით შემოდისოდა სიკვდილი ცელით!“ („25 თებერვალი“).

#### **შ. აფხაიძე:**

„შავ ყორნებივით დაგტირიან და გეძახიან!“ („ჩემი ორი დის წმინდა ხსოვნას“).

#### **გრ. რობაქიძე:**

„თეთრი გედივით გახდი ნათელი“ („ოვანესთუმანიან“);

„მხოლოდ სიმთვრალე შაირისა გულით დაინდე / მოწითურ რაშსა მიაქანებ თეთრი რაინდი“ (პაოლო იაშვილს).

#### **ვ. გაფრინდაშვილი:**

„მეფრქვევა თოვლი, მიცქერიან რაშები წყრომით, / და მე მხედარი გაყინული თეთრ ცხენზე ვკვდები“ („მისტიური მარულა“).

დ) ბუნებას, რეალურ თუ ირეალურ სამყაროს (მცენარე, ფოთოლი, ბალახი, ცა, მზე, მთა...):

**პ. იაშვილი:**

„შორს უკვე თეთრი მთებია, / მთებში მოსულა ზამთარი“ („მთაში მოსულა ზამთარი“);

„შენს მწვანე ფოთლებს დილით თუ ეცა / სიო, ჩურჩული, ჩიტების ფრთები“ („ქუთაისისთვის“);

„მწვანე ფოთოლი, ფრინველის ხმა, წყაროს წკარუნი“ („მწვერვალებიდან“);

„მწვანე ბალახში წივილივით დაფაცურდება...“

„...და ლურჯ ჰაერის ელვარება ისე სქელია, / რომ დიდ მდინარეს ემატება ზეციურ ფშანად“ („დილა“).

**ვ. გაფრინდაშვილი:**

„ყვითელ ფოთლებთან ანიაველება / ოქროსფერი და ცრუ დეზდემონა“ („ოქტომბრის დეზდემონა“);

„სუსხიან სევდით დაუბურავი, / მუდამ დამტკვარი იისფერ მთებით“ („რიონი“).

**გ. რობაქიძე:**

„წითურ-დათოვლილნი ფოთლებითა მღელვარენი / ციურ აღმურში იზრდებიან მზის მცენარენი“ („პანი“);

„ვერის ხიდზე ქარი ზუის, მწვანე ზღაპარს ანიავებს...“ („ვერის ხიდზე“).

**ტ. ტაბიძე:**

„ყვითელ ფოთლებში მე ვიხრჩობი და ვიმარხები“ („ნოემბერი“);

„ბნელი ღამეა, ვით ფიქრი შავი“ („მელიტონ ჩიგოვადის ხსოვნას“);

„დაბადებიდან წილად მშთენია, / აღარ მშორდება შავი ნალველი“ („მელოდია“);

„...მაგრამ სიკვდილსაც, შავ სიკვდილსაც აქვს გაზაფხული“ („სასაფლაოზე“);

„შავი ღამეა, ცა გლოვობს“ („შემოდგომის ღამე“).

### კ. ნადირაძე:

„იდგა ზაფხული ამწვანებული...“ („ხის სიკვდილი“);

„მხოლოდ მხიარულ ჩიტებს უკვრდათ / გამოყვითლება ფოთლების ჩქარი...“ („ხის სიკვდილი“);

„შენ ველარ გიმზერ. ჩემი სიმღერა / აღარ მოესმის შენს ცისფერ ველებს!“ („იმერეთი“);

„ვის გაჰყვა ცისფერ ფოთოლთ შრიალი?!“ („ფოთლები“);

„თეთრი ღრუბელი, ქარით დევნილი, / ისევე ნაზად მიცურავს ნელა“ („ეძებ თეთრ ჩოხას ბედი მიკერავს“);

„ჭრელი სუფრა გაუშლია / მწვანე აპრილს ველად!“ („ეს, რა დიდი დრო გასულა!“);

„ქცეული ცისფერ მღელვარე ტალღად“ („ცისფერი ყვავილი“);

ცისფერ ყვავილით მე მოვალ შენთან – ვეძებდი ტრფობის ვარდნარს და იანს!.. („ცისფერი ყვავილი“).

### ნ. მიწიშვილი

„ზღვაში ვარდება წითელი მზე – ცათ ნაგორები“ („წითელი გველი“);

„შავი ვარსკვალვი“ (ლექსის სათაური);

„...და ყოველ წლობით თეთრ დეკემბერში; თვე მე და შენი გარდაცვალების“ („ფანტასტიკური ქორწინება“).

ამდენად, ფერი მიემართება ბუნების, ადამიანის (თვალის, სახის/კანის, თმის ფერის ამსახველი ლექსიკა), ტანსაცმლის, ცხოველებისა და ფრინველების, ასევე მათი შეფერილობის ამსახველ ლექსიკას, პოეზიაში კი რეალურ თუ ირეალურ სამყაროს.

### 3.2. ფერის მახასიათებლების აღმნიშვნელი ლექსიკა და სემიოტიკა

ცალკე ჯგუფად გამოიყოფა ისეთი სახელები, რომლებიც სინათლისა და ფერის მოვლენებს ახასიათებენ. გვხვდება ღია და მუქი, მხიარული და მწუხარე კატეგორიები: ფერის მახასიათებლების აღმნიშვნელი სიტყვებია: **ბაცი, ბნელი, გაცრეცილი, გახუნებული, ელვარე, თალხი, კამკამა, კაშკაშა, ლაპლაპა, მბზინავი, მიმქრალი, მკვეთრი, მკრთალი, მოღრუბლული, მოჭერილი, მუქი, მქრქალი, მცხრალი, მხიარული, ნათელი, ნაჯერი, პრიალა, სპეტაკი, „ფეერიული“, ქათქათა, ღია, ციმციმა, ჭრელი, ჭრელ-ჭრელი, ჭროლა, ხასხასა...**

„მისი ხასხასა ფერთა ნავარდი“ („რა ლამაზია“, შ. აფხაიძე);

„ვეფხების ლოთობა, ჭრელი ბოროტება“ („იქითური“, პ. იაშვილი); „ფეერიული და ეფემერი“ („ბირგამიის ტყე“, ტ. ტაბიძე).

ასევე ფერის მახასიათებლად აღწერითი წარმოების ხარისხის ფორმებიც გვხვდება: **ძალიან, სულ, ყველაზე, მეტად ოდნავ, ცოტა...** (ძალიან შავი / სულ შავი / სულ-სულ შავი / ყველაზე შავი / მეტად შავი...ოდნავ ღია / ოდნავ-ოდნავ ღია / ცოტა ღია...

„მცხეთის ცა ძლიერ, ძლიერ ლურჯია, / შაბიამანზეც კი უფრო ლურჯი. / „...შენი მქრქალია, უფრო დაბალი“ (უსათაურო „მცხეთის ცა ძლიერ, ძლიერ ლურჯია“, შ. აფხაიძე).

სინათლისა და სიბნელის ფერით მოვლენებს დადებითი და უარყოფითი მნიშვნელობები აქვთ:

**სპეტაკი, ნათელი, სინათლე** უკავშირდება იმედს:

„შეხვალთ შიგნით, ნახავთ დარბაზს... სადას, ნათელს, კეთილშობილს“ („თეატრი“, პ. იაშვილი);

„თოვლის სპეტაკი ბრწყინვალეობა და სხივოსნობა“ („მინაწერი“, კ. ნადირაძე);

„მხოლოდ შუქთა კამარა / ვერაფერმა დაფარა“ („ლურჯა ცხენები“, გალაკტიონ ტაბიძე);

„ამომავალ მზის ოქროს ნათელი / თავზე ადგება საქართველოს მთებს“ („ამოდის, ნათდება!“ ტ. ტაბიძე).

მკრთალი, ფერმკრთალი, ფერწასული, შეფითრებული, ფერგადასული, გაფითრება უფერულია, უსიცოცხლო, ნაღვლიანი და უსიხარულოა, ქმნის უარყოფით ემოციურ ფონს: „დედოფლის სახე ფერმკრთალია, ვით ნისლში გედი“ („მეფის ქორწილი“, პ. იაშვილი); „როცა გაფითრდა და დადუმდა, იმავე დღიდან...“ („მოგონება“, პ. იაშვილი); „მაგრამ ფერწასულ დღეთა ლოცვაში / მალე გაქრება სიცოცხლის ტრფობა“ („ფანტასტიკური ქორწინება“, ნ. მიწიშვილი); „მრავალ თვალებში მკრთალი სახით გავმეორდები“ („Neurastenia“, კ. ნადირაძე); „...და ახლა სევდა ფერგადასულ წამებს მაზარებს“ („სინანული“, ვალ. გაფრინდაშვილი).

უარყოფითი მნიშვნელობა აქვს სიბნელის ფერით მოვლენებს. წყვილია, ჩრდილი, ბინდი, ბინდისებური, ბნელი, სიბნელე სიკვდილთან, მწუხარებასთან ასოცირდება, ღამე კიიღებს იდუმალების სახეს:

„ღამის წყვილია წვიმამ ჩარეცხა“ („დღეს უსათუოდ ღამაში დღეა“, შ. აფხაიძე); „...მოვა შუაღამის ბნელი სტუმარივით / სანთლებს გაანელებს, დარბაზს დააბნელებს... / ცივი უდაბნოა ღამე უშფოთველი“ (გალაკტიონ ტაბიძე, „საუბარი“); „მეც მათთან ერთად ავტირდები ბნელ ღამეებში“ („მთვარის ქურდები“, კ. ნადირაძე); „ცამ სულ დახუჭა თვალი, დაბნელდა“ („წვიმა ქალაქში“, შ. აფხაიძე); „სძინავს სამყაროს, ნისლით დაბურულს, / გაუმჭვირვალე ღამეა ბნელი“ („მუზას“, ტ. ტაბიძე); „ღამის სიბნელეს შექვითინებს ხმა“ („სევდის ღამეში“, ტ. ტაბიძე); „წინ გადავუდგე მწუხრის სქელ ბინდებს“ (უსათაურო „ქვეყნად მოვსულვარ, რომ გავიხარო“, შ. აფხაიძე); „ტირილი სკრიპკის; მერმედ სიჩუმე და დაღლილობა ბინდისებური“ („Interieur“, კ. ნადირაძე); „უეცრად ჩრდილი შავი, მოზრდილი / გადაეფარა ლაჟვარდის გუმბათს / და დღე შუქიდან თითქმის დაცალა“ („წვიმა ქალაქში“, შ. აფხაიძე);

„არ გიყვარს ღამე – სასიკვდილო შავი არშია“ („ქალს ჩაჯენილ თვალით“, ვალ. გაფრინდაშვილი).

„...და კვიპაროზთა თალხი გუნდი წყვდიადობს ბაღში („სონეტი“, ვ. გაფრინდაშვილი);

„ცისფერყანწელთა“ ლექსებში ზოგჯერ ფერი არ არის ნახსენები, მაგრამ კონტექსტიდან ჩანს, რომ ფერზეა საუბარი.

### 3.3. ძვირფასი ქვებისა და ლითონების ფერის აღმნიშვნელი ერთეულები

ძვირფასი ქვებისა და ლითონების მიხედვით განირჩევა ფერთან დაკავშირებული სიმბოლოები:

ა) პირველი ტიპის ფერის სიმბოლო, ანუ ფერი თავისთავად (ბაზისური ფერები: თეთრი, შავი, რუხი, წითელი, ყვითელი, მწვანე და ლურჯი);

ბ) მეორე ტიპის ფერის სიმბოლო, რომელიც ორ ან მეტ ფერს შეიცავს და რომლის მნიშვნელობა არ არის ცალკეული ფერების მნიშვნელობების ჯამი;

გ) მესამე ტიპია ფერადი ფორმების სიმბოლო, როგორც კონკრეტული ფიზიკური ობიექტები, ასე, მაგალითად, ძვირფასი ქვები: ზურმუხტი, ლალი, გიშერი, ქარვა, ლაჟვარდი, იაგუნდი... ძვირფასი ლითონები: ოქრო, ვერცხლი.

ძვირფასი ქვების სახელები ფერთან მიმართებით ორი სახით გვხვდება „ცისფერყანწელთა“ შემოქმედებაში: ერთი მხრივ, ისინი წარმოადგენენ ფერის აღმნიშვნელ კომპოზიტურ სიტყვათა შემადგენელ ნაწილს: მარჯნისფერი, ქარვისფერი, ლაჟვარდისფერი, გიშრისფერი, იაგუნდისფერი, ზურმუხტისფერი, ლალისფერი, ფირუზისფერი, მარგალიტისფერი, მეორე მხრივ, ძვირფასი ქვების სახელები ზურმუხტი, მარჯანი, ლალი, გიშერი, აღმასი... გამოყენებულია ფერის მნიშვნელობით:

ა) „მწყურია ღამე, ვით ქარვისფერ წმინდანს – უდაბნო“ („ძონძეში“, ვალ. გაფრინდაშვილი);

„ფირუზის თასი ქარვისფერი ღვინით აივსო“ („მეფის ქორწილი“, პ. იაშვილი);

„ქარვისფერ ლოცვებს ვადნობ შენ წინ ამაყი გურჯი („მზე ყველას ყოფნის“, შ. აფხაიძე);

„ლალისფერ დაისს გაათეთრებს თოვლის მარულა“ („დაისი მეშვიდე“, ვ. გაფრინდაშვილი);

„ლალისფერა, ქარვისფერა / დულს და ქვევრებს ეძალება“ / „ყვითელ-წითელ ხალიჩაზე...“ („კახეთის დედოფალი“, ს. შანშიაშვილი);

„ანთებს ჩემს ლოყებს ლალისფრად, გველურად“ („წითელი ბატონები“, ვ. გაფრინდაშვილი);

„სისხლში ამოსვრილ გიშრისფერ დროშით“ („სიზმარი“, ვ. გაფრინდაშვილი);

„მზე მარჯნისფერი ისევ ბდღვრიალებს!“ („მზე მარჯნისფერად ისევ ბდღვრიალებს!“ გ. ლეონიძე);

„მახსოვს ბორანი ლაჟვარდისფერი“ („რიონი“, ვ. გაფრინდაშვილი);

„...და მარგალიტისფერი სხეული“ („ოცნება საქართველოზე“, ვ. ნადირაძე);

„თქვენ, ოფაზებო, ჩემს კაემანს ეყვითელმთავრეთ...“ / „ვერ დავეწევი – იაგუნდის ფერად მტირალი“ („მვირაფსი ქვების ვიზიონერი“, ვ. გაფრინდაშვილი);

„ფირუზისფერი აბაჟურით ჩაქრა შანდალი, / ცივი ბალიში თეთრ ლოცვებმა დამინოტიეს“ („განსვენება“, შ. კარმელი).

უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ სიმბოლისტებთან იშვიათად გვხვდება ფირუზისფერი. იგი სიმბოლოა ცის, სულის. უკავშირდება ცვლილებებს, განწმენდას, თავშეკავებულობას.

ბ) ქართველ სიმბოლისტებთან არ დასტურდება **ზურმუხტისფერი**, მაგრამ **ზურმუხტი** და ასევე სხვა ძვირფასი ქვების სახელები გვხვდება ფერის მნიშვნელობით:

„ზღვას ადნება ცისკიდური / და ზურმუხტი მღელვარი“ („დილა“, ნ. მიწიშვილი);

„ო, რა დარია! / ფირუზ-ზურმუხტის ნიაღვარია“ („ო, რა დარია!“ შ. აფხაიძე);

„...რომ გზა ზურმუხტით მოჭედელი / ამოდის ცამდე, / რომ იქ სათიბებს / ულურჯეს ფერის / გააქვთ ბიბინი“ („სათქმელი ჩემი“, ვ. ნადირაძე);



„სრიალობს ფერების ურიცხვი ნალი: / **ზურმუხტი, საფირო, ფირუზი, ლალი**“  
(„პანი“, გრ. რობაქიძე);

„**ზურმუხტებს, ლალებს, ბრილიანტებს და საფირონებს**, / სპილოს ძვლის თასით  
უხვათ ვფანტავ ჩემს გარეშამო“ („მთვარის ქურდები“, კ. ნადირაძე);

„ყვითელ აღმურში იღეწება **თეთრი აღმასი**“ („დიდიშუაღლე“, გრ. რობაქიძე);

„...და ძვირფას ქვებით მომინდება მერმეთამაში. / **ზურმუხტს და ლალებს**  
მოვიფანტავ ტანზე ძვირფასათ“ („ყოველთვის მაისში“, პ. იაშვილი);

„მარგალიტები მოვიხვიე ყელზე სამწყება... **მარგალიტები, იაგუნდები**...“ („მახილი“, პ.  
იაშვილი).

პოეტურ მეტყველებაში ძვირფასი ქვების გამოყენების საფუძვლად, გარდა ფერისა, შესაძლოა მივიჩნიოთ – ბრწყინვალეობა, ელვარება, სიკაშკაშე, ციმციმი, სინათლის განსხვავებულ ეფექტებზე ნიუნსირების უნარი. იქიდან გამომდინარე, რომ ძვირფასი ქვები გამოირჩევიან ბრწყინვით, განსაკუთრებულ როლს ასრულებს სინათლის ფენომენი. „ნათელი“ ობიექტური სინამდვილის მსგავსად, თითქმის ფერის გამოვლინების ძირითად პირობად იქცევა.

ძვირფასი ქვების გარდა ფერთან მიმართებით გამოიყენება ძვირფასი ლითონებიც:

„ყვითელ ფოთლებთან ანიავდება / **ოქროსფერი და ცრუ დეზდემონა**“ (შემოდგომა“, ვალ. გაფრინდაშვილი);

„...და როგორც გიჟი მის ტანს ვფარავ **ოქროსფერ სილით**“ („მთვარის ქურდები“, კ.  
ნადირაძე);

„**მზე ოქროსფერი და უდაბური**“ („FATA – MORGANA“, ვ. გაფრინდაშვილი);

„...და შუალამის მყუდრო მხატვრობა / გაახალისა **ვერცხლის ფერებით**“ („დებედაჩაის  
ღამე“, პ. იაშვილი).

## IV თავი „ცისფერყანწელთა“ ფერთამეტყველება

### §4.1. ბაზისურ ფერთა ლექსიკურ-სიმბოლური გააზრება „ცისფერყანწელთა“ პოეზიის მიხედვით

პოეზიაში ფერის აღმნიშვნელი ლექსიკა პოეტურ მნიშვნელობას იძენს. მხატვრულ ტექსტში ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკის ანალიზისას მნიშვნელოვანია მისი სხვადასხვა ელემენტთა დეკოდირება. აღნიშნული თემის შესწავლა კი, ცხადია, ძირითად ფერთა გამოყოფით უნდა დავიწყოთ. ნაშრომის ამ ნაწილში განვიხილავთ ბაზისურ ფერთა ლექსიკურ-სიმბოლურ თავისებურებებს „ცისფერყანწელთა“ პოეზიის მიხედვით, რისთვისაც მივმართავთ ხშირ ციტირებას ქართველ სიმბოლისტთა შემოქმედებიდან.

როგორც ცნობილია, ბაზისურ ფერთა ჯგუფს განეკუთვნება: **თეთრი, შავი, რუხი, წითელი, ყვითელი, მწვანე და ლურჯი**. ოპოზიცია **თეთრი** და **შავი** დაკავშირებულია სინათლისა (დღე) და სიბნელის (ღამე) ცნებებთან; **რუხი** კი აღიქმება, როგორც ბუნდოვანი ფერი. ქრომატულ ჯგუფში შემავალი **წითელი** თავის რეფერენციაში შეიცავს სისხლის (ომის, ცეცხლის) კონცეპტს; **ყვითელი** უკავშირდება მზეს, **მწვანე** – ბუნებას, მცენარეულობას, **ლურჯი** კი ცას ან წყალს შეესაბამება.

სიტყვა ყოველთვის ვერ გამოხატავს სათქმელს და საჭირო ხდება მისი სიმბოლოთი ჩანაცვლება. თავის მხრივ, ფერთა სიმბოლიკა მოდის ყოველდღიური ადამიანური ყოფიდან, მათ შორის, რელიგიების ისტორიიდან და შემდეგ მკვიდრდება ესთეტიკასა და ლიტერატურაში.

ფერი ლიტერატურულ კონტექსტში ტექსტის უფრო ღრმა გააზრების საშუალებას იძლევა, შეიძლება ითქვას, გვამცნობს მწერლის მხატვრულ ჩანაფიქრს. უნდა აღინიშნოს, რომ ერთი და იგივე ფერი თვით ერთ ავტორის შემოქმედებაშიც კი განსხვავებული მნიშვნელობის, შინაარსისა და ფუნქციის მატარებელია. როგორც ი. დარჩია აღნიშნავს, იგი ითავისებს „ამბივალენტური სიმბოლოს ფუნქციასაც“ [დარჩია, 2005:260].

მხატვრულ ნაწარმოებში ფერთა სახელების გამოყენებას შემდეგი ფუნქცია შეიძლება ჰქონდეს: აზრობრივი, აღწერითი და ემოციური. ფერთი ეპითეტების განხორციელება, ამ ფუნქციათა ურთიერთმიმართების განსაზღვრა რაოდენობრივი და თვისებრივი თვალსაზრისით, ფერთა სტილისტიკური ფუნქციის აღნიშვნა, გ. კვარაცხელიას აზრით, შემდეგი ხერხებით შეიძლება განხორციელდეს: ერთფეროვნება, ფერთა სიჭრელე, არჩეული ფერის მიზნობრივი განმეორება, ფერთა გარკვეული შეხამება-შეერთება, ფერთი კონტრასტები და სხვა [კვარაცხელია, 1974: 47].

მე-20 საუკუნის ქართულ პოეზიაში ლექსის მთავარ კომპონენტად ფერთა სიტყვების გამოყენება ქართველი სიმბოლისტი პოეტების დამსახურებად შეიძლება ჩაითვალოს.

რეალისტურ პოეზიასთან ყველაზე ახლოს „ცისფერყანწელ“ პოეტთა შორის გიორგი ლეონიძე იდგა, რომელმაც პირველმა დატოვა სიმბოლისტური ორდენი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ფერთა ამსახველი ლექსიკის საანალიზო მასალად გამოვიყენეთ „ცისფერყანწელთა“ მხოლოდ ლექსები. აღსანიშნავია, რომ ყანწელები წერდნენ მინიატურებსაც. ლექსთან ერთად მინიატურაც თავის სათქმელს ამბობდა და თავის ფერს ავლებდა. მინიატურული ჟანრის საუკეთესო წარმომადგენელია სანდრო ცირეკიძე. მინიატურებს წერდნენ აგრეთვე სერგო კლდიაშვილი, გრიგოლ რობაქიძე, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი.

ფერებს განსაკუთრებული ადგილი უკავია „მარტოობის ორდენის კავალერის“ პოეზიაში. მართალია, გალაკტიონ ტაბიძე თავიდან „ცისფერყანწელთა“ გუნდში ასოცირდებოდა, მაგრამ მოგვიანებით მან ეს ჯგუფი დატოვა. ამის მიუხედავად, ბაზისურ ფერთა ლექსიკურ-სემანტიკური თავისებურების შესასწავლად, საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს გალაკტიონის ადრინდელი შემოქმედებიდანაც:

**გალაკტიონ ტაბიძის** ლექსებში ფერი აქვს ხმას (**შავი გუგუნნი**), სულს (**ცისფერი სული**), ოცნებას (**ჭრელი**), სიზმარს (**ფერად-ფერადი**), დღეს (**თეთრი**), ღამეს (**თეთრი, შავი**), ჰაერს (**ლურჯი**), მოგონებას (**ლურჯი**), ფიქრს (**თეთრი**), დროს (**წითელი**), უბედობას (**შავი**), სიკვდილს (**შავი...**), გოლგოთას (**ლურჯი**), ქალღმერთს (**თეთრი**), სამოთხეს (**თეთრი**), ზღვას (**თეთრი...**), განცდებს (**ლურჯი**), კოსმოსს (**ლურჯი**) და ა.შ.

სიკვდილის კონტექსტში მზე – აბსოლუტურად კეთილი სუბსტანციაც კი, გალაკტიონ ტაბიძის ლექსში შავი ფერის ხდება: „**მზე** ჩავა, ამოვა, / **ყოველთვის შავია!**“ („შიში“). გალაკტიონთან მზეს (სინათლეს), სიცოცხლეს უპირისპირდება ღამე, სიკვდილი. ტრადიციულად, სიკვდილის ფერითი სიმბოლო შავია, თუმცა პოეტებთან იგი სხვადასხვა ფერითი ასოციაციებითაა წარმოდგენილი.

გალაკტიონის ლექსში „ათოვდა ზამთრი ბაღებს“ სიკვდილი ყველა თავისი ატრიბუტით შავია:

„ათოვდა ზამთრის ბაღებს,  
მიჰქონდათ შავი კუბო...“

ასევე უკუნი ღამის სიმბოლოა შავი ფერი, რომელიც სიმბოლოა სიკვდილისა და მწუხარების:

„ბნელი ღამეა, მალე ინათებს,  
ჩქარა, სიკვდილო, ოჰ, გევედრები,  
გადმომივლინე ტკბილი ოცნება,  
გადამაფარე **შავბნელი** ფრთები“.

/„მე დავიბადე განთიადისას“/

მაგრამ პოეტის ლექსებში სიკვდილი კიდევ **თეთრია**:

„ზამბახთა შორის **ყრია თეთრი**  
**ქანდაკებები,**  
**თეთრი ძეგლები** და იმათ ქვეშ ობლად  
მარხია  
გული, უგონო სიყვარულმა რომ შეარყია“.

/„გული“/

ან კიდევ:

„ოჰ! იგი აქ წევს **აბრეშუმის თეთრი ტალღებით...**  
ამ ყვავილებში დავასვენე ჯერ ისევ დილით“.

/„ორხიდეები“/

თეთრი ქანდაკებები, თეთრი ძეგლები მიცვალებულის ასოციაციაა, ხოლო აბრეშუმის თეთრი ტალღა თეთრი სუდარისა.

სიკვდილი გალაკტიონთან ლურჯი ფერიცაა:

„და მწუხარების მალე ნიავეში  
მოფრინდნენ ლურჯი ანგელოზები“.

/„ი.ა.“/

გალაკტიონთან სიკვდილი ვარდისფერია (არაბაზისური ფერი):

„სიკვდილის გზა არაა არის ვარდისფერ გზის გარდა“.

/„მთაწმინდის მთვარე“/

ლია სტურუა გალაკტიონზე წერს: „მისი მსოფლმხედველობიდან და ესთეტიური მრწამსიდან გამომდინარე სიკვდილი მისთვის შავი ფერისაა, როცა ის ადამიანის ფიზიკურ სიკვდილთან არის დაკავშირებული; თეთრი ფერისაა, როცა ლაპარაკია სულის სიკვდილზე; ვარდისფერი, როცა სიკვდილი ესთეტიურ ფენომენად არის მიჩნეული და საკუთარი უკვდავების რწმენაც განაპირობებს სიკვდილის ვარდისფერსა და ცისფერში აღქმას...“ [სტურუა, 1974: 126].

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში დომინირებს ლურჯი. ასე, მაგალითად, პოეტის ლექსში ერთ სტროფში ხუთჯერ გვხვდება ლურჯი, როგორც სივრცისა და სილამაზის ფერი:

**ლურჯ მთების ზოლი ლურჯ ცისა სივრცეში**

შორს, უსაზღვროდ შორს მიიკლაკნება,

**ლურჯ ოკეანის ლურჯი ტალღები**

ლურჯ ტყიან ნაპირს აქცევს, აკვდება...

/„გემზე“/

როგორც კ. ბრეგაძე აღნიშნავს: „გალაკტიონთან ლურჯი ფერის სახისმეტყველება... ორმაგ თვისებას ავლენს: ერთი მხრივ, იგი მოიცავს საღმრთო ტრანსცენდენტური სინამდვილის, პარადიზული სივრცის სემიოტიკას... მეორე მხრივ, გალაკტიონის პოეტურ ტექსტებში ლურჯი ფერის სახისმეტყველება მოიცავს სიკვდილის, არარას (das Nichts),

აკაკალიფსური ჟამის, ეგზისტენციალური მიუსაფრობისა და შიშის სემანტიკასაც“ [ბრეგაძე, 2009: 98].

პოეტისთვის **ლურჯი** სივრცის, სილამაზის, სიმადლის ფერია. ლექსში „ეს მშობლიური ქარია“ ლურჯი ფერისაა მოგონებაც, რომელიც დაკავშირებულია იდეალურთან, ხოლო „თვალეზდალურჯული თრთიან იალქნები“ უნდა გავიგოთ როგორც ღამის ზმანება, სიზმარი, „ლანდებთან ლაციცი“.

„არც ხმა, არც ჩურჩული,  
ბინა – მინაგნები,  
**თვალეზდალურჯული**  
თრთიან იალქნები,  
ძილი მეგონება...  
უცებ ქაოსიდან  
ღამემ ამოზიდა  
**ლურჯი მოგონება“.**

ან კიდევ:

„ცვივა **ლურჯი**, ფარული.  
**მოგონება** ფარული“.  
/„უცანური სასახლე“/  
„**ლურჯი**, **ლურჯი** დღე არის,  
**განშორების** დღე არის...“  
/„გვიანი ოცნება“/

პოეტს შეეძლო ერთსა და იმავე საგანში სხვადასხვა ფერი დაენახა. პოეზიაში **თოვლი** ხშირად მარტოსულობაზე, სიცივესა და ცხოვრების გაუსაძლისობაზე მიგვანიშნებს. **თოვლი** გალაკტიონის ლირიკაში თეთრი, შავი, ლურჯი ან კიდევ ზამბახისფერი, ვარდისფერი და იისფერია, ასევე, ბროლივით გამჭვირვალე და მკრთალიც:

„იქ **შავი თოვლივით** დამათოვს ...“ (შემოდგომა „უმანკო ჩასახების“ მამათა სავანეში);  
„მე ძლიერ მიყვარს **იისფერ თოვლის**...“ („თოვლი“);  
„თოვლი, ფიფქი და აპრილი, **ვარდისფერი თოვლი**...“ („მოვა... მაგრამ როდის?“).

გალაკტიონ ტაბიძისთვის **თეთრი** რჩეული ფერია. როგორც ლ. სტურუა აღნიშნავს, თეთრ ფერს, ისევე, როგორც ლურჯს, მისი პოზიტიური შინაარსის მიუხედავად, სევდიანი ელფერი დაკრავს იდეალთან აბსოლუტური მიახლოების შეუძლებლობის გამო, ამაღლებულს, მარადიულსა და რეალურს შორის მკვეთრი კონტრასტის გამო“ [სტურუა, 1974: 92].

ცხადია, ნაშრომის ამ ნაწილში ვერ ამოვწურავთ გალაკტიონ ტაბიძის ფერთა პალიტრას, მაგრამ, დასკვნის სახით, უნდა აღინიშნოს, რომ პირველ წიგნში პოეტი ხშირად იყენებს შავ ფერს, შემდეგ იგი ლურჯს ანიჭებს უპირატესობას.

\*\*\*

„ცისფერყანწელთა“ ორდენის ლიდერობაზე უარი თქვეს პაოლო იაშვილმა, ვალერიან გაფრინდაშვილმა, ტიცინ ტაბიძემ და ეს პატივი „ყანწელთა“ უფროს მეგობარს გრიგოლ რობაქიძეს დაუთმეს. პირველი სიმბოლისტური ლექსების ავტორად ტ. ტაბიძე სწორედ **გრ. რობაქიძეს** მიიჩნევდა. იგი ქართული ფსიქოლოგიური რომანის ერთ-ერთ ფუძემდებელია.

გრიგოლ რობაქიძე აქტიურად იყო ჩართული საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რის გამოც მუდმივად განიცდიდა დევნას ბოლშევიკურ-კომუნისტური იდეოლოგიის წარმომადგენელთა მხრიდან.

**გრიგოლ რობაქიძეც** ხშირად მიმართავს ფერის ამსახველ ლექსიკას. მისი შემოქმედების მიხედვით, განზრახვას აქვს **შავი** ფერი, მზერას – **ყვითელი**, ღიმილს – **თეთრი**, წყალს – **შავი**, ზღაპარს – **მწვანე**, ხოლო ღამე ხან **თეთრია**, ხან კიდევ **შავია**. ასე, მაგალითად:

„ირანის **თეთრი ღამე** ქვის ლომზე გავათენე“ („ირრუბაქიძე“);

„შფოთავს **ღამე**, / შფოთავს **შავი**“ („ლანდი“);

„**ლურჯი ტალღით**, ცელქით, ლალით...“ („გედის ყივილი“);

„**ჩიტი ლურჯი** ჩემს ფანჯარას თავს აკვდება“ („ლანდი“).

გრ. რობაქიძის ლექსებს დიდხანს გაჰყვა შვილის სიკვდილით გამოწვეული სევდა. სიკვდილი ესთეტიურ კატეგორიად იქცევა და ხშირად თავისი ტრადიციული შავი ფერის ნაცვლად იღებება სხვადასხვა ფერით, რომლებიც პოეტური შინაარსის მატარებელნი არიან.

სიკვდილსა და მარტოობას უფრო ხშირად გამოხატავენ შავით, მაგრამ თუ დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ თეთრი ფერით გამოხატული სიკვდილის სიმძაფრისა და სიცივის ხარისხობრივი მაჩვენებელი გაცილებით დიდია. როგორც ა. ნემსაძე წერს, სიცივის ამგვარი განცდის დაბადებას ხელს უწყობს ინდივიდის ცნობიერებაში არსებული სითეთრის მატერიალური ფორმა, ფიზიკური ნიშანი – თოვლი, რომლის გახსნება თავისთავად აჩენს სითეთრისა და სიცივის განცდას, მაშინ როცა შავს ასეთი შეგრძნებები არ უკავშირდება [ნემსაძე, 2011].

ლექსში „აღლას“ ვკითხულობთ:

„...თეთრი ღიმილი აგონდება გადახრილ ქორედს,  
ობლობას იხდის დედოფალა ნაჭრიან ჩითით,  
გულდათუთქული ცქერას მესვრის ცქრიალა ჩიტი  
და სამუდამოდ გაფრინდება ნაღვლიან შორეთს“.

აღნიშნულ ლექსში **თეთრის** მნიშვნელობა განსხვავდება კლასიკური მნიშვნელობისაგან. აქ **თეთრი** არ უკავშირდება არც სისუფთავეს და არც სიწმინდეს, არამედ ქმნის სევდიან განწყობას, უფერულია, უსიცოცხლო, უსიხარულო და ნაღვლიანი.

გრ. რობაქიძესთან ზოგან **თეთრი** სილამაზეა, სისუფთავეა, სიწმინდეა:

„ტამარი ოშკის: **თეთრი ლოცვით ათოვლებული**“ („საქართველოს“, გრ. რობაქიძე).  
მაგრამ: „**ყვავილი** ტრფობის, **თეთრი**, ნაზი, ცახცახობს, ჭკნება“ („სონეტი ლოცვის“, გრ. რობაქიძე).

როგორც ცნობილია, **ყვითელსა** და **წითელ** ფერს დუალისტური გაგება აქვს – ხან სიცოცხლისა და ენერჯის, ხან კი მძიმე ფერია და ბრაზს, უარყოფით ემოციურ ფონს ამძფრებს. გრიგოლ რობაქიძესთან გვხვდება:

„...და შემოაგდებს უცხო თვალებს, **ყვითელმზერიანს**“ („გლოვა“);

„**ყვითელ ალმურში** იღეწება თეთრი ალმასი“ („დიდი შუადღე“);

„...და **ჭრილობა** ნათელ შუბლზე აყვავილდა **წითელ ზოლად**...“ („ელენე დარიანს“);



„ავხორცი ტვინით ბუდეს უნგრევ ყვითელ ქიმერებს...“

„თეთრად ათენებ: თავს გესხმიან ავი ბოდვები“ („ფრანგ პოეტს“).

ჩამოთვლილ ლექსებში ყვითელი და წითელი უარყოფით კონოტაციის მატარებელია.

\*\*\*

როგორც ცნობილია, მეოცე საუკუნის დასაწყისში მოღვაწე შემოქმედთა მიზანს ევროპასთან დაახლოება წარმოადგენდა, რაც, თავის მხრივ, გულისხმობდა საქართველოს იმპერიალისტური უღლიდან გამოხსნას. სწორედ ამ ეპოქის წარმომადგენლები არიან პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი და სხვა ყანწელთა ჯგუფის წევრები, რომლებმაც დიდწილად განსაზღვრეს ევროპეიზმის დომინანტი ქართულ პოეზიაში, რომელიც ლიტერატურული მიმდინარეობის – სიმბოლიზმის სახით გამოვლინდა.

„ცისფერყანწელთა“ ჯგუფის შექმნის ინიციატორი და ორგანიზატორი პაოლო იაშვილი იყო. იგი პარიზიდან საქართველოში პირველი მსოფლიო ომის დროს დაბრუნდა და ტიცინ ტაბიძესთან ერთად დააარსა ლიტერატურული დაჯგუფება „ცისფერი ყანწები“.

უნდა აღვნიშნოთ, რომ 1924 წლის ამბოხების უსასტიკესი ჩახშობის შემდეგ ყანწელთა ჯგუფი ფაქტობრივად მხოლოდ წარსულის მოგონებებით ცოცხლობდა. სისიხლიანმა ტერორმა პაოლო იაშვილის 20 წლის ძმა შეიწირა (ვასილი, შორაპანთან მატარებლის ვაგონში ჩაცხრილეს), რის შემდეგ პაოლო იაშვილს უმწვავესი შემოქმედებითი კრიზისი დაუდგა. 30-იანი წლების დასაწყისში ჯგუფი იურიდიულადაც გაუქმდა.

პაოლო იაშვილის ლექსები მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ 1950-იანი წლების ბოლოს გამოვიდა (თაოსნობა ლიტერატორმა შალვა დემეტრაძემ იკისრა).

როგორც ცნობილია, „ცისფერყანწელების“ გამოჩენას არაერთგვაროვნად შეხვდა მაშინდელი საზოგადოება. ყანწელების შემოქმედება გაუგებარი და მიუღებელი აღმოჩნდა მკითხველთა ფართო მასისთვის. „პირველთქმის“, საპროგრამო ლექსის („პაოლო იაშვილს მომეწყინა ყვითელი დანტე“...) და დარიანული ლექსების გამო, იმდროინდელი კრიტიკის მთავარი სამიზნე, ძირითადად, პაოლო იაშვილი გახლდათ.

„ელენე დარიანის დღიურების“ ციკლი 1915-1923 წლებშია შექმნილი. მართალია „დარიანული“ იდუმალეობა და შემოქმედება საინტერესო მოვლენად იქცა, მაგრამ კრიტიკაც იმთავითვე გამოიწვია. მაშინ პ. იაშვილი ორმაგი სირთულის წინაშე იდგა, რადგან ელენე დარიანი მხოლოდ ლირიკულ პერსონაჟად კი არა, „დარიანული“ ლექსების ავტორადაც უნდა აღექვათ. როგორც ლ. ავალიანი აღნიშნავს, პოეტს უნდა დაენახა სამყარო არარსებული პოეტის და, თანაც, პოეტი ქალის თვალთ [ავალიანი, 2005:172].

თუ ვინ იყო ელენე დარიანის ფსევდონიმით დაწერილი ლექსების ავტორი, ამასთან დაკავშირებით ორი მოსაზრება არსებობს. ლიტერატორთა ნაწილი ფიქრობს, რომ ეს იყო ელენე ბაქრაძე; უმეტესი ნაწილი კი მიიჩნევს, რომ სინამდვილეში ეს პაოლო იაშვილის ლიტერატურულ მისტიფიკაციას წარმოადგენდა.

ელენე დარიანის შექმნა გამოწვეული იყო „ცისფერყანწელთა“ სურვილით, რომ „ცისფერ ორდენში“ ჰყოლოდათ პოეტი ქალი. მხოლოდ მეგობრებმა იცოდნენ, რომ სინამდვილეში ელენე დარიანის უკან იმალებოდა პაოლო იაშვილი. ისინი ცდილობდნენ, ხელი შეეწყოთ, რომ ეს მისტიფიკაცია, ანუ გამოგონილი პერსონაჟი დამკვიდრებულიყო. „როგორც ტომას ჩატერტონმა გამოიგონა მე-14 საუკუნის პოეტის – როულეის მითი, ისე ერთმა თანამედროვე პოეტმა გამოიგონა ელენე დარიანის მითი“, – წერდა ვალერიან გაფრინდაშვილი ჟურნალ „მეოცნებე ნიამორებში“ (1922, №7).

როგორც მსოფლიო ლიტერატურიდანაა ცნობილი, მისტიფიკაციის ფორმას ხშირად მიმართავდნენ ხოლმე მწერლები, პოეტები, ესეისტები. ფრანგმა პოეტმა გიომ აპოლინერმა 1909 წელს მემჩანური პოეზიის დაცინვის მიზნით, პოეტის ქალის ლუიზა ლალანის სახელით, რამდენიმე წერილი და ლექს-პაროდია დაწერა. პ. იაშვილის მსგავსად გ. აპოლინერს გამმაფრებული ჰქონდა პლასტიკური ხელოვნების – ფერწერის აღქმა. ლ. ავალიანის აზრით, იქნებ იცოდა კიდევ ამ მისტიფიკაციის ამბავი პაოლო იაშვილმა, რადგან პარიზში ყოფნისას იგი ხშირად ხვდებოდა აპოლინერს [ავალიანი, 1977:151].

მითის მთავარმა სიმბოლომ, ლიტერატურულმა ფენომენმა, მხატვრული თვითგამოხატვის თუ შემოქმედებითი გარდასახვის განუმეორებელმა მაგალითმა, ელენე დარიანის მისტიფიკაციამ თორმეტ წელიწადს გაუძლო. 1924 წლის შემდეგ პ. იაშვილი ელენე დარიანის თემას არ დაბრუნებია.

ელენე დარიანის ვინაობის შესახებ მითქმა-მოთქმა 1990-იან წლებში ისევ გაჩნდა. გამოჩნდა ქალი ელენე ბაქრაძე, რომელმაც განცხადა, რომ ელენე დარიანი მისტიფიკაცია კი არა, მის ნიღაბს ამოფარებული რეალური ელენე იყო. ამასთან დაკავშირებით დაიბეჭდა არაერთი მკვლევრის წერილი, რომელთა შორის უნდა დავასახელოთ ლალი ავალიანისა და გიორგი ჯავახიშვილის მოსაზრება.

ლალი ავალიანი „ელენე დარიანს“ პაოლო იაშვილის ფსევდონიმად მიიჩნევს. მისი აზრით, ელენე დარიანი ეს არარსებული პირი სწორედ პაოლო იაშვილმა შექმნა, თუმცა მაშინ მის არსებობაში ეჭვიც არავის შეჰპარვია (წიგნი „პაოლო იაშვილი“ და სხვა წერილები). ისტორიკოსი გიორგი ჯავახიშვილი კი თავის მასალებზე დაყრდნობით, რომელიც ელენე ბაქრაძის არქივში აღმოაჩინა, ამტკიცებდა, რომ ელენე დარიანი არა პოეტური გარდასახვა, არამედ რეალური ქალი – ელენე ბაქრაძე იყო (წიგნი „ელენე დარიანის ლეგენდა და სინამდვილე“). ქართველ ლიტერატორთა უმრავლესობამ არ გაიზიარა მკვლევარ გ. ჯავახიშვილის მოსაზრება, ამ საკითხთან დაკავშირებით. ეს მოსაზრება დღემდე საკამათოდ რჩება.

უნდა აღინიშნოს, რომ დარიანული ლექსების ავტორი ავლენს პოეტურ ოსტატობას, რის საპირისპიროდ, როგორც ბ. წიფურია წერს, ელენე ბაქრაძის ამავე პერიოდის ლექსები (მაგ. თუ გული მკვდარია; იყო ზღაპარი, იქ იყო პრინცი) მდარე ნიმუშებია, ბანალური აზრებით, ღარიბი რითმით, ტავტოლოგიებით, უინტერესო რიტმით, მიმბამძველობის ნიშნებით. „მისი ჩანაწერებიც არ ავლენს შესაბამისი კულტურული კონტექსტის ცოდნას. დარიანულ ლექსებსა და ელენე ბაქრაძის ლექსებს შორის სწორედ პოეტური ოსტატობისა და სიმბოლისტური ესთეტიკის ფლობის თვალსაზრისით ის უფსკრულია, რომელიც საკითხავს არ ხდის დარიანული ლექსების ავტორობას“ [წიფურია, 2018: 10].

საკუთარი სახელის სხვა სახელით შეცვლა, „პიროვნებად განსულიერების ერთგვარი ფორმაა“ [ენუქიძე, 2006:21]. ამგვარი მისტიფიკატორული თამაში მხოლოდ ენაშია აქტუალიზებული.

არსებობს სტილის ისეთი კომპონენტები (ლექსიკის თავისებურებანი, ფრაზის ინტონაცია...), რომელიც ავტორის სახეს ქმნის. შეიძლება ითქვას, დარიანული ლექსები იმავე ზოგადი ნიშნებით ხასიათდება, რითაც მთელი პ. იაშვილის შემოქმედება

(ლექსიკური კონსტრუქცია, ფრაზების დალაგება, მხატვრული სახეები, პოეზიის იდეურ-თემატური ნიუანსები, სიმბოლური ხატებისა და სიმბოლოების ერთფეროვნება...).

ამდენად, შეიძლება ითქვას, მხატვრული თუ სიმბოლური სახეებით დარიანული ლექსები პაოლო იაშვილის პოეზიის ერთ განშტოებას წარმოადგენს. ელენე დარიანის ფსევდონიმით გამოქვეყნებული ლექსები სატრფიალო-ესთეტიკური ლექსებია. ცნობილია, რომ პაოლო იაშვილი ექსპრომტებისა და მისტიფიკაციის დიდოსტატი იყო, რომლისთვისაც ნიღბები წარმოადგენდა პროტესტს ყოველგვარი დამკვიდრებულის წინააღმდეგ.

**პაოლო იაშვილის შემოქმედებაში შავი და ამ ჯგუფში შემავალი ნეიტრალური ფერები: ბნელი, ბინდი, დაბინდული, დაისისფერი, დაისი, წყვდიადი...** არის გლოვის, მწუხარების, უბედურების, გამოუცნობის, წყვდიადის, ქაოსის, ბოროტების, გასაჭირის, სიკვდილის და უარყოფითი ძალის სიმბოლო. მაგალითად:

- „ჭრილობის დაჩენა, შავი მზის გაჩენა“ („იქითური“);
- „შავ ჭაობიდან დახსნილ მიწაზე...“ („მიმართვა კოლხიდას“);
- „გზა ბნელი და გაუბედარი“ (სონეტი) ვალერიან გაფრინდაშვილს;
- „უთქვენოდ შესწუხდა, დაბნელდა დარბაზი“ („ჩემი თავადი“);
- „ბნელ ღამით შემობურვილი...“ („გზა მშვიდობისა“);
- „ბნელია, ბნელ აზრიანი / გულით ხომ უფრო შავია“ („გზა მშვიდობისა“);
- „სოფელს აკრავს ღია ბინდი“ („გზა მშვიდობისა“);
- „იყო ტკივილი, იყო ეჭვი, ხშირად შებინდდა“ („სამგორისათვის“).

შავი ხშირად ასოცირდება ცბიერებასთან, ბოროტებასთან:

- „ხელთ უპყრია შავ სატანას საიდუმლო სიცოცხლისას“ („ღმერთო, ღმერთო“);
- „შავი დალატი მუხანათური“ („წინ, ესპანეთის გმირულო ხალხო“).

პაოლო იაშვილთან გვხვდება აგრეთვე – **შავბნელი, შავბედი, როგორც ავი**; „ძალიან ბნელი“, ძველი უიღბლობის გამომხატველი:

- „ბედი, შავბედი გარდასულ დღეთა“ („მიმართვა კოლხიდას“);
- „ჩემი შავბნელი სამშობლოს ნაცვლად“ („მორ სამშობლოში აირჩიე წასვლა“).

პ. იაშვილის ლექსებში **თეთრი** არის სიკვდილის, სიცვიის, ზამთრის სიმბოლიკის მატარებელი ფერი. შესაბამისად, უკავშირდება მოწყენილობას, სევდას, გაურკვევლობას, სიცარიელეს, უმოქმედობას, პასიურობას, უძლურებას, ასევე, მოლოდინს, იმედს. ტრადიციულად, სიკვდილის ფერითი სიმბოლო შავია, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პოეტებთან იგი სხვადასხვა ფერითი ასოციაციებითაა მოცემული:

„მე თვითონ ვკოცნი ჩემს **თეთრ მკლავებს**, / ჩემს დამწვარ სხეულს“ („მახილი“);

„ამშვენებს რიჟრაჟს **დედოფალის თეთრი სინაზე**“ („მეფის ქორწილი“);

„...და ახლა **გავასვენოთ თეთრი კუბოთი**“ („გრიგოლ რობაქიძეს“);

„ყოველი მხრიდან კედელს მისდევს **მარმარილოს თეთრი თალი**“ („თეატრი“);

„ორი თვით ასე **თეთრად გახმები**, / მშობელო მიწა“ („სოფელში“);

„**თეთრი თავადის** დაბრუნება მე თრთოლვით ვცადე, / ავტირდი ჩუმად, როცა რაში ტყეს მიეფარა“ („ფერადი სონეტი“);

„ღრმა ღამეებში **თეთრ ლანდივით** შესახედარი“ („სევდიანი ზურმუხტი“);

„**მიგასვენებენ თეთრი დები** სიჩუმის ნავზე...“ („ვერჰარნ“);

„მაგრამ **დედოფალს** ჯერ არ სძინავს და **თეთრად ელის**“ („სევდიანი ზურმუხტი“);

„...და **დაღალულან დედოფალის თეთრი ხელები**, / დედოფლის სახე **ფერმკრთალია**, ვით ნისლში გედი“ („მეფის ქორწილი“).

პაოლო იაშვილი თავის ლექსებში ხშირად მიმართავს ფერის ამსახველ ლექსიკას. ლექსში „ფარშავანგები ქალაქში“ თანამედროვე ქალაქი, სადაც **ლურჯი ჰაერიც კი ელავს** დამსხვრეული შუშის მტვერით, რვაფეხა ურჩხულად ესახება პოეტს. სიმბოლიკის თვალთ დანახული სიცხიანი ჰალუცინაციებით აბოდეებული ქალაქი, სადაც სნეული ძაღლები ყრია ქუჩებში, პაოლო იაშვილს მისტიკურ კოცონად წარმოუდგებოდა და ეს სისხლიანი „სასაკლაო“, ისე იზიდავდა პოეტის შთაგონებას, როგორც მთვრალ ხარს. „პოეტმა ქალაქის შემზარავ სურათში უხვად ჩაღვარა წითელი, როგორც „გაგიჟებული მზის ფერი“ [ავალიანი, 1977: 132]:

საანალიზო ლექსში („ფარშევანგები ქალაქში“) წითელი 6-ჯერ გვხვდება, სისხლი 5-ჯერ არის გამოყენებული, ხოლო მზე – 8-ჯერ. გარდა ამისა ლექსში უხვად გვხვდება ისეთი ლექსიკა-ფრაზები, რომლებიც უშუალოდ ფერს არ აღნიშნავს, მაგრამ ფერს გამოხატავს.

გავეცნოთ ლექსის ფრაგმენტს:

„(ავია, როცა წითელ გველებს მზე შემოიკრებს,  
და დაიქცევა მკბენარ სისხლად ქუჩების ღარში)“.

„წითელი გველების“ მხატვრულ სახეში „მდულარე მზის“ სხივები იგულისმება.

„მწვანე და წითელი ქოლგების ტრიალი,  
სადღესასწაულო დროშების ფრიალი...“

„მოულოდნელად, მდულარე მზის მთვრალი განგებით,  
ჰაერი აყვავილდა წითელი ფარშევანგებით.  
იყო მათი მოვლენა წითელი ქარტეხილი,  
იყო მათი ყვირილი მხურვალედ დატეხილი“.

სალიტერატურო კრიტიკამ „ფარშევანგების“ წითელი ურჩხულების და ქარტეხილების სიმბოლური განსახოვნება წითელი რევოლუციის წინასწარმეტყველებად აღიქვა:

„წითელ ქარში ზართა რეკა შემოისმა ყრუ და ჩქარი.  
ყველა შიშმა გადარეკა, მხოლოდ მკვდართან მოსჩანს მკვდარი...“

„ჩუმად არის ყველაფერი, ქალაქს წითლად ეძინება“.

წითელი ძილით ეძინა მაშინ სისხლისგან დაცლილ ქალაქს. უმძიმესი სცენა ერთი დღის ფარგლებში დაქანცული ქალაქის წითელი ძილით მთავრდება.

ლექსში წითელი ჯერ – სისხლისფერში, შემდეგ იისფერში გადადის. ცხელი ჰაერი აღქმულია, როგორც ცრემლისფერი:

„სისხლისფერ გველემაჰს ბრაზი ემატება,  
ქალაქში შენიშნეს ჰაერის ანთება...“

სისხლისფერი გველემაჰი გამოხატავს მხურვალე მზეს.

„და ელავდა მათი ტანი სისხლით,  
თითქოს ვინმე მოსდევდა ფარშევანგებს მზის ხმლით“.

„ოხრავდნენ ჰაერში მზისგან დევნილები,  
სისხლით ატლასობდნენ ძირს ქვაფენილები“.

„ისფერ ნისლში მდუმარებით სჩანან ველები.  
ვით დაფლეთილი, სისხლისფერი, სოველი ჩვრები,  
ხეებზე სხედან დაღალული მზის ფრინველები“.

„ცხელი ორთქლი, ცრემლისფერი, მხურვალე ცას ევინება“.

ლექსის შემდეგ სტრიქონებში ყვითელ-წითელი აუტანელ სიძლიერეს აღწევს, რაც გამოიხატება მზის მხურვალეების ინტენსივობის მატებასთან დაკავშირებული ეპითეტებისა და სხვა ლექსიკა-ფრაზეოლოგიის გამოყენებით: „მდულარე მზე“, „გაგიჟებული მზე“, „მზის ხმალი“, „მზისგან დევნილები“, „მზე აწვალვდა“ , „ცხელი ნიაღვარი“, „ცხელი დარები“, „ჰაერის ანთება...“, „ცხელი ორთქლი“, „მხურვალე ცა“, „გახურებული ქვაკვები“, „ქვეყნის დუღილი“, „ვით ცეცხლის ენები“, „ფრთებდამწვარი“, „ხალხი, მორთული ცხელ ოლარებით“, „აინთნენ სახლები ალმურის მოდებით“, „ფრთებზე სდულდა სპილენძი და კიოდნენ ყვითელ ციდან“, „მზეს ემდუროდნენ მომეტებულ ნეტარებისთვის“, „ქალაქში სიცხე იყო“. ჩამოთვლილ მაგალითებში უშუალოდ ფერის ამსახველი სიტყვები არ ჩანს, მაგრამ „ლექსში „ფარშევანგები ქალაქში“ მზე და მასთან დაკავშირებული სიტყვები ქმნის ფერის შთაბეჭდილებას და განეკუთვნება წითელ-ყვითელი ფერების კატეგორიას.

3. იაშვილთან წითელი ფერისა და ამ ფერის ლექსიკურ ჯგუფში გაერთიანებული სიტყვებით გამოხატულია სიკვდილის, უბედურების მოახლოება, გლოვა, სიბრაზე, ეს არის რევოლუციისა და ბრძოლის სიმბოლო: „ჩვენ გვიგზავნის წითელ სიკვდილს“ („წითელი ხარი“); „შენს სასახლეში ყეფს წითელი საშინელება“ („ვერჰარნ“); „წითელ დღეს, სხივმა წითელმა გააპო მღვიმეს კედელი“ („წითელი დღე“); „ჰაერი აყვავილდა წითელ ფარშევანგებით“; „წითელ ქარში ზართა რეკა შემოისმა ყრუ და ჩქარი“; „ცეცხლიან

ყვავილებში მოჩვენება წითელი / ცხელი ცახცახით ელის...“ („წითელი ხარი“);  
„ცეცხლისფრად ელავს ლალის ფარჩა და ოქრომკედი“ („მეფის ქორწილი“).

პ. იაშვილის ლექსებში ყვითლის და ამ ფერის ლექსიკურ ჯგუფში გაერთიანებული სიტყვებით გამოხატულია შიში, სიბრაზე, მოსალოდნელი უბედურება. პ. იაშვილის პოეზიაში ფერის მხატვრულ-მსოფლმხედველობრივ ფუნქციასთან დაკავშირებულ საინტერესო დეტალებს ყურადღება მიაქცია მურმან თავდიშვილმა სტატიაში „ქართული ფოლკლორის ზოგიერთი მოტივი პაოლო იაშვილის შემოქმედებაში“. მ. თავდიშვილის დაკვირვებით, პოეტისათვის „ყვითელი ფერი ავადმყოფობისა და სიკვდილის ფერია. იგი ძირითადად იქ გვხვდება, სადაც არასასურველ საგნებსა და მოვლენებზეა საუბარი“ [თავდიშვილი, 1974: 113].

მოვიყვანო ფრაგმენტებს ლექსებიდან:

„ფრთებზე სდულდა სპილენძი და კიოდნენ ყვითელ ციდან“ („ფარშავანგები ქალაქში“);

„შიშით ვიხედები, გაყვითლდნენ გელები“ („იქითური“);

„სანთლისფერ ლოცვით აჩქარებას მეფეს ჰპირდება“ („სევდიანი ზურმუხტი“);

„მეც შემომხედე შენი ყვითელი ლექსებით სნეულს“ („ტიციან ტაბიძეს“);

„...ზოგი ყვითელია, ზოგი ილუპება...“ („სტუდენტთა ოთახში სანთლებად ვენტეებით“).

„ყვითელი“ აქ ყველგან უსიცოცხლოა, „მკვდარია“, ამდენად, აღრმავებს უარყოფით ემოციას.

პაოლო იაშვილთან მწვანე ბუნების, გაზაფხულის ფერია, ქმნის სასიამოვნო ფონს:

„მწვანე ფოთოლი, ფრინველის ხმა, წყაროს წკარუნი“ („მწვერვალებიდან“);

„შენს მწვანე ფოთლებს დილით თუ ეცა / სიო, ჩურჩული, ჩიტების ფრთები“ („ქუთაისისთვის“);

„რომ შენი მწვანე ფოთლების ჟღერა...“ („ქუთაისისთვის“);

„ხელის გულიდან სიო ძირს რომ გადმოგივარდეს, მწვანე ბალახში წივილივით დაფაცურდება“ („დილა“).



პ. იაშვილთან სევდიანი ელფერი დაკრავს **ლურჯ ფერს**:

„**რა ლურჯია და რა საწყალია** // მეზობლის ბავშვი“ („სოფელში“).

„**დარიანულ ლექსებში**“ (სულ 14 ლექსი) გვხვდება: ყვითელი წერილი, თეთრი სამოსი, ლურჯი ტალღები, ლურჯი მხარე და სხვა. ამავე ლექსებში სიყვარულისა და მარადიულობის სიმბოლოა **წითელი** („ცისფერი ოთახი წითლად იფარჩება“ („მე და კატა“); მყუდროების ფერია **თეთრი**, **მტრედისფერი**; ყვითელი სევდიან ემოციურ ფონს ქმნის, **მწვანე** კი სიმშვიდის ფერია.

მიუხედავად იმისა, რომ **ცისფერი** არ მიეკუთვნება ბაზისურ ფერთა ჯგუფს, უნდა აღვნიშნოთ, რომ „დარიანულ ლექსებში“ ყველაზე მეტად გვხვდება **ცისფერი** და **ლურჯი**, რომელიც მხატვრული თვალსაზრისითაც გამორჩეულია.

**ცისფერი** – სიყვარულს, **ლურჯი** კი იდუმალებას უკავშირდება:

„ჩემი ოთახი **ცისფერია**, **ნაზი** ფერია,

**ცისფრად** მორთული **დამიხვდება**, გააღე კარი“ („ზამთარში“);

„**ლურჯ** **სფინქსთან** მივა, დიდხანს უცქერს და დაღონდება“ („პირამიდებში“);

„მარტო ვიყავი!.. ჩემ გარშემო **ლურჯად** **ბნელოდა**“ („უვერტიურა“);

„თმას მიხილავენ **ლურჯ** **ნისკარტებით**“ („ცისფერი ქოლგა“);

„...ჩვენი მზე, ჩვენი **მხარე ლურჯი**“ („წერილი ანნა ახმატოვას“).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პაოლო იაშვილის ლექსებში სჭარბობს **წითელი**, **ყვითელი**, როგორც „ბოროტი“ ფერი. ხშირად გვხვდება **თეთრი** და **შავიც**; დარიანულ ლექსებში კი უფრო გამოკვეთილია **ლურჯი/ცისფერი**.

\*\*\*

**ვალ. გაფრინდაშვილი** „ცისფერი ყანწების“ ჯგუფის ერთ-ერთ ორგანიზატორად და აქტიურ წევრად ითვლებოდა. 1919 წლიდან მისი რედაქტორობით გამოდიოდა ქართველი

სიმბოლისტიკების ლიტერატურული ჟურნალი „მეოცნებე ნიამორები“, რომელშიც ფართოდ აისახა „ცისფერყანწელთა“ შემოქმედებითი და ლიტერატურულ-კრიტიკული საქმიანობა.

ვალერიან გაფრინდაშვილს ყველაზე მეტად მიიჩნევდნენ ტიპიურ სიმბოლისტად. სიმბოლისტიკურია პოეტის დამოკიდებულება მოვლენებთან მიმართებით. სწორედ მის სახელს უკავშირდება სიმბოლიზმისთვის დამახასიათებელი სიმახინჯის ესთეტიზების ლეგალიზება. როგორც ცნობილია, „ცისფერყანწელები“ სიმახინჯეს აღიქვამდნენ, როგორც სიმბოლოსა და ირონიას იმ სტერეოტიპების საწინააღმდეგოდ, რომლებიც რეალისტურ ხელოვნებაში დამკვიდრდა.

ვალერიან გაფრინდაშვილთან შავი პირქუში ფერია. ეს არის სიბნელის, წყვდიადის, სიკვდილისა და მწუხარების გამომხატველი:

„...შავ მდინარეში რომ ტირის მწარეთ, ვოცნებობ ისევ სასაფლაოზე“ („კალიდან ოცნება“);

„სიკვდილი იყოს ამ დუელში შავ ბარიერად!“ („ბოჰემის მონოლოგი“);

„აღარ ტორტმანობს წყვდიადი შავად“ („გოგირდისფერი“);

„ეს უცხო ღამე, ვით შავი ძაღლი, დაეძებს, ყნოსავს უხილავ ვარდებს“ („ღამის ფოთლები“);

„სიკვდილო, პირშავო! მოდიხარ საიდან?“ („ბუკინისტი“).

„მას ძაძითა აქვს შემოსილი თვალები, ტანიც, / და იგი მუდამ ძვირფასია, ვით შავი გედი“, – წერს პოეტი ლექსში „სხვანაირი ტრფობა“. ამ ლექსში შავის აზრობრივი დატვირთვა აქვს შემდეგ სიტყვებს: „ძაძითა“, „დაბინდული“, „თალხი“, „სასაფლაოდან“, „მიცვალებულთ“, „სიკვდილი“, „გასვენება“.

პოეტი ხშირად იყენებს შავი ფერის ჯგუფში შემავალ სიტყვებს: დაისი, წყვდიადი, ბნელი, შავბნელი, ბინდი, ღამე, ნისლი, დაბინდული, თალხი. მაგალითად:

„მაგრამ წყვდიადი მთელ ჩვენებას გაავერანებს“ („საღამო ლორნეტში“);

„ჩემი ოთახის მას ბინდი უყვარს“ („ნაფტალინის დედოფალი“);

„მისი ღიმილი დაბინდული, შვენება თალხი“ („სხვანაირი ტრფობა“);

„ისევ საღამო აჩრდილებით მედაისება“ („დაისების სინაქსარი“);

„ბნელ შუალამით დატვირთული წუთი გვიანი“ („ძაღლის სიმღერა“);

„...შემდეგ განისლდა, სიმარტოვე ულმოზელია“ („ცეცხლიან სარკეებში“).

სიმბოლისტებმა თავიანთი შემოქმედების მარადიულ თემად სიკვდილი დაამკვიდრეს და ქვეყნიერებას სიკვდილისა და სიმახინჯის აპოლოგეტებად მოევიწყლენ. ლექსში „მონძებში“ ხდება უტრირება იმ სიმახინჯისა, რომელიც ახასიათებს სიკვდილს:

„ჩემი სალამი შავ ნაფლეთებს, სულის სასწორებს,  
მე მინდა მოვკვდე ამ მონძებში, რომ სამარეზე  
ძაღლების ხროვა მაგალობელი მიძგნიდეს მძორებს,  
რომ ჩემს საფლავში ვიოცნებო დამპალ მთვარეზე“.

დაქანცული სულის გრადაციებს განასახიერებს სადამოს პოეტური სიმბოლიზაცია, დაისი ანუ მზის ჩასვლა, ბინდი, სიბნელე, სიშავე:

„ისევ დაისი მომევივლინა როგორც იღბალი,  
ისევ დაისში დავინახე ავი ლანდები“.

/„თეატრის ფარდა, დაისი მეორე“/

ან კიდევ:

„დაისის ფარდა – საიქიოს მარადი ფარდა,  
როგორც მირაჟი ვარდისფერი იწვის, ზმანდება“.

/„მე და ოფელია“/

სპეციალისტებს ფერთა ათასზე მეტი ნიუანსის გარჩევა შეუძლიათ, მაგრამ მხატვრულ შემოქმედებაში პოეტები, ძირითადად, რამდენიმე დომინანტურ ფერს ანიჭებენ უპირატესობას. ამ მხრივ, ყურადღებას იქცევს ვალერიან გაფრინდაშვილის პოეზია, სადაც თეთრი და შავი ფერი ხშირად ენაცვლება ერთმანეთს. ეს ბუნებრივიცაა, რადგან თეთრის ზემოქმედების ძალა განსაკუთრებით შეიგრძნეს სიმბოლისტებმა.

ფერადოვანი ნახატებითაა სავსე ვ. გაფრინდაშვილის ლექსი „პროვინციალური გაზაფხული“<sup>7</sup>. პოეტმა მკითხველი პირველი სტრიქონიდანვე შეამზადა არა გაზაფხულის სურათებით დასატკბობად, არამედ დასაფიქრებლად. დროისა და სივრცის ცვალებადობის წარმოჩენით ვალერიან გაფრინდაშვილმა ხაზი გაუსვა ცხოვრების მდინარეებს – ყველაფერი

<sup>7</sup>თუმცა სწორი ფორმაა პროვინციული და არა „პროვინციალური“, ეს ეპითეტი უფრო მუსიკალურია და პოეტურ სათქმელს ნატიფად გადმოსცემს.

ცვალებადა, ხან გაზაფხულია, ხან – ზამთარი. ლექსის სათქმელია სიკვდილ-სიცოცხლის განუყოფლობის გააზრება: „ცვალებადა დრო და ალაგი. ახლა მაისმა მოსვლა ინებოს, როგორც პოეტი, ელის ქალაქი **თეთრი ტყემლებით** დაგვირგვინებას“, – ფერებწაშლილი ქალაქი, რომელიც ნაზამთრალი ელის „გაფერადებას“, შედარებულია პოეტს, რომელიც აღიარებასა და უკვდავებაზე ოცნებობს. ლექსში პოეტი წარმოაჩენს **თეთრი და უფერო დღეების** დაუსრულებლობას, ზამთარი კი ხაზს უსვამს სიცოცხესა და სულიერობას. იგი სიკვდილის მოციქულს (იზრაილი) მოიხსენიებს ეპითეტით „შეუმუსრავი“, რითაც მის უკვდავებას უსვამს ხაზს და მოითხოვს „**შავ პროცესიას**“ ანუ სიკვდილს. ლექსში ყვავილთა სითეთრეს შეერევა შავი, რომელიც ყველაფერს ჩრდილავს.

ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსში „ოფელია და ნერონი“ **თეთრი** რწმენასა და იმედის სიმბოლოს უკავშირდება. **თეთრის** მნიშვნელობით გამოყენებულია „**დათოვლილი სპეტაკი**“. გარდა ამისა „**გათენება**“ ქმნის ფერის შთაბეჭდილებას:

„და თუ გათენდა – შეიჭრება მზის ნირვანაში  
ორი ჩვენება: ნერონი და თვით ოფელია.  
ახლა კი მიჰქრის **დათოვლილი სპეტაკი** რაში  
ავი ცეზარი მრისხანე და ულმობელი“.

**თეთრი** ფერი უკავშირდება სიხარულს: „**თეთრი ვარსკვლავი, ოფელია და სიხარული**“.

თეთრი ფერი ქალის სილამაზის გამომხატველიცაა:

„შენ **თეთრი ქოშები** ჩაგეცვა, ცბიერო  
ლამაზო, კეკლუცო, ნუთუ ლმობიერო?“  
/„მინიატურა“/

პოეტისათვის **სითეთრეა** თოვლი, ქაფი, ზამთარი, ბროლი, ფიქალი (სუფთად დამუშავებული გათლილი ქვა).

„თოვლი და ქაფი, დაისები და ბროლფიქალი“; „თოვლი სახეზე და ხელებზე მათ ეწვეთება“.

ლექსში „ზამთარი“ **ზამთარი თეთრი გედის** სახით არის წარმოდგენილი. „ჩვენ რომ გვეძინა, იგი მოფრინდა, სასიხარულო **იანვრის გედი**“, – წერს პოეტი. სიკვდილი გააზრებულია ნეტარებად, რომელსაც ზამთრის სიჩუმეც ვერ შეედრება. შთამბეჭდავია

ზამთრის სითეთრიდან სიკვდილის ასოციაცია, – „...და ამ სიჩუმეს, და ამ მშვიდობას / თვითონ სიკვდილიც ვერ შეედრება“.

ბინდის ყვავილი შედარებულია პოეტის გაფითრებულ სულთან, – „...და ჩემი სული ფითრდება ისე, როგორც სუმბული – ბინდის ყვავილი“. პოეტი ამ ყველაფერს ზამთრის სითეთრეს უკავშირებს.

**თეთრი უკავშირდება სიცივეს, სიკვდილს:**

„მოდი ზამთარო, დამაყარე მკრთალი იები,  
და შენს თეთრ სიკვდილს მაზიარე – შენაციები“.

/„შემოდგომის ქანდაკება“/

ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსში „სანტიმენტალური ტრიოლეტი“ „თეთრი ვერსალი“ მოწყენილობასთან ასოცირდება, გარდა ამისა, ლექსში დასტურდება სიტყვები: **ზამთარი, ცივი თოვლი, განშორება, მარტოობა**, რაც საბოლოო ჯამში ფერის ასოციაციას ქმნის:

„ვარ მოწყენილი, ვით ზამთარში ნაზი ბელურა,  
ვით შემოდგომის ღამეებში თეთრი ვერსალი.  
შენს სილამაზეს ჩემი ტრფობა ესაფეხურა,  
ვარ მოწყენილი, ვით ზამთარში ნაზი ბელურა.  
მე განშორების ცივი თოვლი დიდხანს მეხურა,  
ვტიროდი ხარბად – მარტოობით ნალერსალი.  
ვარ მოწყენილი, ვით ზამთარში ნაზი ბელურა,  
ვით შემოდგომის ღამეებში თეთრი ვერსალი“.

**თეთრი მრავალგანზომილებიანია ლექსში „მისტიური მარულა“.** თეთრს უკავშირდება შემდეგი სიტყვები: **ბროლი, გაყინული** (სიმკაცრის გამომხატველი), აგრეთვე, „გაფითრებული“ („იმსხვრევა ქარში გაფითრებულ ბროლთა ზმანება“). თეთრი გამოყენებულია ბგერათა თამაშში „თეთრი სიგიჟე თეთრ მათრახით უთრთოლებს რაშებს“.

ვალ. გაფრინდაშვილის მხატვრულ ნაწარმოებებში „თეთრი რაში“ არაერთგზის გამოყენებულია თავისუფლების, ზესწრაფვის, სიძლიერის და თვით საქართველოს სიმბოლოდ.

თეთრი უპირისპირდება შავს. ლექსში „ოფელია და გედები“ მდინარის წიაღიდან აღმდგარი გაფრინდაშვილის ოფელია თავისი „სითეთრით“ შავ გედებს აფრთხობს. ამ ლექსშიც ფერს გამოხატავს უსხივო ღამე, ღამის წყვდიადი:

„მაგრამ შავ გედებს ეშინიათ სითეთრის მეტათ,  
გადაცვივდება მათი გუნდი ახლობელ ზღვაში.  
**უსხივო ღამე** უდაბნოა და თეთრ იმედით  
დარჩება მხოლოდ ოფელია ღამის წყვდიადში“.

/„ოფელია და გედები“/

პოეტისთვის ოფელია იგივეა, როგორც გალაკტიონისთვის მერი. იგი, როგორც მუზა, როგორც შთაგონება, ხშირად ჩნდება პოეტის შემოქმედებაში. ოფელიას შედარებულია ფოლკლორულ შრომანასთან, რომელიც მიანიშნებს მის დიდგვაროვნებასა და სიწმინდეზე:

„ნებიერ შავ ტალღაზე, სადაც ვარსკვლავები გარინდებულან,  
დიდი შრომანასავით მიცურავს თეთრი ოფელია“.

შავი ტალღა ღამის ცის მნიშვნელობით არის გამოყენებული.

პოეტისთვის სითეთრე სიცოცხლის დაპირებაც არის და სიკვდილიც. თეთრი ოცნების, რწმენისა და იმედის გამომსახველი ფერია. „თეთრი ოცნება გადარჩენის თოვლივით დნება,“ – წერს პოეტი ლექსში „მე სარკვეში“.

წყვდიადს თეთრი ფერით ანადგურებს პოეტი, – „კეკლუცთა ჯარი თეთრ გედებზე მისცურავს ნელა, შავ ნირვანაში დაალურობს დღე ფერწასული“ („დაისი“). თეთრი ამაღელებულს უკავშირდება, შავი – მდაბალს.

ვალერიან გაფრინდაშვილთანაც, ისევე როგორც პაოლო იაშვილთან, უარყოფით ემოციებს იწვევს წითელი. იგი უკავშირდება სისხლისღვრას, წითელ რუსეთს, წითელ არმიას, წითელ დროშას, ცეცხლს:

„დიდი ოქტომბრის არის კომუნა,  
და მისი დროშა სისხლიანი დაცხრილული,  
ამშვენებს ლენინის მაჯოლეის.  
რუსეთმა მაისს უპასუხა დიდი ოქტომბრით“.

/„პარიზის კომუნა“/

წითელ და შავ ფერთა გადაკვეთა გამოხატავს სიტუაციის სიმძაფრეს. გიშრისფერი ანუ შავი დროშა ცხადია, ავის მომასწავებელია, მაგრამ ამასთანავე ის სისხლშია ამოსვრილი [ჭედია, 2006].

„ღამის ხომალდი ეწვია ნაპირს,  
სისხლში ამოსვრილ გიშრისფერ დროშით,  
ელოდა ყველა მისგან დანაპირს,  
ეს იყო ტანჯულ საქართველოში“.

/„სიზმარი“/

„ველარ გამოვალთ ვერასოდეს სასტიკ ბროლიდან  
ბროლთა ზმანება დაისების ცეცხლში ტარდება“.

/„ცეცხლიან სარკეებში“/

ყვითელს წითლის მსგავსად ორმხრივი სიმბოლური დატვირთვა აქვს. სემანტიკური თვალსაზრისით ეს შეიძლება იყოს მხიარულების, ოპტიმიზმის, ან კიდევ, ავადმყოფობის, მკვდრის ფერი. ვალ. გაფრინდაშვილთან ყვითელი გვხვდება შემდეგ სტრიქონებში:

„მე მინდა გითხრა, ო, შემოდგომა, // რომ მიყვარს, შენი ყვითელი სახე“ („შემოდგომა“);

„შენ ხარ ყვითელი, ვით საგიჟეთი“ („შემოდგომა“);

„სიკვდილი ნახეს შეშლილობის ყვითელ უბეში, მაგრამ მოასწრეს დაისებით გასხივოსნება“ („გრიშა აბაშიძე და ჟერარ დე ნერვალი“);

„ისევ მაწუხებს დადუმებულ ლექსთა ზრახვანი და ყვითლად მხიბლავს მოქეიფე ლოთი მამია“ („მამია გურიელი“).

გაზაფხულის, აღმოცენების, ბუნების მშვენიერების აღსანიშნავად ვალ. გაფრინდაშვილთან მწვანე ფერი გვხვდება: „დაუშრეტელი მწვანე ველებით მხიბლავდნენ შენი სანაპირონი“.

პოეტის ლექსებში **მწვანე** უიმედობისა და სევდის აღმნიშვნელიცაა: „როცა **საღამო** უიმედოთ, **ზანტათ მწვანდება**, / ასე მგონია, იგი მეტრფის მე, როგორც რაინდს“.

ვალ. გაფრინდაშვილთან ვხვდებით აგრეთვე **ლურჯს**: ლურჯი საღამო, ლურჯი ჰაერი, ლურჯი თვალები, ლურჯი ისრები... ლურჯი იწვევს სევდიან განწყობილებას.

„**ლურჯი საღამო** აქანდაკდა ნაზ სახრჩობელად...

დავეკიდები და თანდათან გამგუდავს ღამე“.

/„საღამოს მასკები“/

**ლურჯი** მისტიკურ უსასრულობას გამოხატავს, რითაც საკუთარ ორეულთან ერთგვარი წინააღმდეგობის საბედისწერო ემოციაც ამ ფერში გამოსახა („დუელი ორეულთან“) პოეტმა: „დუელს ერთმანეთს ვპირდებოდით ბოროტ მიწაში, როგორც **ლურჯ გედის** მოტრფიალე ფალავანდები“.

ამგვარად, ვალერიან გაფრინდაშვილის პოეტურ მხატვრულ სისტემაში ფერების მკვეთრი გამიჯვნა ძნელდება, თუმცა სიხშირის მხრივ ბაზისური ფერები – **თეთრი, შავი, ლურჯი, მწვანე**... გამოირჩევა. გამოყენებული მასალის ანალიზმა გვაჩვენა, რომ **თეთრი** ვალერიან გაფრინდაშვილის პოეზიაში დომინანტური ფერია.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ფერიული წარმოდგენები, ყანწელთა ჯგუფის სხვა წევრებთან შედარებით, მეტია ვალერიან გაფრინდაშვილის შემოქმედებაში.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, მართალია, ვალ. გაფრინდაშვილის ლინგვოსპექტრში ყველაზე ხშირად კონკრეტულად „თეთრი“ (134-ჯერ) და ამ ჯგუფში შემავალი ლექსიკა (ნათელი, სინათლე... გაფითრებული, გათეთრებული, ფერწასული, ფერმკრთალი... ჭაღარა... ბროლი, დღე) გვხვდება, მაგრამ გაცილებით ხშირია შავი ფერის (43-ჯერ) სემანტიკურ ჯგუფში შემავალი სიტყვები: დაისი (63), ბნელი (44), წყვდიადი (13), ღამისფერი, რუხი, ნისლი, თალხი, დაბინდული, ღამე.

\*\*\*

„ცისფერყანწელთა“ ჯგუფის კიდევ ერთი აქტიური წევრი იყო, როგორც მას უწოდებენ, ქართული სიმბოლისტური სკოლის „უკანასკნელი მოჰიკანი“ კოლაუ ნადირაძე. მისი პირველი ლექსი („ავზნიანი ქალაქი“) სწორედ ჟურნალ „ცისფერ ყანწებში“ დაიბეჭდა.



კოლაუ ნადირაძის მსოფლშეგრძნებისათვის მნიშვნელოვანია ფიქრის აღმძვრელი პეიზაჟების დამცხრალი ფერი, რომლის მეშვეობით იგი თავის ზრახვებს გვიცხადებს, – „ვარსკვალების მტევნებით დატვირთული“ ცის „ისფერ თაღებში“, საიდანაც „ხავერდის კიბის საფეხურებით დიდი სიჩუმე ჩამოდის“, საკუთარ სახეს პოულობს ყოველი ფერი.

1985 წელს გამოქვეყნდა კოლაუ ნადირაძის ანტიბოლშევიკური ლექსი „25 თებერვალი“, რომელიც მეხივით გავარდა იმდროინდელი კომუნისტური საზოგადოების „მოწმენდილ“ ცაზე. გავიხსენოთ ფრაგმენტი ამ ლექსიდან:

„თოვდა და თბილისს ებურა თალხი,  
დუმდა სიონი დადუმდა ხალხი...  
თეთრ ცხენზე მჯდომი ნაბიჯით ნელით  
შემოდოდა სიკვდილი ცელით!“  
„თოვლს დაეფარა კრწანისის ველი, –  
წითელი დროშით, მოღერილ ყელით,  
თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით  
შემოდოდა სიკვდილი ცელით!“

თეთრი ამ ლექსში სიცივეს, ზამთარს და თოვლს უკავშირდება. წითელი კი – სიკვდილს, წითელ რუსეთს, წითელ დროშას.

კ. ნადირაძის ლექსში „ოცნება საქართველოზე“ ძველი საქართველო სევდიანი ხილვა მელანქოლიური ინტონაციითაა გაჯერებული და უკავშირდება შავ ფერს:

„მოთაფლისფერო სახე მამების;  
და საცეცხლურში ცოტა ნაცარი  
და შავი ხატი წმინდა სამების...“

...და ღვთისმშობელის მოგრძო თვალები  
უმანკო სევდით ამოვსებული“.

კ. ნადირაძესთან უმეტესწილად თეთრი გვხვდება, რომელიც მიემართება თოვლს, ვარსკვლავს, მთვარეს: „თოვლის სპეტაკი ბრწყინვალება და სხივოსნობა“ („მინაწერი“); „მთვარის ლანდები კრთიან ხეებზე \_ / თეთრათ ნაქარგი“ („მთვარის წყალობა“); „წვიმიან

ბნელეთს ვათეთრებ ხშირად“ („ბალახვანი“, კ. ნადირაძე); „წავიდეთ ერთად, ჩუმიად ჩავსხდეთ მოთეთრო ნავში“ („NOTRE-DAME“); „თეთრი ტყემლების აყვავებას ბევრი უცდიდა“ („პირველი მარტი“); „თეთრ კაბით მოგრთავთ, დაგიკოცნით მცივანა ფეხებს“ („ბალდახინი“); ან კიდევ:

„თეთრი ანგელოზი მწუხარე თვალებით  
ქალაქზე გაფრინდა ციურ ბრწყინვალეობით.  
იდუმალ ფრთების ხმა ქუჩებში გაისმა  
და ქვები ლალისფრათ შეღება დაისმა.  
შორს გადაიკარგა თეთრი მოჩვენება,  
მხოლოდ საოცარი დარჩა სურნელება.  
და დიდხანს ქალაქი მტირალი ზარებით“.

/„თეთრი მირაჟი“/

\*\*\*

ორთოდოქსი სიმბოლისტი პოეტი იყო „ცისფერყანწელთა“ შორის ყველაზე ახალგაზრდა შალვა კარმელი (გოგიაშვილი). მის პოეტურ სამყაროზე თავისებური გავლენა იქონია 20-იანი წლების შემოქმედებისათვის დამახასიათებელმა სულიერმა მეტამორფოზებმა. გარდა ამისა, ამას თან ერთვოდა უმძიმესი ფიზიკური ყოფა, უახლოესი ადამიანების დაღუპვა, უმძიმესი სენი, რომელმაც ახალგაზრდას მოულო ბოლო. აქედან გამომდინარე, ლექსში „გამომტირალი ჩემზე“ შავი გამოხატავს ქაოსს, მწუხარებას, უფერულია, უსიცოცხლო, ქმნის ტკივილის, მელანქოლიურ განწყობას, ატარებს სევდის ემოციას.

„ვდგავარ ყვითელი ქანდაკება მე ბრინჯაოსი.  
ურგი წამლებით დავითხოვე ჩემი მკურნალი.  
ძილში მეძახის მარიხელი თუ სატურნელი.  
ღამეში ქმინავს ვეშაპივით შავი ქაოსი.  
...შავ ყორნებსავით დაგტირიან და გეძახიან!

ადარ მეღირსა განკურნება ჭლექიან ფილტვის...“

/„გამომტირალი ჩემზე“/

შავს როგორც ყველა სიმბოლისტთან, შალვა კარმელთანაც უარყოფითი დატვირთვა აქვს. ყველა თავის ნიღაბსაა ამოფარებული: „ჩნდებიან ხმლებით ჰამლეტები და კვლავ ქრებიან... // და ფიქრებია წელგაფატრულ შავ ოტელოზე!.. („მასკები კარნავალში“).

შავი ყორანი სიმბოლოა ბოროტებისა: „შავ ყორნებით დაგტირიან და გემახიან!“ („ჩემი ორი დის წმინდა ხსოვნას“).

შალვა კარმელი ხშირად იყენებს თეთრს: „სხვა ხეთა გუნდებს წინ უსწრებენ, ვით ერკემლები, / თეთრ ყვავილებით ფანჯარასთან ფშვინვენ ტყემლები // ...და ნაზი თოვლი იფანტება ქროლვის მორჩილი“. გაზაფხულზე პირველად თეთრად აფეთქდებიან ხოლმე ტყემლის ხეები. მათ ასეთ წინსწრებას პოეტს აგონებს თეთრი „ცხვრის ტალღის“ წინ მიმავალ ერკემლებს.

პოეტის ლექსებში თეთრი ცივი ფერია:

„თოვლისფერ ლანდით ბეატრიჩე მეშინაურა  
ოქროსფერ თევზებს ოფელია წყალში დაირევს“.

/„მარიონეტები“/

მაგრამ:

„სული, ღვთაებას ცივ თეთრებში, კვლავ გეთაყვანა...  
ჩამაცვი კაბა... ო, რა მცივა... ო, რა სუსხია“.

/„მკვლელობა სონეტში“/

ან კიდევ:

„გუშინ ვაგონში ფერმკრთალები შიშობდნენ ჭლექზე“;  
„...და მოახლოვდა შებრძოლება, სითეთრე დილის“.

/„მკვდარი ბრიუგე“/

თეთრი უკავშირდება ზამთრის თვეს, სიცივეს:

„...და ყოველ წლობით თეთრ დეკემბერში  
თვე მე და შენი გარდაცვალების“.

/„ფანტასტიკური ქორწინება“/

ლექსი „განსვენება“ ლირიკული აღსარებაა, სადაც პოეტი სულიერ დრამატიზმთან ერთად ბუნდოვან სახე-სიმბოლოებსაც გვთავაზობს.

„ფირუზისფერი აბაჟურით ჩაქრა შანდალი  
ცივი ბალიში **თეთრ ლოცვებმა** დამინოტიეს,  
**თოვლიან** იღბალს ანადგურებს ხელი ვანდალი,  
მაკროთობს სიკვდილი უცაბედად, როგორც გოტიეს“.

**ყვითელი** ფერი, სხვა სიმბოლისტების მსგავსად, შალვა კარმელის პოეზიაშიც უარყოფით დატვირთვას იძენს. საქართველოში ტუბერკულოზის თემაზე არავის უწერია იმ ცრემლითა და ტკივილით, როგორც შალვა კარმელს: „შიშიანობა და **გაყვითლება!**“, „თორემ ჩემ **ყვითელ ცივ სხეულიდან / აღარ დარჩება ფერფლიც ყვითელი!..**“ („სანზენიტო“).

ან კიდევ:

„**ყვითელ ეტრატზე** თუ ამსახავს მემპტიანე,  
ვიქნები ფერშავ ოდრიკლაში ბედსაბრალისი“.

უარყოფითი დანიშნულება აქვს **წითელ** ფერსაც:

„აღდგომის ღამეა, სამრეკლოზე ზრიალებს ზარი  
და ჭიდაობენ ჩაკირული **წითლად კვერცხები**.  
ცოცხალს კლავს ღვინო და ისევ ცოცხლდება მკვდარი.  
აღდგომის დღეა. სამრეკლოზე ზრიალებს ზარი“.

/„აღდგომის ტრიოლეტი“/

ქალის სახე იკვეთება ლექსში „Ego vi amo“, სადაც ქალი – ლეილა ცოცხლდება, როგორც სიყვარულის სიმბოლო. სწორედ სიყვარულსა და ვნებას უკავშირდება აქ წითელი:

„მაშრიყის მზეო, ო, ლეილა, საღვთო ტრფიალით  
შენს სადღეგრძელოს ვსვამ, მგოსნურათ ოქროს ფიალით.  
**წითელი ღვინო** მოთილისმობს გიჟურათ მჩქეფე,  
კვნესის მუტრიბი, ზეიმია, მეფე ვარ, მეფე!“

/„Ego vi amo“/

\*\*\*

ლიტერატურული გაერთიანება „ცისფერყანწელთა“ მოძრაობის ერთ-ერთი დამაარსებელია ტიციან ტაბიძე.

ბოლშევიკური დიქტატურის მიერ ყანწელების წევრებიდან ზოგიერთი აკრძალულ მწერლად (პაოლო იაშვილი, გრიგოლ რობაქიძე, ნიკოლო მიწიშვილი და სხვ.) გამოცხადდა, მათ შორის ტ. ტაბიძეც.

ტიციან ტაბიძესთან თეთრი იმედის ფერია. სწორედ ეს ფერი დომინირებს ლექსში „ცხენი ანგელოსით“, სადაც თეთრი წმიდა შემოქმედების სიმბოლოდ იქცა, „ცხენს“ კი სიმბოლური დატვირთვა ენიჭება, როგორც „აპოკალიფსის თეთრ იმედს“.

„სდგას მარტო ეკლესია  
თეთრი გიორგის  
და მამის გულზე  
აბჯენია მაგარი მუხლი  
გაფრენილ ცხენის...“

პოეტი საქართველოს ხსნას მხოლოდ „თეთრ ცხენსა“ (სიკეთეს, სიძლიერეს) და „თეთრ გიორგის“ ანდობს:

„...საქართველოს ზედს მხოლოდ ცხენით თუ დაეწევი  
მორბიხართ თეთრი – მარტო იმედი“.  
/„ცხენი ანგელოსით“/

„თუკი გალაკტიონის „შერიგებაში“ თეთრი აკლდამაა, სიკვდილის სიმბოლოა და მასთან მხოლოდ მზისა და მშვენიერების ხათრით იღება ზავი, ტიციანთან თეთრი უფრო რწმენის, იმედის ფერია“ [სვანიძე, 2004: 96].

„სწორი ხერხემალის – დროშის ტარი თეთრი გიორგის  
ვინ გადატეხა?“

მიუხედავად ამისა, სრულყოფილების იმედი არ ტოვებს პოეტს. „იცით, ვინ არის ის ანგელოსი, / ცხენი ქაფში რომ მალლა მიაფრენს?!“ – კითხულობს ტ. ტაბიძე, რომლის ქვეტექსტში არსებული ფუნქციური ნარატივი თეთრზე გაუტოლდა ნარატივს შინაგან თავისუფლებაზე. როგორც ნ. სვანიძე აღნიშნავს, ტიციანისეული თეთრი განისაზღვრება

მისტიციზმის ფერად, რომელიც გარემომცველი მატერიალური ქაოსიდან გამოთავისუფლებას ახდენს სუბლიმირების გზით [სვანიძე, 2004: 96].

„მაწვიმს სითეთრე და წვიმის თქეში, / მოდის ცრემლებად ჩემს თვალებიდან“, – წერს პოეტი. ნიავის დაბერვაზე ჩამოცვენილი ყვავილები, რომლებიც წვიმასავით ეფრქვევა, პოეტისთვის ეს სიხარულის ცრემლებია.

გავიხსენოთ ლექსი „მეარღნეები და პოეტები“:

„...და ალიონზე თეთრ დუქნათან

სტირის არღანი.

მტკვარი ახლოა, უნდა მტკვარში

თავი დავიხრჩო...

სიყვარულისგან მეტ მოთმენის

არა მაქვს ღონე...“

/„მეარღნეები და პოეტები“/

ლექსში თეთრი დუქანი ერთგვარი სცენაა, მეარღნის სიმღერა კი მუსიკალური ფონი. იმის გამო, რომ მშვენიერმა დილამაც კი ვერ გააქარვა პოეტის ნაღველი, ამიტომაც ჩნდება ყველაფრის მიტოვების სურვილი. სიკვდილის მიზეზი კი ამ შემთხვევაში სიყვარულია, რომლის მოთმენა აღარ ძალუძს მას.

ტიციანთან თეთრი უკავშირდება შიშსაც:

„სითეთრის პირისპირ შეყრილი შიში

თეთრი აჩრდილი მისდევს ჩვენს კორტეჯს,

თეთრი აჩრდილი თეთრი მადონის“.

/„თეთრი სიზმარი“/

ღრმად ემოციურ მხატვრულ სახეს ქმნის პოეტი ლექსში „სენტიმენტალური მოგზაურობა“, რომელშიც გადმოცემულია ბათუმის ზღვის სანაპიროზე მიღებული შთაბეჭდილება. კონტექსტის მიხედვით თეთრი ზამზახები და თეთრი ვარდები მიემართება ქალებს:

„თეთრ ზამზახების დგანან ფარდები,

გააქვთ შრიალი პალმების ქოლგებს

და ისე ყრია თეთრი ვარდები,  
თითქოს ათასი აქ გედი მოკლეს.  
გაღებულა სამოთხის კარი  
და მე მრცხვენია, რომ ვარ უშენოდ,  
ალბათ ყოფილა წყევლა ამგვარი:  
მივცეთ პოეტებს სამშობლო მხარე  
ულამაზესი – ედემის დარი,  
მხოლოდ ქალები გადავუშენოთ.  
გაღებულა სამოთხის კარი  
და მე მრცხვენია, რომ ვარ უშენოდ!“

ტიციან ტაბიძის ლექსებში გვხვდება ოპოზიცია თეთრი და შავი, ან კიდევ, მწვანე და ლურჯი:

„მწვანე ედემი, ლურჯი ედემი, / პირველი გრძნობის ლურჯი ედემი!“ („ლურჯი ედემი“);

„ორი არაგვი, როგორც ორი და, / ვით დღე და ღამე – თეთრი და შავი“ („ორი არაგვი“).

ან კიდევ: „...შავი არაგვი თეთრ არაგვს ერთვის“ („ანანურთან“ (თამუნიაწერეთელს).

პოეტმა თავის მუზას (თამუნია წერეთელს) შემდეგი სტრიქონები მიუძღვნა:

„რა დამავიწყებს ამ შავ გაზაფხულს,  
ბედი უბედურს სხვას რაღას უზამს,  
ვსტირი სიცოცხლით კუბოს დამარხულს,  
გაუხარებელ დაფლეთილ მუზას“.

/„თამუნია“/

შავი ამ ლექსში იწვევს, წუხილს, გლოვას, სევდას, აქვს ტკივილის შეგრძნება. როგორც ცნობილია, თამუნია წერეთელს მშობიარობის შემდეგ სიცოცხლის შენარჩუნების მიზნით ფეხი მოკვეთეს. ამ ფაქტმა სულიერად შეძრა ტიციანი და ის გაზაფხული მის გონებაში შავად აღიბეჭდა.

ტიციან ტაბიძის ლექსებში შავს, ძირითადად, უარყოფითი დატვირთვა აქვს:

„იყავი რაც გინდა, შავი, საცოდავი“ („ავტოპორტრეტი“);

„მხოლოდ ნაღველი შავ თოვლად თოვდა“ („პრინცი მაგოგი“);

„ბევრს ჩაეშალა შავბნელი ზრახვა / და წავუხდინეთ ბევრსაც ნახტომი“ („სომხეთში“).

თეთრი, შავი და ცისფერი ფერები გვხვდება სონეტად დაწერილ ლექსში „ავტოპორტრეტი“: ცისფერი ტიციანის თვალების ფერია (ის თავის თავს ოსკარ უაილდს ადარებდა), თმათეთრი მიემართება პოეტის სათაყვანებელ ქალს, ხოლო შავი და საცოდავი ეპითეტია ჯოჯოხეთური ცხოვრებისა, რომელიც უნდა სამოთხედ აქციოს:

„უაილდის პროფილი... ცისფერი თვალები, /

სარკეში იმალება თმათეთრი ინფანტა<sup>8</sup>.

ილიის დაკოცნით მალე ვიღალევი,

მწვავენ ტალღები, თმებმა რომ დაფანტა...

...იყავი რაც გინდა. შავი, საცოდავი,

ცხოვრება, ხელში მაქვს მე შენი სადავე,

რომ ეს ჯოჯოხეთი სამოთხედ გაქციო“.

/„ავტოპორტრეტი“/

მოგვიანებით, პოეტის იერს კიდევ ერთი დეტალი შეემატა, გამორჩეულობის ნიშანი – წითელი მიხაკი მკერდზე. წითელს პოეტის შემოქმედებაში ხშირად ხვდებით. იგი ლექსში „ნინა მაცაშვილს“ სიმბოლისტური აზროვნების სფეროდან (მინიშნებებით) ნასესხები მუქი ფერებით ქმნის ლექსის ძირითად აზრობრივ ფონს. ნინას წითელი კაბა შედარებულია გარდამოხსნასთან:

„შენს წითელ კაბას... ბალაგანის ჯვრის გარდამოხსნას,

შენ ტუბერკულოზს და სინაზით ავადგამხდარ ხმას!

ძველი სონეტის მხოლოდ დარჩა... ერთი ტერცინა“.

---

<sup>8</sup>ინფანტა- ინფანტი ქალი, მეფის ასული. უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2006.



წითელს უარყოფით დატვირთვა აქვს შემდეგ სტრიქონებშიც: „წითელ დროშებით / დახურულ ცას“ („გულდაგულ“); მის წითელ დროშის ჭერქვეშა ფართხალს, / ფაშისტებისგან დროებით დახრილს“ („დაბელადობას, ტელმან, გავალეზს!“); „ცა წითელია და რქანაყარი – / ამაღამ ზენა ამოვა ქარი“ („ორპირი“).

ყვითელს ტიცინან ტაბიძესთან უმეტესწილად უარყოფითი მნიშვნელობა აქვს:

„გაყვითლებულა, შეხმობია ფოთოლი ჭადარს“ („ნოემბერი“);

„ყვითელ ფოთლებში მე ვიხრჩობი და ვიმარხები“ („ნოემბერი“);

„ყვითელი თვალი მონგოლების / და სააკაძე“ („მღვდელი და მალარია“);

„ფუტურისტები მაშინაც ასე ლაზღანდარობდნენ ყვითელ კოფტებით“ („შეხვედრა კონსტ. ბალმონტთან მოსკოვისახლოს ტყის ქალაქში“);

„ყვითელი ურდო ვიწრო თვალებით“ (პოემა „ცხენი ანგელოსით“).

ტ. ტაბიძის შემოქმედებაში დადებითი მნიშვნელობით გვხვდება ლურჯი და მწვანე:

„მიველტვით მწვანეს ბავშვობის კუნძულს;

რა მოკლავს გულში პირველ სიყვარულს?..

**მწვანე ედემი, ლურჯი ედემი,**

ბავშვობა ლალი, თავისუფალი,

პირველი გრძნობის უმხელი ალი...

ისევ წინ გვიძღვის იმედის გემი,

**პირველი გრძნობის ლურჯი ედემი!“**

/„ლურჯი ედემი“/

ამავე ლექსში გვხვდება შემდეგი სტრიქონი: „მჯერა, მწვანეა ალერსის ბაღი“.

ტ. ტაბიძე სიმბოლიზმის მსოფლმხედველობითი და ლიტერატურული პოზიციების დათმობის ტენდენციებს ავლენს ლექსში „უაბჯარონი“, „დაწყველილი“ და „შხამიანი“ სამყაროს მიუხედავად, მაინც სჯერა „მწვანე მოლის“ არსებობის:

„...დამწვარ ქალაქის ვინ აუშვა

ჩემ სულში ბოლი?..

...უდაბნოში ვარ, მაგრამ რაა

ეს მწვანე მოლი?“

\*\*\*

„ცისფერყანწელთა“ თაობის პოეტებმა შეიძინეს არა მხოლოდ დეკადენტური ხელოვნების მოტივები და რემინისცენციები, ამასთან ერთად, ღრმად გაითავისეს საკაცობრიო ესთეტიკური კულტურის გარდაუვალი მნიშვნელობის ღირებულებაც. ამავე ჯგუფის წევრი პოეტი იყო **რაჟდენ გვეტაძე**.

რაჟდენ გვეტაძის შემოქმედებაში ფერები ნაკლებად გვხვდება. რამდენიმე ლექსში ვხვდებით ბაზისურ ფერებს: **შავს და თეთრს**.

**შავი** ბოროტების სიმბოლოა, თუმცა განწყობა – ოპტიმისტური: „მხოლოდ ჩემს საფლავს გაიხსენებს მზის ფალავანდი, როცა ქვეყანას აეხდება **შავი ფარდაგი**“ („ყველას ვემღური“).

**თეთრი** „სიშმაგის“, სიმართლის, სინათლის, კეთილი მომავლის, იმედის და სამართლიანობის სიმბოლოა. ლექსში „მანიფესტი ვირებს“ სითეთრე უკავშირდება იმედს, მთვარის სისავსეს. ლექსის კონტექსტის მიხედვით მოტივირებულობის შთაბეჭდილებასაც ტოვებს:

„მოქალაქენო! ეხლა სიკვდილს აღარ ვაპირებ,  
გამიჩნდა საქმე საარაკო (თქვენ გეცინებათ),  
**ჩემი ფიქრები ისევ მოსჩანს მთვარის სინებად**  
და მანიფესტით მე მივმართავ საყვარელ ვირებს...“

**თეთრი** სიხარულს, ბედნიერებასა და სისუფთავს უკავშირდება, თუმცა ლექსში „მარო მაყაშვილს“ ქმნის სევდიან განწყობას, უფერულია, უსიცოცხლო, ჩამქრალი, უსიხარულო.

„**გტანჯავდა უხმოთ** განწირული ბედის ქველობა  
და სიყვარული საქორწილო თეთრი ქამარის“.

\*\*\*

ერთ-ერთი პირველი, რომელმაც ევროპული მოდერნიზმის თეორია შემოიტანა საქართველოში იყო **სანდრო შანშიაშვილი**. ტიციან ტაბიძე მას სიმბოლიზმის „აკვნის დამრწვევად“ თვლიდა და მის შემოქმედებაში ქართული პოეზიის სათავეს ხედავდა.<sup>9</sup>

სანდრო შანშიაშვილთან **თეთრი** იშვიათად გვხვდება და უმეტესწილად, როგორც სხვა სიმბოლისტებთან სიკვდილის გამომხატველია:

„იქ **თეთრ ქვასთან** მინახულებ  
სიყვარულით ლახვარ-სობილს...“

„იმ **თეთრ ქვასთან** ვიღაც ტირის  
ხმა-გაბმით და გულსაკლავად“.

/„ლეილა“/

ს. შანშიაშვილთან **თეთრი** უკავშირდება უსიცოცხლოს, უშფოთველობას:

„დგას **მყუდროდ თეთრი ყაზბეგი**,  
თუნდ ბარად იყოს ღელვანი“.

/„კახეთის დედოფალი“/

„**თეთრი ალი ჩუმად არის**,  
არ ებმება მათ ფერხულში...“

/„თეთრი ალი“/

ს. შანშიაშვილთან სიტყვები, რომლებიც არ აღნიშნავენ ფერს, მაგრამ ასოციაციით **თეთრს** უკავშირდება, გამოხატავს სიფერმკრთალებს, დაშორებას, ლოდინს, მელანქოლიას:

„მიწას ჩასცქერის, ცას პირს არიდებს  
და **ფერმიხდილი ბუჩქს** თავს აფარებს“.

/„სუმბული“/

---

<sup>9</sup>წყარო: Nplg.gov.ge

„ავად არის დედოფალი, ფერმიხდილი წევს,  
გრძნობს: სიყვარულს დაშორდება, ჩუმად ცრემლი სჩქეფს!“  
/„ბატონიშვილს გული უწყუხს“/

„თავზე დასთენებია,  
ამოსულა ცისკარი...“  
/„დედისერთა ლენინთან“/

სანდრო შანშიაშვილთან შავი ქმნის სევდიან განწყობას, უფერულია, უსიცოცხლო, ნაღვლიანი, უსიხარულო, „შვადმღელვარი“:

„ახ სასურველო! ნუ იბურავ შავს მყუდროებას“ („მახილი შორეულთან“);

„შავი ზღვის გაღმა, მთის ძირში, / სჩანს მონასტერი ღრუბელში, / ბერად შემდგარი  
შოთა წევს / ნესტიან მღვიმის ზღუდეში“ („შოთას ბეჭედი“);

„მაღლა \_ ღრუბელი მოშავო, / ძირს \_ ნისლი მიმქრალეული“ („კახეთის დედოფალი“);

„აგვიგზნე ფიქრი შავადმღელვარი!...“ („ნიკოლოზ ბარათაშვილი“).

შავი გამოხატავს ლოდინს, სიკვდილს:

„აღარ ძალუმს საბრალოს,  
შავს ძაძებში დრო მიდის“.  
/„დედისერთა ლენინთან“/

„მახსოვს შავებში იჯექ ჩემთან  
და ჩვენს გაზაფხულს...“  
/„მახსოვს შავებში“/

ან კიდევ:

„ქალს სიკვდილი შავ თვალებზე  
ლურჯის ფრთებით მიეპარა!“  
/„ლეილა“/

მწუხარების გამომხატველია შავის სემანტიკურ ჯგუფში შემავალი სიტყვებიც: ღამე, წყვდიადი...

„ღამეს თეთრად ათენებს...“ („დედისერთა ლენინთან“);

„დედა მას ენაცვალოს“, / ხვალეც ღამე ლოდინის!“ („დედისერთა ლენინთან“);

„ცრემლით წყვდიადს შესცქერის/ ტკბილი იყო სიზმარი“ („დედისერთა ლენინთან“).

წითელი პოეტის ლექსებში უკავშირდება სისხლს:

„წითელი სისხლით ღებავდნენ სანგრებს,

მტრებთან შეტევას თვლიდნენ დიდ განცდად!“

/უსათაურო „წინაპრად მყავდა შანშე წარმართი“/

მართალია, ქართველი სიმბოლისტები წითელი ფერით გამოხატავენ „წითელ დროშას, „წითელ რუსეთს“, რაც გამოხატავს უდანაშაულო სისხლს, ომს; მაგრამ ს. შანშიაშვილის ლექსში „დედისერთა ლენინთან“ წითელ დროშას საწინააღმდეგო კონოტაცია კი არ აქვს, არამედ იცავს მას:

„ის იბრძოდა წითლებთან

წითელ დროშას იცავდა.

ჯარისკაცი რუსეთში

ლენინს გაჰყვა მტკიცედა!“

/„დედისერთა ლენინთან“/

ს. შანშიაშვილთან გვხვდება ლექსემა „ლურჯა“, რომელსაც ლექსში „კახეთის დედოფალი“ დადებითი კონოტაცია აქვს:

„ზოგნი ლურჯა სუფრას შლიან...

შუადღისას საზეიმო

დღესასწაულს გადიხდიან“.

\*\*\*

„ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული ჯგუფის აქტიური წევრი იყო ქართველი პოეტი და ლიტერატურათმცოდნე **შალვა აფხაიძე**.

შ. აფხაიძესთან სხვა სიმბოლისტებთან შედარებით **თეთრი** დადებითია. **თეთრი** უკავშირდება სიჩუმეს, სიმშვიდეს:

„თბილი მთვარეა,

**თბილი, ნათელი...**

ბუუტავს ვარსკვლავი ალვის ფოთლებში.

**ვით თეთრი გედის მოქნილი ყელი,**

წევს ნისლის ბოლი

ზედაზნის მთებში“.

/„ღამე მცხეთაში“/

„არხევს **თეთრ** ღრუბლებს **სიო საამო...**“

/უსათაურო „მზე ზღვაში ჩაწვა“/

**თეთრი** უკავშირდება თოვლს, ზამთარს, სიცივეს:

„აქ ზამთარია და ისეც ცივა...“

**ცარცივით თეთრ** ცას ჯერ თოვლი ცვივა...“

/„ბარათი“/

„ზამთარში თოვლის **თეთრი სიჩუმე,**

ხოლო მაისში წვიმა მაისის...“

/„რა ღამაზია“/

შ. აფხაიძესთან შავი უფერულია, უსიხარულო: „გააღე კარი... **შავ სიჩუმეში** / ვიღაცის ლანდმა გაიშრიალა“ („ჯოკონდა“); „ეს ის დრო იყო, როცა **შავ ღრუბლებს** / პულტილოველთა პროტესტი ლეწდა“ („მოგონება მეოთხე“).

შ. აფხაიძესთან უარყოფითი მნიშვნელობა აქვს შავი ფერის ლინგვოსპექტრში შემავალ სიტყვებსაც:

„ცამ სულ დახუჭა თვალი, **დაბნელდა**“ („წვიმა ქალაქში“);

„მიუსაკუთრეს შემდეგ ტანჯულს **ბნელი** საკანი“ („წამებული“);

„ეს ის დრო იყო, როცა **შავ ღრუბლებს**

პულტილოველთა პროტესტი ლეწდა“ („მოგონება მეოთხე“);

„**ღამის წყვდიადი** წვიმამ ჩარეცხა“ („დღეს უსათუოდ ღამაში დღე“);

„წინ გადავუდგე მწუხრის სქელ **ბინდებს**“ (უსათაურო „ქვეყნად მოვსულვარ, რომ გავიხარო“).

შ. აფხაიძის ლექსში „დეკემბრის დღე“ გვხვდება „სიკვდილის ფერი“, რომელიც **შავს** შეიძლება დავუკავშიროთ. აღნიშნულ ლექსში შავს ამარცხებს თეთრი, აპრილის ფერი, აყვავების ფერი, გაზაფხულის ფერი.

„მაღე **სიკვდილის ფერს** შეცვლის ისევ

**სიცოცხლის ფერი,**

**აპრილი ფერი,**

ეს **ფერი** სადღაც ჩემს გულში მღერის“.

/„დეკემბრის დღე“/

პოეტის შემოქმედებაში ზაფხულის ფერია \_ **მწვანე**, „ვარვარა ფერი“:

„ზაფხული **მწვანე**, **ვარვარა ფერი**

ნოემბრის ყვითელ ქარს წაეშალა“.

/„წვიმა ქალაქში“/

ბუნება მწვანე ფერით არის გამოხატული აგრეთვე შ. აფხაიძის სხვა ლექსებშიც:

„გაზაფხული \_ ჩემი **მწვანე** თანამგზავრი“ („გაზაფხული – ჩემი მწვანე თანამგზავრი“);

„ამ **მარადმწვანე** მთების ფილტვებში!“ („დავხურე წიგნი“);

„გულგაღებელი როცა მივრბოდი / მის **ამწვანებულ** ნაპირისაკენ“ („ჩემი რიონი“).

**ლურჯი** უკავშირდება უსასრულობას:

„აი, ეს არის ჩემი სურვილი: / ვუცქირო **ლურჯ ცას**, / მაღალ ვარსკვლავებს“ („სურვილი“);

„ცა არის **ლურჯი**, ისეთი წმინდა, / რომ მასში თითქოს / კიდევ სულ სხვა ცის ჩანს ანარეკლი“ (უსათაურო „ცა არის ლურჯი, ისეთი წმინდა“);

„მცხეთის ცა ძლიერ, ძლიერ ლურჯია, / შაბამანზეც კი უფრო ლურჯი“ (უსათაურო „მცხეთის ცა ძლიერ, ძლიერ ლურჯია“);

„ქვებს შორის მისი ლურჯად ჩუხჩუხი, / სმენას რომ გიტკობს თითქოს მძინარეს“ („რა ლამაზია“).

\*\*\*

„ცისფერყანწელთა“ პოეტური ორდენის არსს გამოხატავს ნიკოლო მიწიშვილის სიტყვები – „სამშობლოს ჯვარზე პოეზიით დაღურსმულები“. სიმბოლისტებმა, როგორც თვითონ აღნიშნავდნენ, შექმნეს მარადისობის პერსპექტივა. კაცობრიობის ისტორიას ისინი აღიქვამდნენ, როგორც ერთ მოდელს. „ცისფერყანწელთა“ ლექსი უნდა ყოფილიყო იდუმალი.

ნიკოლო მიწიშვილთან ყველაზე ხშირად გვხვდება შავი და წითელი ფერი, რომლებსაც, უმეტესწილად უარყოფითი დატვირთვა აქვთ. შავი ქმნის უსიცოცხლო, ნაღვლიან, უსიხარულო, მეღანქოლიურ, უფერულ განწყობას, შავი ასოცირდება რაღაც ბნელთან:

„შემახის გზაზე ვიღაც შავმა, შავნაბდიანმა, / შუალამით დასძრა შავი ყარაბახული“ („ჰაჯი მურატის მოჭრილი თავი“);

„...და შევიქენი შავი მუშა / მე ოქტომბერის“ („პოეტი აღმშენებლობაში“);

„ვის მოუკლავს, ის მოჰკლავს / ნადირსა შავი ტყისასა“ („თბილისიდან ორჯონიკიძემდე“);

„იმ შავ დილამ წინაპართა...“ („დილა“);

„მე კი გავატობ გველის შავ კვერცხებს“ („სამგლოვიარო მარში“);

„აპობს შავ კლდესა მთისასა“ („ბორგავს არაგვი“).

თეთრი იმედის ასოციაციას იწვევს:

„...და როცა ქვეყნის აღსასრული ჩამოიგრგვინებს, ჩვენ გავიცინებთ თეთრ ფერებში გადაცმულები“ („ჩვენ – „ცისფერი ყანწები“).



თეთრი უკავშირდება ზამთრის ფერს: „გარეთ ქარია. დეკემბერი უკრავს ჭიანურს. / და თეთრ ქალწულებს გაუშლიათ მინდვრად ბალეტი“ („დეკემბრის აგონია“).

**წითელი**, როგორც სხვა სიმბოლისტებთან, ნ. მიწიშვილთანაც უკავშირდება ომს, სისხლს, წითელ დროშას:

„...და ის **წითელი**, მოკლე ჯოხზე დაკრული **დროშა**, / იქ, მოედანზე რომ ასწია მარად მზიანი“ („კამოს ძეგლი“);

„**წითელი ფერი თეთრ კბილებზე** ბევრმა წაისვა“ („უსახელო“);

„ავიღებ კალამს, ხან **წითელი**, ხან **შავი მელნით**“ („განწყობილება“);

„**წითელდროშოვან** არწივების მთავარსარდალი“ („მთავარი შტაბი“);

„სოფლად მიდის ავი თვალი, კუდიანი ქალი. / **წითელ თვალებს** აკიაფებს აცქერდება მესრებს („ავი თვალი“);

„ზღვაში ვარდება **წითელი მზე** – ცათ ნაგორები“ („წითელი გველი“);

„**წითელფერა დროშით** იცავს ღარიბ ქოხს და ბალებს / და მთარღვევს დაუნდობელ რეაქციის ტალღებს“ („ესპანეთის ხალხს“);

„...და **წითელ სახლთან**, საყდრის ახლო მოჩხუბარიძე გრანიტის ძეგლად აკვირდება უცნაურ ომსა“ („თბილისიდან ორჯონიკიძამდე“).

\*\*\*

ამდენად, „ცისფერყანწელებთან“ დასტურდება როგორც აქრომატული (**თეთრი, შავი, რუხი**), ისე ქრომატული (**წითელი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი**) ფერები, რომლებსაც სხვადასხვა ფუნქცია აქვს და გამოიყენება როგორც დადებით, ასევე უარყოფით კონტექსტებში.

ქართველ სიმბოლისტებთან **შავი** არის გლოვის, მწუხარების, უბედურების, წყვდიადის, ბოროტების, ცბიერების, გასაჭირის, სიკვდილის და უარყოფითი ძალის სიმბოლო.

ყველაზე ღრმა სიმბოლური ველი **თეთრს** აქვს. „ცისფერყანწელებთან“ **თეთრი** დომინანტური ფერია. გამოყენებული მასალის ანალიზმა გვაჩვენა, რომ **თეთრი** ატარებს თითქმის ყველა ძირითად მნიშვნელობას, როგორც დადებითს, ისე უარყოფითს, რაც ამ ფერს აქვს სხვადასხვა კულტურის კონტექსტში (გამომხატველია როგორც სიცოცხლის, ასევე სიკვდილის). **თეთრს** უარყოფითი მნიშვნელობა აქვს, თუ იგი დაკავშირებულია სითეთრესთან, ფერის დაკარგვასთან, რაც სიცივეს, სიცარიელეს, მარტოობას, სიკვდილს მოიცავს. სითეთრის უარყოფითი ველი კიდევ უფრო ძლიერდება სიკვდილის აღმნიშვნელი მეორე ფერით – **წითლით**.

„ცისფერყანწელებთან“ ხშირად გვხვდება **თეთრის** სემანტიკურ ჯგუფში შემავალი ლექსიკა: **ნათელი, მკრთალი, ბროლი, სპეტაკი, გათეთრებული, ყინული, ბროლი, ჭაღარა, სინათლე, მნათი, დღე, აისი, მთვარე... გამკრთალი, ფერმიხდილი, მიმქრალი, ფერგადასაული, ფერდაკარგული, ფერმკრთალი, ფერწასული, გაფითრებული... უფერო...**

„ცისფერყანწელთა“ ლინგვოსპექტრში ხშირია სიტყვები, რომლებიც შავი ფერის სემანტიკურ ველში ერთიანდება: **დაისი, ბნელი, მუქი, თალხი, დაბინდული, ნისლი, წყვდიადი, ბინდი, შეღამება, ღამე, ჩრდილი...**

„ცისფერყანწელებთან“ **წითელი** ომს, სისხლს, ცეცხლს უკავშირდება. „წითელი“ ფერის ლექსიკურ ერთეულში გაერთიანებული სიტყვებით იქმნება შემდეგი პოეტური სახეები: „წითელი საქართველო“, „წითელი რუსეთი“, „წითელი დროშა“, „წითელი კვალი“.

მაშასადამე, ერთი და იგივე ფერი შესაძლოა იწვევდეს როგორც დადებით, ისე უარყოფით ემოციებს. აქ მთავარია კონტექსტი. შესაბამისად, გაორებულია მათი მკითხველისეული შეფასებაც. ასე, მაგალითად, **ყვითელი** ეს არის ნათელი, მხიარული ფერი, მაგრამ აქვს უარყოფითი მნიშვნელობაც. **მოსაწყენი ყვითელი** წარმოადგენს სიფრთხილეს, სიმხდალეს, შიშს, ბოროტებას, მოსალოდნელ უბედურებას, ავადმყოფობას.

**ყვითელი** ფერის სემანტიკურ ჯგუფში გაერთიანებული სიტყვებით იქმნება შემდეგი პოეტური სახეები: „ყვითელი სიკვდილი“, „ყვითელი საშინელება“, „ყვითელი დანტე“, „ყვითელი ორპირი“, „სახე ყვითელი“, „ყვითელი ურდოები“, „ყვითელი ლექსები“, „ყვითელი წერილები“... აღნიშნულ სახე-სიმბოლოებში ყვითელი ბოროტებისა და განწირულების ფერია.

ბუნებამ თავისი ასახვა ჰპოვა სიმბოლისტთა შემოქმედებაში, რაც ბუნებრივია, ძირითადად, მწვანე ფერით არის გამოხატული.

სევდიანი ელფერი დაკრავს ლურჯს. როგორც ს. სიგუა აღნიშნავს, ქართველმა მოდერნისტებმა სამ ფერში დაინახეს ქვეყანა. ესენია: თეთრი, ლურჯი და შავი. თეთრი იმქვეყნიური სისპეტაკეა, ლურჯი – ზეციური სიწმინდე, ხოლო შავი – ქვესკნელის ფერია [სიგუა, 2002: 307-308].

რაც შეეხება სხვა ფერებს, უნდა აღინიშნოს, რომ რუხი იშვიათად გვხვდება „ცისფერყანწელებთან“.

ფერის აღმნიშვნელი ლექსიკა გვხვდება სათაურებშიც. ასე, მაგალითად: „თეთრი რაში“ (გრ. რობაქიძე), „თეთრი მირაჟი“ (ვ. ნადირაძე), „თეთრი სიზმარი“ (ტ. ტაბიძე), „თეთრი ნაზადი“ (ვ. გაფრინდაშვილი), „თეთრი დღეები“ (ვ. გაფრინდაშვილი), „თეთრი ალი“ (ს. შანშიაშვილი), „წითელი დღე“ (პ. იაშვილი), „წითელი ხარი“ (პ. იაშვილი), „ყვითელი მესსა“ (შ. კარმელი), „ყვითელი მალაელი“ (ვ. ნადირაძე), „ლურჯი ედემი“ (ტ. ტაბიძე), „ცისფერი ყვავილი“ (ვ. ნადირაძე), „ცისფერი ქოლგა“ (პ. იაშვილი), „ჩვენ - „ცისფერი ყანწები“ (ნ. მიწიშვილი), „გოგირდისფერი“ (ვ. გაფრინდაშვილი), „ქარვისფერი ფაკირი“ (ვ. ნადირაძე).

ამგვარად, პოეზიაში ზოგადად ფერთა სიმბოლური მნიშვნელობები სტაბილურ ხასიათს არ ატარებენ. ერთი და იგივე ფერი ზოგჯერ ორმაგ თვისებას ავლენს და ურთიერთგამომრიცხავ ახსნა-განმარტებას ექვემდებარება.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ მეოცე საუკუნის დასწყისის ქართულ პოეზიაში ძირითადად, თეთრი, შავი და ლურჯი ჭარბობს; შემდეგ კი ყვითელი, წითელი, ხოლო ყველაზე ნაკლებად მწვანე და რუხი გვხვდება.

## 4.2. ფერთა ტერმინების სტრუქტურული და ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფები ქართველ სიმბოლისტებთან

სტრუქტურულად არაფორმალური სახეები შესაძლოა კონკრეტულ არქეტიპებად გარდაიქმნეს, აქედან გამომდინარე კი ყალიბდება ცნებების შინაარსები, ჩნდება სემანტიკური ველები. სემანტიკა, თავის მხრივ, სემიოტიკური პოზიციებიდან იკვლევს სიტყვების, მდგრად სიტყვათა შეწყობებისა და ენის სხვა ერთეულების აზრთან, მნიშვნელობასა და ინტერპრეტაციებთან დაკავშირებულ საკითხებს.

ამასთან, მნიშვნელოვან ფაქტებს ადამიანები ფერთან აკავშირებენ, რომელთა მიმართებით გააზრებულად ყალიბდება ასოციაციები.

ფერი დადებით ან უარყოფით ემოციებს იწვევს, ხოლო მის მნიშვნელობას საფუძვლად უდევს პირდაპირ ასოციაციებზე დამყარებული სიმბოლიკა.

შეიძლება ითქვას, რომ თითოეულ სიმბოლოს ასოციაციური მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ, რაც ხაზავს მის სემანტიკურ ველს. მაგალითად, **თეთრი** – სიცივეს, **შავი** – შიშს, **წითელი** – საფრთხეს, **ნაცრისფერი** – თავშეკავებულობას, **ლურჯი** – სიმორეს, **ყვითელი** – სიხარულს, **მწვანე** კი უსაფრთხოებასთან შეიძლება დავაკავშიროთ.

ფერის ლექსიკო-სემანტიკური ველის თვალსაზრისით, სიტყვას შეიძლება გააჩნდეს როგორც ემოციური, ისე კონკრეტული შინაარსი. სუბიექტურ და ობიექტურ შინაარსს კი ემოციური აღქმა უდევს საფუძვლად. შესაბამისად, ფერის გააზრება მაინც დაკავშირებულია სუბიექტურ აღქმასთან.

ფერთან დაკავშირებული ასოციაციები ათასწლეულებით თან სდევს ადამიანს და მყარდება მის არაცნობიერში. ასე, მაგალითად, **ყვითელი** და **ნარინჯისფერი** დაკავშირებულია მზესთან, სითბოსთან, ენერგიასთან. **ლურჯი** და **ცისფერი** – ცასთან, ზღვასთან, შესაბამისად, სიცივესთან და სიმშვიდესთან.

იქიდან გამომდინარე, რომ ადამიანი ფერს აღიქვამს როგორც თბილს, ცივს და ა.შ. ხორციელდება ფერის როგორც დენოტატიური, აგრეთვე, კონოტაციური აღქმაც, რაც აისახება ფერის აღმნიშვნელ ერთეულთა ლექსიკო-სემანტიკურ სრუქტურაში. „როგორც ფიზიკურ-საგნობრივი, ისე ემოციური შინაარსები, ენის გარეშე მდგომი შინაარსებია,

რომელთა გამოხატულებასაც ვეძებთ ენაში“ [მოსიაშვილი, 2005: 82]. ლექსიკურ ერთეულთა სისტემატიზაციის მიზნით უნდა მივმართოთ „ველის“ აგების მეთოდს, რომელთა რაობისა და სტრუქტურის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა ნ. მოსიაშვილი (2005, 83) გამოყოფს სემანტიკური ველის იმ თვისებებს, რომლებსაც ყველა მკვლევარი იზიარებს. ესენია:

1. ველის კომპონენტთა შორის მჭიდრო კავშირის არსებობა. ამ კავშირის საფუძველს ველში შემავალი ყველა ელემენტის სემანტიკურ სტრუქტურაში მნიშვნელობის საერთო კომპონენტის არსებობა წარმოადგენს.

2. ველის სტრუქტურული ინდივიდუალურობა. ველში გამოყოფენ ცენტრს, გარდამავალ სფეროს და პერიფერიას. ველის სტრუქტურაში ელემენტის სტატუსს განსაზღვრავს სიტყვა – ინდიფიკატორთან ამ ელემენტის კავშირის ხასიათი: რაც უფრო ძლიერია სიტყვა – ინდიფიკატორთან ელემენტის კავშირი, მით უფრო ახლოსაა ეს ელემენტები სიტყვა – ინდიფიკატორთან ანუ ველს ბირთვთან. ამდენად, გარკვეული მიმართება არსებობს სიტყვა ინდიფიკატორთან ელემენტის კავშირის სახესა და ამ ელემენტის ადგილს შორის ველის სტრუქტურაში [ჩხეიძე, 1989: 27].

ფერთა აღმნიშვნელი სახელების რაოდენობა იმ ფერებთან შედარებით შეზღუდულია, რომლებსაც აღიქვამს ადამიანი. აღსანიშნავია, რომ ფერთა უკვე არსებული დასახელებების შესაბამისად ხდება მათი აღქმა კატეგორიების მიხედვით [Khomeriki... 2009: 136]. ფერთა ლექსიკო-სემანტიკური ველის თვალსაზრისით, სიტყვას შეიძლება გააჩნდეს როგორც ემოციური, ისე კონკრეტული შინაარსი. სუბიექტურ და ობიექტურ შინაარსს კი ემოციური აღქმა უდევს საფუძვლად.

საინტერესოა, რა კრიტერიუმებით ყოფს ადამიანი ფერთა სპექტრს და რომელ ფერებთან ადარებს დანახულს და აღქმულს. ამ შემთხვევაში უნდა მივმართოთ სტრუქტურულ სემანტიკას, რომელიც მნიშვნელობის აღწერის რამდენიმე მეთოდს გვთავაზობს, მათ შორის, კომპონენტურ ანალიზს და სემანტიკური ველების თეორიას. ამ თეორიის თანახმად, სიტყვის მნიშვნელობა აღიქმება არა იზოლირებულად, არამედ სხვა მნიშვნელობებზე დაყრდნობით. ხოლო კომპონენტური ანალიზით, ლექსემის მნიშვნელობა იყოფა მინიმალურ ნაწილებად – სემებად.

ლექსემა წარმოშობს ე.წ. სიტყვების სერიას, რომლებიც ერთი და იგივე ფუძიდან არის მიღებული. მაგალითად, ლექსემა „ლურჯი“ – წარმოშობს სიტყვებს: სილურჯე, მოლურჯო, გალურჯებული...

ფერთა აღმნიშვნელი ლექსემები ხარისხის სხვადასხვა ფორმით შეგვიძლია გამოვიყენოთ. აფიქსაციის თვალსაზრისით ქართული ენა მრავალფეროვანია: მოშავო, მოთეთრო, მოწითალო, მოფერადო, მოჭრელო (პრეფიქსური წარმოებისა); ულურჯესი, უთეთრესი, უწითლესი, უჭრელესი (პრეფიქსურ-სუფიქსური); წითური, ზურმუხტოვანი, კუპროვანი, ოქროვანი, ლაჟვარდოვანი.

ქართველ სიმბოლისტებთან დასტურდება სტილისტიკურად ნეიტრალური, როგორც აქრომატული (თეთრი, შავი, რუხი), ისე ქრომატული ფერები (წითელი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი).

**თეთრი:** „თეთრი ფიქრები მახვევია მადრიგალეზად... / და გორგასლანის მელანდება შავი სურათი („მაისი“, გ. ლეონიძე); „თეთრი ღიმილი აგონდება გადახრილ ქორედს“ („ალლას“, გრ. რობაქიძე); „შენი ჩქერების თეთრი შხეფები; – ეგ ხომ ცრემლების წმინდა ბროლია!“ („წიწამურიდან საგურამომდე“, კ. ნადირაძე).

**ლურჯი:** „ჰაერია სხვა / არაფერიო / და სისქისგან აქვს / ლურჯი ფერიო“ (ილია, ს. ცირეკიძე); „მწვანე ედემი, ლურჯი ედემი...“ / „პირველი გრძნობის ლურჯი ედემი!“ („ლურჯი ედემი“, ტ. ტაბიძე).

**მწვანე:** „ვერის ხიდზე ქარი ზუის, მწვანე ზღაპარს ანიავეს...“ („ვერის ხიდზე“, გრ. რობაქიძე); „მწვანე ვარსკვლავთა შენ გხიბლავენ ნაზი ფანდები“ („ივანე მარაბელს“, კ. ნადირაძე); „მწვანე ქვეყანაც – თუ ვერ გხედავ – უცხო მხარეა“ („სანტა მარია“, შ. აფხაიძე); „ირგვლივ ლურჯი და მწვანე სამეფო...“ („დროებით მაინც“, ვალ. გაფრინდაშვილი).

**ყვითელი:** „აღარ დარჩება ფერფლიც ყვითელი“ („სანბენიტო“, შ. კარმელი); „ყვითელი თვალი მონგოლების / და სააკაძე“ („მღვდელი და მალარია“, ტ. ტაბიძე); „ყვითელი ურდო /ვიწრო თვალებით“ („ცხენი ანგელოსით“, ტ. ტაბიძე).

**წითელი:** „წითელი ფერი თეთრ კბილებზე ბევრმა წაისვა“ („უსახელო“, ნ. მიწიშვილი); „ავიღებ კალამს, ხან წითელი, ხან შავი მელნით“ („განწყობილება“, ნ. მიწიშვილი); „ზღვაში ვარდება წითელი მზე – ცათ ნაგორები“ („წითელი გველი“, ნ. მიწიშვილი).

**რუხი:** „რუხ ფრთიანმა დრომ მოგვდვა ლაგამი“ („ლურჯი ედემი“, ტ. ტაბიძე); „...და ისევ მტვერის იზვიადებს რუხი მთიები“ („ქუთაისი ქარში“, ვალ. გაფრინდაშვილი).

**შავი:** „ღამეა თეთრი და შავია“ („მღვდელი და მალარია“, ტ. ტაბიძე); „ვერ დაეწვეთათ მათ სიკვდილის შავი მდევერები“ („ჩვენი მწვერები“, ნ. მიწიშვილი); „იყავი რაც გინდა, შავი, საცოდავი“ („ავტოპორტრეტი“, ტ. ტაბიძე); „...შავ განზრახვას ვერ აათავებს“ („სონეტები“, გრ. რობაქიძე).

ყოველი გრამატიკული კატეგორია გარკვეული სემანტიკით არის შეპირობებული. არსებითი სახელი (სუბსტანტივი) საგნის, სუბსტანციის აღმნიშვნელი სიტყვაა, ზედსართავი სახელი კი ამ საგნის ნიშან-თვისების. ამის გახსენება ახლა ერთი გრამატიკული მოვლენის ასახვად დაგვჭირდა. საკითხი ეხება ზედსართავ სახელთა ანუ მსაზღვრელის ფუნქციით გამოყენებულ სახელთა ბრუნებას.

ფერთა ლექსიკის შემთხვევაში ბრუნების პარადიგმის შემქმნელი სუფიქსები სიტყვის მნიშვნელობას არ ცვლის, შესიტყვებაში სიტყვების დამაკავშირებელ საშუალებას წარმოადგენს. „ცისფერყანწელებთან“ **გვხვდება ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი ფერთა სიტყვები:** „შემახის გზაზე ვიღაც შავმა...“ („ჰაჯი მურატის მოჭრილი თავი“, ნ. მიწიშვილი); „მიველტვით მწვანეს ბავშვობის კუნძულს“ („ლურჯი ედემი“, ტ. ტაბიძე); „ახ სასურველო! ნუ იბურავ შავს მყუდროებას“ („მახილი შორეულთან“, ს. შანშიაშვილი); „მწვანით შემოსილ აპრილის ბაღში“ („მზე ყველას ჰყოფნის“, შ. აფხაიძე); „სიმწვანე ყველა...“ (უსათაურო „მოვსულვარ... ვდგავარ“, შ. აფხაიძე).

ან კიდევ:

„შავო კამეჩო, / შავად დამწვარო / ჩემო ბეხია, / ეხ მწვანთანო, / მყუდრო ალაგო! („ახალი მინდვრების სიმღერები“, გ. ლეონიძე); „თეთრო მთის ვარდო“ („მე რომ მიყვარხარ...“ გ. ლეონიძე); „ჩემო თეთრო ნარჩიტა“ („ტყუპი იაგუნდები“, გ. ლეონიძე).

**ფუძის სახით წარმოდგენილი:** „...და წითელ სახლთან“ („თბილისიდან ორჯონიკიძამდე“, ნიკოლო მიწიშვილი); „იმ შავ დილამ წინაპართა...“ („დილა“, ნ. მიწიშვილი); „მთვარის ამოსვლას ვეგებები თეთრ ტანსაცმელში“ („მთვარის ქურდები“, კ. ნადირაძე); „თეთრ ბალდახინზე ქანაობენ სერაფიმები“ („ბალდახინი“, კ. ნადირაძე); „...და მუხლმოხრით მომართმევს შავ ყუთს“ („მთვარის ქურდები“, კ. ნადირაძე); „წითელ

დუმილით გარინდულან მთის მწვერვალები“ („ორსული მზე“, ლ. ჯაფარიძე); „რადამავიწყებს ამ შავ გაზაფხულს, / ბედი უბედურს სხვას რაღას უზამს“ („თამუნია წერეთელს“, ტ. ტაბიძე).

**თანდებულიანი ფორით:** „...და მტკვრის ნაპირი მწვანეში წვება“ („ახლა, როდესაც“, შ. აფხაიძე).

**ანტონიმური ზედსართავი სახელები:** „შავი არაგვი თეთრ არაგვს ერთვის, / ჩვენი გათიშვა კი ყველას სურდა“ („ანანურთან“, ტ. ტაბიძე); „ორი არაგვი, როგორ ორი და, / ვით დღე და ღამე – თეთრი და შავი“ („ორი არაგვი“, ტ. ტაბიძე); „ღამეა თეთრი და შავია / ქალდეას მესსა“ („მღვდელი და მალარია“, ტ. ტაბიძე); „განა ფერები? / სიკვდილ-სიცოცხლე, / ბნელთან – ნათელი, / ავთან – კეთილი“ („დროშა“, გ. ლეონიძე).

სინონიმური მნიშვნელობით შეიძლება გავიგოთ ფერთა სიტყვებთან მდგომი შემდეგი ლექსიკური ერთეულები: „...და სადაც ღამემ აჩრდილები შავად დარაზმა“ („თვალთა საფერფლე სევდიანი – ყვითელი მთვარე“, ვალ. გაფრინდაშვილი); „შავი კამეჩი შავად დამწვარი“ („მოგზაურობა სამშობლოში“, გ. ლეონიძე); „რა გინდ ავდარი შავად ნისლავდეს“ („თოლია“, გ. ლეონიძე).

**ორწევრა შეხამებანი:** პირველ ნაწილად გამოიყოფა თეთრი, შავი, წითელი, ყვითელი, ლურჯი, მწვანე: „ყვითელი ბიები, ხავერდის ატმები...“ („შემოდგომა სოფელში“, კ. ნადირაძე); „თითქოს ელვარე ზღვების სივრცეში მიმოცურავდნენ თეთრი გემები“ („Interieur“, კ. ნადირაძე); „თეთრი ბავშვები ბრმა თვალებით მე დამეძებენ“ („მთვარის ქურდები“); „შავი სახლები დასაჭერათ მიწვდიან ხელებს“ („ჩემს ლანდს“, კ. ნადირაძე); „წითელ თვალებს აკიაფებს აცქერდება მესრებს“ („ავი თვალი“, ნ. მიწიშვილი); „მწვანე ედემი, ლურჯი ედემი, ბავშვობა ლალი, თავისუფალი“ („ლურჯი ედემი“, ტ. ტაბიძე).

**დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როცა სხვადასხვა ფორმით გამოხატული ფერთა სახელი აზუსტებს წინადადების ერთ-ერთ წევრს:** „ზაფხულის მწვანე, ვარვარა ფერი / ნოემბრის ყვითელ ქარს წაეშალა“ („წვიმა ქალაქში“, შ. აფხაიძე); „მალე სიკვდილის ფერს შეცვლის ისევ / სიცოცხლის ფერი, / აპრილის ფერი, / ეს ფერი სადღაც ჩემს გულში მღერის“ („დეკემბრის დღე“, შ. აფხაიძე); „ღამეა თეთრი და შავია / ქალდეას მესსა“ („მღვდელი და



მალარია“, ტ. ტაბიძე); „თუ ვიქნებოდი მუდამ ასე, ცოდვილი, შავი“ („ავტოპორტრეტი“, კ. ნადირაძე).

**მსაზღვრელის ან საზღვრულის ფუნქციით:** „ცა შვინდისფერი, მთაც შვინდისფერი“ („ლექსის დაბადება“, ტ. ტაბიძე); „შავი არაგვი თეთრ არაგვს უტევს“ („მუხრანის ველზე სათქმელი ლექსი“, ტ. ტაბიძე); „თეთრი ტახისა და თეთრი ბატის“ („ალავერდობა“, ტ. ტაბიძე); „თეთრი მტრედები / თეთრ ღრუბლებში, / თეთრი გიორგი, / ცხენი ანგელოსით“ („ცხენი ანგელოსით“, ტ. ტაბიძე).

**ზოგჯერ მსაზღვრელს მოსდევს ფერის აღმნიშვნელი სიტყვა:** „სულს ასხივოსნებს, სულს აცისკროვნებს / უკვდავებისა სახე წითელი“ („მადონას სიმღერა“, ტ. ტაბიძე); „ბნელი ღამეა, ვით ფიქრი შავი“ („მელიტონ ჩიგოვადის ხსოვნას“, ტ. ტაბიძე); „თავს დაგსტრიალებს სიკვდილი შავი“ („ძრწოდე, ვალტასარ!“ ტ. ტაბიძე).

**ზოგჯერ ფერის აღმნიშვნელ სიტყვას წინ უსწრებს გასუბსტანტივებული მსაზღვრელი** (ნათ. ბრუნვის ფორმიანი): „აპოკალიპსის თეთრი იმედი“ („ცხენი ანგელოსით“, ტ. ტაბიძე).

**გვხვდება წარმოქმნილფუძიანი ლექსემები:** მოთეთრო, მოშავო, მოთაფლისფერო, მოყვითალო, უყვითლესი, ულურჯესი; წითური, ზურმუხტოვანი, ლაჟვარდოვანი.

**ოდნობითი ხარისხით გამოხატული ფერთა სახელები:**

**მო- -ო** მაწარმოებელიანი:

**მოთაფლისფერო:** „მოთაფლისფერო სახე მამების“ („ოცნება საქართველოზე“, კ. ნადირაძე).

**მოთეთრო:** „წავიდეთ ერთად, ჩუმად ჩავსხდეთ მოთეთრო ნავში“ („ბალდახინი“, კ. ნადირაძე).

**მოშავო:** „მალა - ღრუბელი მოშავო, / ძირს - ნისლი მიმქრალელებული“ („კახეთის დედოფალი“, ს. შანშიაშვილი).

**-უ -ეს** მაწარმოებელიანი:

**ულურჯესი:** ულურჯეს ფერის / გააქვთ ბიბინი“ („სათქმელი ჩემი“, კ. ნადირაძე); „მოახვევს ღამე / ულურჯესნაბადს“ („ქუთაისის სადარბაზოებს“, კ. ნადირაძე).

**სი-ე** მაწარმოებელიანი:

**სითეთრე:** „მაწვიმს სითეთრე და წვიმის თქეში“ („ლექსი მეწყერი“, ტ. ტაბიძე); „...და მოახლოვდა შებრძოლება, სითეთრე დილის“ („მკვდარი ბრიუგე“, შ. კარმელი).

**სიმკრთალე:** „საღამოებო! დამატყვევა თქვენმა სიმკრთალემ, / სპეტაკ ნიავმა მოიტანა აჩრდილთ ჭორები“ („საღამოს მასკები“, ვალ. გაფრინდაშვილი).

**სიმწვანე:** „... მხურავს სიმწვანედა მოფერება“ („აყვავებული ტყემლები“, კ. ნადირაძე).

**სიყვითლე:** „დაზნექილ ყლორტებს ედებათ სიყვითლე“ („ხორალი მისტერიიდან „ლონდა“, გრ. რობაქიძე).

**სი-ე** მაწარმოებლიანი ფერის აღმნიშვნელი სიტყვა გვხვდება აგრეთვე ბრუნვის ნიშნის, -ა სუფიქსის ან თანდებულის დამატებით: „წითელი მთები დასწოლიან ტყის სიმწვანესა“ („ორსული მზე“, ლ. ჯაფარიძე); „როცა აპრილი / ტყემლის სითეთრით / სოფელს ახარებს“ („გულდაგულ“, ტ. ტაბიძე); „არ მინატრია აროდეს, არა, / სხვა რამ მაგ თვალთა სილურჯის მეტი!“ „ყვითელი, მწვანე გადაჰკრავს ფერი, / თითქოს სიყვითლით არის ავადო“ („რიონი - პორტი“, ტ. ტაბიძე).

**ფერის აღმნიშვნელი სიტყვები გვხვდება აბსტრაქტულ სახელებშიც:** „გულთეთრობა შენთან მინდა!“ („ნუმნარა“, გ. ლეონიძე).

**დასტურდება ისეთი შემთხვევები, როცა ფერის აღმნიშვნელი სიტყვა (რომელიც ფუძის სახითაა წარმოდგენილი) კომპოზიტის პირველ ნაწილს წარმოადგენს:**

**შავბედი:** „ბედი, შავბედი, მატრიალებს ულმოებელ ხელით, / რამდენი ღამე გავათეთრე, ცრემლიც მიღვრია!“ („სამშობლოსადმი“, კ. ნადირაძე).

**შავნაბდიანი:** „შემახის გზაზე ვიღაც შავმა, შავნაბდიანმა“ („ჰაჯი მურატის მოჭრილი თავი“, ნ. მიწიშვილი); „...მაგრამ წამოდგა შავნაბდიანი - / უკვე იღვიძებს ქუჩა მდუმარი“ („ვაჟა და ფიროსმანი“, ვალ. გაფრინდაშვილი).

**შავთმაჩაშლილი:** „შავთმაჩაშლილი ქალწული მოჰქროდი ქარიშხალივით“ („თუმის ქალი ალავერდობაში“, გ. ლეონიძე).

**შავგრუზა:** „შავგრუზა თმა მისი მახსოვს / და ზედ შავი ნაბდის ქუდი“ („ბერშოულა“, გ. ლეონიძე).

**შავრაშიანი:** „...და გამოშიგნულს შავადგება შავრაშიანი“ („საღრჩობელიდან“, გ. ლეონიძე).

**შაკაბიანი:** „შაკაბიანი მზრდიდა მე, / გუთანი ტრედა ხარისა“ („ჩემი იადგარი“, გ. ლეონიძე).

**შავმოგარსული:** „დროშა შინდური, / შავმოგარსული...“ („დროშა“, გ. ლეონიძე).

**შავფრთიანი:** „...და ახლა არის შავფრთიანი ის სერაბიმი“ („თეატრში“, ვალ. გაფრინდაშვილი).

**შავფერი:** „მათ არტურ რემბო დაამშვენებს ამაყ შავფერად“ („ქვიშხეთის ქარი“, ვალ. გაფრინდაშვილი).

**შავპირი:** „ბედო შავპირო! გამიშვი ახლა!“ („ისეთი ლექსი“, ვალ. გაფრინდაშვილი).

**შავბნელი:** „რას მღერიან ოლოლები, / შუადამით, შავბნელ ტყეში?“ („კახური განთიადები“, გ. ლეონიძე); „განათდა სცენა – შავბნელი დღემდე“ („სეზონის გახსნის მოლოდინში“, ვალ. გაფრინდაშვილი); „...და მითხარ, ჩემო: მაგ შავბნელ ზღვაზე / რომ დავილუპო, არ გებრალეები?!“ („შენი თვალეები“, შ. კარმელი).

**წითელგულა:** „გადაგჩეხეს, დაგლუპეს, / წითელგულა ჩიტებმა!“ („იოსებ დავითაშვილის სურათზე“, გ. ლეონიძე).

**წითელდროშოვანი:** „წითელდროშოვან არწივების მთავარსარდალი“ („მთავარი შტაბი“, ნ. მიწიშვილი).

**ყვითელმზერიანი:** „...და შემოაგდებს უცხო თვალეებს, ყვითელმზერიანს“ („გლოვა“, გრ. რობაქიძე).

**ყვითელმთავრეთ:** „თქვენ, ოფაზებო, ჩემს კაეშანს ყვითელმთავრეთ“ („ძვირაფსი ქვების ვიზიონერი“, ვალ. გაფრინდაშვილი).

**ყვითელფერობს:** „როგორც ლიმონი ყვითელფერობს ძველი არშია“ („დაისების სინაქსარი“, ვალ. გაფრინდაშვილი).

**თეთრქაფა:** „თეთრქაფა მარმაში ქვიშაში ეშვება“ („ოფორტი“, გრ. რობაქიძე).

**ლურჯთვალა:** „...რომ არ ეძებდე ლურჯთვალა მიზანს“ („ქვიშხეთის ქარი“, ვალ. გაფრინდაშვილი).

**შავთვალა:** „მე მაინც მახსოვს შავთვალა მოცვი“ („ხილთა ქება“, ვალ. გაფრინდაშვილი).

**წითურ-დათოვლილი:** წითურ-დათოვლილი ფოთლებითა მღელვარენი („პანი“, გრ. რობაქიძე).

**გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა ფერის აღმნიშვნელი სიტყვა კომპოზიტის მეორე ნაწილს წარმოადგენს:**

**ბედშავი:** „ვეგდე ბედშავი, სული მხდებოდა“ („ის კი მზაკვრულად ილიმებოდა“, ტ. ტაბიძე).

**პირშავი:** „სიკვდილო პირშავო! მოდიხარ საიდან?“ („ბუკინისტი“, ვალ. გაფრინდაშვილი).

**ფერშავი:** „ყვითელ ეტრატზე თუ ამსახავს მემატთანე, / ვიქნები ფერშავ ოდრიკალში ბედსაბრალისი“ („გასვენებები“, შ. კარმელი).

**წვერწითელა:** „...და გზა ავირჩიე წვერწითელა ისკარიოტის“ („ფანტასტიკური ქორწინება“, ნ. მიწიშვილი).

**თმათეთრი:** „უაილდის პროფილი... ცისფერი თვალები, სარკეში იმალება თმათეთრი ინფანტა“ („ავტოპორტრეტი“, ტ. ტაბიძე).

**ფერწითელობა:** „იმ სისხლზე ჰყვავის ყაყაჩო, / ფერწითელობის მსგავსებით“ („მინაწერი „ქართლის ცხოვრებაზე“, გ. ლეონიძე).

ქართველი სიმბოლისტი პოეტები ზოგჯერ მიმართავენ -ა სუფიქსიან რთულ სიტყვებს, რომლებშიც ფერის აღმნიშვნელი სიტყვა ძირითადად პირველ კომპონენტად გამოიყოფა:

**„წითელფერა** დროშით იცავს ღარიბ ქოხს და ბაღლებს / და მთარღვევს დაუნდობელ რეაქციის ტალღებს“ („ესპანეთის ხალხს“, ნ. მიწიშვილი); **„დაუსხით რქაწითელისა...“** („უტრუხუნე“, გ. ლეონიძე); **„ლალისფერა, ქარვისფერა /დუღს და ქვევრებს ეძალება“** („კახეთის დედოფალი“, ს. შანშიაშვილი); **„ლურჯთვალა და თეთრყელა“** („ტივით მივალთ, ტივით მივალთ“, გრ. რობაქიძე).

ა- **სუფიქსითაა** წარმოდგენილი ფერის აღმნიშვნელი შემდეგი სიტყვებიც: **„ხვადი მგლები დასხდნენ შავადა“** („მეტივეები“, გ. ლეონიძე); **„იალალების მწვანესა“** („მყვირალობა“, გ. ლეონიძე); **„ქვეყნად ამოსვლა მწვანისა“** („უტრუხუნე“, გ. ლეონიძე); **„ზოგნი ლურჯა სუფრას შლიან“** („კახეთის დედოფალი“, ს. შანშიაშვილი).

ფერთა სიტყვები გვხვდება აგრეთვე შემდეგ ფორმებშიც:

„...და ღაღადებს წითლოსანი, / ბროწეული ცათა სფერთ“ („კახური განთიადები“, გ. ლეონიძე); „და აწითლებულს ველურ ქიმერებს...“ („შორეული“, ტ. ტაბიძე);

„...და მემწვანილე ერეკება ცარიელ დროგებს“ („სოღანლულიდან“, ტ. ტაბიძე);

„გულგაღელილი როცა მივრბოდი / მის ამწვანებულ ნაპირისაკენ“ („ჩემი რიონი“, შ. აფხაიძე);

„მიყვარს ქართლის ცა იისფერება“ („ჰეი, არწივნო!“ გ. ლეონიძე);

**გვხვდებით ფერის აღმნიშვნელ სიტყვათა გაორკეცებასაც:**

**შავ-შავი:** „აქ ღამურები შავ-შავ ხაზებს ავლებენ ცაში, / მაგრამ არ კარგავს სილამაზეს დიდება ძველი“ (ბაგრატიის ტაძარი“, შ. აფხაიძე).

**წითელ-წითელი:** „წითელ-წითელი ბაირაღები“ („საღამო“, შ. აფხაიძე).

**ფერად-ფერადი:** „გახედე ტალღებს, როგორ ფერად-ფერად მიდიან“ („მალთაყვა“).

**ყვითელ-მწვანე:** „დედას მუდამ აციებდა, / ფერი ედო ყვითელ-მწვანე“ („ფორთოხალა“, გ. ლეონიძე); „ყვითელ-წითელ ხალიჩაზე / ლხინსა ლხინად შეირგებდნენ“ („კახეთის დედოფალი“, ს. შანშიაშვილი).

**ლურჯ-ცისფერი:** „შორია შენი შაორი / ლურჯ-ცისფერ ხარისთვალათი“ („შაორი“, გ. ლეონიძე).

გვხვდება ტოლადშერწყმული ფერთა სიტყვები, რომლის პირველი ნაწილი წარმოდგენილია მიმღეობის ფორმით: „ცა გაკაპასდა, გაშალა თმები / რბილი, ფარფაშა და შავად-შავი“ („ზღვაზე“, შ. აფხაიძე).

„ცისფერყანწელები“ ქართული ენის ბუნების მიხედვით თვითონაც ქმნიან რთულფუძიან ფერის აღმნიშვნელ ახალ ლექსიკურ ერთეულებს, რომელიც, შესაძლოა სამ შემადგენელსაც შეიცავდეს.

გვხვდება სამწევრა ფერთა გამომხატველი სიტყვა, რომლის პირველი და მეორე კომპონენტი ნათესაობით ბრუნვაში დგას და რომლის წევრებს ემატება -ფერი სიტყვა. მაგალითად:

**ზღვის ტალღების ფერი:** „ოთახების სინათლე ზღვის ტალღების ფერია“ („თავდაპირველ მოსახლესთან“, პ. იაშვილი).

გვხვდება სამწევრა ფერთა გამომხატველი სიტყვა, რომლის მეორე კომპონენტი ნათესაობით ბრუნვაშია და ემატება -ფერი სიტყვა:

**„გადამდნარი დილის ფერი“:** „მოვიგონოთ იმ ოქროში / გადამდნარი დილის ფერი“ (,1925 წლის ერთი დილის სახსოვარი“, გ. ლეონიძე).

**„მკვდარი ზღვის ფერი“:** „მომყრია ფერფლი მკვდარი ზღვის ფერი“ („მესხეთი“, გ. ლეონიძე).

**„შეთვალეზულ ყურძნის ფერი“:** „შორს წალურჯო ნისლი მოჩანს, / შეთვალეზულ ყურძნის ფერი...“ („კახური განთიადები“, გ. ლეონიძე).

ფერთა აღმნიშვნელი ზედსართავი სახელებისაგან იწარმოება ზმნები და სახელზმნები (მიმღებური ფერთა სახელები ზმნისწინებითაც დასტურდება): „შიშით ვიხედები, გაყვითლდნენ გედები“ („იქითური“, პ. იაშვილი); „თეთრდება პრესნა და თებერვალი“ („ვლადიმერ მაიაკოვსკის დედა და დები“, ტ. ტაბიძე); „...და ვაზის ფურცლებზე ისე გალურჯდება იქ შაბიამანი“ („წერილი დედას“, პ. იაშვილი); „გაწითლდა მტკვარი და შეიქმნა სისხლის ნაირი“ („ასპინძის ომი“, პ. იაშვილი); „გაყვითლებულა, შეხმობია ფოთოლი ჭადარს“ („ნოემბერი“, ტ. ტაბიძე); „ცელქი ქარგი მზის ფოთლების ხან თეთრდება ხან მწვანდება: / მზის ფოთლებში ფეხაკრეფით უცხო ლანდი მელანდება“ („მზის ფოთლები“, გრ. რობაქიძე); „სულს გააშავებს სამუდამოთ მათი კრებული“ („ორეულებთან შეხვედრა ხიდზე“, ვალ. გაფრინდაშვილი); „...როცა სადამო უიმედოთ, ზანტათ მწვანდება“ („ხელის ორეული“, ვალ. გაფრინდაშვილი); „ამოვა მთვარე, გამათეთრებს თავისი პუდრით“ („მაღალი მთვარე“, ვალ. გაფრინდაშვილი); „მთვარის ნიავმა გადაათეთრა“, („მორიალი და სოპრანო“, ვალ. გაფრინდაშვილი); „ლალისფერ დაისს გაათეთრებს თოვლის მარულა“ („დაისი მეშვიდე“, ვალ. გაფრინდაშვილი); „მოულოდნელად გაშავდება ზეცის თავანი...“ („დაისი მეხუთე“, ვალ. გაფრინდაშვილი); „მასთან შეხვედრით ჩემი გრძნობა გაალისფერდა, / სპილოს ძვლის კოშკად გადაიქცა თეთრი დარბაზი“ („თეატრში“, ვალ. გაფრინდაშვილი); „მუდამ მაისში ამწვანდება თამარ ზენარი“ („თამარ“, შ. კარმელი); „წვიმიან ბნელეთს ვათეთრებ ხშირად“ („ბალახვანი“, ვ. ნადირაძე); „გაზაფხულდება, ამწვანდება სქლად მთა-გორები“ („წითელი გველი“, ნ. მიწიშვილი);

„უკვე მთებში ვარ... ირგვლივ ტყეა ამწვანებული“ („მთებში“, ნ. მიწიშვილი); „თქვენ სუნთქვით იყო ეს სასტუმრო გალურჯებული, ათეთრებული სჩანდნენ ჩუმი ალღეანდრები“ („სურნელება თქვენი ტანის“, კ. ნადირაძე); „ბუნებით შავი, ხელოვნურად გათეთრებული“ („ავტოპორტრეტი“, პ. იაშვილი); „ბაია. ხავსი. დაყვითლული სივრცეთა გუგა“ („მისტერია მზის“, გრ. რობაქიძე); „უკვე მთებში ვარ... ირგვლივ ტყეა ამწვანებული“ („მთებში“, ნ. მიწიშვილი); „თვალწინ მიდგია ტვინის სკივრი გათეთრებული“ („ჩვენი მწევრები“, ნ. მიწიშვილი).

ამავე მნიშვნელობით აქვე უნდა დავასახელოთ ნეიტრალური ფერებიც: „...და სიყვარულმა გაგაფითრა ციებ-ცხელებით“ („ივანე მარაბელს“, კ. ნადირაძე); „შემოგხვდა შეფითრებული“ („გზა მშვიდობისა“, პ. იაშვილი); „გაფითრებული, სევდიანი და სხვანაირი“ („ოცნება წვიმაში“, ვალ. გაფრინდაშვილი).

ფერთა სახელები ზმნისწინებითაც დასტურდება: „გაყვითლებულა, შეხმობია ფოთოლი ჭადარს“ („ნოემბერი“, ტ. ტაბიძე); „თქვენ სუნთქვით იყო ეს სასტუმრო გალურჯებული, / ათეთრებული სჩანდნენ...“ („სურნელება თქვენი ტანის“, კ. ნადირაძე); „შორს წალურჯო ნისლი მოჩანს...“ („კახური განთიადები“, გ. ლეონიძე); „მოწითურ რაშსა მიაქანებ თეთრი რაინდი“ (პაოლო იაშვილს, გრ. რობაქიძე); „შორს, ჩალურჯებით, / კიდური ცისა მოჩანდა ბინდად“ („მე მახსოვს , მახსოვს ასეთი ღამე“; კ. ნადირაძე); „მხოლოდ მხიარულ ჩიტებს უკვრდათ / გამოყვითლება ფოთლების ჩქარი...“ („ხის სიკვდილი“, კ. ნადირაძე); „შიშიანობა და გაყვითლება!“ („სანბენიტო“, შ. კარამელი).

გვხვდება ნარ-თანიანი ფორმით: „...და შავნი შაშვნი დააცხრნენ ბალებს, / სადაც ცოცხლობენ ძველი ზღაპრები...“ („მოგზაურობა სამშობლოში“, გ. ლეონიძე); „გოდება დამზრალ შენ ძველთა ფერთა...“ („ღამე მცხეთაში“, შ. აფხაიძე).

ებ-იანი მრავლობითის ფორმით: „როცა თეთრებში დადგებიან მრუში ზარები“ („სონეტი როდენბახს“, გ. ლეონიძე); „მახსოვს შავებში იჯექ ჩემთან და ჩვენს გაზაფხულს...“ („მახსოვს შავებში“, ს. შანიაშვილი).

ფერის აღმნიშვნელი სიტყვები წინადადებაში შეიძლება ვითარების გარემოებად მოგვევლინოს:

**თეთრად:** „თეთრად ათენებ: თავს გესხმიან ავი ბოდვები“ („ფრანგ პოეტს“, გრ. რობაქიძე); „...სადაც რაშებზე ორეულნი თეთრად დარდობენ“ („ორეულები“, ვალ. გაფრინდაშვილი); „თეთრად ელავენ ბასრი კბილები“ („ვეფხვების საუზმობენ სამხეცოში“, ვალ. გაფრინდაშვილი); „მთვარის ლანდები კრთიან ხეებზე – თეთრად ნაქარგი!“ („მთვარის წყალობა“).

**შავად:** „პირი შეუკრავს შავად უდაბნოს, ღრუბელთა ჯარი თავზე აბურავს“ („სომხეთში“, ტ. ტაბიძე); „მოგვეც, მგოსანო, შენი მერანი! / აგვიგზნე ფიქრი შავად მღელვარი! („ნიკოლოზ ბარათაშვილი“, ს. შანშიაშვილი); „...და შენს ორეულს ანტრაქტებში შავად ჩარებულს“ („ბოდლერს“, ვალ. გაფრინდაშვილი).

**წითლად:** „ჩუმად არის ყველაფერი, ქალაქს წითლად ეძინება“ („ფარშავანგები ქალაქში“, პ. იაშვილი); „მზე ჩამავალი წითლად ირთვება, / არ მეშინია მისი სიშორის“ („გულის ყვავილი, შ. აფხაიძე); „შორს მეხმაც დაიგრიალა; / მუხას დაეცა დაკოჟრილს / და წითლად ააპრიალა“ („ზღვა“, ს. შანშიაშვილი).

**ყვითლად:** „შემოდგომის ცხოვრებამ / ყვითლად ჩამომაბერა“ („ყვითელ თოვანში“, შ. კარმელი).

გვხვდება აგრეთვე **ყვითურად** ფორმით: „ალმურის სამოსი ყვითურად შეთვალა“ („ოფორტი“, გრ. რობაქიძე).

**მწვანედ:** „მომესალმება ეგ თვალეები მწვანედ, ველურად“ („სახრჩობელა მომდურავზე“, შ. კარმელი); „ღამდება მწვანედ და ფიქრი გვათოვს“ („უკანასკნელი ლექსებიდან“, შ. კარმელი).

**ლურჯად:** „ქვებს შორის მისი ლურჯად ჩუხჩუხი, / სმენას რომ გიტკობს თითქოს მძინარეს“ („რა ლამაზია“, შ. აფხაიძე); „ვხედავ ლაჟვარდებს, ვფიქრობ, შენი სული ჩქეფს ლურჯად!“ („შენი მზე მათბობს“, შ. აფხაიძე); „გვიმღერის ლურჯად – უგვირგვინო და ნაოცნები“ („თეატრის ფარდა“, ვალ. გაფრინდაშვილი).

**ცისფრად:** „...ცისფრად რომ თვალი გაუხელია“ („მწერალთა სასახლის ბაღში“, კ. ნადირაძე).

**მარჯნისფერად:** „მზე მარჯნისფერად ისევ ბდღვრიალებს!“ („მზე მარჯნისფერად ისევ ბდღვრიალებს!“ გ. ლეონიძე).



**„მარწყვისფრად / შინდისფრად:** „მარწყვისფერად, შინდისფერად / იღებება გარიჟრაჟი“ („ქართლის ბაღი“, გ. ლეონიძე).

**მიხაკისფრად:** „მიხაკისფერად / მოელვარე / წითელ თავსაფრებს“ („გულდაგულ“, ტ. ტაბიძე).

**ლალისფრად:** „...აანთებს ჩემ ლოყებს ლალისფრად, გველურად“ („წითელი ბატონები“, ვალ. გაფრინდაშვილი).

პოეზიაში ფერთა სიტყვები გვხვდება შედარების მიზნითაც. შედარების წევრები შედარებას გრამატიკული კავშირებით (**როგორც, ვით** მაკავშირებელი სიტყვები) ქმნიან. ზოგჯერ შესადარებელი საგანი მოხმობილია „-ვით“, **-ებრ** თანდებულებიანი ფორმით, რომელსაც ფერის აღმნიშვნელი სიტყვა მოსდევს. მოვიყვანთ მაგალითებს:

„...და თეთრი, როგორც იალბუზია, / დამესიზმრება ერის სიზმარი“ („ქართლის ცხოვრება“, ტ. ტაბიძე); „არის ჭადარში გამოსახული, / როგორც ოქროსფერ ფოთოლთ სიმღერა“ („საღამო საგურამოში“, ვალ. გაფრინდაშვილი); „ცას ღრუბელი დაეყარა / თეთრი, როგორც ყაჭი“ („მთაწმინდიდან ქარს მოჰქონდა“, გ. ლეონიძე); „მცხეთის ცა ძლიერ, ძლიერ ლურჯია, / შაბიამანზეც კი უფრო ლურჯი. / შენი მქრქალია, უფრო დაბალი“ (უსათაურო „მცხეთის ცა ძლიერ, ძლიერ ლურჯია“, შ. აფხაიძე); „აღმური ტანი დნება როგორც ყვითელი ბაია“ („ლონდა“, გრ. რობაქიძე).

„ღამეში ქშინავს, ვეშაპივით შავი ქაოსი.“ / „შავ ყორნებივით დაგტირიან და გემახიან!“ („ჩემი ორი დის წმინდა ხსოვნას“, შ. კარმელი); „ცარცივით თეთრ ცას ჯერ თოვლი ცვივა“ („ბარათი“, შ. აფხაიძე); „თეთრი გედივით გახდი ნათელი“ („იოვანეს თუმანიან“, გრ. რობაქიძე).

„ბჟუტავს ვარსკვლავი ალვის ფოთლებში. / ვით თეთრი გედის მოქნილი ყელი („ღამე მცხეთაში“, შ. აფხაიძე); „ბნელი ღამეა, ვით ფიქრი შავი“ („მელიტონ ჩიგოვადის ხსოვნას“, შ. აფხაიძე); „ბჟუტავს ვარსკვლავი ალვის ფოთლებში. / ვით თეთრი გედის მოქნილი ყელი“ („ღამე მცხეთაში“, შ. აფხაიძე); „მე უკვდავ სიტყვას, ვით ცისფერ ყვავილს...“ („რიონი“, ვალ. გაფრინდაშვილი).

სიტყვის სემანტიკურ სტრუქტურაში უნდა გავითვალისწინოთ ის კომპონენტები, რომლებიც სიტყვის მთავარ და დამატებით მნიშვნელობას (თანამნიშვნელობა – კონოტაცია) გამოხატავენ.

გვხვდება ნეიტრალური ფერები, რომლებსაც არა მხოლოდ ფერითი დახასიათების, არამედ ემოციური განწყობის ფუნქციაც აკისრიათ:

**სპეტაკი:** „მთის ნაკადული – სპეტაკი, ჩქარი“ („თუმცა მოვხუცდი“, შ. აფხაიძე); „ცა ლილისფერი, მაღალი, წყნარი, / ასე სპეტაკი ჯერ არ მინახავს...“ (უსათაურო „ცა ლილისფერი, მაღალი, წყნარი“, შ. აფხაიძე).

**ნათელი:** „მაგრამ არ იცის ნათელი გზა იქ წასავალი“ („სევდიანი ზურმუხტი“, კ. იაშვილი); „მფლობელო ფიქრთა წმინდა, ნათელთა“ (უსათაურო „ღია კარი“, შ. აფხაიძე); „სულნო ნათელნო – ეს თქვენ იყავით / ჩვენი იყალთო, ჩვენი გელათი“ („შენი ლექსების რძე გვიწოვია“, შ. აფხაიძე); „ნათელს მაფენდეს სხვადასხვა ფერი“ („სურვილი“, შ. აფხაიძე); „წინათ აქ ბევრჯერ ჩამომდგარა ნათელი სვეტად“ („ბოლნისის ნანგრევებთან“, შ. აფხაიძე); „ამომავალ მზის ოქროს ნათელი / თავზე ადგება საქართველოს მთებს“ („ამოდის, ნათდება!“ ტ. ტაბიძე).

**მკრთალი:** „მრავალ თვალეში მკრთალი სახით გავმეორდები“ („Neurastenia“, კ. ნადირაძე); „ჩვენ შეგვიყვარდა შენი სახე, ჩვენსავით მკრთალი“ („ინტერვიუ პირველი“, ვალ. გაფრინდაშვილი); „...და თოვლის სკრიპკას ფრთადაჭრილი მკრთალად ატირებს“ („ჭლექი ასული“, ვალ. გაფრინდაშვილი); „...გამოუტანელ სიზმარავით მკრთალს“ („მგოსნის სონეტი“, ტ. ტაბიძე).

**ფერმკრთალი:** „დედოფლის სახე ფერმკრთალია, ვით ნისლში გედი“ („მეფის ქორწილი“, კ. იაშვილი); „ფერმკრთალი სახით, ხორციანი სქელი ტუჩებით“ („ავტოპორტრეტი“, კ. ნადირაძე); „შემოდის მწუხრი ფანჯრებში ცივად / და აფერმკრთალებს თანდათან საგნებს“ („მე ვიმეორებ მხოლოდ შენს სახელს“, კ. ნადირაძე).

**ფერწასული:** ისტერიკების ის მსხვერპლია დღეს ფერწასული“ („ჭლექი ასული“, ვალ. გაფრინდაშვილი); „...და შემომხედავს – მშვენიერი და ფერწასული“ („როიალთან“, ვალ. გაფრინდაშვილი); „შავ ნირვანაში დაალურობს დღე ფერწასული“ („დაისი“, ვალ.

გაფრინდაშვილი); „მაგრამ ფერწასულ დღეთა ლოცვაში / მალე გაქრება სიცოცხლის ტრფობა“ („ფანტასტიკური ქორწინება“, ნ. მიწიშვილი).

**ანთებული:** „ღამის მხედარო, ანთებულო ღამეთა წვაში“ („ვალერიან გაფრინდაშვილს“, ტ. ტაბიძე).

**შეფითრებული:** „შემოგხვდა შეფითრებული“ („გზა მშვიდობისა“, პ. იაშვილი).

**ფერგადასული:** „მაგრამ გაჩნდება მეომარი ფერგადასული“ („ასპინძის ომი“, პ. იაშვილი); „ახლა ძველ გუმბათს ფერგადასულს ფარავს მცენარე“ („წულრულაშენი“, შ. აფხაიძე); „ელიან ნახვას ნდომისაგან ფერგადასულის“ („ფატმან ხათუნი“, ტ. ტაბიძე); „...და ახლა სევდა ფერგადასულ წამებს მაზარებს“ („სინანული“, ვალ. გაფრინდაშვილი).

**გაფითრებული:** „...და ლეონარდოს სურათები გაფითრებული / მძიმე თვალებით აცილებენ მას სარკეებში“ („ანტანტა მწევართ“, ვ. ნადირაძე); „გაფითრებული მივენდობი შუალამის ხმაურს“ („საქორწინო მოგზაურობა მთვარესთან ერთად“, ვ. ნადირაძე); „გაფითრებული ჩემი ფიქრები...“ („დეკემბრის დღე“, შ. აფხაიძე).

**ფერდაცლილი:** „...და ახლა მთვარე ფერდაცლილი ანათებს ციდან“ („სამასი არაგველი“, შ. აფხაიძე).

**ფერმიხდილი:** „მიწას ჩასცქერის, ცას პირს არიდებს / და ფერმიხდილი ბუჩქს თავს აფარებს“ („სუმბული“, ს. შანშიაშვილი).

**გაფითრება:** „როცა გაფითრდა და დადუმდა, იმავე დღიდან“ („მოგონება“); „ქაშვეთი უფრო გაფითრდა“ („მუხამბაზი, რომელიც არ იმღერება“, ტ. ტაბიძე).

**მქრქალი:** „მცხეთის ცა ძლიერ, ძლიერ ლურჯია, / შაბიამანზეც კი უფრო ლურჯი. / „...შენი მქრქალია, უფრო დაბალი“ (უსათაურო „მცხეთის ცა ძლიერ, ძლიერ ლურჯია“, შ. აფხაიძე).

**ხასხასა:** „მისი ხასხასა ფერთა ნავარდი“ („რა ლამაზია“, შ. აფხაიძე).

**ფერწარმტაცი:** „მტკვარი ჩქარი, ფერწარმტაცი“ („წარწერა ქვაზე“, შ. აფხაიძე).

**ფერსავსე:** „ახლა ფერსავსე ლაჟვარდში ვცურავთ...“ („მე ის მაზარებს“, შ. აფხაიძე).

**ერთფეროვანი:** „სდუმს ჭიანური ერთფეროვანი“ („ტფილისი დღით“, ვალ. გაფრინდაშვილი).

**ფერშეუცვლელი:** „ის წმინდა ცრემლი ფერშეუცვლელი...“ („პოეტს“, გ. ლეონიძე).

გ. ლეონიძესთან გვხვდება: „შენი იების ლურჯი ფერ-წყალი“ („ჩემი ბაღი“).

**ბნელი:** „...და როცა მოვლენ თეთრ სიმდიდრით მთვარის ქურდები, / მეც მათთან ერთად ავტირდები ბნელ ღამეებში“ („მთვარის ქურდები“, კ. ნადირაძე); „ცამ სულ დახუჭა თვალი, დაბნელდა“ („წვიმა ქალაქში“, შ. აფხაიძე); „მიუსაკუთრეს შემდეგ ტანჯულს ბნელი საკანი“ („წამებული“, შ. აფხაიძე); „სძინავს სამყაროს, ნისლით დაბურულს, / გაუმჭვირვალე ღამეა ბნელი“ („მუზას“, ტ. ტაბიძე); „მზის მაცვალები მწვავედ ბნელია!“ („მთვარლი თვალები“, შ. კარმელი); „თვალი ბნელდება, გარეშემოს კი ნათლადა სწვავს“ („მასკარადში“, ტ. ტაბიძე).

**სიბნელე:** „ღამის სიბნელეს შექვითინებს ხმა“ („სევდის ღამეში“, ტ. ტაბიძე); „ნელი მუსიკა სიბნელეში შექვითინებს ცას“ (უსათაურო „ნელი მუსიკა სიბნელეში შექვითინებს ცას“, ტ. ტაბიძე); „და ისევ სცენა... დააჩრდილა სატრფო სიბნელით...“ („თეატრში“, ვალ. გაფრინდაშვილი); „...სადაც სინათლემ ბევრს სიბნელე ვერ მოაშორა“ („მთებში“, ნ. მიწიშვილი); „აღარ სცილდები დაბნელებულ ძველ ესკურიას“ (ვალერიან გაფრინდაშვილს, ტ. ტაბიძე).

**ბინდი:** „წინ გადავუდგე მწუხრის სქელ ბინდებს“ (უსათაურო „ქვეყნად მოვსულვარ, რომ გავიხარო“, შ. აფხაიძე); „მე თუ ჭაღარა ძირს მეზიდება / და თუ თვალებში ჩამოწვა ბინდი“ („მე და შენ“, შ. აფხაიძე); „გული, პირბადით დაბინდული, რად მენავსება?“ („ქალს ჩაჯენილ თვალით“, ვალ. გაფრინდაშვილი); „უკრავ და მატლებს გაუმართავ ბინდფერ პაემანს“ („პაგანინი“, ვალ. გაფრინდაშვილი).

**ბინდისებური:** „ტირილი სკრიპკის; მერმედ სიჩუმე და დაღლილობა ბინდისებური“. („Interieur“, კ. ნადირაძე).

**დაისი:** „იწვის დაისი, ვით ფრინველი, ვით ფრთაჯავარი“ („ქვიშხეთის ქარი“, ვალ. გაფრინდაშვილი); „მოჰყვება რიჟრაჟს, / წაჰყვება დაისს“ („ებრაული მელოდია“, ტ. ტაბიძე).

**წყვდიადი:** „...და ღრმა წყვდიადი“ („დადგება ჟამი“, შ. აფხაიძე); „მწამს, ანათებს მიწის წყვდიადს / მაგ მშვენების ნაპერწკალი“ („ქეთევან ირემადის ხსოვნას“, შ. აფხაიძე); „ფეხს აუჩქარე, წყვდიადით ნუ დაინესტები“ („თვალთა საფერფლე სევდიანი – ყვითელი მთვარე“, ვალ. გაფრინდაშვილი).

**თალხი:** „...და კვიპაროზთა თალხი გუნდი წყვდიადობს ბაღში“ („სონეტი“, ვალ. გაფრინდაშვილი); „ჩემი წიგნი კი გახვეულა სულ მტვერის თალხში“ („ჩემი წიგნი“, ტ. ტაბიძე).

**ფერის მნიშვნელობით მოიაზრება შემდეგი ლექსიკური ერთეულები:**

**ყინული:** „სქელმა ყინულმა დაიწყო ლღობა.“ / „გულში მცემს მათი სინათლის ქარი“ („მოგონება მერვე“, შ. აფხაიძე); „თვითონ ჩვენც გვმარხავს / ყინულის ზღვა – უდაბნო თეთრი“ („როაღდ ამუნდსენ“, ტ. ტაბიძე).

**მყინვარი:** „შორით კი მოჩანს თეთრი მყინვარი / და გზააბნეულ ღრუბელთა ფარა“ („შემოდგომის დღე ოქროყანაში“, ტ. ტაბიძე).

**თოვლი:** ზამთარში თოვლის თეთრი სიჩუმე, / ხოლო მაისში წვიმა მაისის“ („რამაზია“, შ. აფხაიძე); „გვიკითხავ მთვარის, თაფლის, მზის ლექსებს / და თეთრი თოვლით სავსეა ქუჩა“ („შეხვედრა კონსტ. ბალმონტთან მოსკოვის ახლოს ტყის ქალაქში“, ტ. ტაბიძე); „მხოლოდ ნაღველი შავ თოვლად თოვდა“ („პრინცი მაგოგი“, ტ. ტაბიძე); „თოვლის სპეტაკი ბრწყინვალეობა და სხივოსნობა“ („მინაწერი“, კ. ნადირაძე); „თოვს, ეს სიჩუმე და სისუფთავე...“ („თოვს“, კ. ნადირაძე); „მტერდის ფერ თოვლით ჯერ სამყარო არ დაფარულა“ („ზამთარში“, პ. იაშვილი); „მხოლოდ დღე და რამ მოცეკვავე ფოთოლთ კრებული / ვით ოქროს თოვლი, მარმარილოს ტანზე ალობდა“ („შემოდგომის ქანდაკება“, ვალ. გაფრინდაშვილი).

**ზამთარი:** „...და შემოდგომა თეთრ ზამთრისას სვამს სადღეგრძელოს“ („ნოემბერი“, ტ. ტაბიძე); „მოდით ზამთარო, დამაყარე მკრთალი იეზი, / და შენ თეთრ სიკვდილს მაზიარე – შენაციები!“ („შემოდგომის ქანდაკება“, ვალ. გაფრინდაშვილი); „...და ყოველ წლობით თეთრ დეკემბერში / თვე მე და შენი გარდაცვალების“ („ფანტასტიკური ქორწინება“, ნ. მიწიშვილი).

**ანგელოზი:** „თეთრი ანგელოზი მწუხარე თვალებით / ქალაქზე გაფრინდა ციურ ბრწყინვალეობით“ („თეთრი მირაჟი“, კ. ნადირაძე).

**ელვარე:** „მაგრამ ელვარე მზე სხივებით არ ეხატრება“ („ქალდეას ბალაგანი“, ტ. ტაბიძე).

**ელვა:** „იმ ხეს შუქს ჰფენდა შენ თვალთა ელვა“ („ევა“, შ. აფხაიძე).

**ფერიული:** „ფერიული და ეფემერი“ („ბირგამიის ტყე“, ტ. ტაბიძე).

**ცისარტყელა:** „...და ცისარტყელა სჯობია კინოს, / ჩრდილს სახლებისას – ჭადარის ჩრდილი“ („სოფლისაკენ“, ვალ. გაფრინდაშვილი).

**მთვარე:** „...და ახლა მთვარე ფერდაცლილი ანათებს ციდან“ („სამასი არაგველი“, შ. აფხაიძე); „თბილი მთვარეა, / თბილი, ნათელი...“ („ღამე მცხეთაში“, შ. აფხაიძე); „მიზორგავს მთვარე, ყვითელ / საბანს მიასრიალებს“ („მღვდელი და მალარია“, ტ. ტაბიძე); „ქარვისფერ მთვარეს უსაყვედურა“ („საფერფლე“, ვალ. გაფრინდაშვილი); „თეთრ ბალახონით გადაიყვანს მთვარე პიეროს / და მეოცნებეს შეუყეფებს მეფისტოფელი“ („მასკები კარნავალში“, შ. კარამელი).

**ჭალარა:** „...და თეთრ ჭალარას“ (პოემიდან „ჩალატარ“, ტ. ტაბიძე); „ასე ხანდაზმულს არ გარეგია / ერთი ჭალარაც“ („მე ის მახარებს“, შ. აფხაიძე); „ჭალარა სჩანდნენ ველები, მთები“ („პრინცი მაგოგი“, ტ. ტაბიძე); „...ისე, ვით მეფეს, პორფიროსანს, / ჭალარა მგოსანს“ („ქუთაისის სადარბაზოებს“, ვ. ნადირაძე).

**ნისლი:** „ცად კაეშანი გამეფებულა, / სძინავს სამყაროს, ნისლით დაბურულს“ („მგზავრის სიმღერა“, ტ. ტაბიძე); „...და ყელსახვევი გამისწორა წვიმისფერ ხელით, / შემდეგ განისლდა, სიმარტოვე ულმობელია“ („ცეცხლიან სარკეებში“, ვალ. გაფრინდაშვილი).

**ჩრდილი:** „უეცრად ჩრდილი შავი, მოზრდილი / გადაეფარა ლაჟვარდის გუმბათს / და დღე შუქიდან თითქმის დაცალა“ („წვიმა ქალაქში“, შ. აფხაიძე).

**ღამე:** „ღამის სიბნელეს შექვითინებს ხმა“ („სევდის ღამეში“, ტ. ტაბიძე); „შავი ღამეა, ცა გლოვობს“ („შემოდგომის ღამე“, ტ. ტაბიძე); „კოლხეთის ღამე, სამშობლო ღამე, / ჩემს სიყვარულს რომ ურწევდა აკვანს“ („Nocturne“, ტ. ტაბიძე); „ღამეა თეთრი და შავია / ქალდეას მესსა“ („მღვდელი და მალარია“, ტ. ტაბიძე); „...და სადაც ღამემ აჩრდილები შავად დარაზმა“ („თვალთა საფერფლე სევდიანი – ყვითელი მთვარე“, ვალ. გაფრინდაშვილი); „არ გიყვარს ღამე – სასიკვდილო შავი არშია“ („ქალს ჩაჯენილ თვალთ“, ვალ. გაფრინდაშვილი); „ის ათენებდა ღამეებს თეთრად“ („ცარსკოე სელო“, ვ. გაფრინდაშვილი); „ლურჯი საღამო აქანდაკდა ნაზ სახრჩობელად...“ („საღამოს მასკები“, ვ. გაფრინდაშვილი); „იღებავს თვალებს და წამწამებს ღამის ფერებით“ („ორეული – ანდროგინი“, ვ. გაფრინდაშვილი).

**დღე:** „ნათელთა დღეთა ცრემლი, ალერსი“ („თუნდ ერთი ლექსი“, შ. აფხაიძე); „მე მიყვარს შენი დღების ფერი, / ღამე ვარსკვლავთა, ღიმილი, დარდი“ („ქვეყნად მოვსულვარ“, შ. აფხაიძე); „დღეც, რომ ლაჟვარდში ცურავს, ლივლივებს“ („უსასწაულოდ რაა ცხოვრება“, შ. აფხაიძე); „ღამეა – თეთრი ირმის ნაწველი, / დღე – შვინდისფერი ვარაყიანი“ („სამშობლო“, ტ. ტაბიძე).

**გარდა ამისა, უნდა დავასახელოთ „ჭრელი“, ფერადი, აფერადებული, უფერო:**

„ჭრელი დღეების დაგრეხილი მტკიცე ფართალი“ („სინანული“, ვ. გაფრინდაშვილი); „...მაგრამ სიჭრელე და გაორება“ („კოლაუ ნადირაძეს“, პ. იაშვილი); „ვეფხების ლოთობა, ჭრელი ბოროტება“ („იქითური“, პ. იაშვილი); „უცანურ კომკებს ის აშენებს ფერად რკალებით“ („ტარანტული“, ვ. ნადირაძე); „აფერადებულ დაბლობის ფარდაგს“ („კოლხიდის პირველ მოსახლეს“, პ. იაშვილი); „...და მარად სუნთქვას ფერად ნიშნებად / მიჰყვება ვარდი ბაღში ბილიკებს“ („ახლა, როდესაც“, შ. აფხაიძე); „მოსარალავი, უფერო დღენი“ („სარკე“, პ. იაშვილი); „ოქროს ჭრელი არწივი, შავი რკინის ბრჭყალებით“ („ოქროს ჭრელი არწივი“, ს. შანშიაშვილი); „მზე მეწამული გილოკავდა ჭრელთვალა ხალებს“ („გერა“, გრ. რობაქიძე); „აქ ათას ფერად ჭრელდება“ („კახეთის დედოფალი“, ს. შანშიაშვილი); „...როს გამომყვეს ჭრელ ნაპირზე, / სოსანის ფერს საბურს სწურავს“ („თეთრი ალი“, ს. შანშიაშვილი).

ფერთა სიტყვები გამოიყენება მცენარეთა, ფრინველთა და ცხოველთა სახელწოდებების, ადამიანის სახის, თმის, თვალის ფერის აღსანიშნავად.

**ადამიანი სახის, თმის, თვალის ფერის აღმნიშვნელ სიტყვებთან:** „მოთაფლისფერო სახე მამების...“ („ოცნება საქართველოზე“, ვ. ნადირაძე) „...და დაღალულან დედოფალის თეთრი ხელები“ („მეფის ქორწილი“, პ. იაშვილი); „სოფლად მიდის ავი თვალი, კუდიანი ქალი. / წითელ თვალებს აკიაფებს აცქერდება მესრებს“ („ავი თვალი“, ნ. მიწიშვილი); „შენს წითელ კაბას... ბალაგანის ჯვრის გარდამოხსნას“ („ნინა მაცაშვილს“, ტ. ტაბიძე); „სულს ასხივოსნებს, სულს აცისკროვნებს უკვდავებისა სახე წითელი“ („მადონას სიმღერა“, ტ. ტაბიძე); „მოჟღალო თვალი სიგიჟეს ატარებს“ („უაღლდი პარიზში“, გრ. რობაქიძე); „...და ნიავს მიაქვს ყვითელი ჩალა, / იშლება შენი თმა თაფლისფერი“ („შეხვედრა კონსტ. ბალმონტთან მოსკოვის ახლოს ტყის ქალაქში“, ტ. ტაბიძე); „ჟღალი თვალებით „შიმი

ძველი“ შენთან მოიარს“ („ტიციან ტაბიძეს“, გრ. რობაქიძე); „ერთად დარაზმულ ტალღების სვლაში / რომ დავიმკვიდრო ლურჯთვალა ქალი“ („ძიება“, ვალ. გაფრინდაშვილი); „ყვითელი ლოყები, ტალახად მღვრეული“ („ავტოპორტრეტი“, ნ. მიწიშვილი); „უშნო აბურძგვა შეთეთრილ თმისა“ („მელანქოლია“, გრ. რობაქიძე); „თორემ ჩემ ყვითელ ცივ სხეულიდან / აღარ დარჩება ფერფლიც ყვითელი!..“ („სანბენიტო“, შ. კარამელი); „...და ძილში ვგრძნობდი მამის კოცნას ოქროსფერ თმებზე“ („ბავშვობის მოგონება“, კ. ნადირაძე).

**მცენარის აღმნიშვნელ სიტყვებთან:** „ტყეში ვნახულობ მე წითელ სოკოს“ („ცისფერი ქოლგა“, პ. იაშვილი); „თეთრი ვაშლის ხე თეთრ ხიდებზე / მოსცურდი გედით“ („ილაიალი“, ტ. ტაბიძე); „ვარდი თუ უფრო წითელია, – თორემ არ მკრთალობს“ („პიერო“, ტ. ტაბიძე); „ცისფერ ყვავილით მე მოვალ შენთან – / ვეძებდი ტრფობის ვარდნარს და იანს!..“ („ცისფერი ყვავილი“, კ. ნადირაძე); „...და ისე ყრია თეთრი ვარდები, თითქო ათასი აქ გედი მოკლეს“ („სენტიმენტალური მოგზაურობა“, ტ. ტაბიძე); „...და ცისფერ ყვავილს ჩემს გულში რგავდნენ“ („თოვს“, კ. ნადირაძე); „გაზაფხულია, თეთრი ტყემლები / მხურავს სიმწვანე და მოფერება“ („აყვავებული ტყემლები“, კ. ნადირაძე); „ია, გვირილა, მწვანე ჯეჯილი / წელგამართული მწვდება წელამდე“ („ცამ დაიგრგვინა, გამოიხედა...“ შ. აფხაიძე).

**ფრინველების აღმნიშვნელ სიტყვებთან:** „იფეთქებს გუნდი შავი შაშვების“ („პოეზიის ინჟინერებს“, პ. იაშვილი); „თეთრი ტახისა და თეთრი ბატის“ („ალავერდობა“, ტ. ტაბიძე); „თეთრი გედი, ერთვის ნელა ტბისა ქშენას“ („გედის ყვილი“, გრ. რობაქიძე); „დუელს ერთმანეთს ვპირდებოდით ბოროტ მინაში, / როგორც ლურჯ გედის მოტრფიალე ფალავანდები“ („დუელი ორეულთან“, ვალ. გაფრინდაშვილი); „ჩიტი ლურჯი / ჩემს ფანჯარას თავს აკვდება...“ („ლანდი“, გრ. რობაქიძე); „ჭრელი თუთიყუში ჩამიდეს გულად“ („გული – თუთიყუში“, ნ. მიწიშვილი); „ვერას დაგვაკლებს შავი ყორანი, / მტერი გამოჩნდა? მიჰყვეს მდევარი!“ („ნიკოლოზ ბარათაშვილი“, ს. შანშიაშვილი); „ყორანი შავი ყორნის სულამდე / არაგვის ველზე ითრობა ლეშით“ („ორი არაგვი“, ტ. ტაბიძე).

**ცხოველების აღმნიშვნელ სიტყვებთან:** „ჭორფლიან ცხენით დადის ურია“ („ნასაყდრის გალავანიდან“, პ. იაშვილი); „ხევსურებიც ჩამოვიდნენ, იმათ წითურ, შეკრულ ცხენებს“ („უკრაინელი ქალის სიმღერა“, პ. იაშვილი); „ზის და დუმს რუხი კურდღელი“ („მთაში მოსულა ზამთარი“, პ. იაშვილი); „თეთრი რაში / მოვრთე კოხტად, თეთრი რაში, გიჟი,



მარდი“ („თეთრი რაში“, გრ. რობაქიძე); „თეთრ ცხენზე მძვდომი, ნაბიჯით ნელით / შემოდოდა სიკვდილი ცელით! („1921 წლის 25 თებერვალი“, კ. ნადირაძე); „მოკლა ყინულზე / მან თეთრი დათვი“ („როალდ ამუნდსენ“, ტ. ტაბიძე); „...და თეთრ ირმებით / გამართულ მარხილს“ („როალდ ამუნდსენ“, ტ. ტაბიძე).

### **სამყარო (ცა, მთა, ღრუბელი...)**

**ცა/ზეცა:** „შორს არის ზეცა, სილაჟვარდე, მშვენიერება!“ („ჯვარცმა ღამეში“, კ. ნადირაძე); „მცხეთის ცა ძლიერ, ძლიერ ლურჯია, / შაბიამანზეც კი უფრო ლურჯი“ (უსათაურო „მცხეთის ცა ძლიერ, ძლიერ ლურჯია“, შ. აფხაიძე); „აქ ზამთარია და ისეც ცივა... / ცარცივით თეთრ ცას ჯერ თოვლი ცვივა... („ბარათი“, შ. აფხაიძე); „აი, ეს არის ჩემი სურვილი: / ვუცქირო ლურჯ ცას, / მაღალ ვარსკვლავებს“ („სურვილი“, შ. აფხაიძე); „ცისა ლაჟვარდი რძით დაიცვარა“ („ქალდეას სიზმრები“, ტ. ტაბიძე); „ცა წითელია და რქანაყარი – / ამაღამ ზენა ამოვა ქარი“ („ორპირი“, ტ. ტაბიძე); „ჩემი ცის ლაჟვარდს, / ჩემი ველების ყვავილთა ბიბინს“ („დადგება ჟამი“, შ. აფხაიძე); „დრო დადგა შვების და აინგრა ცისფერი ზეცა, / წითელ ზოლებით დაიხაზა მზის სარეცელი“ („ორსული მზე“, ლ. ჯაფარიძე).

**მთები:** „მინდა ლექსი დავამძივო / ცივ გომბორის მწვანე მთებზე“. „მე გუნება ამ ლურჯ მთების / ყრმობიდან გულს ჩამდებია!“ („კახური განთიადები“, გ. ლეონიძე).

**ღრუბლები:** „ეს ის დრო იყო, როცა შავ ღრუბლებს / პულტილოველთა პროტესტი ლეწდა“ („მოგონება მეოთხე“, შ. აფხაიძე); „სხვა არაფერი არ მსურდა, არა, / როცა თეთრ ღრუბლებს ვხედავდი ცაზე“; „თეთრი ღრუბელი, ქარით დევნილი, / ისევე ნაზად მიცურავს ნელა“ („ემებ თეთრ ჩოხას ბედი მიკერავს“, კ. ნადირაძე).

### **ზღვა, მზე**

**ზღვა:** „იისფერ ზღვაში მზე ჩამავალი“ („ქუჩების ბედნიერება“, კ. იაშვილი); „ოთახების სინათლე ზღვის ტალღების ფერია“ („თავდაპირველ მოსახლესთან“, კ. იაშვილი); „დღემ მოიტანა ალაზანამდე, / ნისლის შავი ზღვა რომ გადათელა“ („ალავერდობა“, ტ. ტაბიძე); „ჩერქეზ მინდორზე შავი ზღვის ნისლად...“ („ასე მგონია, თითქო ვხედავდე...“ ტ. ტაბიძე); „შავი ზღვის გაღმა, მთის ძირში, / სჩანს მონასტერი ღრუბელში“ („შოთას ბეჭედი“, ს. შანშიაშვილი); „გული თეთრი ზღვის ქაფზე, ყელი სწორე, აღმართი“ („ოქროს წრელი არწივი“, ს. შანშიაშვილი).

**მზე:** „ჩვენი მზე, ჩვენი მხარე ლურჯი“ („წერილი ანნა ახმატოვას“, პ. იაშვილი); „ჭრილობის დაჩენა, შავი მზის გაჩენა“ („იქითური“, პ. იაშვილი); „შეხედეთ ოქროს მზეთამზეს, / მთები რომ მთებზე ეყარა“ (უსათაურო „სამჯერ ვარ დაბადებული“, ტ. ტაბიძე); „გზა არ ილევა... თუმც მეწამულ მზეს / აჰ, საცაა ზღვა დაიწონის“ („თეთრი სიზმარი“, ტ. ტაბიძე); „მზით ავსებული, განათებული“ („მზე ყველას ყოფნის“, შ. აფხაიძე); „ყვითელ სანთელზე მელანდება / მე მზე ბრწყინვალე“ („მაგი წინაპარი“, ტ. ტაბიძე); „სინათლე მზისა და დღეების გამეორება“ („ინტერვიუ პირველი“, ვალ. გაფრინდაშვილი); „ზღვაში ვარდება წითელი მზე – ცათ ნაგორები“ („წითელი გველი“, ნ. მიწიშვილი).

**ტანსაცმლის აღმნიშვნელ სიტყვებთან:** „მთვარის ამოსვლას ვეგებები თეთრ ტანსაცმელში“ („მთვარის ქურდები“, კ. ნადირაძე); „თეთრ ტანსაცმელში იქ მდუმარე ინფანტა მელის“ („ანტანტა მწევართ“, კ. ნადირაძე); „ამას გავალებს ახალგაზრდობა / და გარიბალდის წითელი ქუდი“ („და გარიბალდის წითელი ქუდი“, ტ. ტაბიძე); „შავ ანაფორას მეწამული / გადაჰკრავს ფერი“ („მაგი წინაპარი“, ტ. ტაბიძე); „...და დადიოდა შავნაბდიანი“ („ვაჟა და ფიროსმანი“, ვალ. გაფრინდაშვილი); „ცისფერი კაბა მაგონდება, ვიწრო ქამარი“ („მიძღვნა“, კ. ნადირაძე); „ის ლურჯი კაბით გამოდიოდა, როგორც ეთერში ახალი მთვარე“ („ეს როდის იყო“, შ. კარმელი); „ჩვენ გავიცინებთ თეთრ ფერებში გადაცმულები“ („ჩვენ – „ცისფერი ყანწები“, ნ. მიწიშვილი); „თვალწარბიანს, ჭრელკაბიანს...“ („კახეთის დედოფალი“, ს. შანშიაშვილი); „შავი ფრაკი გადაუცვამს, / ყინვის თვალეზს ინთებს“ („ბატონი ცილინდროსანი“, ს. შანშიაშვილი); „...და კოლომბინას წითელი პალტო / მიტოვებული, ფერსევდიანი“ („ტიციანს“, ლ. თაბუკაშვილი); „გტანჯავდა უხმოთ განწირული ბედის ქველობა / და სიყვარული საქორწილო თეთრი ქამარის“ (მარო მაყაშვილს, რ. გვეტაძე).

**სულიერი განწყობის გამოსახატავად:** „სავანევ ლხინთა, სიმწუხარეთა, სიმწვანევ ყველა“ (უსათაურო „მოვსულვარ... ვდგავარ“, შ. აფხაიძე); „მფლობელო ფიქრთა წმინდა, ნათელთა“ (უსათაურო „ღია კარი“, შ. აფხაიძე); „მორბიხართ თეთრი – მარტო იმედი...“ (პოემა „ცხენი ანგელოსით“, ტ. ტაბიძე).

„ცისფერყანწელები“ ხშირად იყენებენ სალიტერატურო ქართულში გაბატონებულ რთულფუძიან ფერის აღმნიშვნელ სიტყვებს.

**„ფერ-“ კომპონენტით ნაწარმოები ლექსიკა:**

**ხავერდისფერი:** „...და ხავერდისფრათ ვარსკვლავები ააშრიალა“ („ტარანტული“, კ. ნადირაძე).

**ზღვისფერი:** „დამძიმებულან მოჟრიალე, ზღვისფერ ჩიტებით“ („მალთაყვა“, კ. იაშვილი).

**მტრედისფერი:** „დილის სხივებმა გაიხარეს მტრედისფერ ცაზე“ („მეფის ქორწილი“, კ. იაშვილი); „...და ხალისით ყვავილდება ნელი ზეცა მტრედისფერი...“ („დაჭრილი მზე“, გრ. რობაქიძე).

**ხოხბისფერი:** „ხოხბისფერი, ვარდისფერი / ეფინება კრთომით ციაგს“ („კახური განთიადები“, გ. ლეონიძე); „მახარებს ტყის და ხოხობის ფერი / კავკასიონში ნისლთა მფრქვეველი“ („რიონი“, ვალ. გაფრინდაშვილი).

**ცრემლისფერი:** „ცხელი ორთქლი, ცრემლისფერი, მხურვალე ცას ეფინება“ („ფარშავანგები ქალაქში“, კ. იაშვილი).

**სისხლისფერი:** „...ვით დაფლეთილი, სისხლისფერი, სოველი ჩვრები“ („ფარშავანგები ქალაქში“, კ. იაშვილი); „სისხლისფერ შინდის ასხივოსნებას“ („ხილთა ქება“, ვალ. გაფრინდაშვილი).

**ქარვისფერი:** „ფირუზის თასი ქარვისფერი ღვინით აივსო“ („მეფის ქორწილი“, კ. იაშვილი); „მწყურია რამე, ვით ქარვისფერ წმინდანს – უდაბნო“ („ძონძებში“, ვალ. გაფრინდაშვილი); „ქარვისფერ ლოცვებს ვადნობ შენს წინ ამაყი გურჯი“ („სანტა მარია“, შ. აფხაიძე); „ქარვისფერ მთვარეს უსაყვედურა“ („საფერფლე“, ვალ. გაფრინდაშვილი).

**სანთლისფერი:** „სანთლისფერ ლოცვით აჩქარებას მეფეს ჰპირდება“ („სევდიანი ზურმუხტი“, კ. იაშვილი).

**თაფლისფერი:** „იშლება შენი თმა თაფლისფერი“ („შეხვედრა კონსტ. ბალმონტთან მოსკოვის ახლოს ტყის ქალაქში“, ტ. ტაბიძე); „ის თაფლისფერი და მოელვარე“ („ლიხის მთვარე“, ვალ. გაფრინდაშვილი).

**ალისფერი:** „ლურჯ და ალისფერ ლაშქრობაში მეტობს ვერავინ“ („სამგლოვიარო ტოსტი ამორდიას გარდაცვალებაზე“, ვალ. გაფრინდაშვილი).

**ლალისფერი:** „ქვეყანა იწვის, რომ უყურებს ლალისფერ ორსულს“ („ორსული მზე“, ლ. ჯაფარიძე); „ლალისფერა, ქარვისფერა / დულს და ქვევრებს ეძალეზა“ („კახეთის დედოფალი“, ს. შანშიაშვილი).

**ვერცხლისფერი:** „...გაახალისა ვერცხლის ფერებით“ („დებედაჩაის ღამე“, პ. იაშვილი).

**ოქროსფერი:** „ის ოქროსფერი და მოელვარე“ („ლიხის მთვარე“, ვალ. გაფრინდაშვილი); „თოვლისფერ ლანდით ბეატრიჩე მეშინაურა, / ოქროსფერ თევზებს ოფელია წყალში დაირევს“ („მარიონეტკები“, შ. კარამელი).

**მარგალიტისფერი:** „...და მარგალიტისფერი სხეული“ („ოცნება საქართველოზე“, კ. ნადირაძე).

**ფირუზისფერი:** „ფირუზისფერი აბაჟურით ჩაქრა შანდალი, / ცივი ბალიში თეთრ ლოცვებმა დამინოტიეს“ („გასვენებები“, შ. კარამელი).

**ცეცხლისფერი:** „ცეცხლისფრად ელავს ლალის ფარჩა და ოქრომკედი“ („მეფის ქორწილი“, პ. იაშვილი); „შენი მაყარი უცაბედი ცეცხლისფერ დროში“ („პაოლო იაშვილს“, ვალ. გაფრინდაშვილი).

**მზისფერი:** „მზისფერ უნაბს, ვარდის რტოებს, / ვაზს სვეტებზე გადმოფენილს“ („თბილისი“, გ. ლეონიძე).

**მთვარისფერი:** „მე მიყვარს მათი მთვარისფერი სარაბანდები“ (რკალიდან „წვიმის ლანდები“, ვალ. გაფრინდაშვილი).

**წვიმისფერი:** „...და ყელსახვევი გამისწორა წვიმისფერ ხელით“ („ცეცხლიან სარკეებში“, ვალ. გაფრინდაშვილი).

**თოვლისფერი:** ვუცქერი საბნის თოვლისფერ ფარჩას („აკაკის ვარდები სხვიტორში“, ვალ. გაფრინდაშვილი); „თოვლისფერ ლანდით ბეატრიჩე მეშინაურა, / ოქროსფერ თევზებს ოფელია წყალში დაირევს“ („თოთხმეტ სტრიქონში ვაპატიმრებ ხშირად შაირებს“, შ. კარამელი).

**კომშისფერი:** „იდუმალ ვუსმენ კომშისფერ სიონს“ („მე შენს სიყვარულს ზღვად ავადიდებ...“ გ. ლეონიძე).

**ატმისფერი:** „ჩემი ბავშვობა, ატმისფერი, უფსკრულს ჩაბარდა“ („ბავშვობა და ნისლეები“, ვალ. გაფრინდაშვილი).

**„მარწყვისფერი:** „მარწყვისფერად, შინდისფერად / იღებება გარიჟრაჟი“ („ქართლის ბაღი“, გ. ლეონიძე).

**ხორბლისფერი:** „...და ხორბლისფერი, ძვირფასი ხელი“ („აზნაურ ასულს“, გ. ლეონიძე).

**შვინდისფერი:** „ცა შვინდისფერი, მთაც შვინდისფერი“ („ლექსის დაბადება“, ტ. ტაბიძე); „ღამეა – თეთრი ირმის ნაწველი, / დღე – შვინდისფერი ვარაყიანი“ („სამშობლო“, ტ. ტაბიძე).

**შინდისფერი:** „ჩვენ შინდისფერი დროშა გვექონია, / შავის არმიით შემოვლებული!“ („დროშა“, გ. ლეონიძე).

**მიხაკისფერი:** „მიხაკისფერად / მოელვარე / წითელ თავსაფრებს“ („გულდაგულ“, ტ. ტაბიძე).

**ვარდისფერი:** „ვარდისფერ თრთოლვით შენ დადიხარ სასტიკ სინაზე“ („სატურნირო ტრიოლეტი“, ვალ. გაფრინდაშვილი); „მე შენ სურათზე ვითვლი ჩუმად ვარდისფერ ხაზებს“ („სანტა მარია“, შ. აფხაიძე).

**იისფერი:** „სუსხიან სევდით დაუბურავი, / მუდამ დამტკბარი იისფერ მთებით“ („რიონი“, ვალ. გაფრინდაშვილი); „იისფერ ზღვაში მზე ჩამავალი“ („დაცემულ ბათომს“, პ. იაშვილი).

**ცისფერი:** „ესენინ ჰყავდა ძმად ცისფერ ორდენს!“ („სერგეი ესენინს“, ტ. ტაბიძე); „ცისფერ ყანწებით დიდებულ მგოსანს / მოაგებებენ შენ სადღეგრძელოს“ („შეხვედრა კონსტ. ბალმონტთან მოსკოვის ახლოს ტყის ქალაქში“, ტ. ტაბიძე).

**ნაცრისფერი:** „...და ისევ მტვერის იზვიადებს რუხი მთიები.“ / „ნაცრისფერ ცეცხლში ბუმბერაზობს, იწვის ქალაქი“ („ქუთაისი ქარში“, ვალ. გაფრინდაშვილი); „ნაცრისფერ წვიმას აჩრდილებია დაუთალხია“ („წვიმის ასული“, ვალ. გაფრინდაშვილი).

**ღამისფერი:** „ნუ შეგაშინებს ღამისფერი ჩვენი შრიალი“ („ინტერვიუ პირველი“, ვალ. გაფრინდაშვილი).

**დაისის ფერი:** „ის დაისის ფერი სილა“ (თბომავალი „საქართველო“, პ. იაშვილი).

**ჟანგისფერი:** „მზე დაწყდა სისხლად, ჟანგისფერი მძიმობს ჰაერი“ („ასპინძის ომი“, პ. იაშვილი).

**გოგირდისფერი:** „...და მოთმინება გოგირდისფერს მიქსოვს პირბადეს“ („სინანული“, ვალ. გაფრინდაშვილი).

**აგასფერი:** „რა უყოთ რომ კახაბერი გახდა აგასფერი, / ჩემ წინ იყურებთან: იალბუზი და მყინვარი“ („ორპირის ოქროპირი“, ტ. ტაბიძე).

**კუპრისფერი:** „კუპრისფერ ცაზე მზეც დაეხვრიტათ“ („ტიციანს“, ლ. თაბუკაშვილი).

**მარჯნისფერი:** „მზე მარჯნისფერი ისევ ბდღვრიალებს!“ („მზე მარჯნისფერად ისევ ბდღვრიალებს!“ გ. ლეონიძე).

**ხავსისფერი:** „ხავსისფერ კანზე მზის ხაოთი სქლად მოწვეთილი“ („ვასაკა“, გრ. რობაქიძე).

**ლაჟვარდისფერი:** „მახსოვს ბორანი ლაჟვარდისფერი, / ზედ გამლილ ქოლგით უცნობი ქალი“ („რიონი“, ვალ. გაფრინდაშვილი).

ამდენად, ქართველ სიმბოლისტებთან გვხვდება შემდეგი ფერთა აღმნიშვნელი სიტყვები:

ქრომატულ ი და აქრომატულ ი ფერები	რთულფუძიანი ფერის აღმნიშვნელი სიტყვები („ფერი“ კომპონენტით ნაწარმოები ლექსიკა)	ორ- და სამწევრა შეხამებანი	ფუბეგაორკეცე ბული კომპოზიტები	ნეოლოგიზმები
თეთრი, შავი, რუხი, წითელი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი.	წვიმისფერი, თოვლისფერი, ცეცხლისფერი, ალისფერი, მთვარისფერი, მზისფერი, ღამისფერი, მარჯნისფერი, კუპრისფერი, ხავერდისფერი, ზღვისფერი, მტრედისფერი, ხოხბისფერი,	ზაფხულის ფერი, შემოდგომის ფერი, ნოემბრის ფერი, აპრილის ფერი, დღეების ფერი, დაისის ფერი, სიცოცხლის ფერი, სიკვდილის ფერი, სიყმაწვილის	შავ-შავი, წითელ- წითელი, ფერად- ფერადი.	რაგინდრაფერი, შვიდფერი, მრავალფერი, წვიმისფერი, ზაფხულის ფერი, ყველაფრის ფერი, აპრილის ფერი, ვარვარა ფერი, დღეების ფერი, „გადამდნარი დილის ფერი“, სიცოცხლის/

	<p>ცრემლისფერი, სისხლისფერი, ქარვისფერი, სანთლისფერი, თაფლისფერი, ალისფერი, ლალისფერი, ვერცხლისფერი, ოქროსფერი, მარგალიტისფერი, ფირუზისფერი, კომშისფერი, ატმისფერი, მარწყვისფერი, ხორბლისფერი, შინდისფერი, მიხაკისფერი, ვარდისფერი, იისფერი, ცისფერი, ნაცრისფერი, ჟანგისფერი, გოგირდისფერი, ხავსისფერი, ლაჟვარდისფერი.</p> <p>ბინდფერი, ნარგიზფერი, შვიდფერი, მრავალფერი, აგასფერი.</p>	<p>ფერი, „ასკადის ფერი“, იაგუნდის ფერი, სოსანის ფერი, ოქროს ფერი, ნაირ ფერი, პირველი ფერი;</p> <p>ციური ფერი, უკვდავი ფერი, ჯადოსნური ფერი, ხასხასა ფერი, ნარნარი ფერი, ვარვარა ფერი, ბალთა ფერი, იდუმალ ფერი, სისხლური ფერი;</p> <p>ზღვის ტალღების ფერი, „მკვდარიზღვისფერი“, „შეთვალეზღვი ფერი“, „გადამდნარიდ ილისფერი“;</p> <p>რაგინდარაფერი.</p>		<p>სიკვდილის ფერი, ნარგიზფერი, უკვდავი ფერი, ჯადოსნური ფერი, ხასხასა ფერი, ხავერდისფერი, ნარნარი ფერი, შვინდისფერი, რაგინდარაფერი, „რაფერი“, „ყველაფრის ფერი“, აგასფერი, „ბალთაფერი“, მარჯნისფერი, ზღვის ტალღების ფერი, „მკვდარიზღვის ფერი“, „შეთვალეზღვი ფერი“.</p>
--	---	---	--	--

### 4.3. „ცისფერყანწელთა“ პოეტური ლექსკა

#### სიტყვის სემანტიკური მიმართებები: სინონიმები, ანტონიმები, ნეოლოგიზმები და მისი სტილისტიკური ფუნქცია

ენას ბევრ შემთხვევაში მოეპოვება ორი ან რამდენიმე სიტყვა ერთი და იმავე მოვლენის აღსანიშნავად. ყოველი მოვლენის შესწავლა, თავის მხრივ, მისი აგებულების აღწერით ანუ შემადგენელ ელემენტთა კლასიფიკაციით იწყება.

სტილისტიკისა და ლექსიკოლოგიისათვის ამოსავალია ლექსიკური ერთეულები. ლექსიკოლოგიაში შეისწავლება სინონიმის, ომონიმის, ანტონიმის რაობა, ხოლო მათი სტილისტიკური ფუნქციები ლექსიკურ სტილისტიკაში განიხილება.

უნდა აღინიშნოს, რომ სინონიმურ რიგში არსებობს ერთი დომინანტი სიტყვა, რომელიც ყველაზე მკვეთრად გადმოგვცემს ამავე რიგის სხვა სიტყვების საერთო მნიშვნელობას. ეს არის სტილისტიკურად ნეიტრალური სიტყვა, მისი სინონიმები კი უფრო ექსპრესიულია. მაგალითად: შავი – გიშრისფერი, მაცვლისფერი, ყორნისფერი, კუნაპეტი, კუპრივით შავი, ღამეული ფერი [ცეცხლაძე... 2014: 97].

ქართულში დამახასიათებელია შემდეგი სახის ფერთა სინონიმური ერთეულები:

ა) კომპოზიციური და სუფიქსიანი ფორმების შემცველი აბსოლუტური სინონიმები: ვერცხლისფერი // ვერცხლოვანი, ალისფერი // ალური, ზურმუხტისფერი // ზურმუხტოვანი...

ბ) ზედსართავები და ამავე ფუძის -ა სუფიქსიანი ფორმები: ლალისფერი//ლალისფერა; ქარვისფერი // ქარვისფერა...

გ) „ფერის“ გარეშე გამოყენებული ფორმები და კომპოზიტები: ნარინჯი//ნარინჯისფერი, ლალი//ლალისფერი, ძოწი//ძოწისფერი...

სინონიმების გვერდით ხშირად ახსენებენ ანტონიმებს. ისინი იმით განირჩევიან ერთმანეთისაგან, რომ სინონიმის შემთხვევაში ამ ჯგუფის წევრთა ურთიერთობა აღსანიშნავად შორის მსგავსებას ემყარება, ხოლო ანტონიმური ურთიერთობის საფუძველი განსხვავებაა. სინონიმისგან განსხვავებით ენობრივი ანტონიმია ყველა სიტყვას არ აერთიანებს.



ფერთა აღმნიშვნელი ანტონიმური ზედსართავი სახელები და სახელწმენებია, მაგალითად: თეთრი და შავი, ნათელი და ბნელი, გაშავებული და გათეთრებული.

როგორც ბ. ფოჩხუა მიუთითებს, საგნები თავისთავად არ უპირისპირდებიან ერთმანეთს. საგნების დაპირისპირებას ადამიანები ახდენენ და ადამიანები ახასიათებენ ამა თუ იმ საგანს, როგორც სხვა რომელიმე საგნის საპირისპირო თვისების მქონეს. სინამდვილეში რეალური საგნების დაპირისპირება კი არ ხდება, არამედ ადამიანთა აზრებისა ამ საგანთა შესახებ, ე.ი. ცნებისა. ცნებათა დაპირისპირებას ახდენს ლოგიკა, რომელიც შეუთავსებელ ცნებათა შორის გამოყოფს ე.წ. კონტრარულ და კონტრადიქტორულ ცნებებს [ფოჩხუა, 1974, 35].

ცნებათა შეუთავსებლობა საპირისპიროა (კონტრადიქტორულია), როდესაც ერთი ცნების ნიშან-თვისებები მეორე ცნებაში უარიყოფა („შავი – არაშავი“). ხოლო ცნებათა დაპირისპირება კონტრარულია (საწინააღმდეგოა), როდესაც დაპირისპირებულ ცნებებში წარმოდგენილია კიდური წევრები ხარისხობრივად განსხვავებული ნიშან-თვისების მწკრივისა („შავი (მუქი ნაცრისფერი – ღია ნაცრისფერი) – თეთრი“). თუკი ანტონიმებად მიჩნეულ სიტყვებს და ცნებათა ამ ორ რიგს შევუდარებთ ერთმანეთს, დავინახავთ, რომ ლექსიკაში არსებული დაპირისპირება აუცილებლობით არ ემთხვევა ლოგიკურს. ასეთი დამთხვევა მხოლოდ შესაძლებელია და ასეთ შემთხვევაშიც ცნებისა და სიტყვის აუცილებელი შინაგანი კავშირის უკუფენას არ წარმოადგენს [ფოჩხუა, 1974: 37].

პოეზიაში გვხვდება:

ტ. ტაბიძე – „შავი არაგვი თეთრ არაგვს ერთვის, / ჩვენი გათიშვა კი ყველას სურდა“ („ანანურთან“); „ღამეა თეთრი და შავია / ქალდეას მესსა“ („მღვდელი და მალარია“); „ორი არაგვი, როგორ ორი და, / ვით დღე და ღამე – თეთრი და შავი“ („ორი არაგვი“);

შ. აფხაიძე – „შენა ხარ სახე საუკუნეთა / ნათელი, ბნელთა“ (უსათაურო „მოვსულვარ... ვდგავარ“).

ყოველი ახალი საგანი, ფორმა თუ მოვლენა, ახალი სიტყვების გაჩენის მიზეზია, რაც ენაში ახალი ლექსიკური ერთეულების ანუ ნეოლოგიზმების წარმოშობას იწვევს. უნდა აღინიშნოს, რომ საავტორო ნეოლოგიზმები მხატვრული ლიტერატურის კუთვნილებაა. ასე,

მაგალითად, **ლომფერი** ეკუთვნის გალაკტიონ ტაბიძეს („ელვარე და ლომფერი / იყო ცხრა ოქტომბერი“).

„ცისფერყანწელებთან“ დასტურდება როგორც სამწერლო და ხალხური მეტყველებიდან ცნობილი, ისე მათ მიერ შექმნილი ფერთა აღმნიშვნელი ახალი ლექსიკური ერთეულები. მოვიყვანთ მაგალითებს ყანწელთა შემოქმედებიდან.

ქართველ სიმბოლისტებთან გვხვდება ნაცვალსახელისგან ან რიცხვითი სახელისაგან შედგენილი ფერთა სიტყვები:

**„შვიდფერი“:** „ულამაზესი შვიდფერი მკლავით“ (უსათაურო „გაზაფხულია... მზე ახალგაზრდა“, შ. აფხაიძე); „ცა შვიდფერი ცისარტყელით“ („გზა მშვიდობისა“, პ. იაშვილი);

**პირველი ფერი:** „ის ცა მბრწყინავი პირველი ფერით“ („ჩემი რიონი“, შ. აფხაიძე);

**მრავალფერი:** „თოვლზე დაფანტულ მრავალფერი ქვის მაქებარი!“ („მალარმე“, პ. იაშვილი);

**ნაირ ფერი:** „დადის და ხატავს ნაირ ფერებით / ველს გაზაფხული – დიდი მხატვარი („ცამ დაიგრგვინა, გამოიხედა...“ შ. აფხაიძე);

**რაგინდარაფერი:** „...და იკაზმება სიკვდილის წინ რაგინდარაფერად“ („ჯვარისწერები დაისში“, ვალ. გაფრინდაშვილი); „იმდენს პირდება დედა ბატონებს / ძღვენს და საჩუქარს – რაგინდარაფერს“ („ლექსი წელკავი“, ტ. ტაბიძე).

ფერთა ამსახველი ლექსიკით შეიძლება აღიწეროს **ბუნების სხვადასხვა მოვლენა:**

**წვიმისფერი:** „სარკის მინიდან გამოსცურდა თვით ოფელია / და ყელსახვევი გამისწორა წვიმისფერ ხელით“ („ცეცხლიან სარკეებში“, ვალ. გაფრინდაშვილი);

**თოვლისფერი:** „თოვლისფერ ლანდით ბეატრიჩე მეშინაურა, / ოქროსფერ თევზებს ოფელია წყალში დაირევს“ („მარიონეტკები“, შალვა კარმელი (გოგიაშვილი).

სტიქიის მოვლენასთან დაკავშირებული: **ცეცხლისფერი:** „ცეცხლისფრად ელავს ლალის ფარჩა და ოქრომკედი“ („მეფის ქორწილი“, პ. იაშვილი);

**ალისფერი:** „სისხლით ცეცხლის რაშებს ვაფრენ მე – ლეგენდა ალისფერი“ („დაჭრილი მზე“, გრ. რობაქიძე).

გადატანითი მნიშვნელობით გვხვდება წელიწადის დროსთან ან კონკრეტულ თვესთან დაკავშირებული: **ზაფხულის ფერი, შემოდგომის ფერი, აპრილის ფერი, ვარვარა ფერი, ნოემბრის ფერი:**

**აპრილის ფერი:** „აპრილის ფერი / ეს ფერი სადღაც ჩემს გულში მღერის“ („დეკემბრის დღე“, შ. აფხაიძე); „მოვა აპრილი... ცა დაიჭექებს, / ყველაფრის ფერი გარდაიქმნება“ (უსათაურო „კიდევ იქნება, გაზაფხულდება“, შ. აფხაიძე);

**ვარვარა ფერი:** „ზაფხული მწვანე, ვარვარა ფერი / ნოემბრის ყვითელ ქარს წაეშალა“ („წვიმა ქალაქში“, შ. აფხაიძე);

**შემოდგომის ფერი:** „მე შემოდგომის მახარებს ფერი, / გახუნებული ზეცა და ველი“ („ჭადრები“, კ. ნადირაძე);

**გაზაფხულის ფერი:** „გაზაფხულია... მისი ფერებით“ („მზე ყველას ყოფნის“, შ. აფხაიძე);

**ნოემბრისფერი:** „ნოემბრის ფერი; დასტირიან ქვებს ფავარები“ („სურნელება თქვენი ტანის“, კ. ნადირაძე).

დღის მონაკვეთთან დაკავშირებული:

**„გადამდნარი დილის ფერი“:** „მოვიგონოთ იმ ოქროში / გადამდნარი დილის ფერი“ („1925 წლის ერთი დილის სახსოვარი“, გ. ლეონიძე);

**დღეების ფერი:** მე მიყვარს შენი დღეების ფერი, / ღამე ვარსკვლავთა, ღამილი, დარდი“ („ქვეყნად მოვსულვარ“, შ. აფხაიძე);

**ნარგიზფერი:** აყვავებულ ვენახს ჰგავდა, / თითქოს დილა ნარგიზფერი“ („ბერმოულა“, გ. ლეონიძე);

**ღამისფერი:** „ნუ შეგაშინებს ღამისფერი ჩვენი შრიალი“ („ინტერვიუ პირველი“, ვალ. გაფრინდაშვილი);

**დაისისფერი:** „ის დაისისფერი სილა“ (თბომავალი „საქართველო“, კ. იაშვილი);

**ბინდფერი:** „მზე ენატრება ჩემ ბინდფერ თვალებს“ („ღამეში“, ვალ. გაფრინდაშვილი).

ფერთა სიტყვების აღსანიშნავად ზოგჯერ მცენარეთა სახელწოდებებია გამოყენებული:

**ხორბლისფერი:** „...და ხორბლისფერი, ძვირფასი ხელი“ („აზნაურ ასულს“, გ. ლეონიძე);

**კომშისფერი:** „იდუმალ ვუსმენ კომშისფერ სიონს“ („მე შენს სიყვარულს ზღვად ავადიდებ...“ გ. ლეონიძე);

**ატმისფერი:** „ჩემი ბავშვობა, ატმისფერი, უფსკრულს ჩაბარდა“ („ბავშვობა და ნისლეები“, ვალ. გაფრინდაშვილი);

**ვარდისფერი:** „...როგორც მირაჟი ვარდისფერი იწვის, ზმანდება“ („მე და ოფელია“, ვალ. გაფრინდაშვილი);

**მარწყვისფერი:** „მარწყვისფერად, შინდისფერად / იღებება გარიჟრაჟი“ („ქართლის ბაღი“, გ. ლეონიძე; სტილი დაცულია).

ფრინველებთან დაკავშირებული:

**მტრედისფერი:** „ახლა სარკეა მტრედისფერი, სხვა არამხარა“ („სურნელი სარკე“, ვალ. გაფრინდაშვილი);

**ხოხბისფერი:** „ხოხბისფერი, ვარდისფერი / ეფინება კრთომით ციაგს“ („კახური განთიადები“, გ. ლეონიძე).

გვხვდება აგრეთვე:

**სიკვდილის ფერი:** „მაღე სიკვდილის ფერს შეცვლის ისევ / სიცოცხლის ფერი“ („დეკემბრის დღე“, შ. აფხაიძე);

**სიცოცხლის ფერი:** „სიცოცხლის ფერებს, ქვეყნის შენებას – / მარადისობა რომ დაიმკვიდრეს“ („ლექსებს რომ ვწერდი“, შ. აფხაიძე);

**„სიყმაწვილის ფერი“:** „სიყმაწვილის ფერი ედო / ყველაფერს და ყოველივეს“ („თუ წავიდა გაზაფხული“, გ. ლეონიძე);

**უკვდავი ფერი:** „მე მავსებს ძალა შენს უკვდავ ფერთა“ (უსათაურო „მოვსულვარ... ვდგავარ“, შ. აფხაიძე);

**ჯადოსნური ფერი:** „ზოგში ციმციმი ჯადოსნურ ფერთა / და სიყვარულის ფარული ფეთქვა“ („შენ, ჩვენო წიგნო სუულ სალოცავო!“ შ. აფხაიძე);

**იდუმალი ფერი:** „რამდენი წელი, დღე რაოდენი / ვიყავ მძებნელი იდუმალ ფერის...“ („ისეთი ლექსი“, ვალ. გაფრინდაშვილი);

**ციური ფერი:** „...და ციურ ფერს მისცემს იას“ (უსათაურო „გაზაფხული – ჩემი მწვანე თანამგზავრი“, შ. აფხაიძე);

**ხასხასა ფერი:** „...მაგრამ სულ სხვაა თბილისის ვარდი, / მისი ხასხასა ფერთა ნავარდი“  
(„რა ლამაზია“, შ. აფხაიძე);

**ნარნარი ფერი:** „დახატავს მიწას, ნარნარ ფერების / მესაიდუმელ და ჯადოქარი“  
(„თუმცა მოვხუცდი“, შ. აფხაიძე);

**„ასპადის ფერი“:** „ასპადის ფერი თუჯის გიგანტები“ („ქალაქი ფენომენი“, გრ.  
რობაქიძე);

**სისხლური ფერი:** „ფერი შინდური, / სისხლური ფერი“ („დროშა“, გ. ლეონიძე);

**სოსანის ფერი:** „...როს გამომყვეს ჭრელ ნაპირზე, / სოსანის ფერს საბურს სწურავს“  
(„თეთრი ალი“, ს. შანშიაშვილი).

## დასკვნა

სადისერტაციო ნაშრომში „ფერის აღმნიშვნელი ლექსიკა-ფრაზეოლოგიის ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი (ქართული სიმბოლიზმის ფერები)“ – წარმოვადგინეთ ამ საკითხის პრობლემატიკა, მნიშვნელობა და თეორიული საფუძვლები, რათა ახალი აქცენტებით შეგვესო ფერთა სიმბოლიკის კვლევა.

ეთნოსოციოკულტურულ კონტექსტში ენას იკვლევს ორი მეცნიერული მიმართულება: ეთნოფსიქოლინგვისტიკა და ლინგვოკულტუროლოგია. თუმცა, ენა იმდენად მრავალწახნაგოვანი მოვლენაა, რომ მისი კვლევა ამოუწურავია. თავის მხრივ, ენათა ლექსიკური შემადგენლობის კვლევის სირთულეს სიტყვათა სიმრავლე და მრავალფეროვნება განაპირობებს.

ფერი განიხილება ფორმალური, სემანტიკური, ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური, სიმბოლური და ა.შ. თვალსაზრისით. ფერთა სიმბოლიკის კვლევა საინტერესო მასალას იძლევა ენობრივი და კულტუროლოგიური მიმართულებით. ამ სიტყვების კომპლექსური შესწავლა საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ ლექსიკის განვითარების გზებს, მათ მხატვრული-მეტაფორულ მნიშვნელობას, როგორც ფსიქოლოგიურ-საზოგადოებრივ ფენომენს, განვსაზღვროთ სიტყვის, ფორმისა და შინაარსის ფსიქოლოგიური და სოციალური კონტექსტი. შეიძლება ითქვას, რომ ფერთა ლექსიკის ველი თავისი კომპონენტებით ამა თუ იმ ენის ისტორიულ განვითარებას გამოხატავს.

ნაშრომში ლინგვოკულტუროლოგიური პოზიციებიდან განვიხილეთ ისეთი სემანტიკური კომპონონტი, როგორცაა ფერის აღმნიშვნელი ლექსიკა პოეტურ ენაში, მათ შორის, „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული წრის შემოქმედებაში. ქართველ სიმბოლისტთა შემოქმედებაზე დაკვირვებით, შევეცადეთ აგვეხსნა ფერთა სიტყვების მნიშვნელობები კონკრეტული ლექსების მიხედვით, ამისათვის იძულებული ვიყავით მიგვემართა ლექსებიდან ნაწყვეტების ხშირ ციტირებას, რათა უფრო კონკრეტულად წარმოგვეჩინა ფერის ფუნქცია და მნიშვნელობა მხატვრულ ტექსტში. საკვალიფიკაციო ნაშრომის პირველივე თავში მოგვიხდა მცირე ექსკურსის გაკეთება ფერთა თეორიისა და სიმბოლოს არსის შესახებ. გარდა ამისა, განვიხილეთ ძირითადი ფერების სიმბოლური და

ფსიქოლოგიური ასპექტები; დავაჯგუფეთ ქრომატული და აქრომატული ფერები, რომლებსაც გარკვეული შინაარსობრივი დატვირთვა აქვთ; განვსაზღვრეთ სემიოტიკური მიმართებები; მიმოვიხილეთ სიტყვაწარმოების საკითხი, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ლექსიკური ერთეულების შესაქმნელად.

ნაშრომში ფერის ფენომენის შესახებ მსჯელობისას გავითვალისწინეთ მხატვრული ლიტერატურის სპეციფიკა, როგორც ესთეტიკური აღქმის ობიექტი. ფერის, როგორც მხატვრული ელემენტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტის შესწავლისას, კონკრეტული ნაწარმოების მხატვრულ თავისებურებათა საერთო დონის გარდა, გავითვალისწინეთ საერთო ლიტერატურული ტრადიციები აღნიშნულთან მიმართებით და პირიქით.

ადრეულ ეტაპზე თუ მხოლოდ ორი სიტყვა – შავი და თეთრი არსებობდა, ფერების აღმნიშვნელი სიტყვები შედარებით გვიან, მწერლობის არსებობის ეტაპზე გამოჩნდა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ფერთა ამსახველი სიტყვების რაოდენობა შეზღუდულია/ნაკლებია იმ ფერებთან შედარებით, რომლებსაც ადამიანი აღიქვამს. ლექსიკონების მიხედვით, ფერის აღმნიშვნელ სიტყვათა და გამონათქვამთა რაოდენობა ენაში 150-ს არ აღემატება, მაგრამ ფერების ამსახველი სიტყვები ზუსტად არ არის განსაზღვრული, რადგან იგი ცვალებადია.

განსხვავებენ ცივ (იისფერი, ლურჯი, მწვანე) და თბილ (წითელი, ყვითელი, ნარინჯისფერი, ყავისფერი) ფერებს. ასევე, გამოყოფენ ფერმკრთალ და ნეიტრალურ ფერებს. ფერმკრთალი ფერები ნაკლები ინტენსივობის ფერებია (თეთრთან შერეული). ხოლო ნეიტრალური ფერებს მცირე ან საერთოდ არ აქვთ განათება (თეთრი, ჩალისფერი (კრემისფერი), ყავისფერი, მონაცისფრო). გვხვდება აგრეთვე: მრავალფერი, სხუაფერი, თითოფერი, ფეროვანი, უფერული.

ფერები აღქმის, ინტერპრეტაციის შედეგად რეალიზდებიან და გარკვეული ნიშნები ახასიათებთ. მხატვრულ ტექსტში ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკის ანალიზისას მნიშვნელოვანია მისი სხვადასხვა ელემენტთა დეკოდირება. დეკოდირების თანმიმდევრობა და ამ სისტემაში არსებული ფერთა აღმნიშვნელი ერთეულების შინაარსის განვითარების პროცესის ანალიზი კი მნიშვნელოვან ხასიათს იძენს ლინგვისტიკის თვალსაზრისით.

ცნობილია, რომ ფერთა სახელების გამოყენებას მხატვრულ ნაწარმოებში აქვს აზრობრივი, აღწერითი და ემოციური ფუნქცია. ფერს გააჩნია, როგორც მხატვრულ-ესთეტიკური, ისე სიმბოლური მნიშვნელობა. თავის მხრივ, ფერთა სიმბოლიზაციის პროცესი წინააღმდეგობრივი პროცესია. განასხვავებენ სამი ტიპის ფერის სიმბოლოს: ფერი თავისთავად, ფერის კომბინაცია, რომელიც ორ ან მეტ ფერს შეიცავს და ფერადი ფორმების სიმბოლო. ფერთა ერთგვაროვანი სიმბოლიკა ოპოზიციათა პრინციპზე აგებულ ენას ქმნის და მისი ინტერპრეტაცია მათ გაგებას უახლოვდება, ეს კი კოდის ცოდნაზეა დამყარებული.

ფერთან მიმართებით დადებითი თუ უარყოფითი დამოკიდებულება, თავის მხრივ, ესთეტიკური კონცეფციის კანონზომიერებებს ითვალისწინებს. შეიძლება ითქვას, რომ თითოეულ სიმბოლოს ასოციაციური მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ, რაც ხაზავს მის სემანტიკურ ველს. **მხატვრულ ტექსტებში ფერი ესთეტიკური კატეგორიაა, რომელსაც მწერლები საინტერესო სიმბოლურ დატვირთვას აკისრებენ.** ქართული პოეზია გამორჩეულია ფერთა სიმბოლიკით, სადაც, თეთრი, წითელი და შავი ფერები დომინირებენ.

ფერის მნიშვნელობა რაიმე საგნის ან მოვლენის უმთავრეს თვისებას გამოხატავს და თავის თავში საპირისპირო თვისებების მქონე მოვლენებსაც აერთიანებს. ფერთა სიტყვები ასახავს ავტორის ემოციებს, მის მდგომარეობას, გვეხმარება ფარული აზრების აღმოჩენაში. ფერის სიმბოლური შინაარსის ახსნამ სხვა ფერებთან კავშირში, მასთან დაკავშირებულ ასოციაციებზე დაკვირვებამ, ფერის სიმბოლური მნიშვნელობის გასაგებად კონტექსტის გააზრებამ, რომელიმე კონკრეტული მიმართულების შესახებ შეიძლება მოგვაწოდოს გარკვეული სახის ინფორმაცია.

არაერთი მწერლის თუ პოეტის შემოქმედება სავსეა გამორჩეული ფერებით, რაც იწვევს განცდის გამმაფრებას, კოლორიტის შექმნას, ბუნების მრავალფეროვან აღწერას, გმირის სახის ხედვითობის გაუმჯობესებას და სხვ. ფერებს სიმბოლისტთა შემოქმედებაში განწყობილებათა გამოხატვის გარდა, სიმბოლური მინიშნებაც აქვს, რითაც ავტორის დამოკიდებულებაც მჟღავნდება. ეს არის ერთგვარი პოეტური განცდის გააშკარავებაც და ინტუიციური წვდომის პოეტური ხერხიც. ფერი საშუალებას იძლევა წარმოაჩინოს უჩვეულო და ამასთანავე, ბუნდოვანი პოეტური სახე.



პოეტური ფერთა აღქმა განსხვავებულია და ლიტერატურაში ფერი სიმბოლური მოსაზრებით სტიმულირდება; ყველა სახე-სიმბოლო მკითხველმა შეიძლება სხვანაირად გაიგოს და ყველა გაგება იყოს მართალი.

პოეტური მნიშვნელობის შეძენის საფუძველია შეგრძნება და აღქმა. ფერთა აღქმა ხდება კატეგორიების მიხედვით უკვე არსებული დასახელებების შესაბამისად; ფერთა სიტყვების პირველადი მნიშვნელობა ასოციაციებზეა დამოკიდებული (ვიზუალური აღქმის შედეგად დამახსოვრებული შეგრძნება), რაც ამყარებს პოლისემიას ფერთა ამსახველ სიტყვებში.

დამოკიდებულება ფერთა მიმართებაში დროთა განმავლობაში იცვლება. ფერთა ლექსიკის გამოყენების ხასიათი და სიმრავლე ავტორზეა დამოკიდებული. „ცისფერყანწელთა“ მხატვრულ სისტემაში ფერების მკვეთრი გამიჯვნა ძნელდება, თუმცა უპირატესობას ანიჭებენ თეთრ, შავ, ლურჯ/ცისფერ ფერებს და ამ ჯგუფში შემავალ სინონიმურ ერთეულებს. ოპოზიცია თეთრი და შავი ეს არის ნათელი და ბნელი, რომელიც სამყაროს უმთავრეს ფილოსოფიურ ფერებს წარმოადგენენ; დანარჩენი კი გარდამავალი, შუალედური ფერებია.

უნდა აღინიშნოს, რომ მხატვრულ ლიტერატურაში ზოგადად ფერთა სიმბოლური მნიშვნელობები სტაბილურ ხასიათს არ ატარებენ. ერთი და იგივე ფერი ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავ ახსნა-განმარტებას ექვემდებარება.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სიმბოლისტები უაღრესად საინტერესო მოვლენას წარმოადგენენ ფერთა ლექსიკის შესწავლის თვალსაზრისით. იმ თავისებურებათა შორის, რომლებიც განსაზღვრავენ პოეტთა ინდივიდუალობას, პოეზიაში ფერს, როგორც მეტაფორას, შედარებას, ეპითეტს, ალევორიული გამოსახვის საშუალებას თუ სიმბოლოს განსაკუთრებული დატვირთვა გააჩნია.

ავტორები მიმართავენ ან ფერთა სიჭრელეს ან მათ ნაწარმოებებში ფერები იშვიათად რეალიზდებიან. შესაბამისად, დადებითი ან უარყოფითია მათი დამოკიდებულება კონკრეტულ ფერთან მიმართებით, რომელიც მათ შემოქმედებაში აისახება. მაგალითად, წითელი სიყვარულთან ასოცირდება, მაგრამ ბოროტების ფერია პ. იაშვილის ლექსებში. იგივე ითქმის ყვითელ ფერზე. ან თუნდაც: თეთრი სისუფთავისა და სიწმინდის ფერია,

მაგრამ ვ. გაფრინდაშვილის ლექსებში ხშირად სიცივის, ზამთრის, სუსხის, მარტოობის ელფერი დაკრავს.

გამოყენებული მასალის ანალიზმა გვაჩვენა, რომ ფერიულ წარმოდგენებს, ჯგუფის სხვა წევრებთან შედარებით, გაცილებით მეტად იყენებს ვალერიან გაფრინდაშვილი, რომლის პოეზიაში თეთრი დომინანტური ფერია. მრავალჯერ აქვს გამოყენებული თეთრის აღმნიშვნელი ლექსიკა: ნათელი, სინათლე, გაფითრებული, გათეთრებული, ფერწასული, ფერმკრთალი, ბროლი... გარდა ამისა, ვალ. გაფრინდაშვილის პოეტურ ლინგვოსპექტრში განსაკუთრებით ხშირია სიტყვები, რომლებიც შავი ფერის სემანტიკურ ველში ერთიანდება: დაისი, ბნელი, ღამისფერი, ნისლი, თალხი, დაბინდული, წყვიადი, ღამე...

ქართველ სიმბოლისტებთან გვხვდება როგორც ქრომატული, ისე აქრომატული ფერები (თეთრი, შავი, რუხი, წითელი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი); აგრეთვე, ორ- და სამწევრა შეხამებანი. მაგალითად: დაისის ფერი, სიცოცხლის ფერი, იაგუნდის ფერი, სოსანის ფერი, ციური ფერი, ზღვის ტალღების ფერი, „შეთვალეზულ ყურძნის ფერი“, „გადამდნარი დილის ფერი“...

გარდა ამისა, „ცისფერყანწელთა“ ლექსებში გვხვდება ნაცვალსახელისგან ან რიცხვითი სახელისაგან შედგენილი ფერთა სიტყვები: შვიდფერი, პირველი ფერი, მრავალფერი, ნაირ ფერი, რაგინდარაფერი, რაფერი.

ბუნების სხვადასხვა მოვლენებთან დაკავშირებული: წვიმისფერი, თოვლისფერი.

სტიქიის მოვლენასთან დაკავშირებული: ცეცხლისფერი, ალისფერი.

ისეთი სპეციფიკური ფრაზეოლოგიური ერთეული, როგორცაა „მზის ფერი“ (ბუნების მოვლენასთან დაკავშირებული) მშვენიერების, საკუთრივ ნათელის კოლორისტულ შინაარსად აღიქმება. გვხვდება, აგრეთვე, მთვარისფერი.

წელიწადის დროსთან ან კონკრეტულ თვესთან დაკავშირებული: ზაფხულის ფერი, შემოდგომის ფერი, აპრილის ფერი, ვარვარა ფერი, ნოემბრის ფერი.

დღის მონაკვეთთან დაკავშირებული: „გადამდნარი დილის ფერი“, დღეების ფერი, ღამისფერი, დაისის ფერი, ბინდფერი.

ძვირფას ქვებთან დაკავშირებული: იაგუნდის ფერი, ოქროს ფერი, ლალისფერი, ვირუზისფერი, ვერცხლისფერი, მარგალიტისფერი.

ფერთა სიტყვების აღსანიშნავად ზოგჯერ მცენარეთა, ცხოველთა და ფრინველებთან დაკავშირებული სახელწოდებებია გამოყენებული: „ლომფერი“ (გალაკტიონ ტაბიძე), კომშისფერი, ატმისფერი, მარწყვისფერი, ვარდისფერი, ხორბლისფერი; მტრედისფერი, ხობისფერი.

გვხვდება აგრეთვე: სიკვდილის ფერი, სიცოცხლის ფერი, „სიყმაწვილის ფერი“, უკვდავი ფერი, ჯადოსნური ფერი, იდუმალი ფერი, ციური ფერი, ხასხასა ფერი, ნარნარი ფერი, ხავერდისფერი, აგასფერი, „ასპადის ფერი“, „ბაღთა ფერი“, სისხლური ფერი, შვინდისფერი, სოსანის ფერი, ზღვის ტალღების ფერი, „მკვდარი ზღვის ფერი“, „შეთვალეზულ ყურძნის ფერი“.

„ფერ-ი“ კომპონენტით ნაწარმოები ლექსიკა: წვიმისფერი, თოვლისფერი, ცეცხლისფერი, ალისფერი, მთვარისფერი, მზისფერი, ღამისფერი, მარჯნისფერი, კუპრისფერი, ხავერდისფერი, ზღვისფერი, მტრედისფერი, ალისფერი, ლალისფერი, ხობისფერი, ცრემლისფერი, სისხლისფერი, ქარვისფერი, სანთლისფერი, თაფლისფერი, ვერცხლისფერი, მარგალიტისფერი, ოქროსფერი, ფირუზისფერი, კომშისფერი, ატმისფერი, მარწყვისფერი, ხორბლისფერი, შინდისფერი, მიხაკისფერი, ვარდისფერი, იისფერი, ცისფერი, ნაცრისფერი, ჟანგისფერი, გოგირდისფერი, ხავსისფერი, ლაჟვარდისფერი.

ფერის ტერმინები ენაში ბაზისურ (მარტივი მორფოლოგიური სტრუქტურის) და არაბაზისურ (მეორადი, აღწერითი, მორფოლოგიურად არამარტივი) ტერმინებად იყოფა.

მორფოლოგიური სტრუქტურის თვალსაზრისით „ცისფერყანწელთა“ ფერთა აღმნიშვნელ ლექსიკაში გამოიყენება:

- მარტივფუძიანი (თეთრი, ლურჯი), წარმოქმნილფუძიანი (თეთრტაიჭოსანი, თეთრქილებიანი, ლაჟვარდოვანი), რთული (შავ-თეთრი, მოცისფრო-ლურჯი) სიტყვები და ორკომპონენტიანი სინტაგმები (თოვლისფერი, მუქი ლურჯი).

- სიტყვაწარმოების სახით ხშირად გვხვდება ფერთა აღმნიშვნელი სიტყვები, ზმნური ფორმები, ზმნისართები (მონაცისფრო, მოყვითალო, სიწითლე, გადააშავებს, მიხაკისფრად, ვთეთრდები, ჩაყვითლებული...). გვხვდება ნაცვალსახელისგან ან რიცხვითი სახელისაგან

შედგენილი ფერთა სიტყვები: შვიდფერი, პირველიფერი, მრავალფერი, ნაირფერი, რაგინდარაფერი, რაფერი.

- ზედსართავები და ამავე ფუძის -ა სუფიქსიანი ფორმები (ლალისფერი//ლალისფერა...); გვაქვს ფერის აღმნიშვნელ სახელთა ხარისხის ფორმები, რომელსაც საგანთა გარკვეული ნიშნისა თუ თვისების ურთიერთდაპირისპირების, ურთიერთმიმართებისა და შედარების საფუძველზე ვიღებთ. მო- -ო თავსართ-ბოლოსართით იწარმოება ფერთა სიტყვები, რომლებიც იმავე თვისებას უფრო ნაკლები ხარისხით გამოხატავენ: მო-წითალ-ო (ოდნავ „წითელი“), მო-შავ-ო, მო-თეთრ-ო... მეორე მხრივ, იგივე ნიშან-თვისება მეტი ხარისხით არის გამოხატული: უ-თეთრ-ეს-ი, უ-შავ-ეს-ი...

- კომპოზიციური და სუფიქსიანი ფორმების შემცველი აბსოლუტური სინონიმები (ვერცხლისფერი//ვერცხლოვანი, ზურმუხტისფერი//ზურმუხტოვანი, ალისფერი//ალური...);

- კომპოზიტები „ფერ-ი“ კომპონენტით ნაწარმოები ლექსიკა: (წვიმისფერი, თოვლისფერი, ცეცხლისფერი...) და „ფერის“ გარეშე გამოყენებული ფორმები (ნარინჯი//ნარინჯისფერი, ძოწი//ძოწისფერი...).

- ბგერითი ფორმა გავლენას ახდენს მნიშვნელობაზე. ერთი აღმნიშვნელით („ლურჯი“) აღნიშნული ერთი და იგივე მნიშვნელობა („სილურჯე“), სხვადასხვაგვარად წარმოგვიდგება („დალურჯული“).

- სიტყვაწარმოებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ენის ლექსიკური სისტემის ფორმირებაში და მკაცრად შეზღუდულია სემანტიკით. „ცისფერყანწელთა“ ლექსებში გვხვდება ფერთა აღმნიშვნელი სიტყვებისგან ნაწარმოები ახალი სიტყვები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ სიტყვის მნიშვნელობაზეც.

ამდენად, ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკის შესწავლამ ზოგადლინგვისტური და ენის სტილისტიკური თავისებურების შესასწავლად მრავალი საინტერესო საკითხი გამოავლინა.

უნდა აღინიშნოს, რომ იმ საქმიანობების განვითარებამ, რომლებშიც ფერის ფაქტორმა მოახდინა გავლენა, მათ შორის, ფერწერაში, პოეზიასა და მეტაფორულ კონტექსტში ახალი მნიშვნელობების გამოყენებამ ფერთა სემანტიკური ველი კიდევ უფრო გააფართოვა.

ფერთა ამსახველი ლექსიკა პირველადი, ტავტოლოგიური და ფსიქოლოგიური მნიშვნელობის გარდა გვხვდება სიმბოლური მნიშვნელობით. ფერები კონტექსტის შესაბამისად იწვევენ დადებით ან უარყოფით ემოციებს, რაც ნაწარმოების მსვლელობასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური ელემენტის დახასიათებას გულისხმობს.

სხვადასხვა ფერის აღმნიშვნელი სიტყვა ზოგჯერ ერთმანეთს ჰგავს, ზოგჯერ კი განსხვავებულია – ხასიათდება სინონიმური ნიჭით ან შეიცავს ისეთ ნიუანსს, რომელიც დღეს ფერის გაგება დაკარგული აქვს.

ფერთა სიტყვები ლექსიკური მარაგის გამდიდრების წყაროს წარმოადგენს, მათი სიუხვე კი ენის ლექსიკური შედგენილობის მრავალფეროვნებას განაპირობებს.

ფერთა სიტყვების შინაგანი ფორმა ლექსიკურ-სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობით შეიძლება განვსაზღვროთ, რასაც დამატებითი ინფორმაცია თვით კონტექსტში ემატება; **სიტყვების ანალიზი კი საჭიროა როგორც იზოლირებულად, აგრეთვე კონტექსტში.**

თითოეული ფერით შესაბამისი მოვლენა ან თვისება გამოიხატება (მწუხარება, ავადმყოფობა, ცბიერება, სიხარული, სილამაზე, გულისტკივილი, მუქარა, თხოვნა, დალოცვა, გაბრაზება, შიში...). ფერთა სიტყვები გამოიყენება, აგრეთვე, მცენარეთა და ცხოველთა სახელწოდებების, ადამიანის სახის, თმის, თვალის ფერის აღსანიშნავად. ამავე ლექსიკით შეიძლება აღიწეროს სტიქიის, ბუნების სხვადასხვა მოვლენები.

ფერი ე.წ. ნიშნის თვისებებს ამჟღავნებს, რაც ფერთა სიმბოლიკის საფუძველს წარმოადგენს. იგი საშუალებას იძლევა, ობიექტური მასალა გადმოიცეს საკუთარი სუბიექტური, გრძნობადი სახით. ლიტერატურაში ფერი სწორედ სიმბოლური მოსაზრებით სტიმულირდება.

ნებისმიერი ენის ფერთა სიტყვებში აისახება სხვადასხვა ხალხის მსოფლმხედველობა. ფერთა აღმნიშვნელი სახელებისა და მათი მნიშვნელობის მაგალითზე ვლინდება ენის ცვლილების პროცესები.

ფერის მნიშვნელობა განსხვავდებოდა და განსხვავდება ეპოქის შესაბამისად და იგი არასდროს ყოფილა ერთმნიშვნელოვანი. სხვადასხვა კულტურისათვის ფერებს თავიანთი ასოციაციური, ესთეტიკური, ინტელექტუალურ-შემეცნებითი, კულტურულ-ემოციური დატვირთვა გააჩნია. მისი კონცეპტუალიზაცია, აღქმა, გაცნობიერება თუ ასოციაცია

ესთეტიკასა და ლიტერატურაში კულტურის შესაბამისად განსხვავდება. სწორედ კულტურული განსხვავებულობების გამო აქვთ ფერთა სიტყვებს სხვადასხვა სიმბოლური დატვირთვა.

ფერთა სიმბოლიკის პრინციპები უკავშირდება პირდაპირ შესაბამისობას, შემთხვევებზე დამოკიდებულებას და ასოციაციებს, რომელიც ყოველდღიურ გამოცდილებას ეფუძნება და თანდათან მყარდება ადამიანის არაცნობიერში.

ფერის სემანტიკის გაგებასთან დაკავშირებით ცნობილია ასოციაციების „თეორია“. მაგ., თეთრი – დღე, სინათლე, ზამთარი, სიცივე, სისუფთავე; შავი – სიბნელე, შიში, ბუნდოვანება, მწუხარება, სიკვდილი; წითელი – ცეცხლი, სიყვარული, სისხლი; ყვითელი – მზე, სიცოცხლე; მწვანე – გაზაფხული, განახლება, იმედი; ლურჯი – ცა, სიწმინდე.

ადამიანები ფერებს განსხვავებულად აღიქვამენ, ხელოვნების გარკვეული დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, სუბიექტი მისეულ ინტერპრეტაციას ანიჭებს ამ დამოკიდებულებას და ახალი სიმბოლური შინაარსებით ამდიდრებს. საბოლოოდ, ამ პროცესის დასკვნის სახით ჩამოყალიბება თავად სუბიექტში ხდება.

ფერის როლი განსაკუთრებით დიდია მრეწველობაში, ხელოვნებასა და ინფორმაციის გადაცემის თანამედროვე ტექნოლოგიებში. მაგ., კოლექტიურ საქმიანობაში ფერები, როგორც სიმბოლოები, გამოიყენება ყველანაირი ნიშნებით, თუნდაც მილსადენების აღსაწერად სხვადასხვა ნივთიერებებით ან ტემპერატურით, საინფორმაციო ბარათებით, ბანკნოტებით, სპეცტანსაცმლითა და ა.შ. ამა თუ იმ ფერის სიგნალის განათება სატრანსპორტო მაგისტრალაზე ნებადართულია ან კრძალავს მოძრაობას, აფრთხილებს, ყურადღებას მოითხოვს.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ფერის სიმბოლიზმი იმდენად ცვალებადი და მრავალწახნაგოვანია, რომ დროთა განმავლობაში მისი ფუნქცია მრავალფეროვანი გახდა. აქედან გამომდინარე მისი არსის ამომწურავად შესწავლა შეუძლებელია. პოეზიაში იგი იმდენად მრავლისმომცველ საკითხებს ეხება, რომ მისი გააზრება ზოგჯერ განსხვავებულია.

მიუხედავად იმისა, რომ ფერების სიმბოლოების შინაარსი მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის, ინტერპრეტაციული კუთხით, ფერთა სიმბოლიკის ძირითადი ბირთვი მაინც უცვლელი რჩება.

ამდენად, ჩვენ მიერ დასმული პრობლემატიკის განხილვა ლინგვოკულტუროლოგიურ კონტექსტში ეხმიანება ბოლო პერიოდის ტენდენციებს, რომლებშიც საკმაოდ ნათლად იკვეთება აუცილებლობა, ენობრივი ფენომენის კვლევა განხორციელდეს ინტერდისციპლინარული ურთიერთქმედების ფონზე.

## ლიტერატურა

1. აბზიანიძე ზ. ელაშვილი ქ. სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია, ტ. II, თბ., „ბაკმი“, 2007.
2. ავალიანი ლ. გიჟი დროის ქართული მწერლობა, თბ., 2005.
3. ავალიანი ლ. პაოლო იაშვილი, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1977.
4. ავალიანი ლ. პაოლო იაშვილი, მონოგრაფია, ესეები, თბ., 2017.
5. აფხაიძე შ. ადამიანები და წიგნები, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1964.
6. აფხაიძე შ. მცხეთის ლაჟვარდები, „საბჭოთა საქართველო“, 1967.
7. ახვლედიანი გ. ენათმეცნიერების შესავლის საკითხები [გ. ახვლედიანის რედაქციით], თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1972.
8. ბარბაქაძე ც. პოეზიის სემიოტიკა, თბ., „უნივერსალი“, 2009.
9. ბარბაქაძე ც. ფერის მხატვრული ფუნქცია „ვეფხისტყაოსანში“ (დისერტაცია), თბ., 1983.
10. ბაჯელაძე ც. სემიოტიკური ნიშნების შედარებითი ანალიზი ქართული და ბრიტანული ბექდვითი მედიის მაგალითზე (დისერტაცია), თბ., 2012.
11. ბენაშვილი ბ. ვალერიან გაფრინდაშვილის ცხოვრება და შემოქმედება (დისერტაცია), თბ., 1973.
12. ბრეგაძე კ. ლურჯი ფერის სახისმეტყველება, წიგნში: ლიტერატურული და ენის ფილოსოფიური ნარკვევები (ნოვალისი, ი. ვ. გოეთე, ვ. ფონ ჰუმბოლდტი...), თბ., „მერიდიანი“, 2009.
13. ბულაძე გ. რამდენიმე მოსაზრება გოეთეს „ფერთა თეორიის“ პრაქტიკული გამოყენებისათვის მხატვრობაში, წიგნში: ფიქრები წარმავალზე, თბ., „კალთა“, 1994.
14. გადილია ა. ქართველი სიმბოლისტები, თბ., „უნივერსალი“, 2006.
15. გამსახურდია ზ. ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება, 1991.
16. გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელაია ნ. თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2008.
17. გაფრინდაშვილი ვ. დასეხი, ქუთაისი, 1919.



18. გაფრინდაშვილი ვ. ლექსები 1915-1945, თბ., „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1964.
19. გაფრინდაშვილი ვ., ლექსები, პოემა, თარგმანები, ესეები, წერილები მწერლის არქივიდან, „მერანი“, თბ., 1990.
20. გითოლენდია თ., პოლისემია და ომონიმია ქართულში აფხაზური პარალელებითურთ, თბ., 2014.
21. გოგებაშვილი ც. ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკის სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი სვანურ ენაში (დისერტაცია), თბ., 1999.
22. დათაშვილი ლ., ჯალიაშვილი მ. წერილები მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე. თბ., „მერიდიანი“, 2014.
23. დარჩია ი. ფერის ფენომენი ბერძნულ ტრაგედიაში, თბ., 2005.
24. დოიაშვილი თ. გუმინ, დღეს, ხვალ, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1989.
25. ელაშვილი ე. ესეისტური სახისმეტყველება, თბ., „სვეტი+“, 2014.G
26. ენუქიძე ქ. (A) „ელენე დარიანის დღიურები“ \_ ავტორი და ლირიკული გრმირი, თბ., 2006.
27. ზაქარიაძე ა. მხატვრული სიმბოლოს ბუნებისათვის, თბ., „ლეგა“, 2009.
28. იაშვილი პ. საიუბილეო-საარქივო გამოცემა ორ წიგნად (1982-1937), წიგნი მეორე, პოეზია, პროზა, კრიტიკული წერილები, პირადი მიმოწერა, თბ., „სეზანი“, 2004.
29. იაშვილი პ. საიუბილეო-საარქივო გამოცემა ორ წიგნად, წიგნი პირველი, პოეზია, პროზა, კრიტიკული წერილები, პირადი მიმოწერა, თბ., „სეზანი“, 2004.
30. იმნაიშვილი ივ. სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1956.
31. კანდინსკი ვ. სულიერების შესახებ ხელოვნებაში [თარგმანი ლევან ღამბაშიძის], თბ., 2013.
32. კარმელი შ. ლექსები, თბ., „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1970.
33. ლაფაური, ც. ქართველ სიმბოლისტთა მინიატურული პროზა (დისერტაცია), თელავი, 2017.
34. ლოტმანი ი. მოაზროვნე სამყაროთა შიგნით [მთარგმნ. ანა მაცაშვილი, რედ. გია ჯოხაძე], ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2012.

35. მანასიანი გ. ფერის აღმნიშვნელი სიტყვების კოგნიტური ანალიზი (დისერტაცია), თბ., 2012.
36. მირიანაშვილი ნ. ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკა ქართულსა და რუსულ ენებში (თარგმნითი ლექსიკონების მიხედვით), თბ., 1986.
37. მიწიშვილი ნ. რჩეული, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1971.
38. მიწიშვილი ნ., შანშიაშვილი ს. ქართული პოეზია, თბ., „საოჯახო ბიბლიოთეკა“, 2010.
39. ნადირაძე კ. 100 ლექსი [შემდგენელი ნ. ჩხიკვიშვილი], თბ., „ინტელექტი“, 2020.
40. ნიკოლაძე ქ. ოკაზიონალიზმები ზოგადლინგვისტური თვალსაზრისით და მათი თარგმნის პრობლემა (დისერტაცია), თბ., 2014.
41. ნიკოლეიშვილი ა. XX საუკუნის ქართული მწერლობა, ქუთაისი, 2002.
42. ნოზაძე ვ. „ვეფხისტყაოსნის ფერთმეტყველება“, ბუენოს-აირესი, 1954.
43. ნუცუბიძე თ. წერილები ლიტერატურისა და კულტურის შესახებ, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2010.
44. ორკოდაშვილი თ. სიმბოლო როგორც ესთეტიკური ფენომენი (დისერტაცია), თბ., 2006.
45. პაიჭაძე თ. მოდერნიზმი და ქართული ლიტერატურა, თბ., 2018.
46. რობაქიძე გრ. ჩემთვის სიმართლე ყველაფერია, შპს. „ჯეკ-სერვისი“, თბ., 1996.
47. სიგუა ს. ქართული მოდერნიზმი, თბ., 2002.
48. სირაძე რ. სახისმეტყველება, თბ., 1982.
49. სოსელია ე. „სემანტიკური უნივერსალები და ქართველური ენები: ფერთა კატეგორიზაციის მოდელები“, თბ., „ნეკერი“, 2009.
50. სოსიური ფ. ზოგადი ენათმეცნიერების კურსი [ც. ბიბილეიშვილის თარგმანი], თბ., „დიოგენე“, 2002.
51. სტურუა ლ. ფერის მხატვრული ფუნქცია გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში (დისერტაცია), თბ., 1974.
52. ტაბიძე ტ. ქართული სიტყვიერება (პროგრამის ხელმძღვანელი: ზაზა ანზიანიძე), „საოჯახო ბიბლიოთეკა“, თბ., 2011.

53. ტუსკაია მ. სახელთა აფიქსური წარმოება ახალ სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2004.
54. ფოჩხუა ბ. ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1974.
55. ქართული ენა და სამყარო, [გორდელაძე ნ. შემდგენელი], „თანამედროვეობა და მემკვიდრეობა“, თბ., 2006.
56. შავლობაშვილი თ., ფერთა სიმბოლიკა და მისი გამოხატვის ენობრივ-კულტურული თავისებურებები ინგლისურ ფრაზეოლოგიაში, გორი, 2020.
57. ჩიქობავა არნ. ზოგადი ენათმეცნიერება, ტ. II, თსუ., 1983.
58. ჩიქოვანი ნ. ფერთა ლექსიკისათვის ძველ ქართულში, თბ., 1992.
59. ჩოლოყაშვილი რ. უძველეს რწმენა-წარმოდგენათა კვალი ხალხურ ზღაპრულ ეპოსში, თბ., 2004.
60. ჩხეიძე მ. სინაზის ველი ინგლისურ ენაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1989.
61. ცეცხლაძე ნ., სახუტაიშვილი მ, სტილისტიკა, „ივერიონი“, თბ., 2014.
62. ძაძამია ც. ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკის სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი მეგრულში (დისერტაცია), თბ., 2006.
63. წიფურია ბ. ცისფერყანწელები, ილიას სახელმწ. უნ-ტის გამ-ბა, თბ., 2018.
64. წმინდა გრიგოლ ნოსელი, საღვთისმეტყველო კრებული, 1988.
65. ხალხური სიბრძნე, V, 1965.
66. ხინთიბიძე აკ. გალაკტიონი თუ ცისფერყანწელები, თბ., „გულანი“, 1992.
67. ჯავახიშვილი გ. ელენე დარიანის ლეგენდა და სინამდვილე, თბ., 2001.
68. ჯალიაშვილი მ. შეხვედრა წიგნში / ლიტერატურული წერილები, კლასიკური და თანამედროვე მწერლობა, ტენდენციები, თბ., 2009.
69. ჯორბენაძე ბ. ენა და კულტურა, თბ., 1997.
70. C.P. Biggam, The Semantics of Colour, University of Glasgow, pp. 1-8. 2012.

71. Li-Chen Ou, 2016: Handbook of Color Psychology, Color emotion and color harmony, from Part V – Color symbolism and association, Edited by Andrew J. Elliot, University of Rochester, New York, 2016, pp. 401-418.
72. აპრესიანი 1963: Ю. Современные методы изучения и некоторые Проблемы структурной лингвистики; Проблемы структурной лингвистики, Москва, 1963.
73. ბელი 1909: Белый А. Арабески, СанктПетербург, 1909.
74. ბერლინი&კეი 1969: Berlin B. and Key P. Basic color terms: Their universality and evolution. University of California Press, Berkeley and Los Angeles, 1969, 40-171.
75. ბურკი 2014: Burke E., A Philosophical Enquiry the Origin of our Ideas of the Sublime and Beautiful, XXV – Of Colour, pp. 308-310. 2014.
76. გოეთე 1957: Гете, Избранные сочинения по естествознанию, 1957 г., учение о цвете, стр. 311-312.
77. გუმერე 2012: CF. Gummere, The Use of Black and White in Germanic Tradition, Haveford College Studies, I, 2012.
78. ვიერზიკა 1980: Wierzbicka A. Lingua mentalis. Sydney, New York, 1980.
79. ვიერზიკა 1992: Wierzbicka A. Semantics, Culture and Cognition: Universal Concepts in Culture-Specific Configuration, New York, 1992.
80. თელია 1996: Телия В.Н. Русская фразеология. Семантический; прогматический и лингвокультурологический аспекты. М.: Школа: Языки русской культуры. 1996.
81. იაკობსონი 1942: Jakobson R. Kindersprache, Aphasie und allgemeine Lautgesetze, Uppsala Universitets arsskrift, 1942.
82. იაკობსონი... 1948: Jakobson E., Granville W. Forss C. Collor Harmony Natural, Container Corporation of America, Chicago, 1948.
83. კანდინსკი 2008: Кандинский В. Б О духовном В искусстве, 2008.
84. კანდინსკი 1946: Kandinsky W. On the spiritual in art, 1946.
85. კეი&მკდენიელი 1978: Key, P. and McDaniel, Ch. K. “The Linguistic Significance of the Meanings of Basic Colour Terms“, Langiage, 54/3, 1978.

86. კერნელი 2016: Kernell D. Colours and Colour Vision, Published online by Cambridge University Press: 2016.
87. ლოტმანი 2004: Лотман Ю. М. Семиосфера, С- Петербург, 2004.
88. ლუბი 2012: Lucy J. A. Approaches in Comparative Psycholinguistics: experimenetal studies on the lexical coding of color, Book: Language Diversity and Thought. University of Chicago, Pp.127-187, 2012.
89. ლუშერი 1985: Люшер М. Психология цвета, М., 1985.
90. მაქსველი 2011: Maxwell J. C. Book: The Scientific Papers of James Clerk Maxwell, XLVII – On Colour Vision, Edited by W. D. Niven, pp. 267-279, 2011.
91. მედი 2020: William E. Mead, Color in Old English Poetry, Cambridge University press, PMLA, №14, pp.169-206, 2020.
92. მეტცლერი 2008: Metzler Lexikon literarischer Symbole, hrsg. Von G. Butzer, Metzler Verlag. 2008.
93. ნიკოლაევა 2019: Nikolaeva I Lexical Represontation and Lexical Relatedness, Book: Mixed categories, 2019. pp.171-203.
94. ოპარინა 1999: Опарина Е. О. Лингвокультурология: Методологические основания и базовые понятия // Язык и культура: Сб. обзоров. М., 1999.
95. პასკალი... Aiken K. D., and Pascal V., J, Seeng red, feeling red: how a change in field color influences perceptions, Int. J. Sport Soc. 3, 107-120, 2013.
96. პირსი 1960: Peirce C., S. “Collected Papers of Charles Sanders Peirce”. Vol II: Elements of Logic. Edited by C. Hartshorne & P. Weiss. Cambridge, Mass.: Harvard University Press. 1960.
97. პირსი 2001: Пирс Ч. С. Принципы философии. Том I, СанктПетербург, 2001.
98. სეროვი 2015: Серов Н. В., Символика цвета, „Страта“, 2015.
99. სოლოგუბი 2002: Сологуб Ф. К. О символизме // Сологуб Ф.К. Собр. Соч. в 6 т. т. 6 М., 2002. 401-402.
100. სტრუტი 2009: Strutt : J. W. Book: Scientific Papers, 77 – Experiments on Colour, pp. 542-550, 2009.
101. ტეილორი 2017: Taylor J. R. Lexical Semnatics, 2017.

102. ფერბერი 2014: Ferber M. A Dictionary of Symbols, Color (p.49), University of New Hampshire, 2014.
103. ფლაიშერი... 1995: Fleischer W. Barz I. Wortbildung der deutschen Gegenwartssprache. Tübingen: Max Niemeyer Verlag, 1995.
104. ფრუმკინა 1984: Фрумкина Р. М. Цвет, смысл, сходство: аспекты психолингвистического анализа, М., 1984.
105. შეველი 2003: Shevell S., The Science of Color, 2003.
106. შიფანი 2002: Schippan Th., Lexikologie der deutschen Gegenwartssprache. Tübingen, 2002.
107. ჰელერი&მაკრისი 1967: Heller L., Macris G. Parametric linguistic. The Hague, Paris, 1967.
108. ჰურლბერტი Hulbert A., Book: Vision, III – Colour and Vision, Edited by Andrew Fabian, University of Cambridge, pp. 57-106, 2021.

### ლექსიკონები:

1. გოგიჩაძე გ., კანდელაკი გ., გოგიჩაძე თ. ლექსიკონი ბიოლოგიური და სამედიცინო ტერმინები და ცნებები, თბ., 2011.
2. ნეიმანი ალ. ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ., 1951.
3. სულხანა-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბ., „მერანი“, 1991.
4. სულხანა-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, თბ., „მერანი“, 1993.
5. სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“, გამომცემლობა „მერანი“, 1998.
6. უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი, „ფანტაზია“, 2006.
7. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნოლდ ჩიქობავას საერთო რედაქციით, I-VIII, თბ., 1950-1964.
8. ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი [ავტ.-შემდგ.: გ. არჩვაძე, მ. ბოკუჩავა, თ. გელაძე და სხვ.], „მერიდიანი“, თბ., 2011.
9. ჩუბინაშვილი ნ. ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1961.

10. ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი [შედგენილია ილ. აბულაძის, აკ. შანიძის, ივ. იმნაიშვილის, ს. ყაუჩხიშვილის, კ. კეკელიძის, ზ. სარჯველაძის და სხვა ავტორთა ლექსიკონური წყაროების მიხედვით), საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბ., 2008.

### **კრებული, ჟურნალ-გაზეთები:**

1. არუთინოვა ნ. სიმბოლო [თარგმნა თ. ყურაშვილმა], ჟ. სემიოტიკა, I, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2007, გვ. 235-242.

2. ბარათელი ბ. ესთეტიკის საკითხები არეოპაგიტულ მოძღვრებაში, კრებულში: ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან [კრებული / რედ. ა. ტყემალაძე], თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1996. გვ. 3-29.

3. ბარამიძე ც. თაბასარანული ენის ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფები, „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), 1989, №4, გვ.146-155.

4. ბარბაქაძე რ. ფერი – მხატვრული აზროვნების ელემენტი, „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), 1979, №2, გვ.15-34.

5. ბარბაქაძე რ. „ვეფხისტყაოსანი“ და შუა საუკუნეების ლიტერატურული ტრადიციები ფერთი სისტემების გააზრების თვალსაზრისით, „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), 1978, №3, გვ.59-71.

6. ბარბაქაძე ც. პოეზიის სემიოტიკა, ჟ. სემიოტიკა [რედ.: ცირა ბარბაქაძე, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი], 2007, №1, გვ.41-51.

7. გაფრინდაშვილი ვ. დეკლარაცია (ახალი მითოლოგია), ჟ. „მეოცნებე ნიამორები“, 1922, №7.

8. გელდიაშვილი ნ., ღარიბაშვილი მ. ფერთა ლექსიკის ტიპოლოგიური ურთიერთშეჯერებისათვის, შრომები, „ენა და კულტურა“, I, ქუთაისი, 2010, გვ. 71-74.

9. გოგებაშვილი ც. შავი ფერის სემანტიკური ველი სვანური ენის ლენტეხურ დიალექტში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, 1996, VI, გვ.50-54.

10. გოგუა ნ., ფერთა ენობრივი აღნიშვნები, ხელისუფლება და საზოგადოება, 2008, №2 (6), გვ. 175-178.
11. გოჩიტაშვილი ქ. ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკის მეორეული მნიშვნელობის სწავლებისათვის ქართულში, ბილინგვური განათლება, 2012, №9, გვ.37-41.
12. თავდიშვილი მ. ქართული ფოლკლორის ზოგიერთი მოტივი პაოლო იაშვილის შემოქმედებაში, „ცისკარი“, 1974, №2, გვ.108-117.
13. იაკობიშვილი-ფირალიშვილი ლ. ფერი როგორც სიმბოლო კულტურაში, კრებულში: ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან [კრებული / რედ. ა. ტყემალაძე], თბილისის უნივერსიტეტის გამოცემლობა, თბილისი, 1996. გვ. 127-145.
14. კაციაშვილი ე. აქრომატულ ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკის სიმბოლურ-სემანტიკური ანალიზი ქართულსა და ინგლისურ ენებში, ჟ. „ინტელექტი“, 2014, 1(48), გვ.178-181.
15. კვარაცხელია გ. ზოგი რამ სემიოტიკის შესახებ, კრებულში: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, 2016, XVI, გვ.25-31.
16. კვარაცხელია გ. ფერისა და სინათლის აღმნიშვნელი სიტყვები ვაჟა-ფშაველას ლექსებში, თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები, 1974, IV, გვ.33-49.
17. კიზირია ნ. სამეტყველო ბგერის ასოციაცია ფერთან, „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), 1981, №1, გვ.123-130.
18. კობიაშვილი ნ. ყვითელი ფერის სიმბოლიკა, ლიტერატურა და ხელოვნება, 2008, №10, გვ.44-49.
19. მანასიანი გ. „შეგრძნება და აღქმა“, როგორც მამოძრავებელი ფაქტორი ფერის ტერმინოლოგიის პოეტური მნიშვნელობის შექმნაში, „ინტელექტი“, 2011, №3(41), გვ.188-189.
20. მოსია ბ. ფერთმეტყველება ქართულ ფოლკლორში, კრიტერიუმი, №10, 2004. გვ.131-134.
21. მოსიაშვილი ნ., „ფერის“ ენობრივი აღქმა ენის ლექსიკო-სემანტიკურ სისტემაში, „სჯანი“, 2005, №6, გვ. 81-84.



22. ნემსაძე ა. თეთრი ფერის სიმბოლური გააზრებისათვის, ჟ. „სემიოტიკა“ [ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი], 2011, №9, გვ.73-85.
23. ნუცუბიძე თ. ფერის პოეტური ფუნქცია ქართველ და ინგლისელ რომანტიკოსთა შემოქმედებაში (შედარებითი ანალიზი), „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), 1980, №1, გვ.48-56.
24. ოქროშიძე თ. ფერთა სიმბოლიკა ქართულ ჯადოსნურ ზღაპრებში, „ცისკარი“, 1973, №1, გვ.119-125.
25. სვანიძე ნ. თეთრი ფერის სიმბოლო ტიცინ ტაბიძის პოეზიაში, „კრიტიკუმი“, 2004, №11-12, გვ. 94-96.
26. სოსელია ე. ბაზისურ ფერთა ტერმინების სემანტიკა, „ტიპოლოგიური ძიებანი“ 1990, II, გვ.37-42.
27. სოსელია ე. სემანტიკური პრიმიტივები და ფერთა კატეგორიზაციის უნივერსალური მოდელი, „სემიოტიკა“, 2007, №1.
28. სოსელია ე. „ყავისფერი“ კატეგორიის ბაზისურობისათვის ქართულში, „ენათმეცნიერების საკითხები“, 1999, №3, გვ.98-106.
29. ტაბიძე ტ. „ცისფერი ყანწებით“, ჟურნ. „ცისფერი ყანწები“, 1916, №1/2. გვ. 20-25.
30. ღვინჯილია გ. ცისფერი ფერის სიმბოლიკა რომანტიკული და ქრისტიანული მსოფლმხედველობის პოზიციებიდან, კულტურის ისტორიის და თეორიის საკითხები, 2002, XI, გვ.65-69.
31. ჩოლოყაშვილი რ. თეთრი, წითელი და შავი ფერების სიმბოლიკისათვის ქართულ ხალხურ პოეზიაში, ლიტერატურა და ხელოვნება, 1992, №5-6, გვ. 48-61.
32. ჩხეიძე ე. საუბარი ფერის შესახებ, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1992, №5.6, გვ.88-93.
33. ცალქალამანიძე მ. ფერის სემანტიკა. ადამიანთა ქცევის ტიპები და არქიტექტურული სივრცის ფერთი მოდელირების თეორიული საკითხები, ჟ. „განათლება“, 2018, №1 (29), გვ.233-242.
34. ჭედია ე. ვალერიან გაფრინდაშვილის ფერის სიმბოლიკისათვის, „კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა“, 2006, №10, გვ.133-142.

35. ჭოხონელიძე., ფერთა სახელები რ. ინანიშვილის ენაში, გვ.50-51, 2007.
36. ხიდაშელი მ. ფერის სიმბოლიკა მახლობელი აღმოსავლეთის ადრესამიწათმოქმედო კულტურებსა და ქართულ ხალხურ კულტურაში. კრებულში: საქართველოს ძველი კულტურის საკითხები. თბ., 2010. გვ.454-474.
37. Elliot A.J. Maier M.A., 2012: Color-in-context theory. *Adv. Exp. Soc. Psychol.*45, 61-125. 2012.
38. ბრაიანი 2003: Brian V. Funt, Imprecise color constancy versus color realism, *Journal: Behavioral and Sciences*, V. 26, №1, February, pp. 29-30, 2003. Published online by Cambridge University Press: 2011. Pp. 38-39.
39. ბრაუნნი... 1954: Brown R. W. Lenneberg, E. H. (1954): A Study in language and cognition; *The Journal of Abnormal and Social Psychology*, Vol. 49 (3), Jul 1954, 454-463.
40. ვეჯბიჯკა 1990: Wierzbicka A. The meaning of colour terms: Semantics, culture and cognition // *cognitive linguistics*, Vol. 1 (1), pp. 99-149.
41. ვეჯბიჯკა 2008: Wierzbicka, A. Why there are no colour universals' in language and thought, *Journal of the anthropological Institute (N.S.)*. Royal Anthropological Institute, 14, 407-425, 2008.
42. თოდოროვიჩი 2003: Todorovic D., Color realism and color illusion, *Journal: Behavioral and Sciences*, V. 26, №1, February, pp. 49-50, 2003.
43. Kovecses Z., Szabo P. (1996). Idioms: a view from cognitive semantics // *Applied Linguistics.*, Vol. 17/3 September, pp. 327-355. [https://www.researchgate.net/publication/308780565\\_Idioms\\_A\\_View\\_from\\_Cognitive\\_Semantics](https://www.researchgate.net/publication/308780565_Idioms_A_View_from_Cognitive_Semantics).
44. მაკნილი 2008: McNeil N.B. Colour and colour terminology, *Journal: of Linguistics*, V. 8, №1. 1972; Published online by Cambridge University Press: 28 November, pp. 21-33, 2008.
45. ხომერიკი... 2009: Khomeriki M., Kazeli A., Lomashvili N., The revealing of Color Categorical Boundaries among Georgian speakers, *საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე*, ტ.3, №3. 2009.
46. ჰაიდერი 1972: Heider E. R., Universals in Color Naming and Memory; *Journal of Experimental Psychology*, 1972, 93/1.
47. ჰილბერტი 2003: Byrne A., Hilbert D. R. Color realism and color science, *Journal: Behavioral and Sciences*, V.26, №1, February, 2003.
48. ჰილბერტი 2011: Hilbert D., Comparative color vision and objectivity of color, *Journal: Behavioral and Sciences*, V. 15, №1, March, 1992. Published online by Cambridge University Press, Pp. 38-39, 2011.

## ელექტრონული მასალები:

1. გოეთე: <http://www.textlog.de/6814.html> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 10.09.2021.
2. დოლიძე რ. სამყარო ანუ ნიშანი?! ყველაფერი როგორც სიმბოლოთა სისტემა <https://studentresearch.iliauni.edu.ge/samqharo-anu-nishani-qhvelapheri-rogor-ts-simbolotha-sistema/> გადამოწმებული – 10.09.2021.
3. მანასიანი გ. შემოქმედებითი მიდგომა ფერთა ნომინაციის პროცესში და ფერის აღმნიშვნელი სიტყვების მნიშვნელობის ზღვარი, „სპეკალი“, IV, <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/4/34> გადამოწმებული – 10.08.2021.
4. მინდაძე ი., ფონეტიკური სიმბოლოზში, [Iwaminda.wordpress.com](http://Iwaminda.wordpress.com) (გამოყენების თარიღი: 11.06.2022).
5. ნ. ვ. სეროვი, ფერის სიმბოლიკა [http://www.litres.ru/pages/biblio\\_book/?art=18553861](http://www.litres.ru/pages/biblio_book/?art=18553861) უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.08.2022.
6. სიმბოლოთა და ნიშანთა ენციკლოპედია: <http://sigils.ru/symbols/zvet.html>
7. ტენი: <http://colorscheme.ru/art-of-color/postscript.html>
8. ქართული ენის ეროვნული კორპუსი: [gnc.gov.ge](http://gnc.gov.ge) (გამოყენების თარიღი: 11.09.2022).
9. <http://www.color-wheel-pro.com/color-meaning.html>
10. <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000126/cira%20Sroma.pdf>
11. <http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/saskolo/santimentaluri-trioleti.htm>
12. <http://iliauni.edu.ge/uploads/other/1/1427.pdf>
13. <https://www.georoyal.ge/?id=3088>
14. <https://psynavigator.ru/publikacii/472>
15. <https://www.cambridge.org/> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.08.2022.
16. Idioms Online: Your Free English Idioms Dictionary (<https://www idioms online/>).